ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

1 (24) 2020

დაიბეჭდა შპს „პრინტჯეო“-ში
თბილისი 2020

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

ISSN 1512-3154

Studies in Modern and Contemporary History

2020 № 1 (24)

Tbilisi 2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

2020 № 1 (24)

თბილისი 2020

უაკ (UDC) 94(100) „15/18“ + 94(100) „1918/“...
ა-984

მთავარი რედაქტორი:
ავთანდილ სონღულაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი გაბისონია
ზურაბ გამეზარდაშვილი
გია გელაშვილი
ოთარ გოგოლიშვილი
ჰაჯი-მურად დონოგო
(მაჰაჩყალის უნივერსიტეტი)
შოთა ვადაჭკორია
გუნტის ზემიტისი
(ლატვიის ისტორიის ინსტიტუტი)
ნუგზარ ზოსიძე
ვასილ კაჭარავა
იგორ კვესელავა
ვაჟა კიკნაძე
ალექსანდრე მოსიაშვილი
უჩა ოქროპირიძე
რიმვიდას პეტრაუსკასი
(ვილნიუსის უნივერსიტეტი)
ანჯეი პუქშტო
(ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტი)
გელა საითიძე
(რედაქტორის მოადგილე)
ლელა სარალიძე
ხათუნა ქოქრაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
დოდო ჭუმბურიძე
(რედაქტორის მოადგილე)
ივანე ჯაგოდნიშვილი
დავით ჯავახიშვილი
ნიკო ჯავახიშვილი
(რედაქტორის მოადგილე)
ოთარ ჯანელიძე

EDITOR-IN-CHIEF:
Avtandil Songulashvili

EDITORIAL BOARD:
Irakli Gabisonia
Zurab Gamezardashvili
Gia Gelashvili
Otar Gogolishvili
Hadji-Murad Donogo
(University of Makhachkala)
Shota Vadachkoria
Guntis Zemītis
(Institut of History of Latvia)
Nugzar Zosidze
Vasil Kacharava
Igor Kveselava
Vazha Kiknadze
Aleksandre Mosiashvili
Ucha Okropiridze
Rimvydas Petrauskas
(Vilnius University)
Andžej Pukšto
(Vytautas Magnus University)
Gela Saitidze
(Deputy editor)
Lela Saralidze
Khatuna Kokrashvili
(Executive secretary)
Dodo Chumburidze
(Deputy editor)
Ivane Jagodnishvili
Davit Javakhishvili
Niko Javakhishvili
(Deputy editor)
Otar Janelidze

საგამომცემლო საბჭო:
ირინა არაბიძე, ლელა მიქიაშვილი, შორენა მურუსიძე, მზია ტყავაშვილი.

PUBLISHING COUNCIL:
Irina Arabidze, Lela Mikiashvili, Shorena Murusidze, Mzia Tkavashvili.

დაიბეჭდა შპს „პრინტჯეო“-ში

შ ი ნ ა ა რ ს ი
Contents

saqarTvelos istoria

The History of the Georgia

ავთანდილ სონღულაშვილი.....11
საქართველოს სამეფოს აღდგენის იდეა
(დავით ბატონიშვილის პროექტების მიხედვით)

Avtandil Songulashvili
The Idea of Restoring the Kingdom of Georgia (According to David Batonishvili's Projects)

დოდო ჭუმბურიძე.....21
კავკასიაში რუსეთის გეოპოლიტიკური და ექსპანსიონისტური პოლიტიკის ასპექტები მთავარმართებელ ალექსი ერმოლოვის დროს (1816-1827 წწ.)

Dodo Chumburidze
Aspects of Geopolitical Strategy and Imperial Expansion in Russia's Caucasian Policy: The Tenure of Aleksey Yermolov (1816-1827)

ნუნუ მიქელაძე, ალექსანდრე ოთარაშვილი 38
ცარიზმის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში
XIX საუკუნის პირველ მესამედში

Nunu Mikeladze, Alexandre Otarashvili
Tsarist Economic Policy in Georgia In the First Third of the 19th Century

ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი.....47
ნაციონალიზმის ისტორიული განვითარების ლოგიკა
საქართველოს მაგალითზე

Nodar (Nukri) Shoshiashvili
The Logic of the Historical Development of Nationalism on the Example of Georgia

დავით ჯავახიშვილი.....60
ქართველ ემიგრანტებზე მოწყობილი ტერორისტული აქტების ისტორიიდან. როგორ და რატომ მოკლეს ნოე რამიშვილი?

Davit Javakhishvili
From the History of the Terrorist Acts Conducted Against Georgian Emigrants / How and Why Noe Ramishvili Was Murdered?

ალექსანდრე წურწუმია.....70
მიხეილ ჯავახიშვილი საქართველოს გეოსტრატეგიის შესახებ

Alexander Tsurtsumia
Mikheil Javakhishvili About Georgias's Geostrategy

ნიკო ჯავახიშვილი.....**75**

ქართველთა ეროვნული ერთობისა და თვითშეგნების დაცვისათვის ბრძოლის ისტორიიდან (1925-1975 წლები)

Niko Javakhishvili
From the History of the Defense of Georgians' National Unity and Identity (1925-1975)

მარინა გლოველი.....**111**

საქართველოს მოქმედი ნორმატიული სივრცე ეროვნული უმცირესობების უფლებების შესახებ

Marina Gloveli
The Current Normative Space of Georgia on the Rights of National Minorities

saqarTvelo da msoflio

Georgia and the World

ემზარ ფაჟავა.....**129**

წყვეტილი დრო: აზიელი დამპყრობლები და რუსული ანექსია

Emzar Pazhava
„Intermittent Period": Asian Conquerors' and the Russian Annexation

ვახტანგ გვიშიანი.....**140**

საქართველოში „ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რუსეთის ფაქტორი და აშშ-ს პოზიცია

Vakhtang Gvishiani
Political Processes in Georgia after „Rose Revolution". Russian Factor and US position

ემზარ ფაჟავა.....**147**

საქართველოს ევროპული ორიენტაციის ევოლუცია

Emzar Pazhava
The Evolution of European Orientation of Georgia

ვახტანგ გვიშიანი.....**161**

საქართველო-რუსეთის ურთიერთობები და ნატოს ფაქტორი 2003-2008 წლებში

Vakhtang Gvishiani
Georgian-Russian Relations and NATO Factor during the Years 2003-2008

kavkasiis istoria

The History of Caucasus

არჩილ ჩაჩხიანი 171

არშემდგარი სამხედრო პროექტი — „ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმია“

Archil Chachkhiani
Failed Military Project – „Trans CaucasusVolunteers International Army“

msoflio istoria

The History of the World

არჩილ ჩაჩხიანი 183

გენერალი მუსტაფა ქემალი (ათათურქი) და ანატოლიის „ნაციონალური ძალები“

Archil Chachkhiani
General Mustafa Kemal (Ataturk) and „National Forces“ of Anatolia

ავთანდილ სონღულაშვილი 192

ახდენილი წინასწარმეტყველება (ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში)

Avtandil Songulashvili
A Self-fulfilling Prophecy (Hitler in Power)

ლილი ხარჩილავა 207

ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური ინტერესები სპარსეთის ყურეში

Lili Kharchilava
The National Interests of the United States of America in the Persian Gulf

politika

The Policy

გიორგი ჩხიკვიშვილი 213

ევროპული რადიკალური მემარჯვენე პარტიების თანამედროვე გამოწვევები

Giorgi Chkhikvishvili
Modern Challenges of European Radical Right-Wing Parties

saxelmwifo da religia

State and Religion

ალექსანდრე მოსიაშვილი **225**
საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესია-მონასტრებისადმი საქართველოში

Aleksandre Mosiashvili
The Attitude of the Soviet Authorities Towards Churches and Monasteries in Georgia

არქიმანდრიტი მიქაელ ეჯიბიშვილი **235**
საბერძნეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა საბერძნეთის კონსტიტუციის მიხედვით

Archimandrite Michael Ejibishvili
Relations between the Greek Church and the State According to the Greek Constitution

religia. eklesiis istoria

Religion. History of the Church

სოფიო ანდღულაძე **251**
ბოდბის წმინდა ნინოს სავანის ისტორიიდან

Sophio Andghuladze
From the History of the Monastery of St. Nino in Bodbe

wyaroTmcodneoba

Source Study

გია გელაშვილი **258**
მაქს ფონ ტილმანი თბილისის შესახებ
(XIX ს-ის 70-იანი წლები)

Gia Gelashvili
Max von Thielmann about Tbilisi

ganaTleba da kultura

Education and Culture

არჩილ კოხრეიძე **271**
გიორგი ჩუბინაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტის დამაარსებელი (მასალები)
Archil Kokhreidze
Giorgi Chubinashvili – the Founder of Art Room at Tbilisi State University (documents)

ოთარ გოგოლიშვილი **280**
განათლების ისტორიიდან აჭარაში
Otar Gogolishvili
From the History of Education in Adjara

kritika da bibliografia

Criticism and Bibliography

მაია ცერცვაძე **290**
რეცენზია ნიკო ჯავახიშვილის მონოგრაფიაზე – „ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები“ (თბილისი, 2019 წელი)
Maia Tsertsvadze
Review of Niko Javakhishvili`s Monography –
„*Essays of the History of Georgian - Baltic Relations*“

თეიმურაზ ვახტანგიშვილი, თენგიზ სიმაშვილი **300**
რეცენზია ხაილა ისრაილ ყიზი ასკეროვას სტატიაზე – „რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილოეთ აზერბაიჯანის დაპყრობა“
Teimuraz Vakhtangishvili, Tengiz Simashvili
Review of Khaila Israil Kizi Askerova`s Article –
„*The Conquest of Northern Azerbaijan by Russian Empire*“

gaxseneba

In the Memory of Our Collegue

ნიკო ჯავახიშვილი **308**
აკადემიკოს იური ჩიქოვანის გახსენება
Niko Javakhishvili
In Memory of Academician Juri Chikovani

კრებულის სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე და შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2, კორპუსი XI.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება

ავთანდილ სონღულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე

საქართველოს სამეფოს აღდგენის იდეა
(დავით ბატონიშვილის პროექტების მიხედვით)

მშვიდობიანი ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიას საფუძველი ჩაუყარა დავით გიორგის ძე ბაგრატიონმა, რაც „გაახმოვანა“ რუსეთის იმპერატორისადმი წარდგენილ „ბარათებში“. იმ დროს, როცა ალექსანდრე ერეკლეს ძე სახალხო ლაშქრის სათავეში იდგა და იარაღით იბრძოდა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის, მისმა ძმისშვილმა დავითმა პირველი ბარათი – „საქართველოს უკეთესი მოწყობის შესახებ“ მიართვა ალექსანდრე I-ს (1812 წლის სექტემბერი).

ამ ბარათში დასახულია ღონისძიებანი საქართველოს შინაგანი მმართველობის დარგში და ქვეყნის სამეურნეო აღმავლობისათვის. ასევე მასში ჩამოყალიბებულია საკმაოდ შორსგამიზნული და გაბედული გეგმები საგარეო პოლიტიკაში და იმდროინდელი ევროპის დიპლომატიურ ურთიერთობათა სფეროში [1, 128-155].

უფლისწული სინანულს გამოთქვამდა 1783 წლის ტრაქტატის დარღვევის გამო, რასაც მოჰყვა ქართული სახელმწიფოს გაუქმება, ქვეყნის ნორმალური მართვა-გამგეობის მოშლა და გაუთავებელი ანტირუსული აჯანყებები. ყოველივე ამაში დავით ბაგრატიონი ადანაშაულებდა არა რუსეთის იმპერატორს, არამედ ბრალს სდებდა საქართველოს მთავარმართებლებს, რომლებმაც დაუშვეს დანაშაულის ტოლფასი შეცდომები. დავითი მოუწოდებდა იმპერატორს, გამოესწორებინა მის მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაული და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღედგინა ქართლ-კახეთის სამეფო [2, 29]. ამავე დროს ბატონიშვილის წერილი ეხმიანება 1799 წლის „არტიკულებს“ და მათ დანამატ „პუნქტებს“. სხვა ღონისძიებებს სარჩულად უდევს იმის დაჟინებული მტკიცება, რომ ბატონიშვილთა

გაძევება საქართველოდან ქვეყნის საზიანოა და მის მმართველს დასახმარებლად (!) ერთ-ერთი ბატონიშვილი უნდა მიეჩინოს...

ბარათის შესავალ ნაწილში დავითი წერს, რომ „საქართველო ერთ მცირედ ქვეყანას წარმოადგენს. მას თავდაპირველად (უხსოვარ დროს) ჰქონდა სახალხო მმართველობა, შემდეგ რამდენსამე ხანს მას ალექსანდრე მაკედონელის ნაცვალი განაგებდა, ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ქვეყანა ჩამოყალიბდა მონარქიული სახელმწიფოს სახით და მას მართავდნენ მეფეები. მთელი ისტორიის განმავლობაში – განაგრძობს დავით ბაგრატიონი – საქართველოს ურთიერთობა (როგორც მშვიდობიანი, ისე საბრძოლო) ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოებთან: ჩვენ გვებრძოდნენ არაბნი, ხონთქარი, ყაენი, დაღესტანი, მაგრამ ამეებს არც ერთს თავი არ დავუდევით, მათ ჩვენში ვერ მოშალეს მეფობა... უფრო ხშირად საქართველო იმყოფებოდა სპარსეთის პროტექტორატის ქვეშ, ამ გაჭირვებაში რომ ვიყავით, ჩვენი მეფეები ევედრებოდნენ ყოვლად მოწყალე ხელმწიფეს რუსეთისას, რომ ქრისტიანობისთვის რუსეთის საფარველი გვდებოდა... ხელმწიფემ საქართველო რუსეთს შეაერთა, მანიფესტი გვიბოძა...“ დავითს არ რჩება მხედველობიდან ამბების უფრო დაწვრილებით გადმოცემა: „1799 წელს იმპერატორმა – განაგრძობს იგი – პავლე I-მა ქართლ-კახეთის მეფედ დაამტკიცა გიორგი XII-ის ძე, რომელმაც მოითხოვა 1783 წლის ტრაქტატის ზოგი მუხლის შეცვლა. კიდეც იქნა წარდგენილი სათხოვარი პუნქტები, მაგრამ პავლე I-ის გარდაცვალების გამო იგი დაუმტკიცებელი დარჩა“.

ბუნებრივია, დავითი ვერ ბედავს, სათხოვარი პუნქტების იგნორირება და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება იმპერატორს ბრალად წაუყენოს და მთავარმართებლებს ადანაშაულებს [3, 92].

ანუ ამ შემთხვევაში დავითს სავსებით შეგნებულად მთელი აქცენტი და დანაშაულის სიმძიმის ცენტრი იმ დროინდელ რუს მოხელეებზე: ციციანოვზე, გუდოვიჩზე და ტორმასოვზე გადააქვს.

ქართველი ხალხის უკმაყოფილების, აქ მართვა-გამგეობის მოუწესრიგებლობის მთავარ მიზეზად წერილის ავტორს შემდეგი მომენტები მიაჩნდა: 1. ციციანოვს არ უნდა გადაესახლებინა ბატონიშვილები რუსეთს, რადგან ამან ძალზე ცუდად იმოქმედა ქართველებზე, შეარყია და გააქარწყლა ქართველთა არჩევანი – რუსული ორიენტაცია. ეს გარემოება თვით რუსეთისათვის იყო პოლიტიკურად მძიმე და საზარალო; 2. თუ საქართველოში მოხელე მთავარსარდალი დაინიშნებოდა, აუცილებელი იყო მის მოადგილედ ქართვე-

ლი ბატონიშვილის დანიშვნა; 3. თუ საქართველოს მართვა-გამგეობა მიენდობოდა ერთ-ერთ ბატონიშვილს, თურქეთს უფლება აღარ ექნებოდა პრეტენზიები განეცხადებინა იმერეთსა და ახალციხეზე, რადგან ეს ქვეყნები თავის დროზე საქართველოს ერთიანი სამეფოს განუყოფელ ნაწილებს შეადგენდნენ; 4. თუ საქართველოში სამეფო ხელისუფლება შენარჩუნებული იქნებოდა, საჭირო აღარ გახდებოდა რუსის ჯარისკაცთა დიდი რაოდენობით შემოყვანა აქ. ამ ფუნქციას ქართული ლაშქარი შეასრულებდა, რომელიც ჩამოყალიბდებოდა ერეკლესდროინდელი მორიგე ლაშქრის განჩინების საფუძველზე; 5. მომდევნო წინადადებად სახაზინო შემოსავლის გაზრდის მიზნით დავითი იმპერატორს სთავაზობდა სამეფო მრეწველობის განვითარებას ქართლ-კახეთში, ხე-ტყის წარმოებას იმერეთში, შავი ზღვის გადაქცევას რუსეთ-საქართველოს საზღვაო-სანაოსნო ურთიერთობის მთავარ წყაროდ. შემდეგ დავითი იმპერატორს უყენებს კონკრეტულ წინადადებებს ქვეყნის მართვა-გამგეობის პროგრესულ ღონისძიებათა განხორციელებისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ [4, 331-332].

განსვენებული მეცნიერის პროფესორ გულივერ იობაშვილის აზრით „დავითი იმედოვნებდა, რომ შეიძლებოდა ცარიზმის რუსეთი წასულიყო იმ დათმობაზე, რომ 1783 წლის ტრაქტატის უფლებრივ ნორმათა საფუძველზე მომხდარიყო ***საქართველოს ავტონომიის აღდგენა*** (ხაზგასმა ჩემია – ა. ს.) და ამ გზით იქნებოდა შენარჩუნებული ქვეყნის ეროვნული თვითმყოფადობა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ქართველი პროგრესული ზედაფენის და კერძოდ ბაგრატიონის ეს პროგრამა არ ეთანხმებოდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას“ [4, 229-230]. ავტორი ამ აზრების გადმოცემისას იმოწმებს სომეხი მეცნიერის ა. იოანისიანის 1958 წელს გამოცემულ ნაშრომს. „მაგრამ მიუხედავად ამისა, – განაგრძობს მკვლევარი – ბაგრატიონები და თვით დავითი იმედს არ კარგავდნენ ხან დიპლომატიის ენით, ხან ბრძოლით, რუსეთი დათმობაზე წაეყვანათ და ***ქართული ავტონომიური სამეფოს აღდგენაზე*** (ხაზგაზმა ჩემია – ა. ს.) დაეყოლიებინათ [4, 330].

ძნელია იმის წარმოდგენა, რომ რუსეთის სამეფო კარის ცხოვრებაში ღრმად ჩახედული ბატონიშვილი ილუზიებით ცხოვრობდა და მისი მცდელობა რაიმე გავლენას მოახდენდა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკაზე. მაგრამ ჩვენ ახლა სხვა რამე გვაინტერესებს: ყბადაღებული ავტონომია, რომლის იდეა განსხვავებით უშუალო პერსონაჟე-

ბისაგან რატომ გაუჩნდათ „საბჭოთა ისტორიკოსებს“? დავითსაც და მის თანამოაზრეებსაც შეიძლება ეთხოვათ ავტონომიური მმართველობა, როგორც ეს შემდეგში ფინეთსა და პოლონეთს გააჩნდა იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ „დაეყოლიებინათ“ საიმპერატორო კარი „ავტონომიის აღდგენაზე“ ნიშნავს, რომ რუსეთს ქართლ-კახეთის ავტონომია გაუუქმებია და არა სამეფო.

გ. იობაშვილის აზრით „დავით ბაგრატიონის აქ მოყვანილი და სხვა წინადადებები აშკარად რეალური აზროვნების ნაყოფი იყო. რუსეთს, თუკი იგი ანგარიშს გაუწევდა ბაგრატიონთა საგვარეულოს და ქართველი ხალხის სურვილს და ნებას, შეეძლო აღედგინა საქართველოს სამეფო 1783 წლის სამართლებრივ ნორმათა საფუძველზე, ისე, რომ მას თვითონ პოლიტიკურად არ წაეგო. ტრაქტატით გათვალისწინებული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ქართველი პროგრესული საზოგადოებისა და პირადად დავით ბაგრატიონის ბრძოლა პოლიტიკურად რეალური და პერსპექტიული იყო“ [4, 332].

ძნელია ასეთ შეფასებას დაეთანხმო. იმპერატორს როცა უნდა გაეწია ანგარიში მაშინ არ გაუწია, ერთი ხელის მოსმით გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, სისხლში ჩაახშო დასავლეთ საქართველოს გამოსვლა, გააუქმა იმერეთის სამეფო. რომელი ტრაქტატის აღდგენაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როდესაც რუსეთმა სწორედ იმიტომ შექმნა ასეთი სახის დოკუმენტი, რომ მომავალში საქართველო დაეპყრო და გზა კავკასიის დასამორჩილებლად გაეკაფა. ტრაქტატი რუსეთმა უკვე ხელშეკრულების დადებიდან ოთხი წლის შემდეგ ცალმხრივად გააუქმა, როდესაც 1787 წელს ოსმალეთთან ომის საბაბით ორივე ბატალიონი გაიყვანა თბილისიდან და ოთხივე ზარბაზანიც თან მიაყოლა. დოკუმენტის ამოქმედება კი, როდესაც ჭირდებოდა მაშინ ახსენდებოდა. იქნებ აღა მაჰმად-ხანის შემოსევის დროს შეასრულა ნაკისრი ვალდებულება?

ტრაქტატით გათვალისწინებული ფორმით დამოუკიდებლობის აღდგენა არამც თუ რეალური, ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული და საერთოდ რუსეთისაგან რაიმე დათმობაზე წასვლა ფანტაზიის სფეროს მიეკუთვნებოდა. დავითის წერილამდე 11 წლით ადრე რუსეთმა გაგვაუქმა, ყველა აჯანყებაში დავმარცხდით, ძალით ვერ აღვადგინეთ დამოუკიდებლობა და 11 წლის შემდეგ ერთი წერილის შინაარსის გაცნობისას თურმე შეიძლებოდა რუსეთის კეთილშობილ იმპერატორს მოენანიებინა, ეს რა გავაკეთე? საქართველო დავიპყარი და მოდი დავუბრუნო წართმეული დამოუკიდებლობა ან ავტონომიური

მმართველობა მაინც ვუბოძოვო!

დავით ბატონიშვილი რეალურად მაშინ იაზროვნებდა, რომ თავის დროზე დაეჯერებინა სოლომონ ლიონიძესა და სხვა პოლიტიკოსებისათვის, აეღო ხელში ძალაუფლება, რაც ლეგიტიმურად ეკუთვნოდა და ლაზარევისთვის არ ჩაეგდო ხელში მმართველობა სამეფო ინსიგნიების მოლოდინში. შეინარჩუნებდა თუ არა დამოუკიდებლობას ქართლ-კახეთის სამეფო ეს სხვა საკითხია...

გ. იობაშვილის სხვა შეფასებები პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში მისაღებია. კერძოდ, ცნობილია რომ სწორედ ამ პერიოდში ცარიზმმა იარაღით დაიპყრო ფინეთი, პოლონეთი, მაგრამ მათ თვითმმართველობა, სეიმი და კონსტიტუცია დაუტოვა. რა თქმა უნდა, რუსეთი დაპყრობილი ხალხების მიმართ ასეთ მოპყრობას არ იყო ნაჩვევი, მაგრამ მას ეშინოდა, ჯერ ერთი, იმისა, რომ ევროპის ცენტრში მდებარე კონსტიტუციურ სახელმწიფოებთან უშუალოდ მომიჯნავე პოლონეთისა და ფინეთისათვის ისევე აეყარა ეროვნულ-პოლიტიკური უფლებანი, როგორც ამას საქართველო-ამიერკავკასიაში აკეთებდა, რომელიც გარშემორტყმული იყო ბარბაროსული სახელმწიფოებით.

მეორეც, რუსეთი ანგარიშს უწევდა იმ პროგრესულ ეროვნულ ძალებს, რომლებიც ევროპაში, კონკრეტულად კი პოლონეთსა და ფინეთში მომძლავრებულიყვნენ და ეროვნული გამოსვლების კონსოლიდაციას ეწეოდნენ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღსადგენად.

ამიტომ ითმენდა რუსეთი მოწინავე ევროპის საზღვარზე (უნდოდა თუ არ უნდოდა) ფინეთისა და პოლონეთის თვითმმართველობათა, ანუ ავტონომიების არსებობას და საქართველოს შეერთებისას ამ გარემოებათათვის ანგარიშის გაწევას სრულიადაც არ ფიქრობდა [4, 332]. იმპერიას, ან მოგვიანებით „თეთრსა“ თუ „წითელ“ რუსეთს, როგორც დასჭირდებოდა პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ისე მოქმედებდა კოლონიებთან მიმართებაში. გავიხსენოთ ბოლშევიკური ხელისუფლების „ჟესტი“, „ერთა თვითგამორკვევის“ ლოზუნგით, როდესაც სტალინი, როგორც ეროვნული საკითხების კომისარი, პირველად საჯაროდ ბოლშევიკური გადატრიალებიდან სამი კვირის შემდეგ, მოულოდნელად ჰელსინკში, ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე გამოვიდა. ფინელებისათვის ეს უჩვეულო და დასამახსოვრებელი შეხვედრა იყო. რუსეთის ახალმა მთავრობამ გააკეთა განცხადება მათი ქვეყნის რუსეთის შემადგენლობიდან გა-

მოსვლის შესახებ.

1917 წლის 18 დეკემბერს საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად აღიარა ფინეთის დამოუკიდებლობა. დეკრეტს ლენინი და სტალინი აწერდნენ ხელს [5, 172].

განსხვავებით ფინეთისა და პოლონეთისაგან რუსეთმა კარგად იცოდა, რომ საქართველო გარემოცული იყო ფეოდალიზმის დაბალ სტადიაზე მდგომი მუსლიმანური სამთავრო-სახელმწიფოებით, სადაც აზიური დესპოტიზმი იყო გამეფებული და კონსტიტუციის ხსენებაც არ არსებობდა [4, 332].

ძნელია იფიქრო, რომ ვერ ერკვეოდა არსებულ ვითარებაში პოლიტიკური და დიპლომატიური ალღოს მქონე ევროპულად განათლებული დავით ბაგრატიონი, მაგრამ მაინც შეეცადა რამე „შეესმინა“ იმპერატორისათვის.

იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრმა *ო. კოზოდავლიევმა* დავით ბაგრატიონის ბარათი „განსახილველად“ მთავარმართებელ პაულუჩის გადაუგზავნა. ამ უკანასკნელმა კი აღნიშნულ დოკუმენტზე ვრცელი უარყოფითი დასკვნა დაწერა, სადაც ვკითხულობთ: „ფართოა წამოწყებანი ბატონიშვილი დავით გიორგის ძისა, რომელიც საქართველოს უკეთ მოწყობის საბაბით... ყველაფერს იქით წარმართავს, რომ იქ მეფე იქნას აღდგენილი. იგი დიდი ხანია ირწმუნება, რომ რუსებს არ აქვთ საქართველოს მართვის უნარი... დავითი მოითხოვს მეფის სახლის წევრებისათვის სამშობლოში დაბრუნების უფლებას, მაგრამ ეს არც საქართველოსათვის იქნება ხელსაყრელი და არც რუსეთისათვის, მათი პეტერბურგში ყოფნაც კი საშიშია, რადგან შეუძლიათ ანტირუსული პარტიის შექმნა... თუ სიფრთხილის ზომა დროზე არ იქნება მიღებული, ქართველი ბატონიშვილები რუსეთს დიდ ვნებას მოუტანენო“ [1, 140].

გასაგებია, რომ ბატონიშვილის ძალისხმევას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, დავითმა რატომღაც გადაწყვიტა და ხუთი წლის შემდეგ, 1817 წელს იმპერატორ ალექსანდრე I-ს მეორე ბარათი მიართვა. წერილში ბატონიშვილი აღნიშნავდა: „უხსოვარი დროიდან საქართველოს ყოველთვის ჰყავდა საკუთარი მეფე, ჰქონდა თავისი კონსტიტუცია (რას გულისხმობდა კონსტიტუციაში? ა. ბენდიანიშვილი მართვა-გამგეობის სისტემას გულისხმობს – ა. ს.), რომელსაც მფარველები არ არღვევდნენ... VI საუკუნეში საქართველოს სამეფო ტახტის მფლობელ ხოსროიანთა დინასტიიდან ცოცხალი აღარავინ დარჩა. მიუხედავად ამისა, იუსტინიანეს საქართველოს სამეფო არ

გაუუქმებია. ბიზანტიის იმპერატორმა მეფედ გამოგზავნა ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი, რადგან მან კარგად იცოდა, რომ აქაური ხალხი არავისთვის არ იქნებოდა სასარგებლო თავის წინანდელი და საკუთარი კონსტიტუციის გარეშე... ჩემი პაპა ერეკლე – განაგრძობს დავითი – შევიდა რუსეთის მფარველობაში ხელშეკრულების მე-6 მუხლის ძალით. იმპერატორი პირობას დებდა დაეცვა მეფე ერეკლე და მისი მემკვიდრენი საქართველოს სამეფო ტახტზე. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ 1783 წლის ტრაქტატისა და 1800 წლის სათხოვარი პუნქტების საფუძველზე ელოდა თქვენგან მეფედ დამტკიცებას... მაგრამ თბილისში გახსნეს რუსული მართველობა... ათას ორასი წელი და მეტი არის, რომ ბაგრატოვანნი მემკვიდრეობენ და სისხლი დაუთხევიათ ჩვენთვის. ჩვენი ვითარება ის არის, რომ ჩვენზე მრავალგვარად გარჯილის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ“.

გ. იობაშვილი ანდერძად ტრაქტატს მიიჩნევს, რასაც ვერ გავიზიარებთ. ტრაქტატი ხელშეკრულებაა და არა ანდერძი. დავითს სავარაუდოდ ანდერძად ერეკლეს მიერ მემკვიდრეობის კანონის შეცვლა მიაჩნია. ამ შემთხვევაში გ. იობაშვილი ფიქრობს, რომ დავითი დიპლომატიური დემარშებით ცდილობს, მოხიბლოს ხელმწიფე-იმპერატორი და ***გამოსტყუოს კუდშეკვეცილი ავტონომია*** (ხაზგასმა ჩემია – ა. ს.), ე.ი. კი არ აღადგინოს, არამედ ავტონომიური მმართველობის მსგავსი ფორმა მიიღოს.

დავითი ალექსანდრე პირველს ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ბედ-იღბალის მებაირახტრედ მიიჩნევს: „თქვენ სამართლიანი ბრძანდებით და ზრუნავთ არა მარტო საკუთარი ქვეშევრდომების, არამედ გარეშე ხელმწიფეთა კეთილდღეობისათვის. თქვენ აღადგინეთ ტახტზე ავსტრიის, პრუსიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის მეფენი... ბაგრატიონთა გვარი ელოდება თქვენგან თავის აღდგენას – თუ ეს ასრულდა, საქართველო მოიწმენდს ცრემლს... და მადლობით მოიყრის მუხლს თქვენი უდიდებულესობის წინაშე“.

ისტორიული მაგალითების შეხსენება ბაგრატიონთა საგვარეულოს შესახებ იმპერატორ ალექსანდრეს გულს ვერ აუჩუყებდა. რუსეთის საიმპერატორო კარი, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა ევროპული დემოკრატიისა და რევოლუციების წინააღმდეგ, ბატონიშვილის ვედრებისადმი კეთილშობილი ვერ აღმოჩნდებოდა.

რუსეთის მინისტრთა კაბინეტმა 1817 წლის 20 ნოემბერს დავით ბატონიშვილს თხოვნაზე უარი უთხრა და თანაც არაკჩეევის

მკაცრი გაფრთხილებით ციმბირს გადასახლებით დაემუქრა [4, 333-334].

პროფ. ა. ბენდიანიშვილი მიიჩნევდა, რომ ბატონიშვილის მეორე ბარათი „გაცილებით დამაჯერებელი და დასაბუთებული“ იყო [13, 29]. ძნელია ასეთ შეფასებას დაეთანხმო. ან დავითია ბრიყვი ან იმპერატორი მიაჩნია გონებაჩამორჩენილად. ეს ბარათი არც რეალობას ასახავს და არც დიპლომატიურ ნაბიჯს. ე.ი. გამოდის, რომ ალექსანდრემ არც კი იცოდა მისი ნების გარეშე როგორ გააუქმა თვითნებურად ნაძირალა კნორინგმა ქართლ-კახეთის სამეფო და ფაქტის წინაშე დააყენა ამ საქმეში უდანაშაულო იმპერატორი, რომელიც „შესაძლოა“ დავითს მეფედ დამტკიცებას უპირებდა?!

ა. ბენდიანიშვილის დასკვნით: „ღვთიური განგება, საერთაშორისო სამართალი და თანმიმდევრული მსჯელობა ნათლად იკვეთება დავით ბაგრატიონის ბარათებში. მაგრამ ისტორიული ფაქტების და მონარქიული ლეგიტიმიზმის პრინციპის შეხსენება რუსეთის იმპერატორის შემეცნების მიღმა დარჩა. „ყოვლად მოწყალე“ იმპერატორმა არ ინება თავისი სკიპტრის ქვეშ ***საქართველოს ავტონომიური სამეფოს აღდგენა*** (ხაზგასმა ჩემია – ა. ს.). მეტიც, იმპერატორის დიდმოხელეებმა მკაცრად გაკიცხეს რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფი გენერალ-ლეიტენანტი ოცნებისა და ყოვლად მიუღებელი თხოვნის წარდგენის გამო“ [2, 30].

აღნიშნულ ბარათში დავითი, მხოლოდ 1783 წლის ტრაქტატს ახსენებს და ამ დოკუმენტის მიხედვით ქართლ-კახეთის სამეფოს მოითხოვს. აქ არ არის ნათქვამი ავტონომიაზე და არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან ბატონიშვილს, როგორც პროფესსიონალ იურისტს კარგად ესმოდა აღნიშნული ხელშეკრულების არსი. ამავე დროს სამეფოს აღდგენის შემთხვევაში ქართლ-კახეთს რუსეთის ვასალის სტატუსს უმატებს [6, 311].

ქართველი ავტორების მიერ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოწყობილი აჯანყებების ავტონომიის აღდგენის მიზნად მონათვლა არასწორად მიგვაჩნია. ტრაქტატის ხელშეკრულება არ ნიშნავდა ქართლ-კახეთის სამეფოს ავტონომიური მმართველობის დაკანონებას. ამდენად, რაც არ იყო ვერ აღდგებოდა. აჯანყებების მიზანი სამეფოს აღდგენას ითვალისწინებდა და არა ავტონომიური მმართველობისა. ეს ტერმინი პირველად ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში XX საუკუნის დასაწყისში ჩნდება და დაკავშირებულია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ამოცანებთან. კერძოდ, ცნობილი ეროვნული

მოღვაწე გ. გვაზავა ტერმინის შესახებ განმარტავდა, რომ „თარგმნით ავტონომია ნიშნავს თვითკანონმდებლობას (ბერძნულად ავტოს – თვით, ნომოს – კანონი), რასაც იურიდიულ სფეროში უმაღლესი მნიშვნელობა აქვს“ [7, 205].

გულივერ იობაშვილი შეფასების დასკვნით ნაწილში აღნიშნავს, რომ „დიდმა პატრიოტმა და „ვოლტერიანელმა“ დავით ბაგრატიონმა მწარედ განიცადა პოლიტიკური იმედების გაცრუება და ერთი წლის შემდეგ (ე. ი. ბარათის გაგზავნიდან – ა. ს) – 1818 წელს გარდაიცვალა“ [4, 334].

ჯერ ერთი, დავითი გარდაიცვალა 1819 წელს. მეორეც, ძნელია იმის თქმა, რომ დავით ბატონიშვილს რაიმე მოლოდინი ჰქონოდა მისი თხოვნის დაკმაყოფილებაზე, და თითქოს იმედის გაცრუებამ დააჩქარა მისი გარდაცვალება. ასევე ფიქრობდა ა. ბენდიანიშვილი. მისი სიტყვებით დავითმა „როგორც ჩანს, მწვავედ განიცადა წარუმატებლობა, იმედების დამსხვრევა“ [2, 30].

დავით ბატონიშვილი ღრმად იყო ჩახედული საიმპერატორო კარის ლაბირინთებში და ვერ იქნებოდა დარწმუნებული, რომ „ორი ფარატინა ქაღალდის“ შინაარსს შეეცვალა იმპერატორის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. დავითი, მხოლოდ თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე შეეცადა ხმა აღემაღლებინა უსამართლობის წინააღმდეგ.

სხვა საქმეა საბჭოური და არა მხოლოდ საბჭოური ისტორიოგრაფიის კომენტარები, ავტორები, რომლებიც დაჟინებით ცდილობენ რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილი თითქმის ყველა აჯანყება თუ წერილობითი მიმართვა „ავტონომიის აღდგენად“ მონათლონ. ცნობილი მეცნიერები: ა. ბენდიანიშვილი, ა. კიკვიძე, მ. სამსონაძე, გ. იობაშვილი და სხვ. ვინც ამ პრობლემის გაშუქებას შეეცადა ყველა ერთ ხმაში ავტონომიის აღდგენის მოთხოვნას აფიქსირებს. სავარაუდოდ, ეს ავტორები ტრაქტატს ავტონომიად მიიჩნევენ, როცა არც ერთ წერილობითი წყაროში მსგავსი არაფერია. უფრო მეტიც, ყველა ქართველი თუ უცხოელი ავტორი, ვინც შეისწავლა ტრაქტატის სამართლებრივ-პოლიტიკური საფუძვლები, არავის მოსვლია აზრად, რომ ეს დოკუმენტი ქართლ-კახეთის ავტონომიურ სტატუსს გულისხმობდა იმპერიის შემადგენლობაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Две записки царевича Давида „О лучшем устройстве Грузии“, изд. И. Ениколопов, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაწ. 1, თბილისი, 1942.
2. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტომი IV, თბილისი, 2012
3. ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბილისი, 1980.
4. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II ნაწილი, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, თბილისი, 1998.
5. ისააკ დოიჩერი, სტალინი, ნაწილი I, თბილისი, 2014.
6. ივ. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, 1985.
7. ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბილისი, 2002.

Avtandil Songulashvili

Doctor of Historical Sciences, Professor, Ivane Javakishvili Tbilisi State University, Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology, the Head of Department of the Modern and Contemporary History

The Idea of Restoring the Kingdom of Georgia (According to David Batonishvili's Projects)

Summary

The ideology of the peaceful National Movement was founded by David Bagrationi. In 1812 and 1817 he wrote to the Russian Emperor Alexander I with a request to restore the independence of Georgia. Batonishvili was trying to prove the injustice of the Russian abolition of the Kartli-Kakheti kingdom. Definitely his projects were not considered and even more, he was threatened for having such a position. Nevertheless, Mr Batonishvili's view is a clear example and confirmation that the Georgian society could not accept the loss of its freedom and tried to gain independence by arms or peace.

დოდო ჭუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

კავკასიაში რუსეთის გეოპოლიტიკური და ექსპანსიონისტური პოლიტიკის ასპექტები მთავარმართებელ ალექსი ერმოლოვის დროს *(1816-1827 წწ.)*

კავკასიის დაპყრობა რუსეთმა აქტიურად დაიწყო მე-18 საუკუნის 80-იანი წლებიდან. ე. წ. „ბერძნული პროექტის“ იდეამ და იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურებამ ეს პროცესიც დააჩქარა.

იმპერია თითქმის ერთნაირ დიპლომატიას იყენებდა კავკასიური ქვეყნების ხელში ჩასაგდებად. ეს იყო მოსყიდვა, მოტყუება, ეროვნული ლიდერების შეკვეთილი მკვლელოები, სარწმუნოებრივი გრძნობებით მანიპულირება და სხვა. ყველა იმ ხალხსა და ქვეყანას, რომელთაც რუსეთის მფარველობა სურდა, იგი უფორმებდა მფარველობით ხელშეკრულებას, ჰპირდებოდა დაცვასა და სამხედრო თანამშრომლობას, ბოლოს კი, იმპერიის ნაწილად აქცევდა. ადგილობრივი მოსახლეობის სრული ასიმილაციის, მათთვის ეროვნული იდენტობის წართმევის მიზნით ხდებოდა მოსახლეობის გადასახლებები, ხელოვნური შუღლისა და ეთნიკურ-რელიგიური დაპირისპირების გაღვივება, სექტანტური და მტრულად განწყობილი ჯგუფების დამაგრება ერთ რომელიმე რეგიონში ადგილობრივ მოსახლეობასთან შუღლის ჩამოგდების ცდით, კულტურული და სოციალური პროექტების განხორციელება და სხვა თუ რა სასტიკ მეთოდებს მიმართავდა დამპყრობელი თავისუფლებისთვის მებრძოლ კავკასიელთა მიმართ, ჩანს უცხოურ, მათ შორის რუსულ წყაროებში: ესაა დაპატიმრებულ ეროვნულ გმირთა მკვლელობები, ჭორებისა და ცრუ ინფორმაციების გავრცელება ხალხის დეზინფორმირების მიზნით და სხვა [1, 280].

ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია-ოკუპაციის შემდეგ, რომელიც იმპერიულმა ხელისუფლებამ „ნებაყოფლობით შეერთების“ სახელით მონათლა, დაიწყო დასავლეთ საქართველოს ქართული სამე-

ფო-სამთავროებისა და ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმანური პოლიტიკური ერთეულების დაპყრობის ხანგრძლივი პროცესი. როდესაც რუსეთი უტევდა კავკასიის მთიელებს, ამ ძალადობას ამართლებდა კავკასიის სამხრეთში მცხოვრებ ქრისტიან ხალხებზე ზრუნვით, რომლებიც მუსლიმან ტომებს ჰყავდათ მუდმივი აგრესიის ქვეშ. ეს ქრისტიანი მოსახლეობა უკვე იმპერიის მფლობელობაში იყო და მის შეერთებას ძირეულ რუსულ ტერიტორიასთან, თითქოსდა, ხელს უშლიდა კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრები ანტირუსულად განწყობილი მუსლიმი მოსახლეობა. ასეთი იყო რუსული იდეოლოგია კავკასიაში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, კავკასიის სრულ დამორჩილებამდე. ამიტომ, ამ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლას იმპერია დაუნდობლად აწარმოებდა. მიუხედავად ამგვარი მიდგომისა, რუსული სამხედრო მანქანა იგივეს აკეთებდა თავად იმ დაპყრობილი კავკასიის ქრისტიანი ხალხების წინააღმდეგ, რომელთა დაცვის დეკლარირებით ებრძოდა მუსლიმან კავკასიელებს. ამ მიმართულებით, რუს მთავარმართბელთა შორის ყველაზე სასტიკი ალექსი ერმოლოვის სამხედრო პოლიტიკა იყო.

ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი (1777-1861) მოსკოვში, არისტოკრატიულ ოჯახში დაიბადა და, მაშინდელი ტრადიციის მიხედვით, ახალგაზრდობიდანვე სამხედრო კარიერას შეუდგა. მისი მტკიცე ხასიათი, შეუპოვრობა და გამორჩეული საბრძოლო წარმატებები იმპერიული სულისკვეთების რუსულ საზოგადოებას იმედს აძლევდა, რომ კავკასიაში სწორედ ერმოლოვი დაამყარებდა სრულ წესრიგს, ალაგმავდა ანტირუსულ გამოსვლებს, რომელთა შორის ქართველი ხალხის აჯანყებებს არცთუ პატარა ადგილი ეჭირა. მათი აზრით, სასტიკი ერმოლოვი ჩააწყნარებდა აქაურ შფოთს და საბოლოოდ დაუმორჩილებდა რუსეთს კავკასიის რეგიონს. რუსული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები (პუშკინი, პოეტი დომონტოვიჩი და სხვა) დიდ იმედს ამყარებდნენ „მთიელთა რისხვაზე“. ერმოლოვმაც ამ „იმედების“ გამართლება პირველი ნაბიჯებიდანვე სცადა.

1816 წლის 18 ოქტომბერს, როდესაც ინფანტერიის გენერალმა ნიკოლაი რტიშჩევმა დატოვა თბილისი, ერმოლოვმა ჩაიბარა საქართველოს ცალკეული კორპუსისა და კავკასიისა და ასტრახანის გუბერნიების სამოქალაქო ნაწილის მეთაურობა. 1816 წლის 22 აგვისტოს ერმოლოვი ჩავიდა გეორგიევსკში, 5 ოქტომბერს – დარიალში, 10 ოქტომბერს ჩამოვიდა თბილისში.

გეორგიევსკიდან თბილისში გამომგზავრებულმა, მან ყურად-

ღება შეაჩერა ერთ ისეთ მოვლენაზე, რითაც ამდროინდელი რუსეთის სამხედრო წრეები არ ინტერესდებოდნენ. 1816 წლის 6 თებერვალს ყიზლარის გზაზე, კაზიურტთან საქართველოში დაბანაკებული გრენადერთა პოლკის მაიორი, კოტლიარევსკის გამორჩეული მოწაფე პავლე შვეცოვი აიყვანეს ტყვედ. ის შვებულებაში იყო და თავისიანების მოსანახულებლად რუსეთში ბრუნდებოდა. ყიზლარში მისი ძმა იყო პოლიცმეისტერი, მან გადაწყვიტა აქ შევლა და ძმის მონახულება, თუმცა ჩასაფრებულმა ჩეჩნებმა თავის ორ დენშიკთან ერთად დაატყვევეს. ჩეჩნები მასში ფულს ითხოვდნენ, ზოგადად, ამგვარი დამოკიდებულება – რუსი ჯარისკაცების ტყვედ აყვანა და გამოსასყიდის მოთხოვნა – გავრცელებული მოვლენა იყო მე-19 საუკუნის დასაწყისში. ერმოლოვმა იცოდა, რომ ამგვარ შემთხვევათა დაუსჯელობა და აულაგმავობა, სახელს უტეხდა რუსულ არმიას კავკასიაში და მისი ძლიერების ლეგენდას ამცრობდა. ამიტომ, ყველა შემთხვევას გულდაგულ სწავლობდა და პრინციპულად პასუხობდა. აქაც თავისი გაიტანა,შევცოვი ისე გაანთავისუფლებინა, არც არაფერი გადაიხადა და, პირიქით, უხუცესები დაიბარა და შეაშინა: თუ კიდევ განმეორდებოდა ამგვარი რამ, სასტიკად იძიებდა შურს მათ ხალხზე.

ერმოლოვის მითითებით, რუსეთის წარმოგზავნილები მცხეთიდან მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ და ჩუმად შემოვიდნენ თბილისში, მაშინ, როდესაც მარჯვენა ნაპირზე ოფიციალურად ელოდებოდნენ. ახალი მთავარმართებელი ყველას რიგითი მოგზაური ჩინოვნიკი ეგონა. ამით ერმოლოვმა აჩვენა საკუთარი ხასიათი: დამოუკიდებლობა და სხვების აზრისადმი ნაკლები ანგარიშის გაწევის სურვილი.

ალექსი ერმოლოვმა უარყო თავის წინამორბედთაგან დამკვიდრებული კავკასიის ადგილობრივ ხელისუფალთა მოქრთამვა-მოსყიდვის მეთოდი (რისი ბოლომდე ალაგმვა არ დასცალდა პავლე ციციანოვს) და იარაღის ძალით შეუდგა დასახული მიზნის შესრულებას. მან ერთი მეორის მიყოლებით გააუქმა სახანოები და დაიწყო ომი ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად. იგი მიხეილ ვორონცოვს სწერდა: „ეს ხალხი ღირსი არ არის ალექსანდრე I-ის სათნო მმართველობისა, მას რკინის კვერთხი ესაჭიროება, ...უდიდესი გმირობაა საჭირო, იღვწოდე ისეთი ხალხის სასარგებლოდ, რომლის დამახასიათებელი თვისებაა უმადურობა და რომელსაც რუსეთისადმი მიკუთვნება ბედნიერებად არ ეჩვენება, რომელსაც მრავალჯერ უღალატია მისთვის და კიდევ მზად არის უღალატოს.“[2, 36]

თბილისში ჩამოსული ერმოლოვი დაუყოვნებლივ შეუდგა სპარსეთში გასამგზავრებლად მზადებას. მან წინდაწინ იცოდა, რომ საუბარი იქნებოდა ყარაბაღის სახანოს ნაწილის სპარსეთისთვის დათმობაზე. ამისთვის გადაწყვიტა დაეთვალიერებინა აღნიშნული სასაზღვრო რეგიონი.

ერმოლოვს, რომელიც თავისი სწორხაზოვანი, ხისტი პოლიტიკის ერთგული იყო, არ უნდოდა დაეშვა, რომ ხანებს კვლავ გაეგრძელებინათ რუსეთისათვის არახელსაყრელი ერთგულების თამაში, მითუმეტეს, რომ ხანების დესპოტიზმს, მისი აზრით, არავითარი სარგებელი არ მოჰქონდა მათი სამფლობელოებისთვის, მხოლოდ ამუხრუჭებდა მათ მშვიდობიან განვითარებას. სპარსეთში გამგზავრებამდე სახანოების ზერელე დათვალიერებამაც კი საბოლოოდ დაარწმუნა იგი სახანო ხელისუფლების გამოუსადეგრობაში და გაუჩინა სურვილი, რაც შეიძლება სწრაფად მოეშორებინა მართვის ეს ფორმა. ეს გადაწყვეტილება იმდენად მტკიცე იყო, რომ არანაირ ყოყმანს არ დაუშვებდა. „ მე არ მოვითხოვ ამ საგანზე ნებართვას, – წერდა ერმოლოვი ხელმწიფეს 1817 წლის თებერვალში – ჩემი მოვალეობები ხსნიან თქვენი უდიდებულესობის ზრუნვას თქვენი უმაღლესი იმპერიის ხალხების კეთილდღეობაზე. ჩემი წესებია – არ მოვიწვიო ჩემი ხელმწიფის ხელისუფლება იქ, სადაც მას სიკეთის მოტანა არ შეუძლია. დასჯის აუცილებლობას კანონის მიხედვით წარმოგიდგენთ. სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ“...[13, 12].

მან ჯერ შექის სახანოს შეუტია და შეუერთა იმპერიას. წელიწადიც არ იყო გასული, როდესაც ასევე გადაწყდა მისი მეზობელი, შირვანის სახანოს ბედიც. იმ დროს მას მხცოვანი ხანი, მუსტაფა მართავდა. ქედმაღალ და უკარება ხანს, ციციანოვის შემდეგ, არცერთი რუსი მთავარმართებლის ხილვა არ უნდოდა, თუმცა ერმოლოვის შესახვედრად ის მაინც გამოვიდა. შეხვედრა შედგა 1816 წლის ოთხ დეკემბერს, სოფელ ზადრობში. ერმოლოვი ირონიულად წერდა, „ჩემს მიმართ ხანი შემწყნარებლურად მოიქცა და ძალიან გაკვირვებული დარჩა, რომ მხოლოდ ხუთკაციანი ამალა მახლდა, როდესაც ის მრავალრიცხოვან ცხენოსან თანმხლებთან ერთად მოვიდა. მაშინვე გამაფრთხილა, რომ ყველას არ შეიძლება ასე ვენდო და ისიც დაამატა, რომ თავის დროზე ციციანოვიც ასე გააფრთხილა... ხანმა ვერ გაიაზრა, რა განსხვავებაა ჩემსა და ციციანოვს შორის. ის თავის მართლაცდა დიდებული საქმეებით მათთვის საშიში იყო, მე კი სულ ახლახან ჩამოვედი, არც კი მიცნობენ [13, 136]. ამით ერმოლო-

ვი ციციანოვზე მაღლაც (არ მიცნობენ, თორემ მასზე საშიში ვარო) იყენებდა თავს და ამ აზრს, პირდაპირ არა, მაგრამ ირიბად მაინც უმხელდა იმპერატორს.

1817 წლის იანვარში სპარსეთში გაგზავნილი წერილის პასუხი დაბრუნდა, რომელშიც გამოითქვა თანხმობა მისი შაჰთან შეხვედრის თაობაზე.

ალექსი ერმოლოვი შაჰთან შესახვედრად გაემართა და 1817 წლის მაისის დასაწყისში ჯერ ერევნის სახანოში, შემდეგ კი ნახჭევანში გადავიდა, 1817 წლის 19 აპრილს უკვე თავრიზში იმყოფებოდა. შაჰი მასთან შეხვედრას არ ჩქარობდა და ერომოლოვის პიროვნების გასაცნობად მისი მინისტრი მირზა-აბდულ-ვაჰაბი მიუგზავნა. ერმოლოვმა შუამავალთან ურთიერთობაზე უარი თქვა, რადგანაც თვლიდა, რომ მასთან სახელმწიფო საიდუმლო საქმეების განხილვა არ შეესაბამებოდა დიპლომატიურ ნორმებს. მინისტრი მაინც არ იშლიდა საუბარს და მეთოდურად უხსნიდა, თუ რამხელა ძალის პატრონი და როგორი ძლიერი იყო სპარსეთი და რომ მისი ინტერესის სფეროს საქართველო წარმოადგენდა, რაზეც, როგორც რუსი ისტორიკოსები წერენ, თავად ერმოლოვი გაოგნებული დარჩა, რადგანაც რუსეთს სპარსეთისთვის, იმპერიის საზღვრისპირა რაიმე ნაწილის დათმობა ჰქონდა განზრახული და საქართველო ამ გეგმაში არ შედიოდა.

ერმოლოვსა და მირზა-აბდულ-ვაჰაბს შორის კამათი უკანასკნელის მარცხით დასრულდა, რადგანაც გადაღლილი მინისტრი ბოლოს უკვე თალიშის სახანოს იმ ნაწილის დაბრუნებას ითხოვდა, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე იყო დარჩენილი. რუსმა დიპლომატმა არც ის ნაწილი გაიმეტა და კვლავინდებურად თავისი პრინციპების ერთგული დარჩა.

ფათალი-შაჰთან აუდიენცია 1817 წლის 31 ივლისს დაიწყო. ერმოლოვი გაფრთხილებული იყო, რომ სპარსეთის წარმომადგენლების სიტყვიერ დაპირებას ფასი არ ჰქონდა და ამიტომ გადაწყვიტა ყოველი ურთიერთობა წერილობით გაეფორმებინა. შეხვედრები ჰქონდა სპარსეთის სხვადასხვა მოხელესთან, აბას-მირზასთან და სხვებთან. საბოლოოდ ერმოლოვმა არ დათმო რუსეთის მიერ შემოერთებული მიწები და ოფიციალურად დადგინდა რუსეთსა და სპარსეთის იმპერიებს შორის საზღვარი.

ერმოლოვის სპარსეთის ვოიაჟი 1817 წლის სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა და იგი, ნახჭევანის გავლით, 10 ოქტომბერს დაბრუნდა თბილისში. სპარსეთიდან დაბრუნებულ ერმოლოვს მიენიჭა

ინფანტერიის გენერლის ჩინი. ეს ერმოლოვისთვის წარმატება იყო, რამაც გაათამამა გენერალი და სასტიკი მეთოდებით შეუტია კავკასიის ხალხებს. დაიწყო დიდი კავკასიური ომი, რომელმაც არა მარტო ის, არამედ ბევრი სხვა რუსი მმართველი და სამხედრო პირი შეიწირა.

1818 წლის ოქტომბერში ერმოლოვის ბრძანებითა და გენერალ-მაიორ ანდრეი პესტელის მეთაურობით აღებული იქნა კარაკაიტის ოლქის ქალაქი ბატლი. 13 ოქტომბერს გენერალ-ლეიტენანტი ტარკის შამხალი (შამხალ ტარკოვსკი) იტყობინებოდა, რომ მისი მოსახლეობის უმრავლესობა აღელდა და შეუერთდა მთიელებს. ერმოლოვი ჯარით დაიძრა დაღესტნისკენ და 31 ოქტომბერს მდინარე ყოისუ გადალახა, 3 ნოემბერს ქალაქ ტარკში რუსეთის ჯარის ნაწილი განადგურებული დახვდა, როგორც იტყობინებოდნენ, მთიელთა ოდენობა 20 ათასს აჭარბებდა, რომელთაც წინამძღოლობდა გენერალ-მაიორი სულთან-ახმედ-ხან ავარელი და მისი ძმა ჰასან-ხან-ბეგ ჯანგუთაელი.

1818 წლის 12-15 ნოემბერს ერმოლოვმა მოაწყო ექსპედიცია ჯანგუთაის ასაღებად, რომელიც მალევე დაიმორჩილა, ხოლო სოფელი პატარა ჯანგუთაი გადაწვეს. ავარელი ხანი და აკუშელები მთებში გაიხიზნენ. ასე აღადგინეს წესრიგი საშამხლოში. 19 ნოემბერს აჯანყების წამქეზებლები სიკვდილით დასაჯეს. ერმოლოვი დაბრუნდა თბილისში.

1819 წლის იანვარ-მარტში დაღესტანი კვლავ მძვინვარებდა, სურხაი-ხანი განაწყობდა მთიელებს, მათ შორის აკუშელებს, ყველაზე მეომარ ხალხს, რუსეთის საწინააღმდეგოდ.

იმ კავკასიელ მეთაურებს შორის, რომლებიც რუსეთის კავკასიურ დამპყრობლურ პოლიტიკას ებრძოდნენ და თავგანწირვით ცდილობდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, სურხაი-ხანი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო. მისი მმართველობის დროს ყაზიყუმუხი აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას კავკასიაში.

დაღესტნელი ისტორიკოსი ალი კაიაევი წერს, რომ იგი იყო ყურანის საუკეთესო მცოდნე და მეჩეთების რესტავრატორ-მშენებელი, უდიდესი გავლენა ჰქონდა თავის ხალხზე. [3, 198] .

სურხაი-ხანის ქალიშვილები დაქორწინდნენ შირვანის ხანსა და ელისუს სულთანზე, რაც მის პოლიტიკურ გავლენებს აძლიერებდა. ოფიცერი და მისი ახლო ნაცნობი – ვან გალენი სურხაი-ხანს ასე

ახასიათებდა: ის იყო მრავალი ღირსებით აღჭურვილი ადამიანი, გარეგნობით მაღალი და გამომეტყველებით მკაცრი სახისა, განსაკუთრებით ასაკში. მთის ხალხში მას აფასებდნენ გამორჩეული განათლებისა და მუსულმანური სულის გამო, ხოლო ძველი გვარიშვილობითა და მთელს დაღესტანში დიდი კავშირებით პატივისცემა ჰქონდა ყველა მეზობელ ხალხში [4, 213].

სურხაი-ხანი მონაწილეობდა ციციანოვის დროს, 1803 წელს ალაზანთან გამართულ ბრძოლაშიც. ის მაშინ 3 ათასი დაღესტნელით გადმოვიდა ალაზანზე და თავს დაესხა ყაბარდოს ბატალიონის თბილისის პოლკს, რომელსაც გენერალი გულიაკოვი სარდლობდა და სადაც რუსის ჯარმა დიდი მსხვერპლი ნახა, მათ შორის თავად გულიაკოვიც დაიღუპა.

ერმოლოვის დროს სურხაი-ხანის გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა რუსეთის მხრიდან კავკასიის ხალხებზე ახალი შეტევების გამო. სურხაი-ხანმა დროებით შესძლო როგორც დაღესტნელების, ასევე მეზობელი მთიელების დარაზმვა და რუსეთის ძლიერი ჯარებისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

1818 წელს ყაზი-ყუმუხმა, დაღესტანმა, მეხტუპამ, ტაბასარანმა და აკუშამ ურთიერთშორის ხელშეკრულება გააფორმეს რუსეთის (ერმოლოვის) წინააღმდეგ.

1819 წლის აგვისტოში ერმოლოვმა დაღესტნის მთიელთა შემოტევა მოიგერია და გადავიდა შეტევაზე. 15 სექტემბერს დონის ჯარებმა გენერალ-მაიორ ვასილი სისოევის მეთაურობით შტურმით დაიკავეს სოფელი დადაიან-იურტი. უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ ქალები და ბავშვებიც. 1 დეკემბერს ჩამოწვა დიდი თოვლი ტარკში, რის გამოც გაჭირდა საარტილერიო ქვემეხების გამოყენება. მთაში არსებული რუსეთის ჯარი ერთად შეგროვდა და 19 დეკემბერს დაიწყო მთიელთა შემოტევის მოგერიება. რუსულმა არტილერიამ გაანადგურა კავკასიელ მთიელთა ჯარი. გაქცეულ მეომრებს დაადევნეს კაზაკ ცხენოსანთა რაზმი და 20 დეკემბერს აიღეს ქალაქი აკუშა. 21 დეკემბერს ერმოლოვმა მოიწვია უხუცესები და დაადებინა რუსეთის ერთგულების ფიცი, ხოლო ქალაქის ყადი აიყვანა სახელმწიფო სამსახურში და დაუწესა ჯამაგირი.

1820 წლის 23 მარტს მთავარმართებელი დაბრუნდა თბილისში. ერმოლოვს ეგონა, რომ კავკასიელი მთიელები დაშინდებოდნენ და ამ დროიდან მათი წინააღმდეგობა შეწყდებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა: კავკასიის დაწყებული ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა და

რეგიონის დაკარგვის საფრთხეც კიდევ უფრო მეტად დააფიქრებდა იმპერიულ მმართველობას.

დაღესტნიდან დაბრუნებულ ერმოლოვს იმერეთში აჯანყების ახალი ტალღა დახვდა. საქართველოს ეგზარქოსმა თეოფილაქტემ, რომელიც საეკლესიო ქონების აღწერით იყო დაკავებული, ძლივს გამოაღწია იმერეთიდან. აჯანყებაში მონაწილეობდნენ დიდგვაროვანი წრის წარმომადგენლებიც.

აჯანყება გაგრძელება იყო იმ დიდი ანტირუსული ბრძოლისა, რაც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის პირველი წლებიდანვე დაიწყო.

ქართველი ხალხი ვერ შეეგუა დამოუკიდებლობის დაკარგვას და რუსულ მმართველობას. ყველაზე დიდი გულისტკივილი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისთვის 1811 წელს ავტოკეფალიის წართმევამ გამოიწვია. პირველი ქართველი ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი 1818 წელს ხელისუფლებამ რუსეთში გაიწვია და მის ადგილზე საქართველოს ეგზარქოსად რიაზანის ეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი დანიშნა.

ეგზარქოსმა თეოფილაქტემ სცადა საეკლესიო მმართველობის გარდაქმნა, გადაწყვიტა საეკლესიო ქონების ხაზინისათვის გადაცემა, ეპარქიების მინიმუმამდე შემცირება, დააწესა რუსული წირვა-ლოცვა, რასაც ქართველი ხალხის აღშფოთება მოჰყვა. იმერეთის 12 ეპარქიიდან თეოფილაქტემ მხოლოდ სამი დატოვა: იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში. ახალ საეკლესიო პოლიტიკას აქტიურად დაუპირისპირდა როგორც დასავლეთ საქართველოს სასულიერო, ასევე საერო წოდება. იმერეთიდან დაწყებულმა უკმაყოფილებამ საერთო-სახალხო აჯანყების სახე მიიღო. რუსი სახელმწიფო მოხელეები და საეკლესიო წრეები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ქართული მოსახლეობა ძალისმიერი მეთოდებით იმდენად მოათვინიერეს, რომ ახლა ყველა რუსული „რეფორმა“ უმტკივნეულოდ ჩაივლიდა. ამ განზრახვით იყო შთაგონებული ეგზარქოსი თეოფილაქტე (რუსანოვი), რომელმაც უხეშად დაიწყო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე რეფორმირება. ეგზარქოსი თეოფილაქტეს ვერაფრით წარმოედგინა, რომ უზარმაზარ იმპერიას ეს მცირერიცხოვანი ხალხი რაიმე წინააღმდეგობას გაუწევდა. თანდათან, მოსახლეობის უკმაყოფილებამ იმატა და ფართომასშტაბიანი აჯანყების ფორმა მიიღო. იმერეთის გარდა, მასში ჩაება რაჭის და გურიის მოსახლეობა და ნაწილობრივ სამეგრელო. მოსახლეობის ყველა ფენა გაერთიანდა „სა-

ეკლესიო ძალადობის“ წინააღმდეგ. სხვადასხვა ადგილზე მოსახლეობა თავყრილობაზე იკრიბებოდა და ხშირად, შეკრებილთა რიცხვი 2000-ს აჭარბებდა. ზოგიერთი ცნობით, გაიგზავნა მოწვევა, აჯანყებულებისთვის ალექსანდრე ბატონიშვილს ეხელმძღვანელა, მაგრამ მან ვერ შესძლო (თუ არ მოინდომა) იმერეთში გადასულიყო.

მაშინ აჯანყებულებმა თავის მეფედ გამოაცხადეს ივანე აბაშიძე, რომელიც დედის მხრიდან სოლომონ I-ის შვილიშვილი იყო [5, 85].

აბაშიძე გარკვეულ სიმტკიცეს ვერ იჩენდა და რუსებთანაც მიმოწერას აწარმოებდა. ქართველი თავადების დაპირისპირებასა და ორჭოფობას იმპერიული რეჟიმი საუკეთესოდ იყენებდა, თუმცა ხალხის დიდი ნაწილი თავდადებით იბრძოდა ეროვნული ინტერესების დასაცავად [6, 233].

ეგზარქოსი თეოფილაქტე შეშინდა და ქუთაისიდან თბილისში გაემგზავრა. დაცვის სახით მას 300 რიგითი, ათობით ოფიცერი და 2 ზარბაზანი მიაცილებდა. თავდაპირველი მღელვარება თითქოს ჩაცხრა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იმერეთში თავი მოიყარა რუსული ჯარის დიდმა რაოდენობამ, ხოლო იმერეთის მმართველი გენერალი კურნატოვსკი შეცვალა პოლკოვნიკმა პუზირევსკიმ (1820 წ. თებერვალი), მდგომარეობა ისევ დაიძაბა. ახლა უკვე რუსული სამხედრო მანქანა გადავიდა შეტევაზე. პირველ რიგში, გადაწყდა დაეპატიმრებინათ ივანე აბაშიძე და ორი მღვდელმთავარი: დოსითეოს ქუთათელი (რომელიც ფაქტობრივად, აფხაზეთ-იმერეთის კათოლიკოსის მოვალეობას ასრულებდა) და ექვთიმე გენათელი. ეს უკანასკნელი, როგორც შემდეგ თავის მოგონებებში მთავარმართებელი ერმოლოვი იგონებდა, მხოლოდ იმიტომ შეიპყრეს და მიუსაჯეს გადასახლება, რომ „სათანადო პატივს არ სცემდა“ თეოფილაქტეს [6, 74].

ერმოლოვის მოადგილე მთავარმართებლის პოსტზე ველიამინოვი, იმერეთის მმართველ პუზირევსკის სწერდა: „ამბობენ, რომ ყველაზე რთულია შევიპყრათ ქუთათელი და თავადი ივანე აბაშიძე; მოიფიქრეთ რამე, რომ ეს ვაჟბატონები არ გაგვეპარონ, თუ შეუძლებელია მათი ცოცხლად შეპყრობა, მაშინ გაანადგურეთ“ [7, 576].

მართლაც,1820 წ. 4 მარტს აჯანყების ყველა მოთავე (ივანე აბაშიძის გარდა) დააპატიმრეს. ამასთან, როგორც ამ ოპერაციის მონაწილე რუსი ოფიცერი ი. დუბეცკი იგონებდა: „ერთი მათგანის (იგულისხმება ქუთათელი მიტროპოლიტი) შეპყრობის დროს, მისი წინააღმდეგობის გამო, გამოყენებულ იქნა კონდახები და ხიშტები, ასე რომ არქიელი დასისხლიანებული და ნაცემი, ძალით იქნა დასმული

თავის ცხენზე“[8].

მაგრამ რუსი სამხედროები ამას არ დასჯერდნენ. ორივე მღვდელმთავარს ჩამოაცვეს ტომრები და ცხენებზე დასმულები თოკებით მიაბეს. ისინი ასე უნდა გაეყვანათ სამხედრო გზით რუსეთში. ასეთ მოპყრობას, მოხუცებულმა და დაუნდობლად ნაცემმა მიტროპოლიტმა დოსითეოსმა ვერ გაუძლო და გზაში, სურამთან გარდაიცვალა. ამის მიუხედავად, მისი გვამი ანანურამდე ატარეს და იქ დამარხეს [9, 930-934].

რაც შეეხება გენათელს, ის რუსეთში ჩაიყვანეს. შთაბეჭდილების მოსახდენად, იგი იმპერატორსაც წარუდგინეს, მაგრამ როგორც ჩანს, გენათელმა არ გამოიჩინა სათანადო მოწიწება და არ გამოხატა „მონანიება“, რის გამოც მიტროპოლიტი პეტერბურგიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის დაშორებით სვირსკის მონასტერში გამოკეტეს, სადაც 1822 წ. აპრილში გარდაიცვალა [10, 755]. (2005 წელს ექვთიმე გენათელის ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და გელათის მონასტრის ღვთისმშობლის ტაძარში დაკრძალეს).

ამის შემდეგ აჯანყება შენელდა, მაგრამ მთავრობამ შეცდომა დაუშვა, ხალხს „ცოდვის მონანიება“ და იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება მოთხოვა. ამან გააღიზიანა დაწყნარებული მოსახლეობა და აჯანყება განახლდა. აჯანყებულებმა სცადეს ქუთაისის დაკავება, მაგრამ რუსულმა ჯარმა ქალაქის ყველა შესასვლელი ჩაკეტა. აჯანყება ახალი ძალით გაჩაღდა რაჭაში, გურიასა და სამეგრელოს ნაწილში.

რაჭაში შეიკრიბა საზოგადოების ფართომასშტაბიანი ყრილობა, რომელმაც მიიღო სპეციალური მიმართვა: ეგზარქოს თეოფილაქტესა და მის ხელქვეითებს განზრახული აქვთ ბევრი ჩვენი წმინდა ეკლესია დახურონ და დაანგრიონ, წმინდანების ნაწილები და ჯვრები ჩამოგვართვან, ჩვენთვის მლოცველი ეპისკოპოსები და მღვდლები წაგვართვან, საშუალებას გვისპობენ – ვადიდოთ ქრისტე. აგარიანთა ბატონობის დროსაც არ მოუყენებიათ ჩვენთვის ასეთი შეურაცხყოფაო... რუსული ხელისუფლებისგან ისინი ითხოვდნენ თეოფილაქტე რუსანოვის გადაწყვეტილების შეჩერებას, ქართველი ხალხის საეკლესიო ტრადიციების პატივისცემას.

რაჭაში საეკლესიო რეფორმის ჩასატარებლად გამოგზავნილი მოხელეები არ მიიღეს, გზები ჩახერგეს, მოითხოვეს ეგზარქოს რუსანოვის იმერეთიდან გაძევება. რაჭის ოკრუგის უფროსი – მაიორი ცაცკა თავისი სამხედრო რაზმით კვარას ციხეში ჩაიკეტა და გარეთ

გამოსვლას ვერ ბედავდა.

აჯანყებულებმა ფიცი დადეს საერთო და შეთანხმებულ მოქმედებაზე. მღელვარება გურიასა და ნაწილობრივ სამეგრელოსაც მოედო.

გურიაში გლეხთა წინააღმდეგობას სათავეში ჩაუდგა მეფედ შერაცხული ივანე აბაშიძე. მას ცოლად მამია გურიელის ასული ჰყავდა, მაგრამ არა მასთან (ის რუსეთის ერთგული იყო), არამედ მის ბიძასთან–– ქაოხოსრო გურიელთან დაიდო ბინა. ქაიხოსრო გურიელი აჯანყებულებს თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა. გენერალი პუზირევსკი, რომელიც აგრესიულობის და უხეში ძალის დიდი მოტრფიალე იყო, დამშვიდებული გაემართა გურიაში ეროვნული მოძრაობის მოთავეთა (მათ შორის ქაიხოსრო გურიელის) „შესაპყრობად და ამოსაძირკვად“. პირველივე შემხვედრ წვრილ აზნაურ ბოლქვაძეს მან მათრახი გადაუჭირა და ლანძღვა-გინებით მოითხოვა ქაიხოსრო გურიელის ადგილსამყოფელის ჩვენება. ასეთ ქცევას მიუჩვეველმა ბოლქვაძემ, ადგილზე მოკლა გენ. პუზირევსკი [7, 672].

აჯანყებულმა გურულებმა მდ. ბჟუჟთან მთლიანად ამოწყვიტეს პოდპოლკოვნიკ ზგორელსკის რაზმი, მოსპეს ჩოხატაურში მყოფო ჯარიც. ამასობაში, იმერეთში კვლავ დაიძაბა სიტუაცია. იქ ივანე აბაშიძის ნაცვლად, ახალ მეფედ გამოახადეს ვახტანგ ბატონიშვილი, იმერეთის მეფე დავით II-ის უკანონო ვაჟის – როსტომის შვილი. რუსეთის ერთგული სამეგრელოს მთავარი იმერეთის საზღვარზე დადგა, რათა იქიდან არ გადმოეშვა აჯანყებულები [7, 672].

გურიელი ვერ ბედავდა აჯანყებულთა წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებას, მთავარმართებელი ერმოლოვი კი მას არწმუნებდა, რომ მისთვის ქაიხოსროს ტახტის წართმევა სურდა (მთავარი ტახტის წამრთმევი თავად იყო, რაც 1828 წელს გურიის სამთავროს გაუქმებით გამოიხატა) [7, 675].

ერმოლოვმა და მისმა მოადგილემ, გენერალმა ველიამინოვმა სასტიკი სადამსჯელო ღონისძიებები გაატარეს დასავლეთ საქართველოში. ეს იყო ზუსტად ის ქმედებები, რასაც რუსი დამპყრობლები კავკასიის მუსულმანი მოსახლეობის წინააღმდეგ ატარებდნენ: ხოცავდნენ აჯანყების მეთაურებს, წვავდნენ სახლებსა და ძირფესვიანად თხრიდნენ ბაღ-ვენახებს. აჯანყებულთა მცირეწლოვან შვილებს ან რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში გზავნიდნენ, ან მონასტრებში.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის – ნესელროდესადმი მი-

წერილ წერილში ერმოლოვი დასავლეთ საქართველოს მთავრებს იხსენიებდა, როგორც „ფეოდალური სიმახინჯის ნაშიერებს“, რომელთა თვითნებობას ზღუდავდა რუსეთი [7, 652].

ასეთი ცნობიერების ადამიანი ატყუებდა მის მომხრე მთავრებსა და თავადებს და დრომდე იყენებდა მათ რუსული იმპერიული პოლიტიკის გატარებაში.

რუსულმა ხელისუფლებამ თბილისიდან გამოაგზავნა იმერეთის ახალი მმართველი პოლკოვნიკი გორჩაკოვი. ჯარის ახალ ნაწილთან ერთად ქუთაისის მმართველი პირველად გაემართა რაჭისკენ და იქ ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდა აჯანყებულებს: თავადებსაც და გლეხებსაც. გარდა იმისა, რომ ბრძოლებში უამრავი ადამიანი იღუპებოდა, ტრაგედია ისიც იყო, რომ რუსი სამხედროების წაქეზებით თანამოძმენი ერთმანეთს მტრად უხდებოდნენ. ეს იწვევდა ერის გათიშვასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასუსტებას.

გურიასა და სამეგრელოში გაჩაღებულმა ბრძოლებმა იმერეთში აჯანყების ახალი აზვირთება გამოიწვია. 1820 წლის ზაფხულში გურიიდან გადმოვიდა ივანე აბაშიძე და სათავეში ჩაუდგა ბრძოლას. მდინარე ჩოლაბურთან მან მთლიანად გაანადგურა კაზაკების სადარაჯო პუნქტი და რუსულ ჯარს აღმოსავლეთ საქართველოსთან დაკავშირების საშუალება მოუსპო. მიუხედავად ამისა, გენერალმა ველიამინოვმა მაინც შესძლო დასავლეთ საქართველოში დიდი ჯარის შეყვანა და მოსახლეობის წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიების გატარება. ამის შემდეგ მან რაჭაში გაგზავნა 2000 კარგად შეიარაღებული რაზმი. აჯანყებულმა რაჭველებმა იაშვილის მეთაურობით, კვარას ციხესთან მათ დიდი წინააღმდეგობაც გაუწიეს, თუმცა საბოლოოდ უკან დაიხიეს [11, 350-357].

რუსების მიერ დაპატიმრებულმა აჯანყების ერთ-ერთმა წინამძღოლმა – ლომკაც ლეჟავამ, რომელსაც ერმოლოვის სახელით ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, თავის გადარჩენის მიზნით გასცა აჯანყების გეგმა და დაასახელა მეთაურები. მან მიუთითა, რომ აჯანყების ქარტია ინახებოდა თავად გიორგი წულუკიძის მამულში. რუსებმა ხელში ჩაიგდეს ეს დოკუმენტი. ნათელი გახდა, რომ აჯანყების მიზანს რუსების საქართველოდან განდევნა წარმოადგენდა. ქარტიაში ჩამოყალიბებული იყო აჯანყების გეგმა, მას ხელს აწერდნენ მეთაურები, რითაც რუსებს მათი მონახვა და დასჯა გაუადვილდათ. აჯანყების ბევრი მეთაური არმიაშიც მსახურობდა და რუსები ვერ

წარმოიდგენდნენ მათ ღალატს. გიორგი წულუკიძეც რუსული ჯარის პოლკოვნიკი და წმინდა ანას ორდენის კავალერი იყო. ქარტიაში დასახელებულებმა არ იცოდნენ ლომკაც ლეჟავას დატყვევების ამბავი, რუსებმაც ხერხს მიმართეს: ქარტიაში დასახელებული ათი ადამიანი სამხედრო დავალების შესასრულებლად გამოიძახეს. მოსვლისთანავე რუსებმა ისინი ალყაში მოაქციეს და შეპყრობა დაუპირეს. იმერელი თავადები ყველაფერს მიხვდნენ. ლევან წულუკიძე ეკვეთა მტერს, მაგრამ ის და მისი ორი თანამებრძოლი ადგილზევე მოკლეს, დანარჩენი დაჭრილები დაატყვევეს [12, 283-286].

რუსი გენერლები იმერეთის მმართველის – გორჩაკოვის მეთაურობით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს სასტიკად გაუსწორდნენ: მათ დაარბიეს რაჭა, ცეცხლს მისცეს სოფლები, დაანგრიეს ციხე-სიმაგრეები, დააპატიმრეს უამრავი ადამიანი, მოსახლეობას წაართვეს იარაღი. ხანისწყალთან ბრძოლაში რუსებმა სცადეს იმერეთის მეფედ გამოცხადებული ივანე აბაშიძის დატყვევება. რამდენიმე შეტაკების შემდეგ ივანე აბაშიძემ უკან დაიხია და ახალციხეში მოახერხა გადასვლა, სადაც მკვლელი მიუგზავნეს და მოკლეს. რაც შეეხება გურიას, ველიამინოვმა 3200 ჯარისკაცით შეუტია შემოქმედის ციხეს, სადაც აჯანყებულ გურულთა მთავარი ნაწილი იდგა. ქართველები უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდნენ. როდესაც რუსები ციხეში შევიდნენ, მათ მხოლოდ 5 ცოცხალი ქართველი მეომარიღა დახვდათ და ისინიც ხიშტებზე წამოაგეს. შემდეგში ერმოლოვი თავის ჩანაწერებში ზედმიწევნით და ხატოვნად აღწერდა გურიაში ჩატარებულ რუსულ რეპრესიებს. თავადები: გ. წულუკიძე, ერისთავები, აბაშიძეთა ორი წარმომადგენელი და იაშვილების ყველა თავკაცი, ციმბირში გააგზავნეს. რაჭის აწიოკების შემდეგ, გორჩაკოვი გურიაში გადავიდა. გურიაში რუსებმა მიწასთან გაასწორეს სოფ. შემოქმედი, რუსულმა ჯარმა აჩეხა ვენახები, მოთხარა ბაღები და დაწვა სახლები. მრავალი სოფელი ისე გადაწვეს, რომ ეს ადგილები ათეული წელი ველარ აღორძინდებოდა, „ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ, ბაღები და ვენახები ძირებამდე ავჩეხეთ, მრავალი წლის შემდეგაც ვერ აღიდგენენ მოღალატენი პირვანდელ მდგომარეობას“, – ასე აღწერდა გურიაში ჩატარებულ რუსულ რეპრესიებს თავის ჩანაწერებში ალექსანდრე ერმოლოვი [13, 112].

აჯანყება დამარცხდა. გამოვლენილ მეთაურებსა და რიგით მონაწილეებს ციმბირში ან რუსეთის შიდა გუბერნიებში გადასახლე-

ბა მიესაჯათ. მათგან უდიდესმა ნაწილმა სამშობლოში დაბრუნება ვეღარ შესძლო. სამაგიეროდ, დაასაჩუქრეს გამცემ-მოღალატენი. [5, 119].

„სამშობლოს მოღალატე“ იმერელი თავადების შესახებ იმერეთის მმართველმა გორჩაკოვმა 1821 წლის 12 მარტს გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელსაც ერთვოდა იმპერიის საზღვრებიდან გასაძევებელ პირთა სია. თუ ვინმე ქვეყანაში ნახავდა რომელიმე მათგანს, ცოცხალი ან მკვდარი უნდა მიეყვანა უფროსობასთან, რისთვისაც მიიღებდა გარკვეულ ანაზღაურებას [14, 4089].

თანდართულ სიაში სულ 27 კაცი იყო ჩამოთვლილი და ყველა მათგანი იმერეთის სამეფო ოჯახისა და ცნობილი თავადების წარმომადგენლები იყვნენ [15].

თავად ერმოლოვმა ამ დროს დასვა საკითხი კავკასიის სამთავროებისა და სახანოების გაუქმების შესახებ. ადრე გაფორმებული „სამფარველობო ხელშეკრულებები“ ამ დროს სცნეს „Уступками, Вырванными у царизма в дни его слабости“ . ერმოლოვმა დაასაბუთა სამთავროთა ლიკვიდაციის აუცილებლობა [7, 630].

იმერეთში აჯანყების ჩაქრობის პარალელურად, ერმოლოვმა გადაწყვიტა დაეჭირა სურხაი-ხანი, რომელიც ორგანიზატორი იყო დაღესტანში რუსეთის წინააღმდეგ წამოწყებული არაერთი აჯანყებისა. სურხაი-ხანი გაიქცა, მის მაგივრად კი ყაზი-ყუმუხის სახანო ასლან-ხანს გადასცეს. 1820 წლის 26 სექტემბერს შირვანის ხანმა გენერალ-ლეიტენანტმა მუსტაფა-ხანმა, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა სურხაი-ხანთან, თავს უშველა სპარსეთში გაქცევით. ერმოლოვმა უპატრონოდ დარჩენილი შირვანის სახანო გააუქმა და აიყვანა სახაზინო მართვაზე.

1822 წლის იანვარში ერმოლოვი ბრუნდება თბილისში, პეტერბურგში გატარებული ერთი წლის შემდეგ. სიტუაცია კავკასიის რეგიონში მეტ-ნაკლებად მშვიდი დახვდა, თუმცა, ეს მოჩვენებითი სიმშვიდე იყო. კავკასიის ხალხებში, მათ შორის აფხაზებში ხდებოდა პერიოდული აჯანყებები. შესაბამისად, ერმოლოვიც არ აყოვნებდა და მის მიერ წარგზავნილი სამხედრო პირები სამხედრო ძალით აგვარებდნენ ვითარებას.

1823 წელს ერმოლოვი ხელმძღვანელობდა სამხედრო მისიას დაღესტანში, ხოლო 1825 წელს იბრძოდა ჩეჩნებთან [16].

ალექსანდრე ერმოლოვის ყველა ბრძოლა კავკასიაში, მოქმედების სისტემა, რაც მან აქ დანერგა, იყო ძალადობრივზე ძალადობ-

რივი. ამის საილუსტრაციოდ ეს წყაროებიც გამოდგება: **1. ერმოლოვის ბრძანება გენერალ ველიამინოვისადმი დასავლეთ საქართველოში 1819-1820 წლების აჯანყების საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ (30 მაისი, 1820 წელი):**

„ვუბრძანებ თქვენს აღმატებულებას, ყველას ვინც კი დაჭერილი იქნება აჯანყებულთა გუნდიდან, გაუსწორდეთ დანაშაულის ადგილზე, სასამართლოში მიეცემიან ისინიც, რომლებზედაც შეიძლება ეჭვის მიტანა და არ არის საკმარისი დამამტკიცებელი საბუთები... აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად მოსახლეობის ყველა წამქეზებელი ჩამოახრჩვეთ. ის სოფლები, რომელთა მოსახლეობა იარაღს მიმართავს, ძირიანად გაანადგურეთ.“[7, 826]

2. მთავარმართებელ ერმოლოვის წერილიდან საქართველოს ეგზარქოსს თეოფილაქტეს მღვდელთმთავრების ქუთათელისა და გენათელის დაპატიმრების შესახებ: „საჭიროდ მიმაჩნია იმერეთიდან მიტროპოლიტების ქუთათელისა და გენათელის მოცილება. ვიცი, რომ ეს ზომა ხელახლა ააჯანყებს ხალხს. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ უკეთესია ეხლა შევუდგეთ ამას, ვიდრე შემდეგისთვის გადავდოთ, რადგან ზამთრის ამინდი, რომელიც ხელს უშლის აჯანყებულებს თავიანთი ოჯახები და რაზმები ტყეში დამალონ, ჩვენ გვაძლევს უკეთეს საშუალებას ისინი შეიარაღებული ძალით გავფანტოთ“ [7, 574]

რუსი გენერალი ერთნაირ მეთოდებს იყენებდა მუსულმანი და ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ. თუ ქართველების დასჯის შემდეგ იმპერატორს უპატაკებდა: **„ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ, ბაღები და ვენახები ძირფესვიანად ამოვაგდეთ. მოღალატენი მრავალი წლის შემდეგაც ვერ აღიდგენენ პირვანდელ მდგომარეობას“**, – იგივე პათოსი იყო მისი სახანოების წინააღმდეგ ლაშქრობების ანგარიშებშიც. სისასტიკე რუსული იმპერიის ერთი იარაღთაგანი იყო. რუსეთს უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდა, მას საბოლოოდ უნდა განემტკიცებინა ბატონობა კავკასიის ხალხებზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Г. Р. Филипсон, Воспоминания, Москва, 1885.
2. М. Погодин, Алексе́й Петро́вич Ермо́лов, Москва, 1864.
3. Каяев Али. Шамхалы, Советский Дагестан. Махакчкала: Дагкнигоиздат, 1990.
4. А. Ахвердов, Описание Дагестана, 1804.
5. Н. Махарадзе, Восстание в Имеретии 1819-1820 гг., კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1942.
6. მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს.-ის I ნახევარში, თბილისი, 1957.
7. Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею, т. VI, ч. I. Тифлись, 1874.
8. Дубецкий, 1895, 121. ქართული თარგმანი იხ. ჟურნალში: „მოამბე“, 1896, წიგნი 9.
9. დ. გოგოლაძე, ბრძოლა ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ XIX ს-ის პირველ ოცეულში, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973.
10 В. А. Потто, Поход в Кази-Кумык в 1820 году, С-Петербург, 1899.
11. დ. ჭუმბურიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, ლ. სარალიძე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII–XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურის და დოკუმენტების მიხედვით), წიგნი I, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016.
12. მ. ხომერიკი, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012.
13. – Записки Ал. П. Ермолова 1798-1828 гг., Журнал посольства в Персию, Чтения в Императорском Обществе Древностей Российских при Московском университете, кн. II, Москва, 1863.
14. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2, ან. 1, საქმე 4089.
15. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1, ან. 2, საქმე 1119.
16. А. П. Берже, Чечня и Чеченцы, Тифпис, 1859; У. Лаудаев Чеченская племя, Сборник сведений о кавказских горцах, Тифлис, 1872; Анчабадзе Г. З., Вайнахи, Тбиписи, 2001.

Dodo Chumburidze

Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief Scientist-Researcher of the Modern and Contemporary History

Aspects of Geopolitical Strategy and Imperial Expansion in Russia's Caucasian Policy: The Tenure of Aleksey Yermolov (1816-1827)

Summary

Russia fervently started conquering the Caucasus in the eighties of the 18th century. The idea of the so called "Greek Plan" along with the acceleration of the eastern policy of the Empire led to the formation of a new geopolitical strategy of Russia, triggering the process of imperial expansion in the Caucasus. Russian authorities would sign contracts promising protection and military cooperation with all the nations and countries asking for Russia's protection, and, eventually, those nations and countries would find themselves annexed by the Empire. Russia would apply almost one and the same diplomacy fraught with bribery, cheating, assassinating national leaders, religious sentiments, etc. in its attempt to conquer different Caucasian states. For the purpose of full assimilation of the indigenous peoples and for the purpose of depriving them of their national identity, resettlement of the population, stirring up manufactured controversies and ethnic and religious hatred, settling sects or hostile groups in an ethnic region in an Russians' interpretation of their interest in the Caucasus was that only the Empire could turn the rich and fertile Caucasus into a "peaceful and promising country, and lead it on the path to peace."

The methods, military strategies and tactics used by the Empire against different peoples of the Caucasus experiencing strong anti-Russian sentiments were much the same – almost identical. Although Russia accused the North Caucasus of being hostile to the Christian population and allegedly fought to protect the Christians, virtually, it displayed much the same brutality while suppressing rebellions of Christians and Muslims or while dealing with Christian and Muslim civilians.

ნუნუ მიქელაძე

ისტორიის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის დეპარტამენტი

ალექსანდრე ოთარაშვილი

ისტორიის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის დეპარტამენტი

ცარიზმის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის პირველ მესამედში

1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, მისი ეკონომიკური დაპყრობის ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს სავაჭრო და საბაჟო პოლიტიკა წარმოადგენდა. ამის გამო მთელი მისი სავაჭრო პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ საქართველოში ვაჭრობის მონოპოლია თვითონ ჩაეგდო ხელში. აღნიშნული მონოპოლიის მოპოვებით რუსეთის ხელისუფლება პოლიტიკურ ბატონობას განიმტკიცებდა. საქართველოს მთავარსარდალი გენ. ტორმასოვი აღნიშნავდა, რომ ის საქონელი, რომელიც წინათ საქართველოში ოსმალეთს შემოჰქონდა (მარილი, რკინა, დამარილებული თევზი და სხვა), ახლა რუსეთს უნდა შემოეტანა, რომ მის ბატონობას მყარი საფუძველი ჰქონოდა. [1, 915] ამ მიზნით ცარიზმი ყოველგვარ ზომებს იღებდა სავაჭრო-საქარავნო გზების გასაუმჯობესებლად და საერთოდ ვაჭრობის შემაფერხებელი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

ვაჭრობის ნორმალური მიმდინარეობისათვის ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი გარემოება მრავალრიცხოვანი შინაგანი ფეოდალური საბაჟოების არსებობა იყო. როგორც აღინიშნა, საქართველოში შემოტანილი საქონელი სამეფო სახელმწიფო გადასახადების გარდა, მრავალ სხვადასხვა კერძო პირთა, საეკლესიო თუ საერო ფეოდალთა სასარგებლოდაც იბეგრებოდა. 1807 წლიდან დაწყებული 1840-იან წლებამდე ხელისუფლების მხრიდან მიღებული ღონისძიებების შედეგად თანდათანობით მოხერხდა შინაგანი ბაჟების გაუქმება. ფეოდალური ბაჟების გაუქმება და ერთიანი საბაჟო სისტემის შემოღება ვაჭრობის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში, როგორც ვიცით რუსეთს ირან-ოსმალეთთან ომები ჰქონდა. ეს გარემოება საქართველოს ვაჭრობას დიდ ზიანს აყენებდა. 1804-1813 წლებში ირან-ოსმალეთთან ომის დროს, რუსეთის მთავრობამ აკრძალა საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ოსმალეთთან, რაც ახალციხის საფაშოს მეშვეობით ხორციელდებოდა. ამასთან დაკავშირებით დასავლეთ საქართველოში იმდენად მძიმე მდგომარეობა შექმნილა, რომ მთავარსარდალი გენერალი ტორმასოვი რუსეთის იმპერატორს აღნიშნული აკრძალვის გაუქმებას სთხოვდა [2, 131].

1813 წელს გულისტანის ზავის შედეგად ირანთან რუსეთის ვაჭრობა გაუმჯობესდა, რამაც დიდი გავლენა იქონია საქართველოს ბაზარზეც. ამ პერიოდში ფართოვდება თბილისის ვაჭრობაც, სადაც ადგილი ჰქონდა ადგილობრივ და უცხოელ ვაჭრებს შორის კონკურენციას, რადგან უცხოელ ვაჭრებს მხოლოდ ბითუმად შეეძლოთ ვაჭრობა, ხოლო ადგილობრივი ვაჭრები უმთავრესად საცალო ვაჭრობის გზით მდიდრდებოდნენ. საქართველოს ვაჭრები ამიერკავკასიიდან რუსეთში, მოსკოვისა და ნიჟეგოროდის ბაზრებზე ყოველწლიურად 3 000 ფუთამდე აბრეშუმის პარკს ასაღებდნენ. XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის ეს რაოდენობა 14 500 ფუთამდე გაზრდილა. [3, 91] ამ დროისათვის აზიის ქვეყნებიდან საქართველოში წლიურად სულ 800 000 მანეთის (ვერცხლით) ღირებულების აბრეშუმი, ბამბა, აბრეშუმის, ბამბისა და შალის ქსოვილები, შაქარი, ყავა, სანელებლები, ფოლადი, ტყვია და სხვადასხვა სახის საქონელი შემოჰქონდათ. საქართველოდან ირანსა და თურქეთში თბილისელი ვაჭრების მიერ მოსკოვის, მაკარიევისა და რუსეთის სხვა ქალაქების ბაზრობებიდან ჩამოტანილი რუსული მრეწველობის ნაწარმი გაჰქონდათ. საერთოდ XIX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს ვაჭრობის შესახებ რუსი მოხელე აღნიშნავდა, რომ „ალექსანდრე I-ის მეფობიდან მოყოლებული საქართველოს ვაჭრობა წლითიწლობით აყვავებას განიცდის და ისეთი სავაჭრო ოპერაციები სწარმოებს, როგორიც ქართველი მეფეების დროს არ ახსოვთ“. [3, 91-92]

XIX საუკუნის პირველი მეოთხედისათვის ხდება აზიასთან რუსეთის ვაჭრობის გაფართოება. მაგრამ ამ დროისათვის რუსეთის სამრეწველო ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ თხოულობს არათუ აზიის ბაზრების, არამედ თვით ამიერკავკასიის ბაზრების უცხოეთის კონკურენციისაგან დაცვას, რადგან რუსეთის სამრეწველო ბურჟუაზიას თავისი საკუთარი ბაზრებიც არ ჰქონდა ათვისებული. ამიერკავკა-

სიაში ჩაყენებული რუსული ჯარების მომარაგების აუცილებლობა, საფრანგეთის კაპიტალთან კავშირი და ინგლისის მეტოქეობა, ხოლო საბოლოო ანგარიშში თავისი პოზიციების განმტკიცება საქართველო – ამიერკავკასიაში, აიძულებდა რუსეთს, რომ აქ დროებით „ვაჭრობის თავისუფლება“ გამოეცხადებინა.

რუსეთის მთავრობა, რომელიც საქართველოში რუსული წარმოების საქონლის გასაღებით იყო დაინტერესებული, საქართველოში შემოზიდულ უცხოურ საქონელზე რუსეთისავე საიმპერიო-საბაჟო ტარიფს ავრცელებდა, რის შედეგადაც საქონელი ძვირდებოდა. ამიტომ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მთავრობის ადგილობრივი მოხელეები, რომ აღარაფერი ვთქვათ (სხვადასხვა ფენის) ადგილობრივ მოსახლეობაზე. ყოველივე ამის გამო 1821 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზე, 1822 წლის 1 ივლისიდან საქართველოში და საერთოდ მეფის რუსეთის ამიერკავკასიურ პროვინციებში შეღავათიანი და თითქმის თავისუფალი ვაჭრობა გამოცხადდა, რომლის ხანგრძლივობაც 10 წლით განსაზღვრეს. [5, 85] რუსეთის მთავრობა ცდილობდა, რომ ევროპიდან აზიისაკენ მომავალ ვაჭრებს, ნაცვლად ტრაპიზონზე გამავალი გზისა, საქართველო-ამიერკავკასიის გზა აერჩიათ. მართალია საბაჟო შემოსავალი არ იქნებოდა, მაგრამ რუსეთის განკარგულებაში მყოფი ყულევი, საწყობები, სანაოსნო გზა, გადაზიდვის საშუალებანი და სხვა დიდ შემოსავალს მოიტანდა. იგი იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებაში, რომ აღსანიშნავია: I – გილდიური უფლებები. ბრძანების თანახმად, საქართველოში ყველა ბითუმად მოვაჭრეს რუსეთის პირველი გილდიის ვაჭართა უფლება ენიჭებოდა; უფრო მეტიც, ისინი ყოველგვარი გადასახადებისაგან თავისუფლდებოდნენ, ოღონდ აქ შემოზიდულ უცხოურ საქონელზე მხოლოდ 5%-იანი ბაჟი უნდა გაეღოთ. ბრძანების პირველი მუხლის თანახმად „რუსეთის ქვეშევრდომებს და უცხოელ ვაჭრებს, რომლებიც 10 წლის განმავლობაში, დაწყებული 1822 წლის 1 ივლისიდან, დააარსებენ ამ მხარეში სავაჭრო სახლებს და აწარმოებენ ბითუმად ვაჭრობას, ენიჭებათ პირველი გილდიის უფლებები, აღნიშნული დროის განმავლობაში ამ გილდიაზე დაწესებულ ყოველგვარ გამოსაღებთა გადახდის გარეშე. მაგრამ ამ დროის გასვლიდან, ისინი, რომლებიც მოისურვებენ ვაჭრობის გაგრძელებას, ასევე ისინიც, რომლებიც ახლად შევლენ მასში (გილდიაში) ვალდებული იქნებიან აწარმოონ ვაჭრობა საერთო წესისამებრ და გადაიხდიან ყოველგვარ

ბეგარას, რაიც დაკავშირებულია გილდიურ უფლებებთან. თავისთავად იგულისხმება, რომ ყველა ის პირი, ვინც აღნიშნული ვადის გასვლამდე შეწყვეტს თავის სავაჭრო საქმეებს, დაკარგავს გილდიურ უფლებებსაც, რაიც მას ამ ვაჭრობის მეოხეობით ეკუთვნოდა.“ II – შეღავათი პირადი ბეგარებისა და სამსახურისა. „იმავე ხნის განმავლობაში, როგორც რუსი, ისე უცხოელი ვაჭარი თავისუფლდება იმ ადგილებში პირადი სამსახურისა და ბეგარისაგან. ხოლო მათი სახლები და მაღაზიები სამხედრო მდგმურების ჩასახლებისა და ბეგარისაგან, საიდანაც გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ადგილობრივი საქალაქო ხარჯები, რომელშიაც ისინი როგორც სახლების მფლობელნი ვალდებულნი არიან მონაწილეობდნენ.“ III – უძრავი საკუთრების შეძენა. „ყველა, როგორც რუს, ისე უცხოელ მოვაჭრეს ნება ეძლევა იმ მხარეში შეიძინოს უძრავი საკუთრება და გაყიდოს ის დაკანონებული საფასურის გადახდით, თუნდაც მოვაჭრე უცხოელები არ იყვნენ შესული ქვეშევრდომობაში რუსეთისა, მაგრამ ვაჭრობის შეწყვეტისა და ამ მხარის მიტოვების შემდეგ ისინი ვალდებული არიან შეიტანონ საქალაქო დებულებაში ამ შემთხვევისთვის განსაზღვრული ბეგარები“. IV – მიწის (ადგილ-მამულის) შეძენა. „რუსეთის ქვეშევრდომსა და უცხოელ მოვაჭრეებს მთავრობის მიერ დაეთმობათ მიწის ნაჭრები და იმ მხარეში მათთვის საჭირო დაწესებულებისათვის ჩვეულებრივ ფასებში, როგორადაც იქ მიწები იყიდება. ეს ფასი და ასევე ამ გაყიდვის პირობებიც ზუსტად უნდა იქნას გარკვეული იმ ცნობების მიხედვით, რომელიც თქვენ მიერ იქნება წარმოდგენილი.“ V – შეღავათი საბაჟო საფასურში. „უცხოეთიდან საქართველოში მოტანილი ყოველგვარი საქონელი დაიბეგრება მხოლოდ 100-დან 5-ით (5%) გამოცხადებული ფასიდან, იმის მიხედვით, როგორც გიულისტანის ტრაქტატის ძალით აიღება ხოლმე ბაჟი ირანიდან შემოტანილ საქონელზე. მაგრამ ამ საქონლის საქართველოდან რუსეთში შეტანისას ისინი (ვაჭრები) იხდიან აზიური და ევროპული ტარიფებით დადგენილ ბაჟებს საქონლის წარმოშობის მიხედვით. ამისათვის ფინანსთა მინისტრთან თქვენი შეთანხმების საფუძველზე სათანადო ღირსეულ ადგილებზე დაარსებულ იქნებიან საყარაულოები და საბაჟოები, ერთის მხრივ, უცხოეთიდან საქართველოში მიმავალ გზებზე, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოდან რუსეთში მიმავალ გზებზე.“ VI – კარანტინული დაწმენდის წესი. „განკარგულება 1819 წ. უქაზში აღნიშნული, რომლითაც ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებიდან მომავალი საქონელი ყუთებში და სასაპალნედ შეფუთვილი ორმაგი გარეკანითა

და რუსეთის კონსულთა მიერ დაღდასმული, დაიშვება ოდესასა და რუსეთის შავი ზღვის ნავსადგურებში კარანტინული დაწმენდის გარეშე, ვრცელდება სამეგრელოს ნავსადგურებზედაც, თუ ყველა პირობა იმ უქაზში აღნიშნული სიზუსტით იქნება შესრულებული.“ VII – ტრანსპორტის დაცვა სავაჭრო გზებზე. „სავაჭრო ტრანსპორტის უშიშროება როგორც მდ. ფაზისზე (რიონზე), ისე ხმელეთის გზებზედაც _ ერთის მხრივ ბაქოდან, ხოლო მეორეს მხრივ რედუტ-კალედან (ყულევიდან) და მარანიდან ტფილისამდის და პირიქით _ უზრუნველყოფილ იქნას სამხედრო დაცვით.“ VIII – ქარვასლების მოწყობა. „ბაქოსა და შავ ზღვას შორის მდებარე გზაზე ყოველ მოვაჭრეთაგანს შეუძლია მოაწყოს აზიური ჩვეულებისამებრ ქარვასლა, მისი საკუთარი სარგებლობის თვალსაზრისით, ადგილობრივი ხელისუფლება ხელს შეუწყობს მათს წამოწყებას. ამისთვის საჭირო ხე-ტყისა და სხვა მასალათი გამოყოფით.“ IX – შავ ზღვაზე ნავსადგურების მოწყობა. „პირველ რიგში ამისათვის ინიშნება შავი ზღვის ნაპირზე ნავსაყუდლათ რედუტ-კალეს (ყულევი) ყურე. შემდეგისათვის ამ მხარის ადგილობრივი ხელისუფლება არ დააყოვნებს ყოველგვარ ღონისძიებათა მოხმარებას სხვა უშიშარი და მოხერხებული ნავსადგურების გახსნისა და მოწყობისათვის.“ X – ამ წესების სივრცე და საზღვრები. „ყველა ზემოხსენებული წესის ძალა ვრცელდება საერთოდ როგორც რუსეთის ქვეშევრდომ, ისე უცხოელ მოვაჭრეებზე, რომლებიც მოისურვებენ იმ მხარეში დააარსონ სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულება, მაგრამ იგი ისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოთი და იმერეთით და მათთვის მიკუთვნებული ოლქებით და არასგზით არ ეხება კავკასიონის აქეთა მხარეს მდებარე რუსეთის გუბერნიებს.“ [4, 233-236]

შეღავათიანმა ტარიფმა ხელი შეუწყო ვაჭრობისა და სატრანზიტო ურთიერთობის განვითარებას. ცარიზმი იძულებული გახდა შეეკეთებინა სამიმოსვლო გზები, გაეუმჯობესებინა კავშირგაბმულობა და მოესპო შინაგანი საბაჟოები. შეღავათიანი და თითქმის თავისუფალი საგარეო ვაჭრობის დროს, ადგილობრივმა ვაჭრებმა ფულადი კაპიტალი დააგროვეს. არაჩვეულებრივად გამოცოცხლებული ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის შედეგად თბილისში წარმოიშვა კომერციული სახლები და მაღაზიები. მთავარი სატრანზიტო გზის (ყულევი-თბილისი-ბაქო-ირანი) გასწვრივ მყოფ მცხოვრებთ საქონლის გაზიდვით ფულის შოვნის საშუალება მიეცათ. 1827 წელს თბილისის საბაჟოში 383 090 მანეთის ევროპული საქონელი იყო შემოტა-

ნილი, ხოლო აზიური (სპარსული) საქონელი – 1 116 696 მანეთისა. [7, 52] ევროპიდან შემოსული საქონელი არა მარტო საქართველოს ქალაქებში მიდიოდა, არამედ ხშირად კონტრაბანდისტებს რუსეთის ბაზრებშიც შეჰქონდათ. როგორც აღინიშნა, ქართულ ბაზარზე ევროპულ საქონელში 5%-იან ბაჟს იხდიდნენ, მაშინ როდესაც რუსეთში საიმპერიო ტარიფით დაწესებული იყო 25 – 30%-იანი ბაჟი. [6, 67]

ფართოვდებოდა საშინაო ბაზარიც, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შეღავათიან ტარიფს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა. საქართველო უცხო იაფი საქონლით აივსო. განახლდა ევროპიდან ირანისაკენ მიმავალი სატრანზიტო გზა. გაიზარდა ყულევის, როგორც შავ ზღვაზე მდებარე სავაჭრო ნავსადგურის მნიშვნელობა. აღნიშნულ ათწლეულში (1822-1831 წ.წ.) საქართველო არსებითად ევროპული საქონლის გასაღების ბაზრად გადაიქცა. საგარეო ვაჭრობას საქართველოში კოლონიური ხასიათი ჰქონდა და იგი შედარებით ნაკლებად უწყობდა ხელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ევროპის, კერძოდ ლაიფციგის ბაზარზე თბილისელ ვაჭრებს მიჰქონდათ ფული და არა საქონელი. მაგალითად, 1828 წელს ქართველმა ვაჭრებმა გერმანიაში (ლაიფციგის ბაზრობაზე) 10 მილიონი მანეთის ღირებულების საქონელი შეისყიდეს. [8, 161] ევროპული საქონელი თავისი მაღალი ხარისხისა და დაბალი ფასების გამო მკაცრ კონკურენციას უწევდა რუსეთის საქონელს. ამიტომ მისი (ევროპული საქონლის) თავისუფალი შემოზიდვის შედეგად, რუსული საქონელი კიდევ უფრო მეტად განიდევნა საქართველოს ბაზრიდან. ამან რუსეთის იმ დროისათვის სუსტი, მაგრამ მზარდი ბურჟუაზიის დიდი პროტესტი გამოიწვია.

ამით აიხსნებოდა, რომ შეღავათიანი ტარიფის შემოღებისთანავე ახალმა ფინანსთა მინისტრმა კანკრინმა დაიწყო ბრძოლა მისი გაუქმებისათვის. კანკრინს ამ ღონისძიების გატარებით განზრახული ჰქონდა დაეცვა რუსეთის მრეწველებისა და კაპიტალისტების სავაჭრო ინტერესები. ამით აიხსნებოდა, რომ შეღავათიანი ბაჟი და თავისუფალი ტრანზიტი ვადამდე ადრე გაუქმდა (1831 წლის 3 ივნისი). რუსეთის მთავრობა ვარაუდობდა, რომ ამ ხნის განმავლობაში დაგროვილი კაპიტალი და ვაჭართა გამოცდილება საკმარისი იყო იმისათვის, რომ რუსეთს საკუთარი საქონლით ირან-თურქეთის ვაჭრობაში მონაწილეობა მიეღო. ტარიფის გაუქმებამ რუსეთისათვის მოულოდნელი შედეგი გამოიღო. თავისუფალი ვაჭრობის შემდგომმა ამკრძალავმა წესებმა ის გამოიწვია, რომ ევროპასა და ირანს შორის

სავაჭრო გზამ ტრაპიზონ-არზრუმის გზისაკენ გადაინაცვლა. ტრაპიზონში ინგლისმა სავაჭრო კომპანია დააარსა და ამით მთელი მცირე აზიისა და ირანის ვაჭრობა ხელში ჩაიგდო.

აღნიშნული კომპანიის დაარსების შემდეგ, საერთოდ ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში უამრავი კონტრაბანდული საქონელი შემოვიდა. რუსეთის იმპერიის მიერ დაარსებული საბაჟოები კონტრაბანდასთან ბრძოლაში უძლური აღმოჩნდა. კონტრაბანდის გარდა ინგლისური საქონელი, უმთავრესად ბამბის ქსოვილები ირანული საქონლის სახელით შემოდიოდა საქართველოში. ინგლისს ბამბის ქსოვილების ნახევრად მზა პროდუქცია მიჰქონდა ირანში. იქ ხდებოდა მისი საბოლოოდ გადამუშავება და ირანული საქონლის მარკით 5%-იანი ბაჟის გადახდით იოლად შემოდიოდა. რუსი მოხელეების ანგარიშით, 1843 წლისათვის ასეთი სახით შემოტანილი საქონლის ღირებულებამ 350 000 მანეთს მიაღწია. [9, 144-146] შემოსავალი რომელიც აქამდე თავისუფალი ტრანზიტის საშუალებით თბილისში და რედუტ-კალეში იყრიდა თავს, ახლა ტრაპიზონ-ერზრუმისაკენ მიემართებოდა. ამან რაღა თქმა უნდა თავისი შედეგიც უმალ გამოიღო: დაქვეითდა ვაჭრობა, შემცირდა მოთხოვნილება რუსულ საქონელზე, თბილისელმა ვაჭრებმა ევროპული საქონლით ვაჭრობა ახალი სავაჭრო გზით (ტრაპიზონ-ერზრუმი) ირჩიეს.

ამგვარად, ცხადი იყო, რომ ამკრძალავი ტარიფის შემოღებით რუსეთმა მარცხი განიცადა. შეღავათიანი ტარიფის გაუქმებამ არსებითად ჩაკეტა ბაზრები ამიერკავკასიაში და საქართველოში. იგი აივსო კონტრაბანდული საქონლით. აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით რუსეთის მთავრობამ საშინაო ფეოდალური ბაჟების საბოლოო ლიკვიდაციისათვის სერიოზული ღონისძიებები გაატარა. იგი რუსეთის მრეწველებს და მეწარმეებს საქართველოს ბაზრის დაუფლებაში ყოველმხრივ ხელს უწყობდა. ეს ბრძოლა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მეტ-ნაკლები წარმატებით გრძელდებოდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. IV თბილისი, 1973.
2. М. К. Рожкова, Экономическая политика царского правительства на Среднем Востоке и русская буржуязия, Москва, 1949.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბილისი, 1970.
4. ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბილისი, 1987.

5. Русская транзитная торговля, Спб., 1832.
6. ნ. ქორთუა, ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში, თბილისი, 1978.
7. Кавказский календаръ, Тифлис, 1847.
8. მ. სამსონაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში, თბილისი, 1980.
9. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. I, თბილისი, 1949.

Nunu Mikeladze

Doctor of History, Iakob Gogebashvili Telavi State University, Department of History

Alexandre Otarashvili

Doctor of History, Iakob Gogebashvili Telavi State University, Department of History

Tsarist Economic Policy in Georgia In the First Third of the 19th Century

Summary

In 1821 a new law was promulgated in the East Caucasus, that established preferential transit and 5% excise on trade instead of high excise tarif. By establishing such privileges, Russia gave Europe way towards Iran markets, but tsarizm made all this concessions for only one reason, i.e. to conguer Georgia economicialy. That is why Russia desided to pare the way with the helf of Europian trade. Europe should develop demand on on industrial goods in Georgia and in Iran that 10 years later, by establishiny high excise tarifs would be seized by already developed and strengthened Russia an industry. But supperessing the privileges did not dring the desired result for Russian industry (first of all contraband), besause tsarizm suppresed the development of local industry and trade in monopolies and in outskirt countries. Because of the above mentbned experiment ended with failure.

ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

ნაციონალიზმის ისტორიული განვითარების ლოგიკა საქართველოს მაგალითზე

ნაციონალიზმისა და არისტოკრატიის კულტურულ კავშირებზე რომ გავამახვილოთ ყურადღება, აგრარულ შუა საუკუნოვან სისტემებში, გლობალური ბაზრის არ არსებობის შემთხვევაში, ჩნდება ეკონომიკური იზოლირებული მოდელები, რომლებზეც იგება სოციო-პოლიტიკური სისტემა, ხოლო ეს სიტემა კი მყარდება კულტურით. ჩაკეტილ ბაზარზე იქმნება ის კულტურული ფასეულობები, რისი შექმნის საშუალებას მისი ეკონომიკური და საწარმოო სისტემები აძლევენ. რაც უფრო ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად თვითკმარია პოლიტიკური ერთეული (სამეფო, იმპერია, საჰერცოგო თუ სხვა), მით უფრო განსხვავებულ კულტურულ ფასეულობებს ქმნის. კაპიტალიზმის პირობებში, ბოლო ეღება ცივილიზაციის თვითკმარობას და ხდება კულტურული ცვლილებები.

საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ, მისი ეკონომიკური სისტემა მე-15 საუკუნეში პერიფერიულ როლს თამაშობდა. ზოგ შემთხვევაში ეს იყო ოსმალეთის ეკონომიკური პერიფერიის მხარე, ზოგ შემთხვევაში კი ირანის პერიფერიული ეკონომიკური მხარე. რაც უფრო შორდებოდა საქართველოს ეკონომიკა, ერთი ქვეყნის ეკონომიკას და მეორე ქვეყნის ეკონომიკის ნაწილი ხდებოდა, მით უფრო იცვლებოდა მისი კულტურა. რუსეთის საქართველოში დამკვიდრების შედეგად, საქართველო გადაიქცა რუსეთის ეკონომიკის პერიფერიად, ხოლო თავად რუსეთი კი მჭიდროდ იყო ეკონომიკურ კავშირში ევროპასთან. ეს მოვლენები ისახებოდა ქართულ კულტურაშიც. საქართველო მაინც უფრო თვითკმარ აგრარულ ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელსაც სავაჭრო ურთიერთობები გააჩნდა მის მეზობლებთან, მაგრამ ეს ვაჭრობა არ ყოფილა იმ მასშტაბებისა და მნიშვნელობის, რომ აქ სრულფასოვნად ჩამოყალიბებულიყო საშუალო ფენა. ინგლისისგან განსხვავებით, სადაც ბატონი ყმისგან ფულად გადასახადს იღებდა და ამით აიძულებდა გლეხს

ბაზარზე გასულიყო, ევაჭრა რათა ფული აეღო, რომ ბატონისთვის გადაეხადა (რამაც ხელი შეუწყო კაპიტალისტურ ურთიერთობების განვითარებას ინგლისში), საქართველოში გადასახადის გადახდა ხდებოდა ნატურალურად და გლეხი მიწაზე იყო მიბმული.

შუა საუკუნეებში არსებული მკაცრი იერარქიული წყობა არ აძლევდა ადამიანებს იმის საშუალებას, რომ მათი სტატუსი სოციალურ საფეხურზე და ადგილი სამყაროში შეცვლილიყო. ეს კი კულტურაზე ისახებოდა იმით, რომ დამწერლობისა და წერა-კითხვის ცოდნა ზედა სოციალური ფენების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრივილეგია იყო. პოლიტიკურ ცხოვრებაშიც გლეხი არანაირ როლს არ თამაშობდა და თითქმის არ იყო ჩართული, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც სერთო მტრის წინააღმდეგ იყო საჭირო გამოსვლა. დამწერლობითი კულტურა სავსე იყო თეოლოგიური დოგმატიკით და მაღალი კულტურით. ის არ იყო განკუთვნილი მესამე ფენისათვის. ხალხი გათიშული იყო მაღალი კულტურის პროცესებისგან, ის მას არ ეხებოდა და არც იყო მისთვის განკუთნილი. მაღალმა კულტურამ შექმნა „ჭეშმარიტების ნორმები“, ხოლო ამ ნორმებში ეჭვის შეტანა ითვლებოდა მომაკვდავ ცოდვად. მაღალ კულტურას არა მარტო მონოპოლია ჰქონდა ჭეშმარიტებაზე, არამედ წყაროებიც და კრიტერიუმებიც მის ხელში იყო. დასავლეთ ევროპაში ჭეშმარიტების დეაბსოლუტიზაცია, დაიწყო რენესანსიდან, ხოლო საქართველოში დეაბსოლუტიზაცია დაიწყო მეფის რუსეთის დროს, ანუ იმ დროს როდესაც ის ინსტიტუტები აღარ არსებობდნენ საქართველოში, რომლებიც მაღალი კულტურის შემქმნელები იყვნენ – ქართული ეკლესია (რომელის ავტოკეფალია რუსეთმა გაუქმა) და ქართული სამეფოები (რომლებიც ასევე რუსეთმა გააუქმა). თუ კი საფრანგეთში და ინგლისში, არსებობდა მესამე წოდება, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა მაღალ კულტურაზე, საქართველოში ესთი ფენა არ არსებობდა და რჩებოდა მხოლოდ არისტოკრატია, რომელიც მაღალი კულტურის მატარებლები იყვნენ, მაგრამ არ არსებობდა არანაირი ინსტიტუცია, რომელიც ამ კულტურის პრივილეგირებლობას უზრუნველყოფდა.

ნაციონალიზმის ეპოქაში მაღალი კულტურა, რომელიც მხოლოდ პრივილეგირებულთა ფენას ეკუთვნოდა, გახდა ეროვნული კულტურის ნაწილი. ნაციონალიზმის მკვლევარი ერნესტ გენლერის სიტყვებით: „აბსოლუტური დოქტრინა ყველასთვის და მაღალი კულტურა მხოლოდ მცირე ჯგუფისთვის, გარდაიქმნება აბოლუტურ კულტურად ყველასთვის და დოქტრინად უმცირესობისთვის“ [4, 86].

ნაციონალური კულტურის ჩამოყალიბებისას ბრიტანელმა მეცნიერმა ენტონი სმითმა შენიშა „მათ „ლიტერალურ“ ეთნის აქვს არისტოკრატიული საფუძველი. მათში თუმცა შესაძლებელია იყოს დემოტური ელემენტებიც (როგორც რუსეთის, ეთიოპიის, თურქეთის, იაპონიის შემთხვევაში), სახელმწიფო მაინც მთლიანად გაჯერებულია არისტოკრატიული კულტურითა და ტრადიციებით, რომელთაც ხშირად ატყვიათ რელიგიისა და სამღვდელოების კვალი.“ [5, 126] რა შეიძლება ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ ნაციონალურ კულტურას დაეტყო არისტოკრატიული ფასეულობები? აგრარულ საზოგადოებაში დაყოფილი იყო შრომითი გადანაწილება რელიგიურ, სანათესაო, პროფესიონალურ და სოციალურ ჯგუფებად. დაყოფა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ერთიანი საზოგადოების წარმოდგენა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. შიდა სოციალური დაყოფის დროს საერთო კულტურის ძიება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მათი ქცევები ეტიკეტებისა და მორალის დაცვით ხდებოდა. კულტურული დაყოფა საზოგადოებაში მიღებული იყო და აუცილებლადაც ითვლებოდა (არისტოკრატი სხვა კულტურული ფასეულობების მატარებელი უნდა ყოფილიყო, ხოლო მასზე დაბალი სოციალურ საფეხურზე მდგარი ადამიანის კულტურული ფასეულობა სხვა უნდა ყოფილიყო). სახელმწიფოს კულტურული პოლიტიკა კი სუსტ ზეგავლენას ახდენდა საზოგადოებაზე, პირიქით ზოგჯერ სახელმწიფოზე ახდენდნენ კულტურულ გავლენას სხვადასხვა რელიგიური ინსტიტუტები. როდესაც ბრძოლა იწყება ნაციონალურ კულტურის შექმნისთვის, მოხდა სხვადასხვა სფეროების ხელახალი გადააზრება, პირველ რიგში ლიტერატურასა და ისტორიაში. ლიტერატურაში შეიქმნა ახალი ქართული სახეები, რომლებიც ეფუძნებოდა წარსულ არქეტიპებს, თუმცა რეალურად უფრო მომავლის პროექტები იყვნენ. ამ მოვლენაზე ენტონი სმითი წერდა: „ძველი საგების უწინდელი გმიერები ახლა ამაღლდგნენ, როგორც ნაციონალური ღირსების ნიმუშები და განახლებული „ახალი ადამიანის“ პროტოტიპები, რომელთაც ეთნიკური ნაციონალისტები ყოველწამს განადიდებდნენ“ [5, 186].

საქართველოში ნაციონალიზმი წარმოიქმნა, მისი წინარეკულტურის გამოღვიძებისა და მე-19 საუკუნის ევროპული პოლიტიკურ-ფილოსოფიური დოქტრინების სიმბიოზის შედეგად. ისტორიის გაანალიზება დაიწყო ნაციონალური კუთხით, კვლევის საგნები გახდა არა მეფეთა ცხოვრება, არამედ ქართველ ერის ცხოვრება. ილია ჭავჭავაძეც ჩაერთო ისტორიის ნაციონალიზაციის საკითხში, ერთ-ერთ

პუბლიკაციაში ის წერდა „ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული“. [17, 211] სწორედ მე-19 საუკუნიდან დაიწყეს ქართველმა ისტორიკოსებმა საქართველოს ისტორიის წერა, რომელშიც ცენტრალური ადგილი ეკავა ქართველ ერს. ეს იყო პირველი ტალღა ქათული ნაციონალური ისტორიების დაწერის – ეს ახალი ნაციონალური მეხსიერების შექმნისთვის გადადგმული ნაბიჯი იყო.

მე-19 და მე-20 საუკუნების დასაწყისში ყველა პოლიტიკური პარტიისადმი (გარდა უკიდურესად მემარცხენე პარტიებისა და მონარქისტული პარტიებისა) იყო დემოკრატიული მზაობა. ძირითადი პროგრამები, რომლებიც ამა თუ იმ პარტიას გააჩნდა, დემოკრატიული სისტემის შექმნისთვის იყო განკუთვნილი. ამ ფონზე ნაციონალიზმის განხილვა ხდებოდა სხვადასხვანაირად. როდესაც ქართული არისტოკრატია აკრიტიკებდა სომხებს, ეს სოციალ-დემოკრატების მიერ მიიჩნეოდა ნაციონალისტურ და ზოგჯერ შოვინისტურ გამოვლინებად, რომელიც საზაგადოებას არ აძლევდა სტაბილური განვითარების საშუალებას. მაგრამ ნაციონალიზმი პოლიტიკაში მალე გამოვლინდა იმით, რომ სოციალ-დემოკრატიამ ვერ მოახერხა სხვადასხვა ნაციონალურ ჯგუფებში დომინანტი პოზიციების დაკავება და მას მალევე გამოუჩნდა ეთნიკურ ნიადაგზე შექმნილი პარტიები (მაგალითად ადგილობრივ სომეხ მოსახლეობაში ყველაზე გავლენიანი პარტია დაშნაკების პარტია იყო). ნაციონალური საკითხი აყალიბებდა ამომრჩევლის ელექტორატს. იმის მიუხედავად, რომ უამრავი ეთნიკურად ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი იყვნენ სოციალ-დემოკრატიის რიგებში (და განსაკუთრებით ბოლშევიკებს შორის), მაინც ქართული პარტიების ლიდერების უმრავლესობა ქართველი იყო, სომხური პარტიების (რომლებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ) უდიდესი ნაწილი სომხებისგან შედგებოდა. ხოლო გამოჩენილი კავკასიელი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ინტერნაციონალურ მოძრაობებში იყვნენ ჩათულნი, ავტორიტეტს, გავლენასა და წარმატეტებს აღწევდნენ ან სამშობლოში, ან იმპერიის ცენტრში (რუსეთში). ეს კი კარგად ასახავდა, იმ ნაციონალურ ასპექტებს, რაც ახასიათებდა კავკასიას. მემარცხენე იდეოლოგიის მიუხედავად, ნაციონალიზმი მაინც დიდ როლს თამაშობდა პოლიტიკურ საქმიანობაში. როგორც ბრიტანელმა ისტორიკოსმა ერიკ ჰობსბაუმმა შენიშნა: „როგორც არ უნდა იყოს, ახალი მუშათა მოძრაობები, რომლებმაც

გადმოიბირეს საკუთარ მხარეზე, ხალხი კლასობრივი კუთვნილებით, მალე მიხვდნენ რომ მათ პარტიაში უერთდებოდნენ არა მარტო პროლეტარები არამედ ის ხალხი რომლებიც მაგალითად საკუთრ თავს ჩეხებად თვლიდა. ამ ფაქტორმა აიძულა მუშათა მასობრივი მოძრაობები, მიექცია ყურადღება „ნაციონალურ საკითხისთვის“. თითქმის ყველა მარქსისტი თეორეტიკოსი იკვლევდა ნაციონალისტურ საკითხებს და აღიარებდნენ, რომ ეს მნიშვნელოვანი პრობლემა იყო.“[18, 153]

რაც შეეხება ბურჟუაზიას საქართველოში, ზოგს იმედი ჰქონდა ბურჟუაზიის ნაციონალური როლის, ზოგი კი მას კრიტიკულად უყურებდა. „ეროვნებას იცავს იგი არა სამართლიანობისათვის, არამედ საბაზრო ინტერესებისთვის. სიმართლე არ ალაპარაკებს, საქვეყნო და სახალხო საქმე არ უწვავს გულს, როდესაც გამოდის და ხმამაღლა ყვირის: თავგამოდებით უნდა ვემსახურო ეროვნულ იდეასო! თუ ბურჟუაზია დაჩაგრული, დამონებული არ არის თვითონ, ძალმომრეობას ხმარობს და იბრძვის თავის ეროვნული ძალების გასაფართოებლად, ე. ი. თავის მრეწველობისთვის მეტი და მეტი ასპარეზის მოსაპოვებლად. თუ ბურჟუაზია დაჩაგრულია, იბრძვის დამჩაგვრელთა ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომ მოიპოვოს ეროვნული დამოუკიდებლობა, თავისუფალი ასპარეზი თავის მრეწველობისთვის. ერთსა და მეორე შემთხვევაშიც იბრძვის ეროვნული თავისუფლებისათვის. მაგრამ ეს თავისუფლება ესმის თავისებურად და მზად არის ამ ეროვნული თავისუფლებისა და იდეებისთვის დაჩაგროს, შეავიწროვოს და გაანადგუროს სხვა ყველა ეროვნება. ბურჟუაზიას არ ესმის ეროვნული თავისუფლება, როგორც თანაბრად საჭირო ყველასთვის. ბურჟუაზიას უნდა ეროვნული თავისუფლება მხოლოდ თავისთვის, როგორც იარაღი სხვის დასაჩაგრავად და დასამონებლად.“[11. 24] სოციალ-დემოკრატებისთვის, როგორც კლასობრივი პარტიისთვის – ბურჟუაზია მიუღებელი იყო, თუმცა 1905-1907 წლებამდე მათი სამოქმედო პროგრამა იყო ის, რომ ბურჟუაზია უნდა განვითარებულიყო, სხვანაირად სოციალისტური რევოლუცია ვერ მოხდებოდა. ეს დუალური დამოკიდებულება ხშირად ხელს უშლიდა მას. ის თან ცდილობდა იდეოლოგიურად გაემართლებინა კაპიტალიზმი, თან მას ებრძოდა – ხშირად აკრიტიკებდა, ხშირად კი, როგორც ნოე ჟორდანია შენიშნავდა: „პროგრესული კლასი, რომლის ნაციონალური ინტერესი განსაზღვრულ ხანაში არის იმავე დროს ინტერესი მთელი ერის, არის კლასი – ბურჟუაზია“.[12, 18] სოციალ-დემოკრატები ემხრო-

ბოდნენ ქართული კაპიტალიზმის განვითარებას და მათი „სამოქმედო გეგმის“ ერთ-ერთ პუნქტში ეწერა, რომ უნდა განვითარებულიყო ეროვნული მრეწველობა და ვაჭრობა. თავისთავად მსგავსი მიდგომა სწორი იყო, მაგრამ მისი განხორციელება სახელმწიფოს არსებობის გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელი. ამიტომაც, სოციალ-ფედერალისტებმა წამოაყენეს ავტონომიის იდეა, ითხოვდნენ ავტონომიის იდეის საფუძველზე განეხორციელებინათ თავისი საპროგრამო გეგმა. ავტონომიის იდეა აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა ქართულ საზოგადოებაში, ზოგს ის საქართველოს გადარჩენა-განვითარების საშუალებად მიაჩნდა, ზოგს კი უფრო რეაქციულ მოვლენად. ამის გარდა, კაპიტალიზმი, მთელი იმ სახელმწიფო რეგულაციებით, რომელიც არსებობდა რუსეთის იმპერიაში, არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ადგილობრივი ბურჟუაზია სწრაფად დაბადებულიყო, რადგან ბურჟუაზია ერთნიკურად სომხების და არაქართველების ხელში იყო, ხოლო ქონებრივ ცენზის გამო, ისინი ქალაქის საკრებულოებშიც იყვნენ და იქაც იცავდნენ საკუთარ ინტერესებს. ქართული სოციალიზმი შეიძლება მივიჩნიოთ ამ გამოწვევების პასუხად.

როდესაც ვიხილავთ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისს, არ უნდა გავცდეთ იმ დროის და პერიოდის პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობას. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, მსოფლიოში არსებობდა რამოდენიმე დიდი ევროპული იმპერია, როგორიც იყო – დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, ოსმალეთი, იაპონია, აშშ-ში და მათი კოლონიები. იმპერიებისგან დამოუკიდებლად ძალზე მცირე სახელმწიფო თუ არსებობდა, ისიც მათი უმრავლესობა ევროპაში მდებარეობდა. ნაციონალიზმი უფრო დამახასიათებელი იყო დიდი იმპერიებისთვის, როგორც მასების მობილიზაციის საშუალება. სოციალიზმი მოიაზრებოდა, როგორც გამოწვევა იმპერიალიზმისადმი და მაშინდელი კოლონიები დიდი ენთუზიაზმით მხარს უჭერდნენ „პროლეტარიატის ინტერნაციონალური ძმობის“ იდეას. საქართველოს შემთხვევაში გეოპოლიტიკური ასპექტები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ქართული ნაციონალიზმის მთავარი იდეის – დამოუკიდებლობის – საწინააღმდეგოდ. როგორც მიხაკო წერეთელი აღნიშნავდა: „ორიოდ კაცის გარდა, ძველებსა და ახლებს ვერ წარმოუდგენიათ ურუსოთ ქართული თავისუფლება“[17, 21]. ნოე ჟორდანია თავის მემუარში წერდა: „როცა წამოვაყენე დებულება საქართველოს თავისუფლების შესაძლებლობისა, ერთი გლეხი ადგა და მომახალა –

აწი ჩვენ ტყვედ სყიდვას ვერ დავუბრუნდებითო“.[13,15] იმპერიალიზმის ეპოქაში და იმ გეოპოლიტიკურ სივრცეში, რომელშიც საქართველოს უწევდა ყოფნა, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში დარჩენა, ყველაზე კარგ ვარიანტად მიაჩნდათ. საზოგადოების უმეტესი ნაწილი, რუსეთის ხელისუფლებაში მათ უსაფრთხოებას ხედავდა და ამიტომ დამოუკიდებლობის იდეა უფრო მეტად შიშს იწვევდა. იაკობ მანსვეტაშვილი მემუარებში იგონებს ილია ჭავჭავაძისა და გლეხის საუბარს: „ადრე გარეთ ვერ გამოვდიოდით. სოფელს რომ გავცილებულიყავით, ან ლეკი დაგვიხდებოდა ან შინაური ავი კაცი. სისხლი იღვრებოდა. მოსვენება არა გვქონდა, შველა არსაიდან იყო. აი, დალოცა ღმერთმა რუსის ხელმწიფე: ეხლა რა გვიშავ, აი, ქალქშიც ჩამოვდივართ სამუშაოდ, თუ რამ გასაყიდი ან სასყიდელი გვაქვს, ხელს ვიმართავთ. გზაში ხელს ვერავინ გვახლებს.“[18, 126] თუმცა ამ განწყობების პარალელურად არსებობდა ნაციონალისტური განწყობებიც, რომელიც ძირითადად ინტელექტუალურ ელიტაში გვხვდებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი შალვა ქარუმიძე წერდა: „საქართველოში იყო ხალხი, რომელთათვისაც რუსეთის ერთულება სამშობლოს ღალატი იყო და რომელთა აზრით სამშობლოს ბედნიერება და მომავალი მხოლოდ რუსეთის ნგრევაზე აშენდებოდა... ამ ხალხის თვალში რუსეთი და საქართველო ერთად ვერ თავსდებოდა და ქართველი კაცის წინაშე საკითხი ამნაირად ისმებოდა – ან სამსახური რუსეთს და ღალატი საქართველოს, ანდა ღალატი რუსეთს და განწირვა მშობელი ერისთვის“.[19, 226] არჩილ ჯორჯაძე წერდა: „ქართველი ერი ყოველთვის ებრძოდა ყველას, ვისაც კი მისი პოლიტიკური დამონება სურდა. რით აიხსნება ამგვარი გარემოება? ხალხი შევიწროებული და შეხუთულია, ხოლო მოადგებოდა რა მას გარეშე მტერი, იგი ივიწყებდა თავის ვარამს, ხელს აძლევდა თავის მჩაგვრელს და მასთან ერთად მტერს ებრძოდა. ეტყობა, ის გარეშე მტერი მას უფრო მავნებელ მტრად მიაჩნდა, ვიდრე შინაური ბატონი, რომ მიუხედავად ნივთიერი უთანასწორობისა, ქართველი გლეხი რაღაცით დაკავშირებული იყო სხვა წოდებებთან და მას თავისი შინაური მონობა ერჩივნა, გარეშე ძალის მონობას. ეს „რაღაც“ იყო – ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება, ისტორიული ტრადიცია. მაშასადამე, ქართველები იცავდნენ თავის მიწას, ენას და სარწმუნოებას. ყველა ამის დაცვა მას თავისუფლების დაცვად მიაჩნდა და გარეშე მტერს ისე უყურებდა, როგორც იმის სიცოცხლის და თავისუფლების დამამხობელს“[20, 311] ქართულ სამხედრო ელი-

ტაშიც სუფევდა დამოუკიდებლობის იდეა, როგორც გიორგი კვენიტაძე თავის მოგონებებში წერს: „უბრალო ხალხსაც დაატყო კვალი ისტორიულმა წარსულმა და მათ სულსა და გონებასაც აფორიაქებდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობაზე ფიქრი იმის მიუხედავად, რომ რუსთა ხელისუფლების ბატონობა უკვე საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდებოდა, არც საზოგადოებასა და არც ხალხში არ იგრძნობოდა რუსული კულტურისადმი სწრაფვა, პირიქით, სულ უფრო და უფრო მეტად უცხოობდნენ ამ კულტურას და, ბუნებრივია, მის შემოქმედს რუს ხალხსაც“[8, 17] კვენიტაძე არა მარტო რუსული კულტურისადმი გაუცხოებაზე საუბრობდა, არამედ შეეცადა აეხნა იმ პერიოდში მომხდარი ცვლილებები: „ხალხი ამასობაში თანდათანობით ძალას იკრებდა და უკვე კარგა ხანია, შესაფერის დროს ელოდა თავისი შელახული უფლებების ხმამაღლა დასაცავად. იმ მსხვერპლის მიუხედავად, რომელიც პრივილეგირებულ კლასს უნდა გაეღო, ყველნაირი შევიწრობის, დევნის და მკვლელობების მუხედავად, რომელიც ბუნებრივი შედეგია რევოლუციისა და ახალი წეს-წყობილებისა, ყველამ, თავადაზნაურობამ, მოსამსახურებმა, რომელთა მთავარ ნაწილს სამხედროები შეადგენენ, ვაჭრებმა, მეწარმეებმა, მუშებმა, ხალხმა – ახალი ლიდერების გარშემო მოიყარა თავი. მუშები მხარს თავიანთ სოციალისტურ ბელადებს უჭერდნენ, გლეხობა, რომელიც მხურვალედ გამოეხმაურა მათ მოწოდებებს“.[8, 18] რუსეთთან ურთიერთობასთან დაკავშირებით, დიდი პოლემიკა გაიმართა ნოე ჟორდანიასა და არჩილ ჯორჯაძეს შორის. ნოე ჟორდანია ამტკიცებდა, რომ: „მე-19 საუკუნის ისტორია არის ისტორია ჩვენი განვითარების, გაქალაქების, მუდმივი შეუჩერებელი წინმსვლელობის და კულტურული ამაღლების. და ყოველივე ეს მოხდა არა ნაციონალური კლასის დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით. ამით აიხსნება ანტირუსული უნიადაგობა ჩვენში“[12, 9]. ჟორდანია ასევე ხაზს უსვამდა იმას, რომ რუსეთმა ადგილობრივი არისტოკრატიის ძალაუფლება შეზღუდა და საშუალება მისცა ქართველ ხალხს, რომ განვითარებულიყო: „ერთი სიტყვით, ეს დროშა არ იყო ხალხის დროშა; თავად-აზნაურობის ნაციონალური ინტერესი არ შეიცავს ნაციის ინტერესებს. ნაციონალიზმი შეიქმნა რეაქციონულ საშუალებათ.“[12, 18]. არჩილ ჯორჯაძე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ პირიქით რეაქციული თავად-აზნაურობა ნაციონალური ინტერესისთვის კი არ იბრძოდა, არამედ საკუთარი თავისთვის და მათზე დაყრდნობით რუსეთი მართავდა საქართველოს [21,78]. ნაციონა-

ლიზმთან დაკავშირებით დისკუსიები განიხილებოდა მთელ XX ს-ის 10-20-იან წლებში, თუმცა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ და იმპერიების ნგრევამ, შეცვალა ძველი წარმოდგენები, სოციალისტებმაც კი დაიწყეს ისეთ თემებზე ლაპარაკი, რა თემებზეც აქამდე არ საუბრობდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრით: „ქართველი ხალხი ერთი უძველესი და კულტურული ხალხია. მან ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინ მაღალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურული სკოლა გაიარა, სანამ მიაღწევდა თავის ოქროს ხანას თამარის ეპოქაში. ქართველმა გაიარა მაღალი სახელმწიფოებრივი სკოლა ქრისტიანული ორგანიზაციისა და მონარქიული ცენტრალიზმისა. მასში დაგროვილი იყო და არის მრავალ საუკუნეთა ეროვნული განცდა, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოცდილება. ქართველი ხალხის ეს შინაგანი გაძლიერება – განძი ისტორიის გრძელ შარა გზაზე ხან ინაცრებოდა და იჩრდილებოდა გარეშე ძალების ძალმომრეობის გამო და ხან კი დიდის ბრწყინვალებითა და სიძლიერით ჩნდებოდა ხოლმე. მაგრამ თვით ხალხში განუწყვეტლივ, თვით უსაშინელ სახელმწიფოებრივი დაქსაქსვისა და გაპარტახების დროსაც კი ღვიოდა ეს ხანგრძლივი პოლიტიკური გამოცდილების განძი, შინაგან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოტენცია“[9, 39].

1917 წელის თებერვლის რევოლუციის დროს, დაიწყო უფრო აქტიურად ავტონომიის მოთხოვნის წამოყენება: „ავტონომია – აი ის მკვეთრი სიტყვა, რომელიც ეხლა ელვასავით გადადის მთელ საქართველოზე და აუცილებლად მოაქცევს თავის ცეცხლის რკალში ყველა მამულიშვილს, მას წინ, ვნახოთ თუ ვინმე აღუდგება“[22, 2]. რევოლუციის შემდეგ ინტელიგენციაში წარსულის იდეალიზებით ქართული ეროვნულ ინტერესებისთვის ბრძოლას ახალი ძალებით შეუდგნენ: „იფეთქა რევოლუციამ, დაემხვნენ ძირს პორფიმოსილნი მტარვალნი და ჯალათები. წამებულ ხალხს მოევლინა სანატრელი თავისუფლება. დღეს დაჰკრა ქართველი ერისთვის საბედისწერო ჟამმა, დღეს ეჭირვება მას ჭკუა-ფხიზელი, მაღალ-ნიჭიერი, ძლიერი ნების, მამაცი და სამშობლოს სიყვარულით აღგზნებული ბელადები, რომლებმაც უნდა აღძრან ერის სული, აამოქმედონ და აქციონ უძლეველ ლომად. გვწამს, რომ ასეთი გმირები მალე გამოჩნდებიან“[24, 2] ეროვნული მოძრაობა ახალი ძალებით იწყებდა ქადაგება-პროპაგანდას და მოქმედებას: „ბევრჯერ მიუყვანია ულმობელ ისტორიულ ქარტეხილს ჩვენი ხალხი შავი ჯურღმულის პირად, ბევრჯერ, ბევ-

რჯერ დაუსვამს მის ცხოვრებას მისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი, მაგრამ, საბედნიეროდ, სურვილი სიცოცხლის შენარჩუნებისა ყოველთვის თვალსაჩინო ყოფილა ამ ერის ცხოვრებაში. საგანი – თავისუფლება, რისთვისაც ეს ერთი მუჭა ხალხი ებრძოდა ყოველგვარ დაბრკოლებას, რისთვისაც ის ვაჟკაცურად უმკლავდებოდა კარზე მომდგარ უბედურებას – ყოველთვის ხატად და ჯვარად ჰქონდა ქართველ ერს და ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ყოფნა-არყოფნის საკითხიც ამ ერის სასარგებლოდ იჭრებოდა – თავდებოდა. ფიზიკური შენარჩუნების ალღოს ხომ თვით უდიდეს კრიტიკულ წუთებშიც ჩამოუყვია თავი ქართველების ცხოვრებაში და მოუწოდებია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედებისკენ".[25, 12] გაზეთი საქართველო ეწეოდა თავისუფლების იდეის პროპაგანდას: „ეროვნული საფრთხის წინაშე ეროვნულ ძალთა გაერთიანება-შეკავშირებას, მრავალჯერ დაუხსნია ჩვენი სამშობლო და დაუცავს ქართველი ერის არსებობა და თავისუფლება. ქართველ ერს დღეს ასეთი საფრთხე და განსაცდელი მოელის და როგორც მრავალჯერ ძველად, ისე ეხლაც, მას მხოლოდ ეროვნული მთლიანობა, ეროვნული ძალთა გაერთიანება იხსნის გაჭირვებისგან. პატარა ერი ძლიერია, როდესაც ის თავის არსებობას იცავს, მაგრამ სუსტი და უმწეოა, თუ მან ყველა თავისი ძალები ვერ გააერთიანა ამ არსებობისთვის ბრძოლაში. საქართველო კუთხეებად, ოლქებად და მაზრებად არის დაყოფილი. ქართველი ერი კლასებად, საზოგადოებრივ ჯგუფებისა და პარტიებისგან შეგება. მაგრამ საქართველო ერთია და ერთ მთლიან ეროვნულ არსს წარმოადგენს" [27, 2]

1917 წლის ოქტომბრის მოვლენებმა აბსოლუტურად შეცვალა ქართული საზოგადოების განწყობები. უკვე დამოუკიდებლობის მოთხოვნებიც და მისი პროპაგანდაც დაიწყო და საქართველოს დამოუკიდებლობას სხვადასხვა იმედებითა და ამავე დროს შიშითაც ხვდებოდნენ ქართველები. გაზეთი საქართველო წერდა: „აღიარებული დამოუკიდებლობა საქართველოსი არის პირველი გვერდი საქართველოს ახალი ისტორიისა. თუ ეს არის დასაწყისი საქართველოს აღორძინებისა, ამავე დროს ეს იქნება ქართველთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებელი ცხოვრების უნარის მაჩვენებლი მომავალში. დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ჩვენი გაძლიერება ჩვენს ხელთ არის, ჩვენს მუშაობაზედ არის დამოკიდებული. თუ გვინდა შევინარჩუნოთ საპატიო ადგილი კულტურულ სახელმწიფოთა შორის,

ჩვენ უნდა შევქმნათ საკუთარი მრეწველობა, საკუთარი ჯარი“[32, 4] საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის და დამოუკიდებელი ინსტიტუტების გაძლიერების გარდა, ქართულმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ელიტამ დაიწყო ფიქრი რუსეთის მიერ ჩაკლული პატრიოტული და მენტალური გრძნობების აღორძინებისთვის: „არა მარტო მოპოვებული თავისუფლება, საქართველოს მიწა-წყალი და დოვლათი, არამედ თვით ერის არსებობა, მისი ფიზიკური არსებობა განიცდის განსაცდელს და მოითხოვს დაცვას. საჭიროა ქართველი ერის ყველა ძალ-ღონის შემოკრება და მობილიზაცია“[26, 1]. ამის გარდა დაიწყო სახელმწიფო აზროვნების განმტკიცებისთვის და თავისუფლების დაცვის ბრძოლისთვის პროპაგანდა: „შევძლებთ პირადი ანგარიშების დავიწყებას და ერთ დროშის ქვეშ გაერთიანებას: რატომ არის ეს საეჭვო? იმიტომ რომ არც ისე ძვირად გვხვდება მაგალითები ჩვენი ფსიქიკის მოწამლისა და სულიერი „მე“-ს დაწვრილმანებისა. და ეხლა როცა საქმე და მდგომარეობა მოითხოვს ყველაფრის გადალახვას, შეერთების ყიჟინას გავცემთ შესაფერ პასუხს და გავანაღდებთ სამშობლოს იმედებს“. აი, რა კითხვები იბადება ჩვენს ცხოვრებაში! აი, რას მოგვთხოვს ჩვენ მომავალი და თუ უმტყნეთ ჩვენ მას, თუ ჩვენში რაინდულმა სულმა ვერ გაიღვიძა, მაშინ ისევ უიმედობის ბურუსი დაჰფარავს ჩვენს სამშობლოს და მისს ცხოვრებას და ვინ იცის, ეგებ კიდეცა ჩაგვიქრეს მზე დიდებისა“[25, 2]. გაჩნდა ძლიერი ლიდერის გამოჩენის სურვილები: „ვიწრო კლასობრივი, პროლეტარული რწმენა ვერ აღძრავს ერში მაღალ პატრიოტულ გრძნობას, ვერ აქცევს ქართველს ძველებურ ლომთას! საქართველოს სჭირდება სულ სხვა[...] ქუჯი და ფარნაოზი, ივანე მარუშიძე და გიორგი სააკაძე. მას ეჭირვება დღეს ეროვნული გრძნობით ზარხოზნი, გმირნი მამულიშვილნი, რომ აღძრან ერის სული, აუხილონ თვალი და დააყენონ ისტორიის სწორ გზაზე“[27, 2].

სწორედ დამოუკიდებლობის დროს გაჩნდა სურვილი ეროვნული მთავრობის არსებობისა: „მხოლოდ ეროვნულ მთავრობას, რომელიც დაეყრდნობა მთელ ქართველ ერს, შეუძლია მოიპოვოს ის ძალა და ავტორიტეტი, ურომლისოდ არ დამყარდება ჩვენში წესრიგი, მშვიდობიანობა და პიროვნების ხელუხლებლობა და თავისუფლება. საქართველოს, ქართველ ერს და ყველა მის ჯგუფებს და წევრებს მხოლოდ სულიერი გაერთიანება და შეკავშირება, სულიერი აღფრთოვანება, სიმტკიცე და თავგანწირულება იხსნის“ [28,1].

როდესაც გაჩნდა ეკონომიკური პრობლემები და გაჩნდა საფ-

რთხე, რომ ეკონომიკურ კრიზისს შეიძლება საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დიდი დარტყმა მიეყენებინა, დაიწყო ამ აზრის აქტიური უგულებელყოფა: „უნდა გავაგებინოთ ხალხს, რომ შიმშილი და წყურვილი გამოწვეულია სულ სხვა მიზეზით, რომ ეს შედეგია არა პოლიტიკური თავისუფლებისა, პირიქით, სწორედ იმისა, რომ ეს თავისუფლება ჯერ არ არის სრულიად დამყარებული და გატარებული ცხოვრებაში და საერთაშორისო განყოფილებაში. არ არის თავისუფლება მომავლის, აღებ-მიცემობის, ვაჭრობის და სხვა. შინ ჯერ კიდევ არ არის განმტკიცებული ავტორიტეტი ჩვენი მთავრობისა, იმის მოქმედებას ჯერ კიდევ წინ ეღობება სხვადასხვა მოწინააღმდეგე ელემეტები. ჯერ კიდევ არა ვართ ყველასგან ცნობილი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ამიტომ როგორც შინ, ისე საერთაშორისო არეში არეულია და აწეწილ-დაწეწილი ეკონომიკური და კულტურული ძალები. თავისუფლება სწორედ იმიტომ გვინდა, რომ ბოლო მოეღოს ამისთანა მდგომარეობას“[29, 2] ასევე, მკვიდრდებოდა იდეა, რომ რეალურად უნდა გატარებულიყო ეროვნული პროგრამა, წინააღმდეგ შემთხვევაში არანაირი დამოუკიდებლობა არ გვექნებოდა, ხშირად გაისმოდა ხოლმე: „მარტო ქაღალდს არ აქვს დიდი მნიშვნელობა ქაღალდზე ჩამოყალიბება ეროვნნული ცხოვრების პრინციპისა კიდევ არ მოასწავებს ამ ცხოვრების რალურ განხორციელებას. ეროვნული ცხოვრების გამოჭედვას უნდა დიდი დრო, დიდი ბრძოლა და მუშაობა“[30, 2].

როგორც ყველა სახელმწიფოში, ისე დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოშიც შეიმჩნეოდა ნაციონალიზმის და ეროვნული სულისკვეთების აღორძინება. იმის მიუხედავად, რომ სათავეში სოციალ-დემოკრატიული პარტია მოვიდა, ვერც კლასთა პარტიამ ვერ აუარა ნაციონალიზმს გვერდი და იძულებული გახდა, მის სხვადასხვა ელემენტებს დამორჩილებოდა. სწორედ ეს მომენტია ნაციონალიზმისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ მისი იდეოლოგიური მტრებიც კი, ხშირად იძულებულნი არიან აღიარონ ის. ნაციონალიზმი გვხდება ყველგან, მაგრამ ყველგან რა თქმა უნდა სხვადასხვა გამოვლინებები აქვს. ამიტომ არის საჭირო ნაციონალიზმის შესწავლა საქართველოში, რომ აღმოვაჩინოთ ქართული ნაციონალიზმის თავისებურებები, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტებში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვ. გურული, ნოე ჟორდანია, თბილისი, 1999.
2. ვ. გურული, ქართული სოციალ-დემოკრატია 1892-1904, თბილისი, 1995.
3. ვ. გურული, ეროვნული ცნობიერება-სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ორიენტაცია, თბილისი, 2008.
4. გელნერ ერნესტ, ნაციები და ნაციონალიზმი, თბილისი, 2003.
5. ენტონი. დ. სმითი, ნაციონალური იდენტობა, თბილისი, 2008.
6. ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია, თბილისი, 1997.
7. კარლო ჩ., ეროვნული კითხვა, ხომლი, 1908.
8. გ. კვინიტაძე, მოგონებები, თბილისი, 1998.
9. გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბილისი, 1995.
10. გ. პლეხანოვი, პატრიოტიზმი და სოციალიზმი, ტფილისი, 1906.
11. ნ. ჟორდანია, თხზულებანი ტომი I, თფილისი, 1920.
12. ნ. ჟორდანია, ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი, ქუთაისი, 1908.
13. ნ. ჟორდანია, ახალი გზით, ტ. I, თბილისი, 1920.
14. ფ. ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში, თბილისი, 2007.
15. გ. ქიქოძე, ეროვნული ენერგია, თბილისი, 1919.
16. შ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში: ფედერალისტები, თბილისი, 1993.
17. მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბილისი, 1990.
18. ჭავჭავაძე ილია, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი IV, პუბლიცისტური წერილები, თბილისი, 1987.
19. ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ისტორიიდან, თბილისი, 2002.
20. ა. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა თბილისი, 1990.
21. Э. Хобсбаум, Век империи, 1875-1914 – http://www.twirpx.com/file/361047/.
22. გაზეთი: საქართველო, რაფიელ ინგილო, უნდა აღსდგენ, 1917, N64.
23. გაზეთი: საქართველო, გიორგი გვაზავა, მკვეთრი სიტყვა, 1917, N73
24. გაზეთი: საქართველო, ნიორა, საახალწლო მილოცვა, 1918, N3
25. გაზეთი: საქართველო, განდეგილი, მკვდრეთით აღდგომამდის, 1918, N3
26. გაზეთი: საქართველო, სიმონ ქარიანი, საქართველოს ტრაგედია, 1918, N&
27. გაზეთი: საქართველო, ტიტე მარგველაშვილი, საქართველოს

მდგომარეობა, 1918, N11.
28. გაზეთი: საქართველო, გ. გორდეზიანი, ვაჭრობა-მრეწველობისთვის, 1918, N15.
29. გაზეთი: საქართველო, საქართველოს ჯარი, 1918, N45.
30. გაზეთი: საქართველო, გიორგი გვაზავა, ეროვნული დღეობა, 1919, N107.
31. გაზეთი: საქართველო, იდევ საზღვრების შესახებ, 1919, N165.
32. გაზეთი: საქართველო, მაისის გამომთელება, 1919.

Nodar (Nukri) Shoshiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History And Ethnology, Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

The Logic of the Historical Development of Nationalism on the Example of Georgia

Summary

Nationalism is in the first place a historical phenomenon. Often it is perceived as one of the ideologies. But in reality this is not only ideology. It is much significant, it is part of the identity. Therefore despite ideological differences almost all political forces have to implement the principles of nationalism. We see this on the example of many countries, including Georgia in the period 1918-1921. Despite the fact that the Social Democratic Party was in power in Georgia during the indicated period, they had to conduct policies based on the principles of nationalism. In order to understand the nature for this, we must investigate the specifics of "modernity".

Despite the fact that different social classes had their own social interests, all their steps ultimately transformed into different types of nationalist principles. From this point of view the nationalism is an integrated ideology that goes beyond political battles.

We tried to show the logic of nationalism in the modern world, in which the aristocracy, the bourgeoisie and the people, despite difference in interests, yet fit into a single national project.

დავით ჯავახიშვილი

ისტორიის დოქტორი, საქართველოს კულ-ტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნუ-ლი სააგენტოს თანამშრომელი

ქართველ ემიგრანტებზე მოწყობილი ტერორისტული აქტების ისტორიიდან

როგორ და რატომ მოკლეს ნოე რამიშვილი?

რუსეთის სფსრ-ის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის პროცესის დასრულებამდე ერთი დღით ადრე, 1921 წლის 17 მარტს, ბათუმში გამართული დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, ქართველ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა თავი ემიგრაციას შეაფარა. მათი ძირითადი ნაწილი ევროპის ქვეყნებში გაემგზავრა.

სამშობლოდან გახიზნულთა შორის აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკური მიმართულება) ერთ-ერთი ლიდერი ნოე ბესარიონის ძე რამიშვილი (1881-1930), რომელიც იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე, ხოლო სხვადასხვა დროს – შინაგან საქმეთა, სამხედრო და განათლების მინისტრი. ემიგრაციაში ცხოვრების ცხრა წლის შემდეგ, იგი ტერორისტული აქტის მსხვერპლი გახდა [1, 12-18].

წინამდებარე სტატიაში მოთხრობილია ნ. რამიშვილის ემიგრანტული მოღვაწეობისა და მისი მოკვლის გარემოებათა შესახებ.

* * *

1921 წლის გაზაფხულზე საფრანგეთში დამკვიდრებული ნ. რამიშვილი თავის მეუღლესთან მარიამ (მარო) გოგიაშვილთან და ოთხ შვილთან ერთად ცხოვრობდა ჯერ სენ-კლუ-ში, შემდეგ – ლევილში, 1929 წლიდან კი – ფონტენეი ო როზში (პარიზის მახლობლად).

მატერიალურად შეჭირვებულმა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა დაიწყო ბოსტნის დამუშავება და ოჯახისათვის საჭირო სარჩო-საზოვაგის მოყვანა. ამის პარალელურად, იგი განაგრძობდა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას და პრესაში აქვეყნებდა წერილებს, რომელთა მეშვეობითაც საერთაშორისო საზოგადოებას აცნობდა იძულებით გასაბჭოებულ საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ

პროცესებს [2, 63].

ნ. რამიშვილმა ჯერ კიდევ 1922 წელს, კონსტანტინოპოლში გამოსცა წიგნი „ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი“ [3], რასაც მოჰყვა პარიზში გამოცემული მისი მორიგი წიგნები: 1923 წელს – „რუსული კომუნიზმი და საქართველოს დემოკრატია“ [4], 1924 წელს – „საქართველო და რუსეთი“ [5], ხოლო 1931 წელს – „დემოკრატიული სოციალიზმი“ [6], რომელიც ნოე ჟორდანიას წინასიტყვაობით გამოიცა.

აკაკი ნოეს ძე რამიშვილი (1916-1999) იგონებდა: „ოჯახში მუდამ ქართულად ვლაპარაკობდით და დედ-მამა წერა-კითხვას „დედა ენით“ გვასწავლიდნენ. ოთხი და-ძმა ვიყავით. ძალიან ჰარმონიული ოჯახი გვქონდა. მამა ბავშვებს გვასწავლიდა ხოლმე ქართულ პატრიოტულ ლექსებს. თვითონაც, როცა რაიმე დოკუმენტზე მუშაობდა, ერთბაშად წამოხტებოდა და ისე გულიანად წამოიძახებდა ორიოდე პატრიოტულ სტრიქონს ჩვენი მგოსნებისა, რომ ტანში ჟრუანტელი გვივლიდა. მერე დაჯდებოდა და განსაკუთრებული ენერგიით განაგრძობდა მუშაობას“ [7, 7].

საგრანგეთში მყოფი ნოე რამიშვილი იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ერთ-ერთი წევრი.

1921 წლის მიწურულიდან იგი ჩაება ქართულ პოლიტიკურ პარტიათა შორის მოლაპარაკების პროცესში ანტიბოლშევიკური საერთო ფრონტის შექმნის მიზნით. იმავდროულად, ის გაერთიანდა ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებში საქართველოს ოკუპაციის საკითხის პროპაგანდის მიზნით შექმნილ კომისიაში.

1922 წლის 3 მარტს ჩამოყალიბებულ ინტერპარტიული კომიტეტის შემადგენლობაში ნ. რამიშვილმა საპატიო ადგილი დაიკავა. იგი თავდადებით იღვწოდა ოკუპირებული სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენის, ევროპის პოლიტიკურ წრეებში მოკავშირეების შეძენისა და საქართველოში არსებული წინააღმდეგობის მოძრაობასთან კოორდინაციისათვის.

ქართული ემიგრანტული მთავრობის წევრთაგან ნ. რამიშვილი ყველაზე აქტიურად უჭერდა მხარს ანტისაბჭოური აჯანყების გზით საქართველოს განთავისუფლების იდეას.

1926 წლიდან, პოლონეთის ხელისუფლების თანადგომით, დაფუძნდა „კავკასიის განთავისუფლების კომიტეტი“, რომელშიც გაერთიანდნენ ქართული, აზერბაიჯანული და ჩრდილოკავკასიური დევნილი მთავრობებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

კომიტეტში საქართველოს წარმომადგენლად მუშაობდა ნ. რამიშვილი, რომელიც ჟურნალ „პრომეთეს“ ფრანგულ ენაზე გამოცემაშიც მონაწილეობდა [8, 346-347].

პოლონეთის მესვეურთა მიერ წამოწყებულ ანტისაბჭოთა „პრომეთეისტულ“ მოძრაობაში ნ. რამიშვილი აქტიურად ჩაება [9, 165].

1930 წლის 7 დეკემბერს, კვირას, დღის 15 საათზე, პარიზში, იტალიის მოედანზე მიმავალი ნოე რამიშვილი რევოლვერის რამდენიმე გასროლით მოკლა ემიგრანტმა პარმენ ჭანუყვაძემ. ეს უკანასკნელი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ყოფილი ოფიცერი, გურიაში მოქმედი ანტისაბჭოთა პარტიზანული რაზმის წევრი. მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში, რომლის დროსაც მეთაურობდა ოზურგეთში მოქმედ შეიარაღებულ დაჯგუფებას.

1930 წლის 14 დეკემბერს ნ. რამიშვილი დაკრძალეს პარიზში, ბანიოს სასაფლაოზე, საიდანაც მისი ნეშტი მოგვიანებით გადაასვენეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე [8, 347].

გამოსამშვიდობებელ წერილში ნოე ჟორდანია წერდა: „ჩვენი მწუხარება უსაზღვროა. მოგვკვეთეს მარჯვენა ხელი, მოგვიკლეს ვერაგულად, ლაჩრულად. მტერმა აიღო ჩვენი ერთი უძლიერესი სიმაგრე, აიღო შიგნიდან. ვაი სირცხვილო, ვაი ველურობავ!“ [10, 197].

ქართული ემიგრაციის მკვლევართა ნაწილის ვარაუდით, ნ. რამიშვილის მკვლელი მოსყიდული უნდა ყოფილიყო სსრ კავშირის უშიშროების მიერ. ასე თვლიან, მაგალითად, ლევან ურუშაძე [11, 87] და დოდო ჭუმბურიძე [12, 328].

ნოე რამიშვილის მკვლელობის დეტალები აღწერილი აქვს მის თანმხლებ ემიგრანტს ალექსანდრე (სანდრო) მენაღარიშვილს, რომელიც იგონებდა: „შაბათ საღამოს სახლში ნოეს წერილი დამხვდა, რომელიც პარტიული კრების გამო, კვირას, 14 საათზე და 15 წუთზე „პორტორლეანზე“ შეხვედრას მთხოვდა. „იქ შევხდეთ ერთმანეთს და იქიდან კრებაზე წავიდეთო“ – მწერდა... მივედი „კაფე მარეშალ ჟურდენ“-ში, სადაც ნოე ახლადმოსული დამხვდა... დავსხედით, კრების ზოგიერთ საკითხზე ვიმუსაიფეთ. სამის ნახევარზე მეტროში ჩავჯექით და კრებაზე წავედით. გზაში სულ პარტიულ და ეროვნულ საქმეებზე მსჯელობდა... ამოვედით „პლას დ' იტალი“-ზე და გობლენის ქუჩას დავყევით. ნოე მარჯვნივ მომყვება. როდესაც გავუსწორდით XIII უბის თვითმმართველობასთან მიწის სამუშაოებისათვის აგებულ

ჯებირებს, ნოე მეკითხება: – „სანდრო! რას ფიქრობ საქართველოში მუშაობის შესახებ?“...უცებ ორჯერ გავარდა რევოლვერი. ქუჩა ხალხითაა გაჭედილი. ხალხი დაფრთხა და ჩვენს ირგვლივ ქუჩა დაცარიელდა... ვხედავ, ნახევარი მეტრი მანძილზე რევოლვერის ტუჩი შუბლში შემომყურებს. ვხედავ, ჭანუყვაძეა! აღარ მიფიქრია და რაც ძალი და ღონე მქონდა, თავი ვაძგერე ნიკაპზე. ამ დროს გავარდა მესამე და შუბლში დამიზნებული ტყვია თავის მარცხენა მხარეს გამეკრა. ვფიქრობ, დაჭრილი ვარ, მაგრამ მკვლელი ხომ ჩემს ხელშია. ერთმანეთს დავეტაკეთ, ვცდილობ იარაღი ავართვა; ის კი ეძებს შესაფერის მდგომარეობას, რომ ტყვია მომიძღვნას, მომკლას და გაიქცეს (ჩუსტები ეცვა, გასაქცევად მომზადებული იყო). მარცხენა ხელით იარაღიან ხელს ვუჭერ, მინდა დავასუსტო და განვაიარაღო. ნოეს რა დაემართა არ ვიცი; მე ის დაჭრილი მგონია და აი, ამ დროს, ამ ჭიდილში თვალი მოვკარი, რომ ჩემი ნოე ქვაფენილზე გაშხლართულიყო. ერთი წამით თვალთ დამიბნელდა. ამით ლაჩარმა მკვლელმა ისარგებლა და მომინდომა რევოლვერის ტუჩის საფეთქელზე მოდება, მაგრამ ჩემი დაბნევა წამიერი იყო; ნახულის შთაბეჭდილებით ხელი ავუკარი და მეოთხეც და მეხუთეც ჩემს თავზე გავარდა. ახლა, უკვე ცემით მისუსტებული ჭანუყვაძე დიდ წინააღმდეგობას ველარ მიწევს; ერთი გაბრძოლებაც და ის ჩაიკეცა. რევოლვერი ხელთ ჩამივარდა... სიკვდილს უკვე ხალხმა გადაარჩინა. ეს ყველაფერი ოთხ-ხუთ წუთში გათავდა. დასისხლიანებული, ცხვირპირდამტვრეული, მაგრამ სამწუხაროდ ცოცხალი, ლაჩარი ჭანუყვაძე პოლიციამ წაიყვანა. მხოლოდ კომისარიატში გავიგე, რომ ჩემი ძვირფასი ნოე იქვე გარდაცვლილიყო. არც ამოკვნესა, არც ძახილი მისგან არ გამიგონია. ან რომც დაეკვნესა, რას გავიგონებდი, ან რას ვუშველიდი მე უბედური! ვერც ვუშველე, ვერც თავი შევაკალი; ეს მწვავს და მდაგავს, ეს ტკივილებს მიძრავს და მახრჩობს“ [13, 19-20].

აღნიშნული მკვლელობის გარემოებებზე მსჯელობისას შალვა მაღლაკელიძე (1894-1976) იგონებდა: „ნოე რამიშვილი იყო ყველაზე ძლიერი პარტიული მუშაკი... რადიკალურად მტრულად განწყობილი, ბოლშევიზმი რომ სძულდა, როგორც იდეა. თუ რაიმე კეთდებოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ საქართველოში, მისი სულისჩამდგმელი იყო... ჭანუყვაძე იყო ემიგრანტი, მენშევიკი, ნოესთან ერთად წასული უცხოეთში. ერთ საღამოს წაჩხუბებულან ძალიან, რომ იტყვიან, ერთმანეთზე გაუწევიათ. ნოე არ იყო გამწევი კაცი, ჭანუყვაძე ყოფილა და ხდება ეს მენშევიკების პარტიულ კრებაზე. მეორე დღეს...

რამიშვილი მიდიოდა ქუჩაში, პარიზში და მიყვებოდა მენაღარიშვილი, კონსტანტინოპოლში ჰყავდათ წარმომადგენლად, მენშევიკი, გავლენიანი, მაგარი ბიჭი... ჭანუყვაძე მისულა უკნიდან და დაახალა რევოლვერი ზურგში. რა იყო ახლა მოკვლის მიზეზი, წალაპარაკება? მაგას ვინ დაიჯერებს? მერე რა კაცი მოკლა, ანდა რატომ უნდა მოეკლა? პარიზის პრესაში დაწერეს, რომ მოკლული შინაგან საქმეთა მინისტრი აღმოჩნდაო და წინდები დაკემსილი ჰქონდაო, ე. ი. პატიოსანი კაცი იყოო და მართლაც ასეც იყო... ფაქტია, რომ ჭანუყვაძე იყო საბჭოების დაქირავებული აგენტი“ [14, 139-140].

გამოჩენილ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეზე განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა შეძრა არა მხოლოდ ქართული ემიგრაცია, არამედ საფრანგეთის და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობა. ამას ფართო გამოხმაურება მოჰყვა პრესაშიც.

ნოე რამიშვილის, როგორც მსოფლიო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის მკვლელის გასამართლების პროცესმა, რომელიც რამდენიმე დღე გრძელდებოდა, დიდი ინტერესი გამოიწვია. ყოველივე ამის გაშუქებას საფრანგეთის პრესამ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო.

პ. ჭანუყვაძის ადვოკატი იყო ზემოხსენებული ანრი ტორესი, ხოლო მოკლულის ოჯახის ინტერესებს იცავდა ცნობილი ნაფიცი ვექილი მორო დე ჯიაფერი. სასამართლომ მკვლელს მიუსაჯა მაქსიმალური სასჯელი, რაც იშვიათად მომხდარა ამ ქვეყნის იმდროინდელ ცხოვრებაში, როცა საქმე ეხებოდა მკვლელობას პოლიტიკური მოტივით, კერძოდ, – 10 წლით პატიმრობა (სასტიკი იზოლაციით) და 20 წლით გაძევება [2, 66].

პატიმრობაში მყოფმა პარმენ ჭანუყვაძემ ცოტა ხანში დაწერა მონანიების წერილი, რომელშიც დაწყევლა ყველა, ვინც მას აღნიშნული მკვლელობა ჩაადენინა. არსებობს ცნობა, რომ ის პატიმრობისას ფსიქიურად შეიშალა და ციხეში გარდაიცვალა [13, 46], ხოლო მეორე ცნობის თანახმად, იგი არც მანამდე იყო სრულ ჭკუაზე.

აკაკი ნოეს ძე რამიშვილი იგონებდა: „ჯან-ღონით სავსე მამაჩემი ჭკუიდან შეშლილი ქართველის ხელით გამოესალმა სიცოცხლეს. ამიერიდან დედა ქართველებს აღარ უშვებდა სახლში, ვლასა მგელაძისა და კოწია კანდელაკის (იგულისხმება ფინანსთა ყოფილი მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი. დ. ჯ.) გარდა“ [7, 7].

ნოე რამიშვილის მკვლელობას სრულიად განსხვავებული შეფასება მისცეს ემიგრაციაში მყოფმა საქართველოს ეროვნულ-დე-

მოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა. მათი აზრით, რამიშვილი შეეწირა სოციალ-დემოკრატთა შიდაპარტიულ დაპირისპირებას.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალში „ახალი ივერია“ გამოქვეყნებულ სტატიაში „მენშევიკების მორიგი პროვოკაცია“ ამავე პარტიის წევრი ალექსანდრე ცომაია (1907-1956) წერდა: „პოლიტიკური ტერორი ჩვენში თვით მენშევიკებმა შემოიღეს და მათი ბანაკიდან გასროლილი ტყვია უდიდეს ქართველს (იგულისხმება ილია ჭავჭავაძე. დ. ჯ.) მოხვდა. ასეთი მოვლენები მუდამ ჩვენს გარეშე ხდებოდა და რამიშვილის სამწუხარო მკვლელობაც მენშევიკურ წრეებში ჩაისახა და შესრულდა – მენშევიკმა ჭანუყვაძემ მოკლა მენშევიკი რამიშვილი. თუ ამ მოვლენის მიზეზის ძებნას დაიწყებთ, იგი რა თქმა უნდა, უნდა ვეძებოთ იმ შურისძიებისა და ინტრიგების პოლიტიკაში, რომელსაც მენშევიკები აწარმოებენ და რომლის შედეგად ნ. რამიშვილს ხელით შეეხო ჯერ ალექსანდრე ასათიანი და მერე, მკვლელობის წინა კვირას – თვით ევგენი გეგეჭკორიც. მენშევიკებში გაბატონებული ჯგუფის „პოლიტიკა“, ან უკეთ რომ ვსთქვათ, უზნეო ინტრიგების ქსელი იქამდე გაღრმავდა, რომ მეთაურთა შორისაც ერთმანეთის დანდობა არ არის და ერთი მეორეს სამარეს უთხრიან. ხოლო ასეთი მდგომარეობის დამყარებისათვის ყველაზე ენერგიულად თვით რამიშვილი მუშაობდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მენშევიკური პარტიის ზოგიერთ მეთაურთან ერთად, პარტიული მასის უმეტესობაც მის წინააღმდეგ ამხედრდა. ჭანუყვაძეც მენშევიკებში აღზრდილი, მათი მოძღვრებით დაგეშილი და მენშევიკური პარტიის ცნობილი და ერთგული ტერორისტი, ამ გაღიზიანებულ ნერვულ ატმოსფეროში ცხოვრობდა... მაშასადამე, ჭანუყვაძემ მხოლოდ სხვებს დაასწრო და ამით შესაძლოა სხვების სიცოცხლე იხსნა“ [15].

თავის სტატიაში ალექსანდრე ცომაია ახმოვანებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა შორის გაჩენილ ეჭვს, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ხელმძღვანელობას (და მათ შორის ნოე ჟორდანიას) სურდა დაემალა ამ ტერორისტული აქტის რეალური მიზეზი, რის გამოც ნ. რამიშვილის მკვლელობას აბრალებდა ბოლშევიკებს და ამ საქმეში ემიგრანტ დ. ქერქაძეს იყენებდა.

ალ. ცომაია აცხადებდა, რომ რამიშვილის მკვლელი „ბოლშევიკების აგენტად გამოაცხადეს. ამისათვის კი საჭირო იყო რაიმე საბუთი. ასეთი საბუთი ნ. ჟორდანიამ იოლად იშოვნა – ეს იყო ცოცხალი მოწმე, – ვინმე ქერქაძე. ჟორდანიას თვალის ჩინი, ვიღაც მენაღარიშვილი მიდის ქერქაძის ბინაზე, მიჰყავს ის საქართველოს საელჩოში,

სადაც მოთავსებულია მენშევიკური პარტიის ბიურო და შალვა ბერიშვილთან (ნ. რამიშვილის დისწული) ერთად აშინებს გადასახლებითა და მოკვლით – „ხო იცი, რამიშვილიზა 100 კაცს დავხოცავთო“.

მუქარით შეშინებული უპიროვნო ქმნილება ხელს აწერს უკვე დამზადებულ წერილზე (იხ. ქერქაძის ჩვენება პრეფექტურაში), კისრულობს თქვას, თითქოს ჭანუყვაძესთან ერთად ორჯერ იყო ბოლშევიკების საელჩოში. მაგრამ ამ ყალბი მოწმობის შემდეგ, ამ საცოდავ არსებას სინდისი აწუხებს და ეძებს გამოსავალს. ვისაც ხვდება – არამენშევიკს, უამბობს თავგადასავალს და ტირილით დახმარებას სთხოვს: „შემაშინეს, მოკვლით დამემუქრნენ და ცრუ მოწმობა მაკისრებინეს. მიშველეთ, თორემ ამის გამხელისათვის უსათუოდ მომკლავენო“. ამ თხოვნით მიმართავს ქერქაძე რამიშვილით უკმაყოფილო მენშევიკებსაც (ამას მოწმობს სხვებთან ერთად ბევრი მენშევიკიც). ამავე თხოვნით მიდის ის ჩვენს პარტიულ მეგობართანაც და ამნაირად თვალწინ გვეშლება ჟორდანია-მენაღარიშვილის მიერ უბადრუკად ჩაწყობილი კრიმინალური დანაშაული“ [15].

საგულისხმოა, რომ სასამართლო პროცესზე ვერ მოხერხდა მკვლელობის რეალური მოტივის დადგენა. პარმენ ჭანუყვაძემ უარყო თავისი კომუნისტობა და საკუთარი მოქმედება ახსნა ნოე რამიშვილისადმი პირადი შურისძიებით, რაც ვითომდაც გამოწვეული იყო ამ უკანასკნელის მხრიდან მისი დევნით [16, 38; 8, 347].

სასამართლო პროცესზე გამოიძახებული ჰყავდათ ასევე ემიგრანტი გიორგი გეგელია.

ლევან ურუშაძე წერს: „ის, რომ ნ. რამიშვილის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო პროცესზე გამოიძახეს გ. გეგელია, არ არის შემთხვევითი. მის გამოცხადებას აუცილებლად მოითხოვდა პ. ჭანუყვაძე, ვინაიდან, როგორც ცხადჰყოფს საქართველოს შსს საარქივო სამმართველოში დაცული საყურადღებო მასალები, გეგელიას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა სპეცსამსახურებთან... არც ის გახლავთ შემთხვევითი, რომ პროცესზე არ გამოუძახებიათ დ. ქერქაძის მიერ დასახელებული ეროვნული მოღვაწეები“ [11, 90].

აქვე დავსძენთ, რომ დ. ქერქაძის ცნობით, პარმენ ჭანუყვაძე იმედოვნებდა, რომ პოლიციის ხელში „ჩავარდნის“ შემთხვევაში მას ვექილებს დაუქირავებდნენ ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლები: სპირიდონ კედია, ალექსანდრე ასათიანი, ლეო კერესელიძე, ალექსანდრე ამილახვარი და სიმონ ბერეჟიანი [17, 224].

არსებობს ვარაუდი, რომ ნოე რამიშვილის მკვლელობით პირადად იყო დაინტერესებული იმდროინდელი სსრ კავშირის უზენაესი ხელისუფალი იოსებ სტალინი (1878-1953). მას კატეგორიულად არ სურდა, რომ რამიშვილს დაეწერა ნაშრომი საქართველოში სოციალური მოძრაობის ისტორიის შესახებ. ამ მიზნით მან საფრანგეთში გაგზავნა საგანგებო აგენტი, რომელსაც ნოესათვის უნდა გადაეფიქრებინა ხსენებული ნაშრომის შექმნა. ამ მცდელობას საბჭოეთის ბელადისათვის სასურველი შედეგი არ მოჰყვა [18, 50].

გურამ ყორანაშვილი აღნიშნავს: „როგორც უცხოეთში საბჭოთა დაზვერვის ყოფილი უფროსი, შემდგომში სსრკ-დან გაქცეული ალექსანდრ ორლოვი (ფელდბინი) წერდა, როცა 1926 წელს, იგი, ვითარცა "ГПУ"-ს უცხოეთის განყოფილების ("ინს") უფროსი პარიზში მიავლინეს, იქაურ საბჭოთა საელჩოში შეხვდა ძველ ამხანაგს დიმიტრი ლორთქიფანიძეს, რომელიც „ცაგარელის" გვარით იყო შეგზავნილი პირდაპირ სტალინის დავალების აღსასრულებლად – კონტაქტში შესულიყო „ქართველ რევოლუციონერ" ნ. რამიშვილთან, რათა უკანასკნელს თავი დაეოკებინა და შეეწყვიტა მცდელობა საქართველოში სოციალური მოძრაობის ისტორიის დაწერისა. მაგრამ დ. ლორთქიფანიძეს ნ. რამიშვილის დაყოლიება ვერ მოუხერხებია. იქნებ ეს იყო უმთავრესი მიზეზი მისი რეპრესიისა (დახვრეტისა) დიდი საბჭოური ტერორის დროს? საბჭოთა ხელისუფლებმა, პირადად ი. სტალინმა, საწადელს მაინც მიაღწიეს თავიანთი აგენტის, ქართველი პოლიტემიგრანტის პარმენ ჭანუყვაძის ხელით" [19, 132].

* * *

ამრიგად, ემიგრაციაში მყოფი ნოე რამიშვილის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა. მისი მოკვლის გარემოებათა შესახებ განსხვავებულ და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას გვაწვდის იმდროინდელი ემიგრანტული პრესა, მემუარული და სამეცნიერო ლიტერატურა.

გრიგოლ ვეშაპელის პარიზში მოკვლის (1926 წ.) შემდეგ, ნოე რამიშვილი აღმოჩნდა ქართული ემიგრაციის მეორე გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც იმავე ქალაქში მოწყობილი ტერორისტული აქტის მსხვერპლი გახდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დავით ჯავახიშვილი, ქართველი ემიგრანტების წინააღმდეგ მოწყობილი ტერორისტული აქტების ისტორიიდან / როგორ და რატომ მოკლეს ნოე რამიშვილი პარიზში? ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“, № 103, თბილისი, 2019.
2. გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი I, თბილისი, 1991.
3. ნოე რამიშვილი, ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი, კონსტანტინოპოლი, 1922.
4. ნოე რამიშვილი, რუსული კომუნიზმი და საქართველოს დემოკრატია, პარიზი, 1923.
5. ნოე რამიშვილი, საქართველო და რუსეთი, პარიზი, 1924.
6. ნოე რამიშვილი, დემოკრატიული სოციალიზმი, ნოე ჟორდანიას წინასიტყვაობით, პარიზი, 1931.
7. აკაკი რამიშვილი, ჩვენი შეცდომები 1918-1921, თბილისი, 2000.
8. ირაკლი ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება, თბილისი, 2016.
9. ქართველები უცხოეთში, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის გამოცემა, ავტორ-შემდგენლები: რუსუდან დაუშვილი, გრიგოლ კალანდაძე, რუსუდან კობახიძე, გოჩა ჯაფარიძე, თემურ ტარტარაშვილი, წიგნი I, თბილისი, 2012.
10. ნოე რამიშვილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის გამოცემა, ავტორ-შემდგენლები დიმიტრი სილაქაძე და ირაკლი ირემაძე, თბილისი, 2018.
11. ლევან ურუშაძე, როგორ არ უნდა იწერებოდეს ისტორია, თბილისი, 2011.
12. დოდო ჭუმბურიძე, რამიშვილი ნოე ბესარიონის ძე, ენციკლოპედიური ლექსიკონი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, თბილისი, 2018.
13. ჟურნალი „ჩვენი დროშა“, № 96, პარიზი, 1981.
14. შალვა მაღლაკელიძე, მოგონებანი, წიგნში: „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, თბილისი, 1994.
15. ალექსანდრე ცომაია, მენშევიკების მორიგი პროვოკაცია, ჟურნალი „ახალი ევერია“, № 5, პარიზი, 1932.

16. ომარ თუშურაშვილი, ივანე ჯახუა, XX საუკუნის საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები, თბილისი, 2013.
17. გელა სულაძე, ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან „მეგრელ ნაციონალისტთა საქმემდე“) 1918-1953 წწ., თბილისი, 2010.
18. Был ли Сталин агентам Охранки? Сборник статей, материалов и документов, Москва, 1999.
19. გურამ ყორანაშვილი, საქართველოს უახლესი ისტორიის ღირსსახსოვარი პიროვნება, ბოლოთქმა წიგნისა: ნოე რამიშვილი, დემოკრატიული სოციალიზმი, თბილისი, 2013.

Davit Javakhishvili

Doctor of History, National Agency for Cultural Heritage Preservation Georgia

From the History of the Terrorist Acts Conducted Against Georgian Emigrants / How and Why Noe Ramishvili Was Murdered?

Summary

After the occupation of the Georgian Democractic Republic by the military forces of the Russian SFSR, important part of Georgian public and political figures escaped to foreign countries.

Among them was Noe Ramishvili (1881-1930), a famous public, political and state figure of Georgia's first republic (1918-1921), one of the leader of Georgian social-democratic party (direction of mensheviks), in different times: first prime minister (May-June of 1918), minister of internal affiars, minister of defence, minister of education.

Noe Ramishvili lived in France, in different times: Sen-Clu, Levile and Fonteney o Rose (near Paris). In December 7 of 1930 hi was murdered in Paris by the terrorist act.

The article tells about the story of the work and murder of this prominant Georgian public and political figure.

ალექსანდრე წურწუმია

პოლიტიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლექტორი

მიხეილ ჯავახიშვილი საქართველოს გეოსტრატეგიის შესახებ

მიხეილ ჯავახიშვილმა უდიდესი კვალი დატოვა XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის განვითარებაში. ასევე, დიდ ყურადღებას იმსახურებს მისი პუბლიცისტიკა, განსაკუთრებით 1918-1921 წლების ანუ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდის სტატიები. საბჭოთა პერიოდში გამოქვყნებულ თხზულებათა კრებულში ეს სტატიები არ ხვდებოდა. ამ გარემოებას აქვს თავისი ლოგიკური ახსნა. ვინაიდან, ზემოაღნიშნული პერიოდის სტატიებში ასახულია პოლიტიკური პრობლემატიკა, საქართველოს საზღვრისა და დამოუკიდებლობის საკითხები, საბჭოთა ცენზურა კრძალავდა მათ გამოქვეყნებას.

1992 წელს ჟურნალში „განთიადი“ გამოქვეყნდა მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტური წერილები, რომელიც ეხება ზემოაღნიშნულ თემატიკას [1]. იმავე ჟურნალში დაიბეჭდა ავთანდილ ნიკოლაიშვილის სტატია „მიხეილ ჯავახიშვილი პუბლიცისტიკა 1917-1920 წლებში“ [2]. მიხეილ ჯავახიშვილის ხედვა საქართველოს საზღვრის შესახებ ფრიად საინტერესოდ წარმოაჩინა დოდო ჭუმბურიძემ [3].

1917-1921 წლებში, მიხეილ ჯავახიშვილი აქტიურად თანამშრომლობდა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიასთან, იყო ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქვეყნებდა სტატიებს, ამ პერიოდში გამომავალ, პარტიულ გაზეთში „საქართველო“.

მიხეილ ჯავახიშვილის სტატიები შეიცავს, როგორც მსოფლიო (გლობალური) პოლიტიკის და ასევე, რეგიონალური პოლიტიკის საკითხებს. თუმცა, საყურადღებო გარემოებას წარმოადგენს ის, რომ ავტორი ცდილობს გაანალიზოს გლობალური პროცესები რეგიონალური მოვლენების და პირიქით, ლოკალური პროცესები წარმოაჩინოს მსოფლიო პოლიტიკის ჭრილში. სტატიები იმსახურებს ყურადღებას, არა მარტო მათში განხილული საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, არამედ მათი ანალიტური დონის და მოვლენათა, პოლიტიკურ პროცესთა ჭვრეტის გამოც.

ჩვენს სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ მიხეილ ჯავახიშვილის მიერ გამოცემულ წერილზე – „კარებები ჩავკეტოთ! (გადამიჯვნის საფუძველი)“. წერილი გამოქვეყნდა 1918 წლის 24 იანვარს [4].

თავის სტატიას მიხეილ ჯავახიშვილი იწყებს განხილვით თუ რა სახის საზღვრები არსებობს. მისი ხედვით ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის სტრატეგიული.

„სანამ რუსეთი დაიშლებოდა, ამიერკავკასიის გადამიჯვნა სხვადასხვანაირ საფუძველს იღებდა; რეალ მოსახლეობას, ტოპოგრაფიულ მდებარეობას, ეკონომიურ მთლიანობას და ისტორიულ-საზღვრებს. არსად და არავის გაუხსენებია ერთი ძირითადი და უმთავრესი დებულება გადამიჯვნისა – სტრატეგიული. ამ დებულების გახსენება თითქო საჭიროც არ იყო, რადგანაც აზრადაც არავის მოუვიდოდა მთლიან რუსეთის შინაური, ადმინისტრაციული დახაზვა სტრატეგიულ მოსაზრებათა მიხედვით.

ეხლა, როცა რუსეთი დაიშალა და მის საზღვრებში აღმოცენდა ფაქტიურად რამდენიმე სახელმწიფო, რომელთა დამოუკიდებლობა შეიძლება დღეს თუ ხვალ ფორმალურად დაკანონდეს, ამიერკავკასიის გადამიჯვნას წინანდელი საფუძველი უნდა გამოეცალოს და მის ნაცვლად დედაბოძად უნდა ჩაუდგეს ერთადერთი მოსაზრება – სტრატეგიული“ [4].

გეოპოლიტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრაქტიკულ მიმართულებას წარმოადგენს გეოსტრატეგია ანუ სამხედრო თავდაცვისათვის და ომიანობის ჟამს გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინება და გამოყენება. უდიდესი წვლილი გეოპოლიტიკის განვითარებაში შეიტანეს გერმანული „ორგანიციზმული“ სკოლის წარმოამდგენლებმა, რომელნიც სახელმწიფოს ცოცხალ ორგანიზმს ადარებდნენ. ამ სკოლის წარმომადგენლები მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებდნენ სახელმწიფოს საზღვრის საკითხზე. კერძოდ, ფრიდრიჰ რატცელი გამოყოფდა ექსპანსიის 7 კანონს, ხოლო ერთ-ერთი აღნიშნავდა, რომ „საზღვარი არის სახელმწიფოს განაპირა ორგანო“ [5, 74].

საზღვარზე ამახვილებდა ყურადღებას გერმანული სკოლის კიდევ ერთი წარმომადგენელი რუდოლფ ჩელენი, რომელიც ცუდ საზღვარს ადარებდა ღია ან ნახევრად ღია კარს ძველ სახლში [5, 88]. ვფიქრობთ, მიხეილ ჯავახიშვილი კარგად იცნობდა იმჟამინდელ გეოპოლიტიკურ ხედვას. ეს იმ გარემოებითაც ჩანს, რომ მსგავსად ჩელენისა მიხეილ ჯავახიშვილი ხაზს უსვამს სტრატეგიულ მდებარე-

ობას და თავდაცვისუნარიანობას კუნძულოვანი სახელმწიფოებისა – დიდი ბრიტანეთი და იაპონია. თუმცა, ამ ქვეყნებთან ერთად იხილავს რა ამერიკის ხარჯებს თავდაცვის საკითხზე, იგრძნობა ილია ჭავჭავაძის ხედვის გავლენა, რომელიც მან გამოთქვა ევროპის მილიტარობისადმი მიძღვნილ სტატიათა ციკლში.

„სახელმწიფოსთვის და ერისთვის არ არსებობს უმაღლესი და უდიდესი კანონი თვინიერ თვისი ფიზიკური არსებობის დაცვისა. ადვილად იცავს და ინახავს თავის თავს ის ერი და ის სახელმწიფო, რომელიც ბუნებრივ ჩარჩოშია მოქცეული. სახელმწიფო ყოველთვის ისწრაფვის ჩაჯდეს ისეთს საზღვრებში, რომელთა დაცვა ხიფათის დროს მოითხოვს მისგან მინიმუმს მისი ძალ-ღონისა. ასეთ საზღვრებად ჩაითვლება ზღვა, დიდი მდინარე, მაღალი მთის ქედი, ჭაობი, უდაბნო და სხვა ასეთი გარდუვალი და მიუსავალი ბუნებრივი დაბრკოლება. ასეთ ბუნებრივ ჩარჩოში ჩამჯდარი ერი ბედნიერია. მშვიდობის დროს იგი შედარებით სხვებთან ძალიან ცოტას ჰხარჯავს თავის საზღვრების დასაცავად (იაპონია, ინგლისი, ამერიკა), ომის დროს კი ადვილად იგერიებს მტერს, ვინაიდან იგი თითქმის მიუვალია. უბედურია ის ერი, რომელსაც ასეთი საზღვარი არ აქვს, იგი უთვალავ ფულსა და ენერგიას ხარჯავს თავის დასაცავად. აშენებს მილიონებად ღირებულ ციხეებს, ამაგრებს მისავალ გზებს და იძულებულია შეინახოს მუდმივი დიდი ჯარი“ [4].

მიხეილ ჯავახიშვილი სტატიაში აყალიბებს ხედვას, რომ საზღვარი არ უნდა ეფუძნებოდეს ეთნიკურ ფაქტორს და მისი გავლების დროს გათვალისწინებულ უნდა იყოს ისტორიული მემკვიდრეობა. იგივე ხედვა და მიდგომა საკითხისადმი ჩამოაყალიბა შემდგომში ივანე ჯავახიშვილმა.

„საქართველო ამ მხრივ ბედნიერი არ არის, მაგრამ არც უბედურთა შორის არის. მას აქვს თავისი ბუნებრივი საზღვრები. (საქართველოს ბუნებრივი საზღვრები ამავე დროს, მისი სასიცოცხლო საზღვრებიცაა – ა. წ.). მას აქვს თავისი ბუნებრივი სტრატეგიული საზღვრები. გადახედეთ საქართველოს რუკას. მისი ეკონომიური, ტოპოგრაფიული, სტრტეგიული და ისტორიული საზღვრები ერთ და იგივე არიან. ბევრი სახელმწიფო ინატვრის ასეთს მთლიანობას და მკაფიოდ გამოჭრილ-გამოკვეთილ ჩარჩოს. უდიდესი ბოროტება იქნება წინაშე ჩვენი ერისა და მისი მომავლისა ამ ბუნებრივ ჩარჩოს დარღვევა მხოლოდ იმიტომ, რომ მის ამა თუ იმ მცირე კუთხეში ქართველი უმცირესობას შეადგენს. ამ მთლიან ჩარჩო-საზღვრების

შესაქმნელად ჩვენს წინაპრებს ზღვა სისხლი დაუღვრიათ და მრავალი თაობა მისთვის შეულევიათ“ [4].

მ. ჯავახიშვილმა გამოყო ის სტრატეგიული მიმართულებები, რომლებიც წარმოადგენდა საქართველოს კარს და გზას მის დასაკავებლად. ის წერს: „ჩვენი წინაპრები სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ შეენახათ საქართველოს ბუნებრივი სტრატეგიული საზღვრები და ჩაეკეტათ მისი კარებები და გზები მომავალნი არტაანიდან, ახალქალაქიდან, ყაზახიდან, დარიალიდან და საინგილო-დაღესტნიდან“ [4].

თავის წერილში, მიხეილ ჯავახიშვილი აკრიტიკებს სოციალისტებს. თუმცა, კრიტიკა გამოწვეული არა იდეოლოგიური განსხვავებით და გარემოებით, არამედ საზღვრის საკითხისადმი უყურადღებობით.

„ჩვენი უბედურება და ღვთის რისხვა ის გახლავთ, რომ რაც მაშინ მტრებმა ძალით წაგვართვეს, ასი წლის ომით წაიღეს. ცეცხლითა და მახვილით მოიპოვეს, ამას ეხლა სოციალისტები ნებაყოფლობით უთმობენ. პროგრამაში ჩადებული რეალ მოსახლეობის პრინციპის განხორციელება სისხლით მორწყავს კახეთსა და ბორჩალოს, ახალქალაქსა და ახალციხეს“ [4].

სტატიის ბოლოს მ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „პირველი და უკანასკნელი სიტყვა გადამიჯვნის საქმეში ამიერკავკასიის უდღეურ სეიმს კი არ ეკუთვნის, არამედ ჩვენს ეროვნულ საბჭოს. აქ სადავო არაფერია. სტრატეგია ერთია და მისი ძირითადი კანონები ყველასთვის სავალდებულოა. საქართველოს საზღვრები დღევანდელ საერთო ვითარების მიხედვით ნათლად და მკაფიოდ არის მოხაზული, და ჩვენს დეპუტატებს არ შეუძლიანთ მათი დათმობა-დარღვევა, ვინაიდან პასუხისგება ისე მძიმეა და დიდი, რომ მის ტარებას ვერავითარი სინდისი და კისერი ვერ შეძლებს“. [4]

ჩვენს მიერ გაანალიზებული მიხეილ ჯავახიშვილის სტატია წარმოადგენს პირველს იმ სტატიათა შორის, რომელშიც მის მიერ განხილულია საქართველოს საზღვრების საკითხი. ვფიქრობთ, განხილული სტატია ადასტურებს გამოთქმულ მოსაზრებას, მიხეილ ჯავახიშვილის ანალიტიკური და შორსმჭვრეტელი უნარის შესახებ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. მიხეილ ჯავახიშვილი, პუბლიცისტური წერილები, ჟურნალი „განთიადი“, თბილისი, 1992, №№ 7-8; 9-10.

2. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი პუბლიცისტიკა 1917-1920 წლებში, ჟურნალი „განთიადი“, თბილისი, 1992, № 9-10.
3. დოდო ჭუმბურიძე, მიხეილ ჯავახიშვილის ერთი წერილი საქართველოს საზღვრების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 2008, II (4).
4. მიხეილ ჯავახიშვილი, კარებები ჩავკეტოთ! (გადამიჯვნის საფუძველი), გაზეთი „საქართველო“, თბილისი, 24 იანვარი, 1918.
5. ალექსანდრე წურწუმია, გეოპოლიტიკური ცვლილებები დროსა და სივრცეში, თბილისი, 2016.

Alexander Tsurtsumia

Doctor of Political Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Social and Political Science Faculty lecturer

Mikheil Javakhishvili about Georgias's Geostrategy

Summary

In the period of First Democratic Republic (1918-1921) Micheil Javakhishvili payed huge attention on political processes. He was one of the founders Georgian National Democratic Party. In newspaper „Gerogia“ Micheil Javakhishvili analysis subject of World Politics, Regional Politics and problem of peace.

In article published in 24 January of 1918 in article „Lock Doors“ Javakhishvili payed attention on the problem of state borders. His vision is similar to vision of representatives of German „organicist“ geopolitical school. Javakhishvili also, as Friedrich Ratzel and Rudolf Kjellen considered the border a strategic object of state attention.He called on governments to pay attention to the issue of demarcation and the protection of state borders.

The articles of Mikheil Javakhishvili clearly show his analytical thinking and ability to predict political events.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ქართველთა ეროვნული ერთობისა და თვითშეგნების დაცვისათვის ბრძოლის ისტორიიდან (1925-1975 წლები)

რუსეთის იმპერატორებმა, რომლებიც ბაგრატოვან ხელმწიფეებს მათი სამეფოების ავტონომიურობის შენარჩუნებას აღუთქვამდნენ, პირობა ურცხვად დაარღვიეს და XIX საუკუნის დასაწყისიდან დაწყეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამეფო-სამთავროების თანდათანობითი დაპყრობა-შეერთება. ამის პარალელურად, ისინი ქართველი ერის ასიმილაციის გეგმის განხორციელებასაც შეუდგნენ.

იმპერიის ამ ვერაგულ პოლიტიკას მედგრად დაუპირისპირდა ქართველი ერის ღირსეული ნაწილი, რომელიც ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოსპობას და ასიმილაციის მცდელობას არასდროს არ შეგუებია.

XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ბაგრატოვანთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის ღირსეული წარმომადგენლები – იმერეთის მეფე სოლომონ II (მეფობდა 1789-1810 წლებში) და ქართლ-კახეთის მეფე გრიგოლ I (მეფობდა 1812 წლის თებერვალ-მარტში), ასევე, უფლისწულები [1].

ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო სახლების წევრთა უმეტესობის დაპატიმრებისა და რუსეთში გადასახლების, ხოლო რამდენიმე მათგანის ოსმალეთსა და სპარსეთში გადახვეწის შემდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას საქართველოში სათავეში ჩაუდგა ეროვნული ინტელიგენცია, რომელიც ძირითადად თავადაზნაურთა წრიდან გამოვიდა.

1832 წლის მიწურულს საქართველოში გამჟღავნებული ანტიიმპერიული შეთქმულების მონაწილეთა უმეტესობა სამეფოს აღდგენას ბაგრატიონთა დინასტიის რესტავრაციასთან ერთად გეგმავდა.

60-იანი წლებიდან საქართველოში ასპარეზზე გამოვიდნენ

თერგდალეულები, რომლებსაც დიდი ილია ჭავჭავაძე (1837-1907) მესვეურობდათ.

ქართველი ერის ღირსეული ნაწილის გმირული ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის გრძელდებოდა საუკუნეზე მეტხანს, კერძოდ, რუსეთის ცარისტული იმპერიის დანგრევამდე (1917 წლის 2 მარტი) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებამდე (1918 წლის 26 მაისი).

რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება ქართველი ერის მიმართ, ისევე როგორც ნებისმიერი იმპერიის მთავრობა მათ მიერ დაპყრობილ ხალხთა მიმართ, გეგმაზომიერად ახორციელებდა პოლიტიკას *"divide et impera",* ანუ „დაჰყავი და იბატონე". ეს ნათლად გამოჩნდა მაშინ, როდესაც რუსმა იმპერიალისტებმა ერთიანი ქართველი ერისაგან მისი შემადგენელი ეთნოგრაფიული ჯგუფების – მეგრელების, სვანების და აჭარლების ჩამოცილება და ცალკე ერებად გამოცხადება სცადეს. ამ ვერაგულ გეგმას მედგრად დაუპირისპირდა ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილი, რომელთა შორისაც ღირსეული ადგილი ეკავათ სწორედ ამ რეგიონებიდან გამოსულ მოღვაწეებს. მათი დიდი ძალისხმევით, ეს ვერაგული გეგმა იმხანად ვერ განხორციელდა.

ამდენად, იმპერიის მესვეურების და მათი დამქაშების (რომელთა შორისაც, სამწუხაროდ, სულგაყიდული ქართველებიც იყვნენ) გაშმაგებული ბრძოლა ქართველი ერის თვითმყოფადოებისა და ერთობის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ფრონტზეც მძაფრად მიმდინარეობდა. ეს პოლიტიკა მემკვიდრეობით გადაეცა რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებული ახალი სახელმწიფოს – სსრ კავშირის ხელისუფლებას.

1926 წელს სსრ კავშირში ჩატარდა მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა, რომლის შედეგებიც ოფიციალურად გამოიცა. აღწერაში ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა (საერთო რაოდენობა – 1 მილიონ 797 960 ადამიანი) შორის გამოყოფილნი იყვნენ: ა) აჭარლები (71 399 ადამიანი), ბ) მეგრელები (242 329 ადამიანი), გ) ლაზები (639 ადამიანი) და დ) სვანები (13 158 ადამიანი) [2].

ეს იყო ისტორიულად არსებული ერთიანი ქართველი ერის რამდენიმე ნაწილად დაქსაქსვის გეგმის განხორციელების ვერაგული და ამაზრზენი მცდელობა.

აღნიშნულ გეგმას წინ ქართველ მამულიშვილთა საუკეთესო

ნაწილი აღუდგა. მათი ძალისხმევით მოხერხდა, რომ 1939 წელს სსრ კავშირში ჩატარებული მოსახლეობის მეორე საყოველთაო აღწერისას, ეს დანაშაულებრივი აქტი აღარ განმეორებულიყო.

ვფიქრობთ, საყურადღებოა იმის გარკვევა, თუ როგორ და კონკრეტულად რომელი პიროვნებების დახმარებით მოხერხდა ჩვენი ერის დაქსაქსვის გეგმის ჩაშლა XX საუკუნის 20-30–იან წლებშიც და შემდგომ პერიოდშიც.

წინამდებარე ნაშრომში დადგენილია, რომ ქართველ მამულიშვილებს ამ საქმეში თანადგომა გაუწიეს სსრკ-ის უზენაესმა ხელისუფალმა – იოსებ სტალინმა (1878-1953) და მისი ნდობით აღჭურვილმა ლავრენტი ბერიამ (1899-1953), რომლებიც იმხანად ყველაზე გავლენიანი ქართველები იყვნენ. აქვე განხილულია მათი ხასიათის „ქართული გამოვლინებანიც“, რისი წყალობითაც შესაძლებელი გახდა არაერთი საჭირბოროტო პრობლემის მოგვარება და მათ შორის დიდი მეცნიერის – ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) რეაბილიტაციაც. ასევე შესწავლილია, თუ როგორ ვითარდებოდა ზემოხსენებული მოვლენები სტალინისა და ბერიას გარდაცვალების შემდგომ პერიოდში. სტატიის ქრონოლოგიური ჩარჩო 1925-1975 წლებს, ანუ ნახევარ საუკუნეს მოიცავს.

ამ ნარკვევის ძირითადი მიზანია წარმოჩინდეს, თუ რა რეალური საფრთხეების წინაშე აღმოჩნდა რუსეთის სფსრ-ის შეიარაღებული ძალების მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში დაპყრობილი საქართველო და თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი და როგორ მოხერხდა აღნიშნული პრობლემების მოგვარება.

დღევანდელი გადასახედიდან რაც არ უნდა მიუღებლად ჩანდეს სტალინი, ბერია და მთელი მათი საქმიანობა, ვფიქრობთ, აუცილებელია, რომ მიუკერძოებლად შევაფასოთ მიერ განხორციელებული როგორც უარყოფითი საქმეები (ასეთი კი ბევრი იყო), ასევე დადებითი როლიც (რაც ასევე იყო), რამაც ქართველი ერის უახლეს ისტორიაში აშკარად პოზიტიური როლი შეასრულა.

საბოლოოდ, მკაფიოდ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: თვით სსრ კავშირში არსებული ტოტალიტარული რეჟიმი იმდენად მანკიერი მოვლენა გახლდათ, რომ მის სამსახურში ჩამდგარი პიროვნებანი ძალაუნებურად ზომბებად ყალიბდებოდნენ. ხოლო ის ადამიანები, რომლებიც განსხვავებულად აზროვნებდნენ, მაგრამ აღნიშნულ სისტემას, გარემოებათა გამო, იძულებულნი ემსახურებოდნენ, ფაქტობრივად მსხვერპლის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

აქვე დავსძენთ, რომ ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული ზემოხსენებული იმპერიალისტური პოლიტიკის გამოვლინებანი დღესაც კი შეინიშნება. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ ბოლო პერიოდში რუსეთის ფედერაციაში ჩატარებულ მოსახლეობის საყოველთაო აღწერებში, ამ ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების დაკვეთით, უკვე ფიქსირდება ეროვნებები: მეგრელი და სვანი (ქართველისაგან გამიჯნულად), ხოლო სხვადასხვა ქვეყნებში იბეჭდება სამეცნიერო ნაშრომის პრეტენზიის მქონე ფსევდომეცნიერული წიგნები, რომლებშიც მარკ იუნგეს, ბერნდ ბონვეჩისა და დანიელ მიულერის სახელებს ამოფარებული რუსი იმპერიალისტები ააშკარავებენ თავიანთ ძირგამომთხრელ გეგმას ქართველი ერის ერთიანობის წინააღმდეგ. ასეთი წიგნებია, მაგალითად, 2015 წელს თბილისში გამოცემული „ეთნოსი და ტერორი საქართველოში“ [3], 2017 წელს მოსკოვში გამოცემული “Грузия в пути“ [4] და სხვა.

* * *

შინაგან საქმეთა და უშიშროების სტუქტურების თანამშრომელმა ლავრენტი ბერიამ საბჭოთა სახელმწიფო სამოღვაწეო ასპარეზზე სწრაფი კარიერული წინსვლა მოახერხა. ის 32 წლის ასაკში დაინიშნა ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარედ და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის წევრად, რაც ახალგაზრდა კაცისათვის დიდ წარმატებას ნიშნავდა.

1931 წლის 14 ნოემბრიდან ბერია სათავეში ჩაუდგა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტურ პარტიას, ხოლო 1932 წლის 17 ოქტომბრიდან – ამიერკავკასიის კომპარტიის სამხარეო კომიტეტს. 1938 წლიდან იგი სამუშაოდ მოსკოვში გადაიყვანეს. 1938 წლის 22 აგვისტოს იგი დანიშნეს სსრკ-ის შინაგან საქმეთა კომისრის პირველ მოადგილედ, ხოლო 25 ნოემბრიდან – კომისრად დააწინაურეს. მომდევნო 15 წლის განმავლობაში იგი სსრ კავშირის ხელისუფლების ერთ-ერთ წამყვან ფიგურას წარმოადგენდა.

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლ. ბერია – 1941 წლის 3 თებერვალს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ (კომისრის პოსტის დაუტოვებლად) დანიშნეს. 1941 წლის ივლისიდან იგი დაინიშნა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრად, ხოლო 1944 წლის მაისიდან – თავმჯდომარის მოადგილედ.

იყო საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, სსრკ I–III მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი [5, 401].

თავისი წარმატებული კარიერის მიწურულისათვის ლ. ბერია იყო: სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი (1946 წლიდან), შინაგან საქმეთა მინისტრი (1953 წლის 5 მარტიდან), მარშალი (ეს წოდება მიენიჭა 1945 წლის 9 ივლისს), სოციალისტური შრომის გმირი (1943 წ.) და სტალინური პრემიის ლაურეატი (1949 წ.). მას მიღებული ჰქონდა შემდეგი საპატიო ჯილდოები: ლენინის 5 ორდენი, სუვოროვის I ხარისხის ორდენი, სსრკ-ის წითელი დროშის 2 ორდენი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წითელი დროშის საბრძოლო და შრომითი ორდენები, აზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შრომის წითელი დროშის ორდენები, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სუხე ბატორის და წითელი დროშის ორდენები, ტუვის რესპუბლიკის ორდენი და სხვ. [6, 106-107].

ლ. ბერია დაიღუპა დღემდე გაურკვეველ ვითარებაში. ოფიციალური ვერსიის თანახმად, 1953 წლის 26 ივნისს იგი დააპატიმრეს, გაასამართლეს და გამოტანილი განაჩენის შესაბამისად, იმავე წლის 23 დეკემბერს დახვრიტეს [7, 55-57]. თუმცა არსებობს მისი დაღუპვის სრულიად სხვა ვერსიებიც.

ბერიას გარდაცვალებიდან თითქმის შვიდი ათეული წელი გავიდა. მის შესახებ ინტერესი ძალზე დიდია როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოშიც. ამაზე მიუთითებს მასზე სხვადასხვა ენებზე დაწერილი მრავალი ნაშრომი.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერაც არ შექმნილა ნაშრომები, რომელშიც ამომწურავად და ობიექტურად იქნებოდა შეფასებული ხსენებული პიროვნების მოღვაწეობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მომავალში მაინც მოხდება.

ერთი რამ უდავოა, რომ ლავრენტი ბერია იყო უაღრესად რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნება, ერთის მხრივ – სასტიკი და დაუნდობელი თავის მოწინააღმდეგეთა მიმართ, თუმცა იმავდროულად, ნიჭიერი და უნარიანი ორგანიზატორი, რაც მის მიერ განხორციელებული არაერთი უმნიშვნელოვანესი საქმით დადასტურდა. აქ ბევრი რამის ჩამოთვლა შეიძლება, თუმცა, ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ერთის გახსენებაც კმარა: იგი ხელმძღვანელობდა სახელმწიფო კომიტეტს, რომელსაც ევალებოდა ატომური იარაღის შექმნა და რაც

1949 წელს წარმატებით განხორციელდა. მისი წყალობით სსრ კავშირი ატომური იარაღით აღიჭურვა.

ამ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნებულ სტატიაში შევეცადეთ მიმოგვეხილა, თუ როგორ აისახა ლ. ბერია თავისი რამდენიმე თანამედროვის მემუარებში, რომელთა ავტორებიც იყვნენ: გრიგოლ რობაქიძე, შალვა მაღლაკელიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, კანდიდ ჩარკვიანი და სხვები [8, 371-393]. იმავე სტატიაში აღვნიშნეთ, რომ რადგან მემუარული ლიტერატურა არ არის დაზღვეული სუბიექტურობისაგან, ამას ბუნებრივია, ვერც ზემოხსენებული ავტორები ასცდებოდნენ [8, 372].

ამდენად, აღნიშნულ მოგონებებსაც საკმაოდ კრიტიკულად უნდა მოვეკიდოთ, თუმცა მათი გათვალისწინება მაინც საჭიროდ მიგვაჩნია სწორი წარმოდგენის შესაქმნელად ისეთი მასშტაბების მქონე წინააღმდეგობრივ პიროვნებაზე, როგორსაც ლ. ბერია წარმოადგენდა.

ლავრენტი ბერიას საქმიანობასა და შედეგებზე მსჯელობას თავის მემუარებში ვრცელი ადგილი დაუთმო ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მწერალმა და მთარგმნელმა გერონტი ქიქოძემ (1885-1960), რომელიც წერდა: „ბერიას აღმავლობა ნეპის პერიოდში დაიწყო. ეს ადვილად გასაგებია. ძველი პარტიული გვარდიის რიგები, რომელთაც ვერ შეძლეს იდეური გადაიარაღება, შეთხელდნენ. ლენინის თანამებრძოლნი საეჭვოდ იყვნენ გამოცხადებულნი მარჯვნივ ან მარცხნივ გადახრისაკენ. მყარდებოდა სტალინის ერთპიროვნული დიქტატურა. ცხადდებოდა, რომ აზროვნება მის პრივილეგიას წარმოადგენდა. ძველი პარტიული ვეტერანების წინაშე ბერიას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ სრულიად თავისუფალი იყო ყოველგვარი მწიგნობრული დოგმებისა და სინდისის ქეჯნისაგან. მან ინსტიქტურად სწორად განსაჯა, რომ მისი კარიერისათვის უმჯობესი იყო ბელადის კეთილგანწყობა მოეპოვებინა, ვიდრე ერკვია, რამდენად შეესაბამებოდა ენგელსის „ანტიდიურინგის“ და მარქსის „კაპიტალის“ სამი ტომის იდეებს ერთს განცალკევებულ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების ცდა. და თავისი კარიერისათვის მან ოსტატურად გამოიყენა სტალინის პატივმოყვარეობისა და იჭვიანობის გრძნობები...

ბერიას ბატონობის წლები საქართველოში განსაკუთრებით საბედისწერო იყო გლეხკაცობის შეძლებული ნაწილისა და ინტელიგენციისათვის. ის როლი, რომელსაც ბერია თბილისში ჯერ საგანგებო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე ასრულებდა, ხოლო შემდეგ ცენ-

ტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე, მით უფრო შავ-ბედითი იყო, რომ მან საჭიროდ დაინახა საქართველოს კეთილის-მსურველის ნიღაბი აეფარებინა და იმ ელემენტების პატრიოტულ გრძნობებზე ემოქმედა, რომელნიც მის ტერორს გადაურჩნენ. სხვათა შორის, მან საგანგებოდ თავის ბინაზე მიიწვია და საქართველოს ის-ტორიაზე რამდენიმე ლექცია წააკითხა ახალგაზრდა მეცნიერს სიმონ ჯანაშიას, ცნობილს თავისი პატრიოტიზმით და პატიოსნებით... ბე-რიამ, რასაკვირველია, ადვილად შეატყო, რომ სტალინს განსაკუთ-რებით პატივმოყვარეობის დემონი ჰქეჯნიდა. ამ დემონს შეეწირა მრავალი ქართველი მწერლის, მეცნიერის და ხელოვანის ადამიანური ღირსების გრძნობა“ [9, 82-90].

შეუძლებელია არ დაეთანხმო გერონტი ქიქოძეს იმაში, რომ სტალინის ნებით მთელ სსრ კავშირში, ხოლო ბერიას უშუალო ხელ-მძღვანელობით საქართველოში განხორციელებულ რეპრესიებს უამ-რავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, თუმცა ისიც ფაქ-ტია, რომ სწორედ ამ ორი პიროვნების ჩარევით მოხერხდა შეჩერება იმპერიული პოლიტიკის იმ მიმართულებისა, რომლის განხორციელე-ბაც საქართველოს და ქართველ ერს უდიდეს ზიანს მოუტანდა.

* * *

აღსანიშნავია, რომ ლ. ბერია თავიდანვე შეურიგებელ დამოკი-დებულებას ამჟღავნებდა მათ მიმართ, ვინც სამეგრელოს ავტონომი-ის შექმნის სასარგებლოდ მუშაობდა.

1925 წელს გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნდა საქართველოს სსრ-ის საგანგებო კომისიის (იგივე “ЧК“-ს) თავმჯდომარის მოადგი-ლისა და საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის (იგივე “СОЧ“-ის) უფ-როსის ლ. ბერიას სტატია „მეგრელ ავტონომისტთა შესახებ“, რო-მელშიც ვკითხულობთ: „სამეგრელოს ავტონომია – ეს ნაბიჯის უკან გადადგმაა, ეს არის ნახტომი 300 წლით უკან. სამეგრელოს გლეხო-ბაც და სამეგრელოს ინტელიგენციაც გაბედულად ილაშქრებენ ასეთ მოძრაობის წინააღმდეგ“ [10].

იმავე წელს და იმავე გაზეთში გამოქვეყნდა გამოჩენილი ქარ-თველი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და მეცნიერის თედო სახო-კიას (1868-1956) თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში სიტყვით გამოსვლის ტექსტი, რომელშიც მან განაცხადა: „სამეგრელოს ავტო-ნომიის საკითხი წამოყენებულია ერთ ჯგუფ ავანტიურისტების მიერ. შამეგრელო – საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო ყოველთვის.

მეგრული ენა არ არის ცალკე ენა, ის მხოლოდ ქართული ენის ერთ-ერთი კილოკავია, რომელსაც ხმარობენ შინაურ ცხოვრებაში სამეგ-რელოს მკვიდრნი... 60-იან წლებში რუსეთის მთავრობამ იერიში მი-იტანა სამეგრელოს სკოლებზე, საიდანაც განდევნილ იქნა ქართული ენა. ეს მდგომარეობა გაგრძელდა 1890 წლამდე. ამ ხანებში კი სცე-ნაზე გამოჩნდნენ სახალხო განათლების ამიერკავკასიის ოლქის უფ-როსი იანოვსკი და მისი თანაშემწე ლევიცკი... ლევიცკიმ აშორდიას დაავალა საღმრთო სჯულის მეგრულად თარგმნა. ამას წინ აღუდგა მთელი სამეგრელო, რომელმაც ბოიკოტი გამოუცხადა აშორდიას ნა-ცოდვილარს... რუსეთის თვითმპყრობელობის ეს რუსიფიკატორული ცდები მოსპო დიდმა რევოლუციამ, რომელმაც თავისუფლება მოუ-ტანა ქართველ ხალხს“ [11].

იმოწმებდა რა ანდაზას: „მწევარი კურდღელს მისდევდა, მაგ-რამ კურდღელი რაღას მისდევდაო?“ – თედო სახოკია ასეთ კითხვას უსვამდა სამეგრელოს ავტონომიზაციის მომხრეებს: „თუ ვის მის-დევდა ლევიცკი და ვოსტორგოვი – ჩვენ ვიცით, მაგრამ თქვენ ვის მისდევთო?“ [11].

ლავრენტი ბერიას როლი სამეგრელოს ავტონომიზაციის და-ნაშაულებრივი გეგმისა და საშუალო სკოლებში მეგრულად სწავლის შემოღების ჩაშლაში (არნოლდ ჩიქობავას თანადგომით) სათანადოდ არის შესწავლილი პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის საყურადღებო ნაშრომში „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“ [12]. ამი-ტომ, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ.

ბერიამ ასევე გაბედულად გაილაშქრა სსრ კავშირის სამეცნი-ერო სტრუქტურებში მოკალათებული იმ შოვინისტების წინააღმდეგ, რომლებიც ქართველი ერის რამდენიმე ერად დაყოფის ვერაგული გეგმის მეცნიერულად დაკანონებას ცდილობდნენ.

1937 წელს ჩატარებული სსრ კავშირის მოსახლეობის საყოველ-თაო აღწერის საფუძველზე გამოცემულ „ეროვნებათა ლექსიკონში“ აჭარლები ქართველებისაგან სრულიად დამოუკიდებელ ერად გამო-აცხადეს. ამან ქართველი ერის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს მაშინვე გამოეხმაურა იმდროინდელი საქართველოს ფაქტობრივი ლიდერი ლავრენტი ბე-რია, რომელმაც 1937 წლის 16 ივნისს საგანგებო წერილი გაუგზავნა სსრკ-ის უზენაეს ხელისუფალს იოსებ სტალინს. ამ წერილის ასლი დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის II განყოფილებაში (დოკუმენტის ფოტო იხილეთ სტატიის დასასრულს) [13, 82-84].

აქვე დავსძენთ, რომ ინფორმაცია ამ წერილის შესახებ პირველად გამოქვეყნდა ნინო ყიფშიძის სტატიაში [14, 35-39], ხოლო შემდეგ შევიდა ომარ თუშურაშვილის რედაქტორობით გამომავალი ჟურნალის „საარქივო მოამბე“ 2008 წლის № 3-ის დამატებაში [15, 104-105].

ამ რუსულენოვანი დოკუმენტის ჩვენეულ თარგმანს ახლა პირველად ვაქვეყნებთ:

“სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს, ამხანაგ Ი. სტალინს,

ეროვნების საკითხის შემუშავების საფუძვლად მიღებულია 1937 წელს ჩატარებული სსრ კავშირის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალებზე აგებული „ეროვნებათა ლექსიკონი“, რომელიც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურმა სამმართველომ (“ЦУНХУ“) სახელმძღვანელოდ გამოუგზავნა საქართველოს სსრ-ის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს.

ამ ლექსიკონის თანახმად, აჭარლები გამოყოფილნი არიან ქართველებისაგან, როგორც ცალკე ერი. აჭარელთა, როგორც ცალკე ერის გამოყოფა ქართველი ერისაგან საფუძველშივე ეწინააღმდეგება ეროვნებათა აღქმის სტალინურ განსაზღვრებას. აჭარლებს ქართველ ერთან აერთიანებს საერთო ენა, ტერიტორია, ეკონომიკური ცხოვრება და კულტურა. აჭარლები იგივე ქართველნი არიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წარსულში ისინი გაამაჰმადიანეს.

იმ გაურკვევლობის, ანდა უფრო ზუსტად, ველიკოდერჟავნული სულის, დასახასიათებლად, რომლითაც ჯერ კიდევ გამსჭვალულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულება, აქ მოვიყვანთ იმ განსხვავებულ დასკვნებს, რომლებიც ამ დაწესებულებებს ქართველი ერის კლასიფიკაციის საკითხში გამოაქვთ.

სსრ კავშირისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შემსწავლელმა მეცნიერებათა აკადემიის კომისიამ, რომელიც თავის დროზე გამოყოფილ იქნა მოსახლეობის 1926 წლის აღწერასთან დაკავშირებით, დაადგინა ქართველი ერის შემდეგი კლასიფიკაცია: 1) ქართველები (შემადგენლობა: ქართლელები, კახელები, თუშები, ფშავ-ხევსურები, ინგილოები, სომხითელები, ჯავახები, მესხები, კლარჯები, ტაოელები, აჭარლები, გურულები, იმერლები, რაჭველები, ლეჩხუმელები);

2) მეგრელები, 3) ჭანები, 4) სვანები, 5) ბაცბები.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტი, 1937 წლის აღწერასთან დაკავშირებით, სხვა კლასიფიკაციას იძლევა: 1) ქართველები, 2) მეგრელები, 3) ლაზები, 4) სვანები, 5) ბაცბები, 6) აჭარლები.

სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიის ინსტიტუტი, ასევე 1937 წლის მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებით, გვთავაზობს მესამე კლასიფიკაციას, რომელიც საფუძვლადაც დაედო სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოსათვის სახელმძღვანელოდ მიღებულ „ეროვნებათა ლექსიკონს“: 1) ქართველები, მათ შორის: ა) მეგრელები, ბ) ლაზები, გ) სვანები, დ) ბაცბები. 2) აჭარლები.

ამდენად, პირველ შემთხვევაში აჭარლები შეყვანილნი არიან ქართველი ერის შემადგენლობაში, მაგრამ სამაგიეროდ, სხვა ერებად გამოიყოფიან: მეგრელები, სვანები, ლაზები და სხვ.; მეორე შემთხვევაში – აჭარლებიც, მეგრელებიც, სვანებიც, ლაზებიც და ბაცბებიც გამოყოფილნი არიან ცალკე ერებად, ხოლო მესამე შემთხვევაში – იგივე იგივე მეგრელები, სვანები, ლაზები და ბაცბები შეყვანილნი არიან ქართველ ერში, მაგრამ სამაგიეროდ, უკვე აჭარლები გამოიყოფიან ცალკე ერად.

უახლოეს ხანში მოსკოვში გადამუშავდება და აღირიცხება საქართველოს სსრ-ის მოსახლეობის აღწერის მასალები, რომელშიც აჭარლები, თანახმად ზემოხსენებული კლასიფიკაციისა, დაიკავებენ განსაკუთრებულ პოზიციას, როგორც ცალკე ერი.

ამის გამო, გთხოვთ, რომ სათანადო მითითება მისცეთ სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს, რათა გამოასწოროს საქართველოს ეროვნებათა არასწორი კლასიფიკაცია და აჭარლები ქართველი ერის შემადგენლობაში შეიყვანოს.

საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ბერია“ [13, 82-84].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილ წერილში თვით მისი ავტორის მიერ არის გადაშლილი სიტყვები: „ანდა უფრო ზუსტად, ველიკოდერჟავნული სულის“ [13, 82].

საგულისხმოა, რომ ამ წერილს მოჰყვა საბჭოთა კავშირის ბელადის სწრაფი რეაგირება, რომლის წყალობითაც საკითხი ქართველი ერის ერთობის შენარჩუნების სასარგებლოდ გადაწყდა.

1938 წელს, ლავრენტი ბერიას მოსკოვში გადასვლის შემდეგ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე დანიშნეს კანდიდ ჩარკვიანი (1906-1994). მან თავის ვრცელ მემუარებში ბერიას მოღვაწეობასა და პიროვნულ თვისებებზე მსჯელობას საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო. მოგონებებში აღნიშნულია, რომ „სტალინთან საუბარში ბერიას ლექსიკონი მოკლე იყო: – „არის, ამხანაგო სტალინ. სწორია, ამხანაგო სტალინ". ამაში დავრწმუნდი მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც სტალინის სახლში ფეხი შევდგი" [16, 110].

* * *

ლავრენტი ბერიას პირად წვლილზე 1939 წლის იანვარში ჩატარებული სსრკ-ის მოსახლეობის აღწერის მონაცემებში ქართველების ერთ ერად დაფიქსირებაში საყურადღებო მოგონება ჩაგვაწერინა გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას (1900-1947) ასულმა, კავკასიოლოგმა რუსუდან სიმონის ასულმა ჯანაშიამ (1937-2017).

2009 წლის გიორგობისთვეში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტში, რომელიც იმხანად მდებარეობდა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმში, ლექციებს შორის შესვენებისას, რუსუდან ჯანაშიამ ჩემთან და პროფესორ მიხეილ ქურდიანთან (1954-2010) საუბარში გაიხსენა თავისი ძმის, ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშიას (1931-1982) შემდეგი მონათხრობი (ვაქვეყნებთ პირველად): „1938 წლის მიწურული იდგა. მაშინ მე შვიდი წლის ვიყავი, თუმცა მომხდარი კარგად დამამახსოვრდა. მამა იმხანად მოღვაწეობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორად. საღამოობით, როდესაც მამა სახლში ბრუნდებოდა, როგორი დაღლილიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც ორივეს მოგვეფერებოდა, მე სწავლის ამბავს გამომკითხავდა და ბოლოს – ბალიშა კამფეტებით დაგვასაჩუქრებდა. ამის შემდეგ, დედა ჩვენ დასაძინებლად დაგვაწვენდა. ეს ერთგვარი რიტუალი უცვლელად გრძელდებოდა. ერთ სუსხიან დღეს, მამას საგრძნობლად დააგვიანდა. დედა იმდენად შეწუხდა, რომ ბებიასთან დაგვტოვა, თვითონ კი მეორე ოთახში გავიდა. როდესაც ბებია დედასთან შევიდა, მეც შევიხედე და დავინახე, რომ დედა ცრემლიანი თვალებით ლოცულობდა... შიშმა ამიტანა... მართალია პატარა ვიყავი და ჩემი მშობ-

ლებიც ერიდებოდნენ ამაზე საუბარს, მაგრამ სხვადასხვა ადგილას ყოფნისას მაინც მესმოდა, რომ ესა თუ ის პიროვნება დააპატიმრეს, გადაასახლეს ან დახვრიტეს... მართალია, მაიძულეს, რომ დასაძინებლად დავწოლოდი, მაგრამ მაინც არ დამეძინა. თვალდახუჭული, გულში ვევედრებოდი ღმერთს, რომ მამა დაებრუნებინა... გარკვეული ხნის შემდეგ, დედა შემოვიდა ჩვენს ოთახში, ლამპას დაუწია და მაგიდასთან ჩამოჯდა. იდაყვზე დაყრდნობილი მამას ელოდებოდა... მოულოდნელად, კარის გაღების ხმა გავიგონეთ. დედა იმდენად შეშინდა, რომ მუხლი მოეკვეთა და წამოდგომაც კი ვერ შეძლო. მამა შემოვიდა, დაგვხედა, დარწმუნდა რომ გვეძინა, მერე კი მაგიდასთან დაჯდა, აცრემლებულ დედას ხელზე ხელი დაადო და დაბალი ხმით მოუყვა: – „დღეს უდიდესი მნიშვნელობის საკითხი გადაწყდა. მოსკოვიდან ლავრენტი ჩამოვიდა და სათათბიროდ დაგვიბარა. ჩემთან ერთად, თათბირს ესწრებოდნენ: არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ჩიტაია, სერგი დანელია, პეტრე ქავთარაძე, დემნა შენგელაია, ალექსანდრე აბაშელი და სხვები. გვითხრა: – „1926 წელს, მოსახლეობის საკავშირო აღწერისას, დიდი დანაშაული ჩაიდინეს, როდესაც ქართველი ხალხი რამდენიმე ნაწილად გაყვეს და ცალკ-ცალკე დააფიქსირეს. გვიახლოვდება მორიგი აღწერა, რომელიც ერთ თვეში ჩატარდება. მე ჩამოვედი ჩვენი ბელადის, ამხანაგ სტალინის დავალებით, რათა გავიგო, თუ როგორია თქვენი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ბელადმა ისიც დამავალა: „არავის არაფერი დააძალო, ვისაც როგორ უნდა, ისე ჩაეწეროსო“. მე მაინტერესებს, თქვენ რას ფიქრობთ?“

დამსწრეებმა ვუთხარით: – „განა აქ რა უნდა იყოს საფიქრალი, ჩვენ, ყველანი ქართველები ვართ და ასეც უნდა ჩავეწეროთ“. კონსტანტინემ დაიმუქრა: – „ერთი ვინმემ გაბედოს და ქართველობაზე უარი თქვას!“ ამაზე ლავრენტიმ გაიღიმა და მე მითხრა: – „აბა, სიმონ, შენ, როგორც დღევანდელი ჩვენი თათბირის მდივანმა, ოქმი გააფორმე და ყველას ხელი მოაწერინე!“

მეც დაუყოვნებლივ გავაკეთე ეს. ამით კმაყოფილმა ლავრენტიმ ოქმი საქაღალდეში ჩადო და ღიმილით დაგვემშვიდობა“.

აქვე დავსძენთ, რომ სიმონ ჯანაშიას მეუღლე, რომელიც ზემოთ მოყვანილ მოგონებაში იხსენიება, გახლდათ მართა მაჩაბელი (1902-1992), ასული ილია ესტატეს ძე მაჩაბლისა (1873-1910) და მარიამ გიორგის ასული ქსნის ერისთავისა [17, 31-32], ხოლო სიმონის დედა (რომელიც მოგონებაში ასევე იხსენიება) იყო ელენე მუჯირი,

რომელიც 1964 წელს გარდაიცვალა.

რაც შეეხება ლავრენტი ბერიას და სიმონ ჯანაშიას, ისინი თანატოლები იყვნენ. ერთმანეთს ბავშვობიდან, კერძოდ, სოხუმში სწავლის პერიოდიდან იცნობდნენ და ბოლომდე მეგობრობდნენ. სიმონის მამა – ცნობილი პედაგოგი და მკვლევარი ნიკო სიმონის ძე ჯანაშია (1872-1918) სოხუმის სასწავლებელში ასწავლიდა ყმაწვილ ლავრენტი ბერიას, რომელიც თავის მასწავლებელს უდიდეს პატივს მიაგებდა.

როგორც რუსუდან ჯანაშიამ გვითხრა, მისი ბაბუა ამბობდა: „ლავრენტი ბერია ისეთი ნიჭიერი და მიზანდასახული ყმაწვილია, რომ მისგან აუცილებლად დიდი კაცი დადგებაო“. ეს წინასწარმეტყველება მომავალში მართლაც რეალობად იქცა. ღარიბი გლეხის ოჯახიდან გამოსული ლავრენტი ბერია ჯერ საქართველოს სსრ-ის, ხოლო შემდეგ – საერთო-საკავშირო მასშტაბის ცნობილ სახელმწიფო მოღვაწედ და ამ უზარმაზარის ქვეყნის ერთპიროვნული ლიდერის ნდობით აღჭურვილ პიროვნებად იქცა.

* * *

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, ისიც გავარკვიოთ, თუ რამდენად ახსოვდა სსრ კავშირის ბელადს თავისი ქართული ფესვები. საგულისხმოა, რომ მასში დროდადრო მაინც „იფეთქებდა“ ხოლმე ქართველობა. ქვემოთ მოვიყვანთ ამის დამადასტურებელ რამდენიმე ფაქტს. აქვე დავსძენთ, რომ ამ ფენომენის გარკვევა ვცადეთ ჩვენს სტატიაში „უცნობი სტალინი (დაკვირვებანი მის წარმომავლობაზე, გარეგნობასა და პიროვნულ ხასიათზე“ [18, 288-323].

* * *

1931 წლიდან ემიგრაციაში მცხოვრებმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ (1880-1962), რომელიც გახლდათ ბოლშევიზმისა და პირადად იოსებ სტალინის შეურიგებელი მოწინააღმდეგე და ავტორი წიგნებისა ჰიტლერისა და მუსოლინის შესახებ, იენაში გამოსცა რომანი „ჩაკლული სული“ [19]. მასში ავტორმა სსრ კავშირის ბელადის ვრცელი დახასიათება მოგვცა. მან საყურადღებოდ სცადა აეხსნა სტალინის პიროვნული ხასიათის გამოვლინებანი, რისი წყალობითაც ამ უკანასკნელმა თავისი მტრები დასძლია და ერთპიროვნული ძალაუფლება მოიპოვა. მწერალმა სტალინი სფინქსს შეადარა.

ავტორი სავსებით სამართლიანად მიუთითებდა: „თუ ამ სფინქსს დააკვირდებოდით, გენერალური მდივნის სახეს გამოაჩენდა.

თითქოს ქვეყნის მთელ სისტემას მოიცავდა თავის თავში. ყველას ბედი მასზე იყო დამოკიდებული. ის თვითონ რევოლუციის კვანძი იყო... ეს კაცი სტალინი იყო თვითონ. ლენინს არ მოუგროვებია ამდენი ძალა თავის არსებაში. არცერთ დიქტატორს მსოფლიო ისტორიაში ამდენი ძალაუფლება არ მიუთვისებია. ეს ფენომენი ყველას აწვალებდა – კომუნისტსაც, არაკომუნისტსაც. ყველა გრძნობდა მის ძალას“ [20, 565].

რომანის ერთ-ერთ თავში – „სტალინის ჰოროსკოპი“ ვკითხულობთ: „ლენინმა განსაკუთრებული სახელი უწოდა სტალინს – „ლეგენდარული ქართველი“. ლეგენდარული ჭარბად იყო სტალინში, ოღონდ ქართული – მეჩხერად...

სტალინმა ლენინის ადგილი დაიკავა. გადიოდა დღეები, კვირები, თვეები, წლები. ოპოზიციური პარტიები მარჯვნიდან და მარცხნიდან თავს ესხმოდნენ სტალინს. სტალინი, მრავალმხრივ გამოცდილი, მუდამ იმარჯვებდა. დამარცხებულნი ქედს იხრიდნენ მის წინაშე, იჩოქებდნენ და ცოდვებს ინანიებდნენ. „ლეგენდარული ქართველის“ გამარჯვებები ყველას უკვირდა და ლენინის მიერ შერქმეულ ამ მეტსახელს ახლა ყველა ყურადღებით აკვირდებოდა. უკვირდათ და ვერ გაეგოთ: როგორ? საიდან ასეთი ძალა ამ ველურ, უხეშ კავკასიელში? მათ ვერ გაეგოთ, რომ სტალინის ბოლშევიკურ ფსიქიკაში დაუშრეტელი ინსტიქტები კვებავდნენ რაციოს. სწორედ ეს იყო გადამწყვეტი გამარჯვებისათვის. გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, სტალინი დღითიდღე იზრდებოდა და ვერავითარი ძალა ვეღარ აჯობებდა მას. ყოფილ რუსეთის იმპერიაში უმითო ეპოქას ერთბაშად არნახული ტოტემური ძალის მქონე კაცი მოევლინა...

საქმეებში ჩაფლული სტალინი კრემლში იჯდა. ძალაუფლების პატრონი, მაგრამ არა ხელმწიფე, არსება და არა ადამიანი, რევოლუციური ძალების ელექტროგაყვანილობა გამაფრთხილებელი წარწერით „მომაკვდინებელია“. მასთან ტელეფონით საუბარიც კი ყველას თრგუნავდა. მისი საშიში ზემოქმედებისაგან არავინ იყო დაზღვეული. სისასტიკით აღსავსე ძლევამოსილად აღმართულიყო, როგორც საბჭოეთის, და შესაძლოა, მთელი მსოფლიოს ცივი და ბრმა ბედისწერა. როცა ხანდახან იდუმალი კონტაქტი გადაირთვებოდა, როცა ის, შეუდრეკელი, დროებით დენის ქსელიდან გამობობღდებოდა დარეტიანებული და გაუცხოებული, როცა შეშინებული გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ღონე, აი, მაშინ სტალინი მხოლოდ სოსო ჯუღაშვილი იყო, უბრალო ქართველი. მაშინ ახსენდებოდა შორეული საქარ-

თველო, რომლისგანაც ესლა შემოენახა: საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალჟამიერის ჰანგი და ქართული გინება: – „მაგათი დედა კი ვატირე!“ [20, 566-576].

მიუხედავად ასეთი კრიტიკული დამოკიდებულებისა, უნდა აღინიშნოს, რომ გ. რობაქიძე სტალინს მაინც უდიდეს ისტორიულ პიროვნებად მიიჩნევდა და არც იმას უარყოფდა, რომ მისივე უშუალო მონაწილეობით შექმნილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის – სსრ კავშირის სათავეში მოქცეული აღნიშნული პიროვნება შინაგანად მაინც ქართველად დარჩა.

1961 წლის 8 ნოემბერს, ანუ სტალინის გარდაცვალებიდან 8 წლის შემდეგ, გრიგოლ რობაქიძე ფ. ბელმონტს, რომელიც კიტა ჩხენკელთან ერთად მონაწილეობდა ჟურნალ „ატლანტისის“ საქართველოსადმი მიძღვნილი ნომრის (1961 წლის ოქტომბერი) მომზადებაში, წერდა: „ჰოჰოფის სტატიაში ნათქვამია... „გარუსებული ქართველი სტალინი“... სტალინი – გარუსებული? თითქოს წვრილმანია, მაგრამ არა მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული ფიგურის მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ქართველს ეხება. ჩვენ, ქართველები კერკეტი ხალხი ვართ. დიახ, კერკეტი და აქედან გამომდინარე, სასტიკი რუსიფიკატორული პოლიტიკის მიუხედავად, გარუსებას არ ვემორჩილებით, სტალინი საბჭოთა კავშირის მეთაურის პოსტზეც იყო და არის ქართველი“ [21, 752].

ზემოხსენებული კურტ ჰოჰოფი (1885-1972) იყო გერმანელი მწერალი, ესეისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი.

* * *

კანდიდ ჩარკვიანი, როგორც 1938-1952 წლებში საქართველოს კომპარტიის ლიდერი, სისტემატურად ხვდებოდა სსრ კავშირის ბელადს, მისი ხასიათის „ქართულ გამოვლინებებს“ ასე იგონებდა: „თუ ორნი ვიყავით, როგორც წესი, ქართულად ლაპარაკობდა, რაც მის ნაამბობს ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლების შესახებ განსაკუთრებულ კოლორიტს აძლევდა... როცა ი. სტალინი ქართველ გლეხებს გაიხსენებდა, სახე ღიმილით გაუნათდებოდა. ეტყობოდა, ის ბავშვობიდანვე მოხიბლულა მათი უბრალოებით, ჯავარიანი სიტყვით, პირდაპირობით, უსაზღვრო ამტანობით... იუმორით იყო გამთბარი მისი მონათხრობი ქართული სოფლის ყოფით დეტალებზე... „ქართლელი გლეხი გამძლე და უბოროტოა“ [16, 469-474], – განუცხადებია სტალინს.

ცნობილია, რომ იოსებ სტალინს ფართო ინტერესები ჰქონდა და ბევრს კითხულობდა. ის საკმაოდ კარგად ერკვეოდა მეცნიერების ცალკეული დარგების და მათ შორის ისტორიის საკვანძო საკითხებში. მისი ზეგავლენა საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარებაზე შეწავლილია პროფესორ თინათინ ბოლქვაძის ნაშრომში [22, 134-187].

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, სტალინმა მოუწოდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს, აკადემიკოსებს სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილს, რათა მათ მომავალში უფრო ვრცლად გაეშუქებინათ საქართველოს ძველი ისტორიის ძირითადი პრობლემები და მათ შორის, ქართული ანბანის წარმოშობის საკითხიც.

კ. ჩარკვიანი იგონებდა: „სტალინი იყო დიდი, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი... ყველაფერს თავისი ხელით წერდა. არავითარი მდივანი, არავითარი თანაშემწე მას არაფერს უწერდა. თვით ნოტები, ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროდან რომ უშვებდნენ, სანახევროდ სტალინის დაწერილი იყო... დაჯილდოებული იყო მწერლის, პუბლიცისტის ნიჭით... უაღრესად განათლებული კაცი იყო, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ დარგებში... გამუდმებით კითხულობდა... ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა....

მე მასთან ჩავიყვანე ჩვენი ისტორიკოსები, ჯანაშია და ბერძენიშვილი. ადრე სტალინს გავუგზავნე საქართველოს ისტორიის მაკეტი... იწერებოდა ივანე ჯავახიშვილის, ჯანაშიას და ბერძენიშვილის მიერ...

1945 წელს დამირეკა... – „სოჭში ვარ. თქვენი მაკეტი წავიკითხე, მაქვს ერთი შენიშვნა და ხომ არ შეგიძლიათ ავტორები ჩამოიყვანოთ ჩემთანო?“

ჩავედით დილით სტალინთან, შეგვხვდა ღიმილით და მიგვიპატიჟა აგარაკზე. ჯველას თავისი ოთახები გამოუყვეს. შემდეგ გაიმართა სადილი. სადილზე დაიწყო სტალინმა საუბარი. ერთი შენიშვნა ჰქონდა, თუ რატომ არ იყო ქართული ანბანის საკითხი და წარმოშობა უფრო კარგად აღწერილი. – „ამბობენ, რომ ქართული ანბანი შექმნა ვინმე სომეხმა მოღვაწე მესროპმაო. ამის შესახებ თქვენთან არაფერია ნათქვამი. თუ არ ეთანხმებით ამ აზრს, უნდა იყოს ნათქვამი და თუ არ ეთანხმებით, ესეც უნდა იყოს წიგნში“...

ჯანაშიამ ეს საკითხი ასე განმარტა: – „ჩვენ ეს ფაქტი არ მოვიტანეთ წიგნში იმიტომ, რომ ეს მოსაზრება არ მიგვაჩნია სწორად. ჩვენი ანბანი უფრო ძველია, ვიდრე მესროპის მიერ შექმნილი ანბანი... ჩვენ ამაზე უნდა გვეთქვა, მაგრამ ანგარიში გავუწიეთ ჩვენი

მეზობელი რესპუბლიკის მეცნიერებს, რომლებიც ამ ამბავს ძალიან მწვავედ განიცდიან“.

ეს სტალინს ძალიან გაუკვირდა: „მეცნიერება იმიტომ არის მეცნიერება, რომ არ უნდა უწევდეს ანგარიშს ზოგიერთ არამეცნიერულ შეხედულებას. თქვენ ეს უნდა გეთქვათ... სიმართლე არ უნდა დაიფაროს. ასე რომ, თქვენ მოგიხდებათ ამის გასწორება წიგნში“.

შემდეგ დაიწყო ლაპარაკი მსოფლიო ისტორიის საკითხებზე, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის ისტორიაზე... სტალინისაგან რომ გამოვედით, ბერძენიშვილმა მითხრა: – „ზღვა ცოდნა ჰქონიაო“. ისინი განცვიფრებულნი დარჩნენ სტალინის ერუდიციით. ეს პირველი შეხვედრისას და შემდეგი შეხვედრებისას კიდევ უფრო გაძლიერდა მათში ეს შეხედულება“ [23, 72-76].

ასევე საყურადღებოდ მიგვაჩნია კანდიდ ჩარკვიანის შემდეგი მოგონება: „სტალინი თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს ოფიციალურ ვითარებაში ატარებდა... დროდადრო განმუხტვა ესაჭიროებოდა. ჩემი დაკვირვებით, ი. სტალინი ამის საშუალებას მშობლიურ სამყაროსთან შეხებაში ეძებდა. ეს უნდა იყოს მიზეზი მისი შეუნელებელი ინტერესისა ქართული ლიტერატურისადმი. ჩვენ მას ყველა მნიშვნელოვან გამოცემას ვუგზავნიდით... აღარას ვიტყვი ქართულ სიმღერებზე. აგარაკზე იყო ქართული გრამფირფიტების დიდი კოლექცია, რომელიც უქმად არ ინახებოდა. ჩვენი სტუმრობისას ი. სტალინი ჩართავდა რადიოლას და ქართულ მელოდიებს სიამოვნებით ისმენდა. მას საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები მოსწონდა, თითოეულ მათგანში რაღაც განსაკუთრებულ ღირსებას პოულობდა. კიდევ უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებდა ი. სტალინს საქართველოდან ჩამოსულებთან შეხვედრა... არ ივიწყებდა თავის სკოლისდროინდელ და სემინარიელ ამხანაგებს. ზოგიერთ მათგანთან, რამდენადაც დრო საშუალებას აძლევდა, კიდევაც მეგობრობდა... სტალინისათვის უცხო იყო ადამიანებისადმი სექტანტური დამოკიდებულება. ცხოვრებას ის ფართოდ უყურებდა. მთავარი იყო, რას წარმოადგენდა თვითონ პიროვნება...

1948 წლის ოქტომბერში... ცივ წყაროზე... საუბარი ქლუხორის რაიონზე ჩამოვარდა. ეს რაიონი საქართველოსთვის ორი წლის გადმოცემული იყო.

– „აი, საკავშირო მთავრობამ ტერიტორიაც მოგიმატათ“, – თქვა ი. სტალინმა და კაბინეტიდან სსრ კავშირის რუკა მოატანინა...

ყარაჩაელთა ოლქის, ჩეჩენ-ინგუშთა და ბალყართა ტერიტო-

რიის ნაწილის საქართველოსათვის გადმოცემა იმთავითვე არ მახარებდა... მაგრამ რა უნდა გვექნა, ასეთი იყო სტალინის ნება და ჩვენც უნდა დავმორჩილებოდით. საქართველოს ხელმძღვანელობას ეს მიწები არ უთხოვია... ამავე დროს, ძველისძველი ქართული პროვინციის – ჰერეთის ტერიტორია ქართული ისტორიული ძეგლებითა და, რაც მთავარია, ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქრისტიანი და გამაჰმადიანებული ქართული მოსახლეობით, აზერბაიჯანის ფარგლებში რჩებოდა. ჩემს არაერთგზის თხოვნაზე – განეხილა ცენტრალურ კომიტეტს საინგილოს საქართველოსათვის გადმოცემის საკითხი, ი. სტალინი სხვადასხვა მოტივით უარყოფით პასუხს იძლეოდა... 1945 წელს... ირანის აზერბაიჯანში ფართო მასშტაბი მიიღო მოძრაობამ საბჭოთა აზერბაიჯანთან შეერთებისათვის.

– ვნახოთ, საქმე როგორ დამთავრდება, – თქვა სტალინმა, – თუ სამხრეთი აზერბაიჯანი შემოგვიერთდა, საინგილოს საკითხიც მოგვარდებაო...

უნდა შევჩერდე ქართული კულტურისათვის ერთ, მეტად მნიშვნელოვან მომენტზე, რომელიც სტალინის სახელთან არის დაკავშირებული. საქმე ეხება მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილი ქართული ისტორიული განძის გამოხსნას და საქართველოში დაბრუნებას... აქ პირველი და გადამწყვეტი ი. სტალინის სიტყვა იყო... თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა სტალინი ამ ოპერაციას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ის პირადად ესაუბრა პეტრე შარიას პარიზში გამგზავრების წინ... განძეულის დაბრუნება მთელი ჩვენი კულტურის ზეიმი იყო“ [16, 495-508].

საგულისხმოა, რომ შეკითხვაზე – აღიქვამდა თუ არა სტალინს ქართველად და გაუკეთებია თუ არა მას რაიმე სამშობლოსათვის – კანდიდ ჩარკვიანმა ასე უპასუხა: „რასაკვირველია, მე მას აღვიქვამდი როგორც ქართველს, პირველ რიგში, მაგრამ ქართველს, რომელიც ძალიან მაღალ საფეხურზე იყო ასული და განაგებდა ქვეყანას, სადაც ქართველები გადამწყვეტ როლს არ თამაშობდნენ. სტალინის ქართველ კაცად აღქმის უფლებას მაძლევდა ის, რომ იგი ლაპარაკობდა მშვენიერი ქართულით... მოსკოვში იყო ხალხი, რომელთანაც მას შეეძლო ქართულად ელაპარაკა. ალიოშა სვანიძე, მისი ცოლისძმა, რომლის ოჯახშიც ხშირად დადიოდა. მერე ის წერდა ქართულად და მისი მშობლიური ენა ძალიან ღრმად იყო მასში ჩანერგილი...

განსაკუთრებულ მდგომარეობაში საქართველო სტალინის დროს არ ყოფილა, თუმცა საქართველოში გავრცელებული აზრი,

რომ სტალინმა სრულებით არაფერი არ გაუკეთა საქართველოს, მცდარია... ძალიან ბევრს ფიქრობდა ჩვენი მეურნეობის განვითარებაზე, ციტრუსების, ჩაის და მევენახეობის შესახებ. სტალინის ჩვენთან ურთიერთობას ჰქონდა უშუალო გავლენა საკავშირო ორგანოებზე. მარტო ის, რომ პირდაპირ მასთან ვაყენებდი ამა თუ იმ საკითხს, ესეც იმის გარანტიას იძლეოდა, რომ ეს საკითხები დადებითად გადაჭრილიყო. მაგალითად, ავიღოთ მეტალურგიული ქარხნის აშენება, ელექტროსადგურების მშენებლობა...

სტალინი არასოდეს ამტკიცებდა, რომ შეიძლება ერთი ენა შეიქმნას. აქედან გამომდინარე, არავითარი ასიმილაცია ხალხების არ შეიძლებოდა და არ უნდა მომხდარიყო. არ იყო ასიმილაციის მომხრე და არც სჯეროდა, რომ ასიმილაცია მოხდებოდა... ამაში ისიც მარწმუნებდა, რომ ქართული კულტურა ძალიან ჩქარა ვითარდებოდა...

1951 წელს... მოვუყევი, რომ თბილისი ასეთ მდგომარეობაშია, ქუჩაში გავლა ძალიან ძნელია, ქალაქი გაჭიმულია ორმოც კილომეტრზე და სიგანე არა აქვს. ავუხსენი, რომ მეტროპოლიტენის გარდა, სხვა ვერაფერი შეგვიმსუბუქებდა მუშაობას და ცხოვრებას... რომ თბილისი არის ამიერკავკასიის სარკინიგზო კვანძი და ომის შემთხვევაში თბილისს დაბომბავდნენ. არავითარი თავშესაფარი ქალაქში არ იყო და მეტროპოლიტენი თავშესაფარი იქნებოდა. მოსკოვის მეტროპოლიტენმა გვიჩვენა ეს...

– „კარგიო, – თქვა, – დაწერეთ წერილი, რომ განიხილონ მოსკოვში საგეგმო კომიტეტშიო“...

მაშინვე ვაფრინე კაცი მოსკოვში... გრიშა ზამბახიძე... საგეგმო კომიტეტში რომ შევედიო, მომახსენა ზამბახიძემ, რომელ კაბინეტშიც კი არ შევედი, მითხრეს: – „ცხოვრობდით უმეტროპოლიტენოდ, ახლა მეტროპოლიტენი მოგინდათო?“... მოკლედ, ძალიან არ ესიამოვნათ, მაგრამ სტალინის განკარგულებას წინ ვერავინ დაუდგებოდა. ეს იყო საკავშირო მშენებლობა. საქართველო თავისი ბიუჯეტიდან ამას ვერ მოახერხებდა“ [23, 25-110].

კანდიდ ჩარკვიანის ვაჟის, ბატონი გელა ჩარკვიანის ცნობით, იოსებ სტალინმა თბილისის მეტროპოლიტენის აშენებაზე თანხმობა განაცხადა 1951 წლის ზაფხულში, როდესაც ის ლიკანში ისვენებდა.

ვფიქრობთ, რომ კ. ჩარკვიანის მოგონებებში მოყვანილი სტალინთან შეხვედრების და მისი მსჯელობის მიმოხილვის გაცნობისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ 1952 წელს ჩარკვიანი დაკავებული თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და ყაზა-

ხეთში გადაასახლეს. XX საუკუნის 80-90-იან წლებში კი, როდესაც მისი მოგონებები იწერებოდა, სტალინი უკვე მრავალი წლის წინათ გარდაცვლილი, ხოლო სტალინიზმი – დიდი ხნის წინათ ოფიციალურად დაგმობილი მოვლენა გახლდათ. ამდენად, კ. ჩარკვიანი სულაც არ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, რომ თავის მემუარებში სტალინის რეაბილიტაცია ეცადა. და პირიქით, მას რომ სტალინი ზედმეტად გაეკრიტიკებინა, ეს, შეიძლება, უფრო მოსალოდნელი ყოფილიყო.

რაც შეეხება კ. ჩარკვიანის დაკვირვებას იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის ბელადი ეწინააღმდეგებოდა ამ სახელმწიფოში მცხოვრები ხალხების ასიმილაციას და ერთიანი ენის შექმნას, ამას ადასტურებს სტალინის ავტორობით ჯერ კიდევ 1929 წელს გამოცემულ ნაშრომში „ეროვნული საკითხი და ლენინიზმი“ გამოყოფილი მესამე პარაგრაფი „ერებისა და ეროვნულ ენათა მომავალი“ [24, 341-349].

აღნიშნულ ნაშრომში სტალინი აცხადებდა, რომ მსოფლიოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების პირველ ეტაპზე მოხდება მანამდე ჩაგრულ ერთა აღორძინება, ეროვნულ კულტურათა აღორძინება, ხალხთა შორის ნდობის აღდგენა და სხვ. ხოლო მეორე ეტაპზე, როცა მისივე აზრით, მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობას ჩაანაცვლებს სოციალისტური, შესაძლოა საერთო ენის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა. ამ ეტაპზე თვით ხალხები იგრძნობენ ეროვნულთან ერთად საერთო ეროვნებათაშორისი ენის გამოყენების აუცილებლობას. იმავე ეტაპზე იგი არ გამორიცხავდა რამდენიმე ეროვნებათაშორისი ენის ჩამოყალიბებას, რაც დამოკიდებული იქნებოდა მსოფლიოს ეკონომიკური ცენტრების რაოდენობაზე.

სტალინი მიუთითებდა, რომ მსოფლიოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდგომი პერიოდის მხოლოდ მესამე ეტაპზე, როდესაც „მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემა სათანადოდ განმტკიცდება და სოციალიზმი დამკვიდრდება ხალხთა ყოფიერებაში, როდესაც ერები პრაქტიკულად დარწმუნდებიან საერთო ენის უპირატესობებში ეროვნულ ენებთან შედარებით, დაიწყება ეროვნულ განსხვავებათა და ენათა კვდომა და ისინი ადგილს დაუთმობენ ყველასათვის გასაგებ საერთო ენას. ასეთია, ჩემი აზრით, ერთა მომავლის მიახლოებითი სურათი, მათი შერწყმის გზაზე“ [24, 348-349].

სტალინის პირად დამოკიდებულებაზე 1921 წელს მომხდარ სა-

ქართველოს იძულებით გასაბჭოებაზე ნათლად მეტყველებს ერთი მოგონება, რომელიც დევი გიორგის ძე სტურუამ (1931-2001) შემოგვინახა. იგი იყო საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, მეცნიერი, მწერალი და პუბლიცისტი, რომელიც იმხანად კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად (იდეოლოგიის დარგში) მსახურობდა.

1963 წლის 1 ივნისს თბილისს ეწვივნენ სსრ კავშირის იმდროინდელი მესვეური ნიკიტა ხრუშჩოვი და კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო. მათი ერთ-ერთი მასპინძელი დევი სტურუა იგონებდა: „საღამოს, ფუნიკოლიორის რესტორანში გაიმართა ვახშამი მაღალი სტუმრების საპატივცემულოდ. კასტრო და ხრუშჩოვი შესანიშნავ ხასიათზე გახლდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ... ხრუშჩოვი ყოველგვარი ჩანაწერის გარეშე ლაპარაკობდა, რაც ხელს უწყობდა მისი კოლორიტული და უშუალო არსის გამომზეურებას. სხვათა შორის, მიქოიანი მეუბნებოდა, რომ ხრუშჩოვს არ შეუძლია დაფაროს ან დიდხანს შეინახოს რაიმე აზრი, ესა თუ ის შეხედულება ადამიანზე თუ მოვლენაზე. ამიტომ, მასთან მიმნდობი საუბარი ყოველთვის საფრთხილო იყო. ნამუსს არ შეგინახავდა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი სიტყვის ერთი პასაჟი: „მე ვიყავი საქართველოში ოცდაერთ წელს და ახლა – სამოცდასამში. რა შეიძლება ითქვას? ქართველებს მზერა აშკარად გაუთბათ. მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო. იყო დრო, როცა ქართველები – ჩვენ, რუსებს, მგლებივით გვიცქერდნენ. ასე იყო მაგალითად, 1921 წელს. მე მაშინ პირველად შემოვდგი ფეხი საქართველოში XI არმიის რიგებში... მოგვიანებით მე როგორღაც ვუთხარი ამის შესახებ სტალინს და იცით რა მიპასუხა მან?

– „აბა რას ელოდი? შენ ხომ როგორც ოკუპანტი შეხვედი საქართველოში და როგორ უნდა შეხედო ოკუპანტს?“ (ხაზგასმა ჩვენია. ნ. ჯ.).

საინტერესოა, რომ ხრუშჩოვმა არ ჩათვალა საჭიროდ სტალინის ამ სიტყვების გაბათილება, რომლებიც საქართველოს ოკუპაციას შეეხებოდა. ჩანს, თვითონაც თვლიდა, რომ საქართველო 1921 წლის თებერვალში ოკუპირებული იყო... მაგრამ მაშინ ამის მოსმენა „№ 1“ კომუნისტისაგან, თანაც სტალინის დამოწმებით, მართლაც რომ განსაცვიფრებელი იყო“ [25, 103-104].

აქ მოყვანილი ეპიზოდიდან შესანაშნავად ჩანს, რომ რუსეთის სფსრ-ის მიერ 1921 წლის დასაწყისში განხორციელებული საქართვე-

ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია თვით სტალინისთვისაც კი უდავო ფაქტს წარმოადგენდა. იმავდროულად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგიც: საქართველოს იძულებითი გასაბჭოება იყო იმის აუცილებელი წინაპირობა, რომ სტალინს გასჩენოდა პერსპექტივა ბოლშევიკური პარტიის ლიდერობისაკენ მიმავალ ურთულეს და წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე. სწორედ ამით უნდა აიხსნას სტალინის განსაკუთრებული დაინტერესება და მონდომება აღნიშნული პროცესის დასაჩქარებლად. ანუ მან თავისი სამშობლოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მსხვერპლად შესწირა საკუთარ კარიერულ წინსვლას და სათანადო შედეგსაც მიაღწია.

* * *

აღსანიშნავია, რომ სწორედ იოსებ სტალინის უშუალო ჩარევით მოხდა რეაბილიტაცია დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწისა ივანე ჯავახიშვილისა (1876-1940), რომელიც იმხანად თავისი მესვეურობით დაარსებული უნივერსიტეტიდან გაძევებული და მორალური თვალსაზრისით უმძიმეს მდგომარეობაში ჩაყენებული გახლდათ. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სამმა ფაქტორმა:

1) ივანე ჯავახიშვილთან პირადი ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა გავლენიან საბჭოთა, პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს ალექსანდრე (ალიოშა) სვიმონის ძე სვანიძეს (1886-1941), რომელმაც დიდი მეცნიერის რეაბილიტაცია წარმატებით მოახერხა. სვანიძე იყო ფრიად განსწავლული პიროვნება, რომელმაც იენის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. ფლობდა რამდენიმე ენას. სხვადასხვა დროს მსახურობდა მმართველ თანამდებობებზე, კერძოდ: საქართველოს სსრ განათლების, ფინანსთა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად, სსრკ სავაჭრო წარმომადგენლად გერმანიაში, საგარეო ვაჭრობის ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ, საკავშირო სახელმწიფო ბანკის მმართველობის თავმჯდომარის მოადგილედ. გამოქვეყნებული ჰქონდა ნაშრომები ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შესახებ. რედაქტორობდა მის მიერვე დაარსებულ ჟურნალს „Вестник древней истории“ [7, 404-405], რომელიც დღემდე გამოდის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე სვანიძის ღვიძლი და – ეკატერინე (კატო) სვანიძე (1885-1907) იყო პირველი მეუღლე სსრკ-ის მომავალი ლიდერისა იოსებ სტალინისა. ყოფილი სიძე, ბელადად აღზევების მიუხედავად, ახლო მეგობრულ ურთიერთობას ინარ-

ჩუნებდა თავის ცოლისძმასთან და როგორც ზემოთ აღინიშნა, მის ოჯახშიც ხშირად დადიოდა [23, 26]. ყოველივე ამის გამო, ა. სვანიძე იმდროინდელ საბჭოთა ელიტაში დიდი ავტორიტეტით და გავლენით სარგებლობდა.

1935 წელს ალექსანდრე სვანიძემ ივანე ჯავახიშვილს წერილობით სთხოვა, რომ თავის გარშემო შემოეკრიბა ქართველ მეცნიერთა (ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა) ჯგუფი, რომელსაც თავადვე უხელმძღვანელებდა.

ალ. სვანიძე დიდ ქართველ მეცნიერს წერდა: „დამაღონა იმ გარემოებამ, რომ თქვენი კალიბრის მოღვაწეს ისეთ უწმაწურ პირობებში უხდება მუშაობა, რომ მას წლობით საშუალება არა აქვს გამოაქვეყნოს ყველასათვის საინტერესო გამოკვლევები. შევეხვეწე, რაც შემეძლო გერმანე მგალობლიშვილს, რომ ყურადღება მოგაქციონ თქვენ და გაგიადვილონ მუშაობა“ [26, 138].

აქვე დავსძენთ, რომ სვანიძის წერილში ხსენებული მგალობლიშვილი (1884-1937) იყო საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

ალექსანდრე სვანიძისა და იოსებ სტალინის პირად წვლილს ივანე ჯავახიშვილის რეაბილიტაციაში აღიარებდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, მათ შორის, გიორგი ჩიტაია და სერგო ჯორბენაძე.

აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, რომელიც ჭაბუკობიდან მეგობრობდა ალ. სვანიძესთან, მის შესახებ აღნიშნავდა, რომ ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ის „აქტიურად ჩაება სამეცნიერო მუშაობაში. გახლდათ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი, სადაც წაიკითხა რამდენიმე მოხსენება ვეფხისტყაოსნის შესახებ და აღმოსავლეთმცოდნეობიდან. მოსკოვში სახელმწიფო თანამდებობაზე მიწვევის შემდეგ მან დააარსა რუსული ჟურნალი „Вестник древней истории“, რომლის პირველ ტომშიც დაბეჭდა ჟურნალის საპროგრამო წერილი... სვანიძის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ მისი ხელშეწყობით ივანე ჯავახიშვილს მოეხსნა საჩოთირო ბრალდებები და აღდგენილ იქნა თავის ღირსებებში“ [27, 16-17].

პროფესორი სერგო ჯორბენაძე მიუთითებდა: „ასეა თუ ისე, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში განუკითხავი შევიწროებისა და დევნის შეწყვეტას, მეტიც ითქმის – ერთგვარ „ფავორში“ ყოფნას, ჩემის აზრით, სტალინის მიერ გამოჩენილი ინტერესი განსაზღვრავდა როგორც ჯავახიშვილის ნაშრომების, ასევე მისი პიროვნების მი-

მართაც“ [28, 104-105].

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ მოგვიანებით, თვით ალექსანდრე სვანიძე გახდა რეპრესიების მსხვერპლი, კერძოდ, ის დააპატიმრეს „ანტისაბჭოთა საქმიანობის“ ბრალდებით და 1941 წელს დახვრიტეს.

2) XX საუკუნის ოცდაათიანი წლების შუა ხანებამდე, სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სკოლებში, ნაცვლად ისტორიისა, ასწავლიდნენ მდარე სოციოლოგიას, კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებს, კლასთა ბრძოლას და სხვა მსგავს საკითხებს. ამ გზით მოსახლეობის პატრიოტული აღზრდა შეუძლებელი იყო. ხსენებული პერიოდიდან კი, საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით, ქვეყანაში შესამჩნევად გაუმჯობესდა ისტორიის სწავლება. სხვათა შორის, იგივე პროცესი უფრო ადრე დაიწყო ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიასა და იტალიაში, სადაც ხელისუფლების სათავეში ნაციონალ-სოციალისტები და ფაშისტები მოვიდნენ.

1935 წლის ივლის-აგვისტოში გამართულ კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესზე სიტყვით გამოსულმა ამავე ორგანიზაციის აღმასკომის გენერალურმა მდივანმა, ბულგარელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ გიორგი დიმიტროვმა (1882-1949) განაცხადა: „ის კომუნისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ყოველივე ეს არ შეეხება მუშათა კლასის საქმეს და რომლებიც არაფერს აკეთებენ, რათა ისტორიულად მართებული, ჭეშმარიტად მარქსისტული, ლენინურ-სტალინური გაგებით გაუშუქონ მშრომელ მასებს მათი საკუთარი ხალხის წარსული, რათა ახლანდელი თავიანთი ბრძოლა დაუკავშირონ ამ ხალხის რევოლუციურ ტრადიციებსა და წარსულს, ეს კომუნისტები ნებაყოფლობით უთმობენ ფაშისტ ფალსიფიკატორებს ხალხის მასების გასაბრიყვებლად ყველაფერს, რაც კი ძვირფასია ერის ისტორიულ წარსულში“ [26, 139].

3) რუსული პოლიტიკური ემიგრაციის გავლენიანმა წარმომადგენლებმა პავლე მილიუკოვმა (1859-1943), ლევ ტროცკიმ (1879-1940) და სხვებმა, რომლებიც მიუხედავად ერთმანეთისაგან განსხვავებული პოზიციებისა, გამოირჩეოდნენ შეურიგებელი დამოკიდებულებით სსრ კავშირის სათავეში მყოფი იოსებ სტალინის მიმართ, აღნიშნული პიროვნების კრიტიკის პროცესში, როგორც გ. ყორანაშვილი მიუთითებს, „არ დაივიწყეს ქართველი ერი, რომელმაც თითქოსდა თავისი ველურობით წარმოშვა ველური სტალინი. ცხადია, ასეთი აზრი ბოგინობდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ერთ ნაწილშიც. ამიტომაც

სტალინს რაიმე უნდა ეღონა ქართველი ერის რეაბილიტაციისათვის უცხოელთა და საბჭოთა კავშირის ხალხთა თვალში. მალე, სათანადო ძალისხმევის შედეგად, დიდი ზეიმით, საკავშირო მასშტაბით, აღინიშნა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 750 წლისთავი, ჩატარდა ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში, აღდგა ილია ჭავჭავაძის სახელი. რასაკვირველია, სათანადო ძვრები უნდა მომხდარიყო სტალინის დამოკიდებულებაში საქართველოს ისტორიის მიმართ... ამგვარ სიტუაციაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ი. ბ. სტალინი დიდად დაინტერესდებოდა ივანე ჯავახიშვილის პიროვნებითა და შემოქმედებით (ზეპირი გადმოცემით, სტალინს თავის ბიბლიოთეკაში ჰქონია დიდი ისტორიკოსის ნაშრომები). ასევე ცხადი უნდა იყოს, რომ ალექსანდრე სვანიძე ივანე ჯავახიშვილს რეკომენდაციას გაუწევდა სტალინთან... ჯავახიშვილის ბედ-იღბლით დაინტერესებულა გერმანე მგალობლიშვილიც. ამის გამოისობით მოხდა, რომ 1937 წლის 29 მაისს ვარლამ დონდუასადმი ლენინგრადში გაგზავნილ წერილში ივ. ჯავახიშვილი წერდა: „წინა წერილის (გაგზავნილ იქნა ამავე წლის 6 მაისს) შემდგომ, ჩემი მდგომარეობა და ჩემდამი დამოკიდებულება „ძირიანად“ შეიცვალაო“. ამრიგად, ჩვენი მტკიცე შეხედულებით, ივანე ჯავახიშვილის ბედის სასიკეთოდ შემობრუნების საქმეში უნდა გვახსოვდეს ტრაღიკულად აღსრულებული ჩვენი თანამემამულის დამსახურება“ [26, 139-142].

ამდენად, სწორედ ალექსანდრე სვანიძის კეთილი ნებითა და ძალისხმევით, რასაც დაერთო მისი ყოვლისშემძლე სიძის – სტალინის მხარდაჭერაც (როგორც ზემოთ აღინიშნა, მას თავისი მოტივაციაც გააჩნდა), საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები დიდი მეცნიერის რეაბილიტაციისათვის.

1936 წლის 26 იანვარს ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის (ენიმკის) ინსტიტუტის მუდმივ სწავლულ კონსულტანტად. მასვე მიანდეს ძველ ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების კრიტიკული გამოცემაც.

1938 წლის 12 ივნისს ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო 10 ივლისს – პრეზიდიუმის წევრად. იმავე წლის 15 ივნისს ის დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

1939 წლის 28 იანვარს ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ასე კარდინალურად შეცვლილ პოზიციას წლების განმავლობაში დევნილი ივანე ჯავახიშვილისადმი ამგვარად ხსნის გ. ყორანაშვილი: „აბსურდია წარმოვიდგინოთ, რომ ყოველივე ამის ინიციატორი გახლდათ ბერია – მას ხომ იმხანად ეს არ ხელეწიფებოდა. მთავარი ინიციატივა უნდა ვიგულისხმოთ, მოდიოდა სტალინისაგან. ამასთან, აქ ერთ გარემოებასაც აღვნიშნავთ. ფაქტია, რომ სტალინს გარკვეულად ახასიათებდა კუთხური (ქართლური) „პატრიოტული შეგნება“. ისიც უნდა ითქვას (თქმულიდან გამომდინარე), რომ ის გარემოცვაში საკმაოდ იყვნენ საქართველოს აღნიშნული კუთხის წარმომადგენლები – ალექსანდრე და ვასილ ეგნატაშვილები, გიორგი ელისაბედაშვილი, ნიკოლოზ ყიფშიძე, პეტრე კაპანაძე, მიხეილ წინამძღვრიშვილი, რომლებიც შეეცდებოდნენ ივანე ჯავახიშვილის პიროვნებისა და დამსახურების წარმოჩენას „ბელადის“ თვალში“ [26, 143].

მართალია, თავისი სიცოცხლის ბოლო პერიოდი ივანე ჯავახიშვილმა შედარებით მშვიდ ვითარებაში გაატარა, მაგრამ მანამდე გადატანილ მრავალწლიან სტრესს უკვალოდ არ ჩაუვლია. ყოველივე ამან მის ისედაც შერყეულ ჯანმრთელობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. 1940 წლის 18 ნოემბერს, ლექციის კითხვის დროს, დიდი მეცნიერი 64 წლის ასაკში გარდაიცვალა...

აქვე დავსძენთ, რომ იოსებ სტალინის ჩარევით რეპრესიებს გადაურჩა არაერთი ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე და მათ შორის კონსტანტინე გამსახურდიაც (1891-1975), რის შესახებაც აღნიშნავდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი – მერაბ კოსტავა (1939-1989) [29, 192].

* * *

საყურადღებოა გ. ქიქოძის მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რამ განაპირობა სტალინის გარდაცვალების მომენტში ფაქტობრივად აღმავლობის მწვერვალზე მყოფი ლავრენტი ბერიას უცაბედი დაღუპვა. მის მოგონებებში ვკითხულობთ: „ისეთი კაცის მემკვიდრეობის მიღება, როგორიც სტალინი იყო, ყოველ მხრივ ძნელია. მან თავის მიმდევრებს დაუტოვა მძიმე ტვირთი, რომელიც ისევე ძნელი ასაწევია, როგორც სტალინისათვის ლენინის მემკვიდრეობის აწევა იყო... სტალინის სიკვდილის შემდეგ, ბერიამ, როგორც ეტყობა, წარმოიდგინა, რომ რაკი დიდი ჯავშნოსანი გემი, რომელზეც მისი პატარა

კატარღა იყო მიბმული, ჩაიძირა, მას შეეძლო მთელი ფლოტის ადმირალი გამხდარიყო და ის ნავსადგურში შეეყვანა. მაგრამ მან ანგარიში არ გაუწია ზოგიერთ ახალ მძლავრ პოლიტიკურ და მორალურ ფაქტორს. ამ ფაქტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რუსი ხალხის ეროვნული სიამაყის გრძნობის გაძლიერება II მსოფლიო ომის მოგების შემდეგ. რუსი ხალხი, რომელიც სტალინს მის სიცოცხლეში ლენინის უახლოეს მეგობრად თვლიდა და თითქმის არც კი გრძობდა მის არარუსულ წარმოშობას, ბერიას არასოდეს აპატიებდა არც ლენინის გზიდან გადახვევას და არც მის მკვეთრ ქართულ-მეგრულ აქცენტს“ [9, 139-141].

* * *

1943 წელს გამოიცა სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია“ ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის ავტორობით, რომლის რედაქტორიც თვით სიმონ ჯანაშია გახლდათ. წიგნმა სტალინური პრემია და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში ამ სახელმძღვანელომ უდიდესი როლი შეასრულა.

XX საუკუნის შუა ხანებში ეროვნული ისტორიის სწავლებას უმაღლეს სასწავლებლებში სერიოზული საფრთხე დაემუქრა. იგეგმებოდა ეროვნული ისტორიის სახელმძღვანელოების ამოღება და მათი ჩანაცვლება ისტორიის საერთო-საკავშირო სახელმძღვანელოთი. იმხანად, კერძოდ, 1946-1951 წლებში სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრად მუშაობდა სერგეი კაფტანოვი (1905-1978), რომელიც ჯერ კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ სათავეში ჩაუყენეს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ტელე და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს.

იმპერიული პოლიტიკის ამ მორიგ გამოვლინებას წინ აღუდგა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ბოტანიკოსი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი (1897-1982), რომელიც 1945-1953 წლებში ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად მოღვაწეობდა.

აქვე დავსძენთ, რომ 23 წლის ასაკში ნ. კეცხოველი, როგორც იუნკერი, იარაღით ხელში იცავდა თავისი სათაყვანებელი სამშობლოს დამოუკიდებლობას და საქართველოში შემოჭრილ რსფსრ-ის წითელ არმიასთან კოჯორ-ტაბახმელასთან მომხდარ შეტაკებაში მკლავში დაიჭრა. საგულისხმოა, რომ იგი ლაზარეთში ყოფნისას ინა-

ხულა სახელოვანმა გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა და ჯილდო გადასცა [30].

პროფესორი გივი ჟორდანია (1911-2001) იგონებდა: „კომპარტიის პოლიტბიურომ იერიში მიიტანა ეროვნულ ღირებულებებზე. განიზრახეს საბჭოთა კავშირში შემავალი მცირე და არამცირე ერების ეროვნული ისტორიების მნიშვნელოვანი შეკვეცა და შემდგომში მათი თანდათან შეცვლა დიდი „საბჭოთა სამშობლოს“ ისტორიით. სწორედ ამას ემსახურებოდა ყოვლად უცნაური სასწავლო საგანი, შემოღებული ჯერ კიდევ 30-იანი წლების პირველ ნახევარში, წოდებული „სსრ კავშირის ისტორიად“. უცნაური იყო თვით სახელწოდება, ვინაიდან „სსრკ“ შეიქმნა მხოლოდ 1922 წელს და მართებული იქნებოდა ამ ცნებაში შესულიყო სსრკ-ში შემავალი ერების ისტორია ამ დროიდან დაწყებული, მხოლოდ ამ დროიდან. გაუგებარია, რომელი „სსრკ“ არსებობდა უხსოვარი დროიდან – 1922 წლამდე?!

აი, სწორედ ამ უღირსი ხაზის გაგრძელება იყო ჩვენი საუკუნის მესამე მეოთხედში „მკაცრი“ მოწერილობა, სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროსი (ეუჭველია, პოლიტბიუროს მითითებით შეთხზული): „ამოღებულ იქნეს უმაღლესი სკოლების პროგრამებიდან ეროვნული ისტორიები, იმ საფუძველზე, რომ უკვე არის „სსრკ ისტორია“, რომელიც მოიცავს ეროვნულ ისტორიებსაცო.

რა ექნათ უმაღლესი სკოლების პატარა „ჩინოვნიკებს“? და კიდევაც დამორჩილდნენ. ხალხი მაშინ მორჩილებას იყო ჩვეული. რა გაეწყობოდა? მათ ყველას „37“-ის სკოლა ჰქონდათ გამოვლილი... აბა, ნუ დამორჩილდებოდი!

დამორჩილდა ყველა, გარდა ერთი რესპუბლიკისა, მისი უნივერსიტეტის რექტორის სახით! ეს ერთადერთი გმირი, მებრძოლი მშობლიური ისტორიის შენარჩუნებისათვის იყო ნიკო კეცხოველი. ბატონმა ნიკომ დეპეშა გაუგზავნა კაფტანოვს – უმაღლესი განათლების „უმაღლეს“ მინისტრს (კაფტანოვს ხუმრობით ასე უწოდებდნენ, რადგანაც მეტად მაღალი ტანის პატრონი იყო). დეპეშაში ლაკონიურად იყო ნათქვამი: „არ ვემორჩილები თქვენს ბრძანებას!“

ეტყობა, ამ დეპეშამ დიდი აურზაური გამოიწვია „უმაღლესი“ მინისტრის უწყებაშიც და ცეკას პოლიტბიუროშიც: გაუგონარი ურჩობაა... წამოიჭრა დილემა: ან ხაზი მტკიცედ, ურყევად უნდა გაეტარებინათ, თბილისის უნივერსიტეტის რექტორი უნდა მოეხსნათ და დაესაჯათ კიდეც, ანდა ეს ერთა შეურაცხმყოფელი ბრძანება უნდა გაეუქმებინათ. ეტყობა შეფიქრიანდნენ და გადაწყვიტეს ბრძანების

გაუქმება. უთუოდ იფიქრეს: „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, ვაითუ ამას ჩვენთვის რაიმე ცუდი მოჰყვესო, რაც შეიძლება ჩვენს რბილ სავარძლებს დაემუქროსო...“

ბატონი ნიკოს წყალობით სკოლებს შერჩათ 16 ეროვნული ისტორია. ამის შემდეგ, ეს ხალხები ბატონი ნიკოს სახელს დიდი პატივისცემით იხსენიებდნენ“ [31, 20-21].

1953 წლის 5 მარტს იოსებ სტალინი გარდაიცვალა. სსრ კავშირის ხელისუფლების სათავეში მოექცნენ: გიორგი მალენკოვი, ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელიც მალევე გახდა ქვეყნის პირველი პირი და სხვები. მცირე ერთა რუსიფიკაციის პოლიტიკა, რომელსაც სტალინი და ბერია მეტ-ნაკლებად აფერხებდნენ, ახლა უკვე მთელი სიმძლავრით ამუშავდა. ფაქტობრივად გამომუშავებულ იქნა დევიზი: „საბჭოეთის საერთო ენა, ისტორია და ერთიანი ხალხი“.

ხელისუფლების რისხვა დაატყდა 1943 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიასაც“. მთავრობის მოთხოვნით, ახალი სახელმძღვანელოს შექმნის საკითხიც დაისვა.

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე (1922-2017) იგონებდა: „50-იანი წლების შუა ხანები იყო. მოსკოვიდან ჩამოვიდა კომისია სახელმძღვანელოს კრიტიკით, ვინმე ბურჯალოვის ხელმძღვანელობით. ძალიან მძიმე სხდომა ჩატარდა. ითქვა, რომ ეს არის მეფეების, დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა ისტორია, რომ არ არის სოციალური, ეკონომიკური, კლასთა ბრძოლის ისტორია წარმოჩენილი. დაეთვალათ რომელ გვერდზე, რამდენჯერ იყო სიტყვა მეფე ნახსენები, არ იყო ჯეროვნად შეფასებული რუსეთის ფაქტორი და სხვა. ამ კრიტიკას რამდენიმე ქართველი ისტორიკოსი გამოეხმაურა. დაიწერა რეცენზიები რუსულ და ქართულ პრესაშიც. დაისვა ახალი სახელმძღვანელოს დაწერის საკითხი. შეიქმნა ავტორთა კოლექტივი ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. 1958 წელს გამოვიდა ახალი სახელმძღვანელო წინ წამოწეული სოციალური და ეკონომიკური ისტორიით, მაგრამ რომ „კაცობრიობის ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა“ მაინც ვერ იქნა მასში წარმოდგენილი“ [32, 42].

აღსანიშნავია, რომ იმპერიალისტური პოლიტიკის მესვეურებს ქართველი ერის დაქუცმაცებისა და ეროვნული თვითშეგნების მოშლის მცდელობაზე ხელი არც შემდგომ პერიოდში აუღიათ. სსრკ მოსახლეობის 1959 წლის აღწერის წინა ხანებში მათ კიდევ ერთხელ სცადეს წყალი აემღვრიათ.

მარიამ ლორთქიფანიძე იგონებდა: „ემზადებოდნენ მოსახლეო-

ბის საყოველთაო აღწერისათვის. 1959 წელს საქართველოს სსრ-ის უმაღლეს ორგანოში გამოიგზავნა მოსკოვში შემუშავებული ანკეტის ნიმუში, რომელიც აქ აღწერამდე საიდუმლოდ უნდა დაცულიყო. საქართველოში არსებულ სხვა ეროვნებებთან ერთად, მითითებული იყო „სვანი“, „მეგრელი“ და, შესაბამისად, მშობლიურ ენად სხვა (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური) ენებთან ერთად, „მეგრული“, „სვანური“. მიზანი იყო ისედაც დაქუცმაცებულ საქართველოში ცალკე მეგრული და სვანური ერთეულების შექმნა. გაცოცხლდა რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების მიერ ვერმიღწეული გეგმა. საიდუმლოდ მოსული დოკუმენტაციის შესახებ ცეკადან ხმა გამოვიდა. ვიღაცამ (იქაც იყვნენ ასეთი პატრიოტი ადამიანები) დოკუმენტაციის ასლი მიაწოდა აკადემიკოს გიორგი წერეთელს. შედგა ქართველ აკადემიკოსთა საპროტესტო წერილი, სათანადოდ დასაბუთებული. გაიგზავნა ჩვენს მთავრობაში და მოსკოვში, ხელი მოაწერა თითქმის ყველა აკადემიკოსმა. პროტესტმა შედეგი გამოიღო. აღწერისათვის შესავსები ანკეტიდან ეროვნება „სვანი“ და „მეგრელი“ და შესაბამისად, ენაც ამოიღეს. ჩვენმა აკადემიკოსებმა კომუნისტური რეჟიმის უმკაცრეს პირობებში ღირსეულად დაიცვეს ერის ერთიანობის იდეა“ [32, 48-49].

1975 წელს მოსკოვში მომხდარ ფაქტს ასე იხსენებდა მარიამ ლორთქიფანიძე: „60-იანი წლებიდან დაიწყო თითქოს ტაქტიანი, მაგრამ გეგმაზომიერი ბრძოლა ეროვნული ისტორიებისა და ეროვნული ენების წინააღმდეგ. შემუშავდა თვალსაზრისი: სსრკ ერთი სახელმწიფოა და მისი ისტორია შერწყმულად უნდა იყოს წარმოდგენილი, ე. ი. იყოს ერთი “История ССР“ და მასში იყოს შესული ყველა რესპუბლიკის ისტორია. ისეთი წიგნები არსებობდა (მაგალითად, ოთხტომიანი, პანკრატოვას რედაქციით), რომელშიც საქართველოს ისტორიას სულ 25-მდე გვერდი ჰქონდა დათმობილი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მხოლოდ ასეთი „შერწყმული“ ისტორია უნდოდათ ესწავლებინათ და ზედმეტად თვლიდნენ ცალკე ეროვნული ისტორიების სწავლებას.

დაინიშნა მოსკოვში საკავშირო და რუსეთის განათლების სამინისტროების სხდომა, სადაც მიიწვიეს ყველა რესპუბლიკათა წარმომადგენლები. ჩვენგან – ვიქტორ გუჩუა (საათებშემცირებული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს თანაავტორი, შოთა მესხია გარდაცვლილი იყო), პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი სვიმონ გამსახურდია, პედაგოგიკის კვლევითი ინსტიტუტის მეთოდისტი

ვალერიან ცაავა, მეთოდისტი მიხეილ მახარაძე. განათლების მინისტრმა, ქალბატონმა თამარ ლაშქარაშვილმა მთხოვა, რომ სხვებთან ერთად მეც წავსულიყავი მოსკოვში თათბირზე.

ეროვნული ისტორიის პოზიციას ვიცავდით სომხები, ჩვენ და ბალტიისპირელები. დანარჩენი ყველა ჩვენი წინააღმდეგი იყო. ერთი დებულება, რომ ამ ხალხების ისტორია სხვადასხვა დროს იწყება, რომ ვასწავლოთ შერწყმულად, დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

ბელორუსიის განათლების მინისტრმა ბრძანა, რომ „მათ არავისთან და საკუთრივ რუსეთთან გასაყოფი არაფერი აქვთ“, ხოლო ჩემ რეპლიკაზე – „თქვენი საქმე თქვენ იცით“, გაბრაზებულმა ბრძანა, რომ „ქართველებს და სომხებს თავიანთი თავი და ისტორია დიდი რაღაცა ჰგონიათ და ეს უნდა ამოიძირკვოსო“.

კამათი გამწვავდა... სიტყვა ითხოვა ლატვიის განათლების მინისტრმა და განაცხადა: „მე სახელმწიფო მოხელე ვარ, გავატარებ იმას, რასაც აქ დაადგენთ, მაგრამ თუ სკოლებში ამოვიღებთ ეროვნული ისტორიის კურსს, ორი დღის შემდეგ რიგაში გაჩნდება იატაკქვეშა სკოლები საკუთარი ისტორიის შესასწავლად“.

სიტუაცია დაიძაბა. ჩამოვარდა სიჩუმე. თავმჯდომარემ (რუსეთის განათლების მინისტრი) შესვენება გამოაცხადა, ხოლო შესვენების შემდეგ ბრძანა, რომ თათბირი ამჟამად დამთავრებულია და გადაწყვეტილებას ადგილზე შეგატყობინებთო. სხდომის შემდეგ მოვიდნენ ჩვენთან აზერბაიჯანის წარმომადგენლები და გვითხრეს, რომ ეცდებიან თავის სკოლებში შეიტანონ აზერბაიჯანის ისტორია ცალკე საგნად.

რამდენიმე თვის შემდეგ, რეგიონული პრინციპით მოიწვიეს შემდეგი სხდომა, ამიერკავკასიისა – ცალკე, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ და ბალტიისპირელები საერთო ფრონტით არ გამოვსულიყავით. აქ კი, ეტყობა, აზერბაიჯანის იმედი ჰქონდათ. დელეგაცია იმავე შემადგენლობით შეადგინეს, მაგრამ ქალბატონ თამარს უარი ვუთხარი წასვლაზე, რადგან პირველ თათბირზე კამათის დროს და შემდეგაც, მოურიდებლად მითხრეს: „აქ გამოძახებულნი არიან სახელმძღვანელოთა ავტორები და მეთოდისტები, თქვენ კი ვინ ხართ და რა გნებავთო“. ქალბატონმა თამარმა არ მიიღო ჩემი უარი, უფრო მაღალი ინსტანციიდანაც მომთხოვეს წასვლა, მაგრამ უკვე მოსკოვში მოხდა ინციდენტი: როდესაც აეროპორტიდან მივედით განათლების სამინისტროში რეგისტრაციაში გასატარებლად და სასტუმროს ჯავშნის მისაღებად, მე მითხრეს, რომ არ ვარ სიაში. დღეისათვის სასტუმ-

როს მომცემენ, დილისათვის დაჯავშნული იქნება ავიაბილეთი და გთხოვთ, მიბრძანდეთ. არ ვიცი, რა მოხდა. ვიქტორმა თურმე დარეკა თბილისში მინისტრთან. დილით, გამგზავრებას რომ ვაპირებდი, სასწრაფოდ მაცნობეს, მივსულიყავი თათბირზე. ბოდიში მოიხადეს, მითხრეს: „Произошло какое-то недоразумение“.

აზერბაიჯანელების იმედი გაუცრუვდათ. ჩვენ, სამივე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, ჩვენი ერთობლივი რეზოლუცია მივიღეთ და წარვუდგინეთ სამინისტროს.

საქართველოს ისტორია (და ასევე ყველა რესპუბლიკისა, ვისაც ეს სურდა), როგორც დამოუკიდებელი საგანი, ვერ ამოიღეს საშუალო სკოლის პროგრამიდან. და ეს შევძელით კომუნისტური რეჟიმის პირობებში. როდესაც უნივერსიტეტის რექტორმა ილია ვეკუამ დიდი საბჭოს სხდომაზე დააყენა საკითხი, რათა საქართველოს ისტორიის სწავლება სავალდებულოდ შემოეღოთ ყველა ფაკულტეტზე (მხოლოდ ჰუმანიტარულზე იკითხებოდა), საბჭოს წევრები ფეხზე ადგომითა და ტაშით შეხვდნენ ამ წინადადებას.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების არსებობისას ქართული ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა წერილით მიმართა ზემდგომ ორგანოებს, რათა უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე სსრკ ისტორია საქართველოს ისტორიით შეეცვალათ, ხელისუფლება ამაზეც წავიდა“ [33, 29-31; 32, 44-45].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ფაქტი იყო ერთ-ერთი გამოვლინება ქართველ და ბალტიელ (ლიტველებს, ლატვიელ და ესტონელ) ხალხებს შორის ტრადიციულად არსებული სოლიდარობისა, რაც სსრ კავშირის არსებობის პერიოდში სისტემატურად ხდებოდა [34, 312-315].

* * *

ამრიგად, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, იმპერიალისტური პოლიტიკის გამოისობით, საქართველოს და ქართველი ერის ინტერესებს საფრთხე არაერთხელ დაემუქრა. ეს საფრთხეები ქართველობას მისივე ღირსეულ მამულიშვილთა თავგანწირვამ ააცილა. ამ საქმეში ქართველ მოღვაწეებს საჭირო თანადგომა რამდენჯერმე აღმოუჩინეს იმდროინდელმა ყველაზე გავლენიანმა ქართველებმა – სსრ კავშირის მესვეურმა იოსებ სტალინმა და ლავრენტი ბერიამ, რომელიც ამ უკანასკნელის ნდობით აღჭურვილი თანამებრძოლი გახლდათ.

Секретарю ЦК ВКП(б)

товарищу И. С Т А Л И Н У.

В основу разработки вопроса национальности по материалам Всесоюзной переписи населения 1937 года положен "Словарь национальностей", присланный ЦУНХУ Госплана СССР Управлению Нархозучета Грузинской ССР для руководства.

Согласно этого словаря а д ж а р ц ы выделены в отдельную от грузин национальность.

Выделение аджарцев в отдельную национальность и обособление их от грузинской национальности в корне противоречит сталинскому определению понятия нации.

Аджарцев об'единяет с грузинской нацией общность языка, территории, экономической жизни и культуры. Аджарцы - те же грузины, с той лишь разницей, что они были омусульманены в прошлом.

Для характеристики той путаницы, или вернее, то-го великодержавнического духа, которым все еще пропитаны некоторые научные учреждения Академии Наук СССР, приведем здесь те разноречивые выводы, к которым приходят эти научные учреждения в вопросах классификации грузинской национальности.

Комиссия Академии Наук по изучению племенного состава населения СССР и сопредельных стран, выделенная в свое время в связи с переписью населения 1926 года, установила следующую классификацию грузинской национальности:

1. Грузины (в составе: карталинцы-картли, кахи, туши, пшавхевсурцы, ингило, сомхитцы, джавахцы, месхийцы, кларджийцы, тао́йцы, аджарцы, гурийцы, имери, рачинцы, лечхумцы)
2. Мегрелы
3. Чаны
4. Сваны
5. Бацбии

Институт языка и мышления Академии Наук СССР в связи с переписью населения 1937 года дает другую классификацию:

позициеи, как отдельная национальность.

Поэтому прошу дать ЦУНХУ Госплана СССР соответствующее указание об исправлении неправильной классификации национальностей Грузии, предложив включить аджарцев в состав грузинской национальности.-

Секретарь ЦК КП(б) Грузии (Б е р и я)

ლავრენტი ბერიას წერილი იოსებ სტალინისადმი (1937 წ.)

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ნიკო ჯავახიშვილი, გრიგოლ I – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, თბილისი, 2020.
2. Всесоюзная перепись населения 1926 года, Издание ЦСУ Союза ССР, т. 9-11, 14-17, Москва, 1928-1929; http://www.demoscope.ru/weekly/ssp/ussr_nac_26.php?reg=5.
3. მარკ იუნგე, ბერნდ ბონვეჩი, დანიელ მიულერი, ეთნოსი და ტერორი საქართველოში, თბილისი, 2015.
4. Грузия в пути. Тени Сталинизма. Составителы: Марк Юнге, Бернд Бонвеч, Даниэль Мюллер, Москва, 2017.
5. ტრისტან ჩინჩილაკაშვილი, ბერია ლავრენტი პავლეს ძე, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, თბილისი, 1997.
6. Никита Петров, Константин Скоркин, Кто руководил НКВД (1939-1941 гг.). Справочник. Под редакцией Н. Охотина и А. Рогинского, Москва, 1999.
7. Константин Залесский, Империя Сталина. Биографический энциклопедический словарь, Москва, 2000.
8. ნიკო ჯავახიშვილი, ლავრენტი ბერია რამდენიმე თანამედროვის თვალით, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, № 12, თბილისი, 2013.
9. გერონტი ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, თბილისი, 2003.
10. ლავრენტი ბერია, მეგრელ ავტონომისტების შესახებ, გაზეთი „კომუნისტი“, № 210, თბილისი, 1925.
11. გაზეთი „კომუნისტი“, № 219, თბილისი, 1925.
12. ტარიელ ფუტკარაძე, ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, თბილისი, 2019.
13. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფონდი 14, საქმე №152.
14. ნინო ყიფშიძე, რას წერდა ლავრენტი ბერია სტალინს, საქართველოს შინაგან შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ჟურნალი „საარქივო მოამბე“, № 2, თბილისი, 2008.
15. „საარქივო მოამბე“ 2008: ლავრენტი ბერიას მიმოწერა იოსებ სტალინთან (1937 წ.), ჟურნალი „საარქივო მოამბე“, № 3-ის დამატება, თბილისი, 2008.
16. კანდიდ ჩარკვიანი, განცდილი და ნააზრევი, თბილისი, 2004.
17. Юрий Чиковани, Род князей Мачабели (Историко-генеалогическое исследование), Тбилиси, 2009.
18. ნიკო ჯავახიშვილი, უცნობი სტალინი (დაკვირვებანი მის წარმომავლობაზე, გარეგნობასა და პიროვნულ ხასიათზე), „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, № 14, თბილისი, 2014.

19. Grigol Robakidse, Die gemordete Seele, Roman, Eugen Diederichs Verlag, Jena, 1933.
20. გრიგოლ რობაქიძე, ჩაკლული სული, გერმანულიდან თარგმნა ალექსანდრე კარტოზიამ, წიგნში: გრიგოლ რობაქიძე, ნაწერები, წიგნი I, პოეზია, პროზა, ნოველები, მინიატურები, რომანები, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლალი ცომაიამ, გამომცემელი ლაშა ბაქრაძე, თბილისი, 2012.
21. გრიგოლ რობაქიძე, წერილი ფ. ბელმონტისადმი, გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ, წიგნში: გრიგოლ რობაქიძე, ნაწერები, წიგნი IV, პუბლიცისტიკა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლალი ცომაიამ, გამომცემელი ლაშა ბაქრაძე, თბილისი, 2012.
22. თინათინ ბოლქვაძე, საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი: ნიკო მარი, იოსებ სტალინი, არნოლდ ჩიქობავა, თბილისი, 2018.
23. გელა ჩარკვიანი, ინტერვიუ მამასთან. კანდიდ ჩარკვიანი სტალინის, ბერიას და გვიანდელი სტალინური ეპოქის საქართველოს შესახებ, თბილისი, 2013.
24. Иосиф Сталин, Сочинения, т. 11, Москва, 1949.
25. დევი სტურუა, სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, თბილისი, 1995.
26. გურამ ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი (ახლებურად წაკითხვის ცდა), თბილისი, 1999.
27. გიორგი ჩიტაია, ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, თბილისი, 1991.
28. ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 2-3, თბილისი, 1986.
29. მერაბ კოსტავა, შეწყვეტილი ფიქრები, თბილისი, 1991.
30. დავით ჯოხაძე, გენერალი მაზნიაშვილი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, № 30, თბილისი, 1992.
31. გივი ჟორდანია, დიდი ეროვნული მოღვაწე, შრომათა კრებული „ნიკო კეცხოველის ხსოვნას“, რ. ჟორდანიას რედაქციით, თბილისი, 1998.
32. საქართველოს დიდი ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე, ავტობიოგრაფიული მონათხრობი, წერილები, ინტერვიუები, წიგნის შემდგენელი ლია მელიქიშვილი, ნანა ხაზარაძის რედაქციით, თბილისი, 2013.
33. მარიამ ლორთქიფანიძე, ჩემი გზა (ზოგი რამ, რაც გამახსენდა), შემდგენელი ლევან კიკვიძე, თბილისი, 2007.
34. Николай Джавахишвили, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Тбилиси, 2019.

Niko Javakhishvili

Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief scientist-researcher of the Department of the Modern and Contemporary History

From the History of the Defense of Georgians' National Unity and Identity (1925-1975)

Summary

The work studies the ways and efforts of Russian imperialistic forces aimed to divide Georgian nation into several nations and destruct Georgians' national identity. This process started from the beginning of the XIX century when Russian empire concurred Georgia.

Since 1921 when Russian Federation's armed forces occupied and sovietisized Georgia, national interests of Georgia's population were put under danger for many times. Such situation was also continued in the whole period of the Soviet Union's existence.

Above mentioned dangers were only avoided by the sacrificing efforts of dignified Georgian public figures whose efforts are studied in the above research work, which comprises 1925-1975 years, half a century.

მარინა გლოველი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

საქართველოს მოქმედი ნორმატიული სივრცე ეროვნული უმცირესობების უფლებების შესახებ

ჩვენს ქვეყანას ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის დადებითი ისტორიული გამოცდილება გააჩნია. საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტად ქცევის შემდეგ, საერთაშორისო სამართლის პრინციპის პატივისცემის სულისკვეთების შესატყვისად, საქართველოში აქტუალური გახდა ეროვნული უმცირესობების უფლებების საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში მოქცევა, რისთვისაც გადადგმული იქნა როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი ნაბიჯები. ამასთან, ეროვნული უმცირესობების ბუნებრივი და აბსოლუტური უფლებების დაცვასთან ერთად, აღსანიშნავია მათ მიმართ პოზიტიური, პროაქტიული მიდგომები, რაც გაცხადებულია ადამიანური განზომილების კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტში (1990). „...სახელმწიფოები დაიცავენ ეროვნული უმცირესობების ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობას“ [1, 5].

საქართველოში ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისათვის მნიშვნელოვანია, როგორც საერთაშორისო ისე შიდა ნორმატიული აქტები. რამდენადაც ეროვნული უმცირესობების უფლებები ადამიანის უფლებების ნაწილია, მის დასაცავად უპირველესად მნიშვნელოვანია 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც საქართველოში მოქმედია 1991 წლის 15 სექტემბერიდან [2, 2] ეს იყო პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილი უფლებები მისადაგებული იყო ყველა ხალხზე. მას სამართლებრივი ძალა არ ჰქონდა, მაგრამ იმთავითვე დიდი მორალური ძალის მატარებელი იყო. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია საქართველოში ძალაშია 1991 წლის 15 სექტემბრიდან. დეკლარაციის პრეამბულაში აღინიშნა, რომ: „... აუცილებელია ხელისშეწყობა ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის“, პირველი მუხლი კი ადგენს: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით, მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერ-

თმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით“. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დეკლარაციის მე-2 მუხლი, რომლის თანახმადაც: „ყველას აქვს წინამდებარე დეკლარაციაში მოყვანილი უფლება თუ თავისუფლება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, როგორიცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, პოლიტიკური თუ სხვა სახის შეხედულებები, ეროვნება თუ სოციალური წარმოშობა, ქონება, დაბადებისა თუ სხვა რაიმე სტატუსი“ [23, 2]. უფრო მეტიც, დაუშვებელია რაიმე განსხვავების გაკეთება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, იურისდიქციული თუ საერთაშორისო სტატუსის გამო, რომელსაც მიეკუთვნება ადამიანი, იქნება აღნიშნული ქვეყანა თუ ტერიტორია დამოუკიდებელი, სამეურვეო, თვითმმართველობას მოკლებული თუ სუვერენიტეტის სხვა რაიმე შეზღუდვებში მოქცეული. მე-18 მუხლით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წესჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.“ [2, 4] მე-19 მუხლის თანახმად: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წესჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით“ [2, 4]. მე-20 მუხლი ითვალისწინებს, რომ: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა. არავის იძულება არ შეიძლება რაიმე ასოციაციაში შესასვლელად“ [2, 5]. 21-ე მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში. ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა; ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით“ [2, 6]. ამას-

თანავე, კონვენციის ყველა მუხლი გამსჭვალულია ყველა ადამიანის უფლებათა დაცვის, მათ შორის უმცირესობათა უფლებების დაცვის სულისკვეთებით. აღნიშნული კატეგორიულადაა დადასტურებული კონვენციის დასკვნითი, 30-ე მუხლით, რომელიც აცხადებს: „ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც მინიჭება რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალკეული პირებისათვის უფლებისა ეწეოდენ ისეთ საქმიანობას ან ჩაიდინონ ისეთი მოქმედება, რომელიც მიმართულია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსასპობად [2, 8].

ეროვნული უმცირესობის დაცვას ითვალისწინებს, ასევე, „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“ 31/12/1949კონვენცია [3], რომელიც საქართველოში ძალაში შევიდა 11/10/1993 წელს. კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია: „აღიარებენ რა, რომ მთელი ისტორიის მანძილზე გენოციდს მოჰქონდა დიდი ზიანი კაცობრიობისათვის“; თანხმდებიან თანამშრომლობაზე. კონვენციის მე-2 მუხლით: „გენოციდი ნიშნავს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით: (a) ჯგუფის წევრთა მკვლელობა; (b) ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების ან ფსიქიკური მოშლილობის მიყენება; (c) ჯგუფისათვის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას; (d) ისეთი ზომების გატარება, რომელთა მიზანია ჯგუფის შიგნით შობადობის აღკვეთა; (e) ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების ძალადობით გადაცემა. აღნიშნული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად დასჯადია: შეთქმულება გენოციდის ჩადენის მიზნით; პირდაპირი და საჯარო წაქეზება გენოციდის ჩადენისათვის; გენოციდის ჩადენის მცდელობა [3, 1]; თანამონაწილეობა გენოციდში. მე-5 მუხლით კი: „ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას თავიანთი კონსტიტუციის შესაბამისად მიიღონ აუცილებელი კანონმდებლობა წინამდებარე კონვენციის დებულებების ასამოქმედებლად და, კერძოდ, ეფექტური ზომების მიღების მიზნით, იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს გენოციდის დანაშაული ან III მუხლში ჩამოთვლილი ნებისმიერი სხვა ქმედება“ [3, 2].

ეროვნული უმცირესობის დაცვასთან მიმართებით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად“ საერთაშორისო კონვენცია [4], რომელიც

მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1965 წლის 21 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1969 წლის 4 იანვარს. საქართველოში ძალაშია 1999 წლიდან. კონვენცია შედგება პრეამბულისა და 25 მუხლისაგან. პრეამბულაში გაცხადებულია, რომ: „...ყველა მონაწილე სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, გაეროსთან თანამშრომლობით განახორციელოს ერთობლივი და ცალკეული ქმედებები, რათა მიაღწიონ გაერთიანებული ერების მიზანს, წაახალისონ და ხელი შეუწყონ ყველა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა... დარწმუნებულნი არიან, რომ უპირატესობის ნებისმიერი თეორია, დაფუძნებული რასობრივ დისკრიმინაციაზე, მეცნიერულად მცდარი, მორალურად დასაგმობი, სოციალურად უსამართლო და საშიშია, და, რომ რასობრივ დისკრიმინაციას არ აქვს არც თეორიული და არც პრაქტიკული გამართლება. დარწმუნებულნი არიან, რომ რასობრივი ბარიერების არსებობა ეწინააღმდეგება ადამიანთა საზოგადოების იდეალებს“ [4, 1]. უმცირესობათა დაცვის ძირითადი მიმართულებები ასახულია მე-2 მუხლში, რომლის თანახმადაც მონაწილე მხარეები მიისწრაფვიან, რათა შემუშავებული იქნას რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის პოლიტიკა, კისრულობენ ვალდებულებას, რომ ყველა ცენტრალურმა და ადგილობრივმა სახელმწიფო ორგანიზაციამ და დაწესებულებამ იმოქმედოს ამ მოვალეობის შესაბამისად, არ დააფინანსებენ, არ დაიცავენ და არ დაეხმარებიან ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას რასობრივი დისკრიმინაციის განხორციელებისას. რასობრივი დისკრიმინაციის განმტკიცების საწინააღმდეგოდ გაუქმებული ან ძალადაკარგული უნდა იქნეს ნებისმიერი კანონი. მიღებული უნდა იქნეს ეფექტური ზომები ცენტრალურ და ადგილობრივი პოლიტიკაში. ხელი უნდა შეუწყონ ორგანიზაციებს და მოძრაობებს თუ სხვა საშუალებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ რასობრივი ბარიერების მოშლას და ხელს უშლიან ყველაფერს, რაც რასობრივ დაყოფას აძლიერებს.

ეროვნული უმცირესობების დაცვის კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი“ [5], რომელიც მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1976 წლის მარტიდან. მის პრეამბულაში აღინიშნა: „ადამიანთა მოდგმის ყველა წევრის თანდაყოლილი ღირსების, განუყოფელი და თანასწორი უფლებების აღიარება მსოფლიოში თავისუფლების, სა-

მართლიანობის და მშვიდობის საფუძველია," I მუხლის თანახმად: „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად ისწრაფვიან ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარებისკენ" [5, 1]. მე-2 მუხლით დადგენილი იქნა, რომ: „წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი უზრუნველყოს წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებებით, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა გარემოებათა მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. თუკი უკვე გათვალისწინებული არ არის მოქმედი საკანონმდებლო ან სხვა ზომებით, წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას მიიღოს აუცილებელი ზომები თავისი კონსტიტუციური პროცედურებისა და წინამდებარე პაქტის დებულებების შესაბამისად, რათა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც შესაძლოა, საჭირო გახდეს წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებების განხორციელებისათვის. წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას:

ა) ნებისმიერი პირი, რომლის წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებები და თავისუფლებებიც დაირღვა, უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დარღვევა ჩაიდინეს ოფიციალურად მოქმედმა პირებმა;

ბ) უზრუნველყოს თითოეული პირის იურიდიული დაცვის უფლება, ვინც კი ასეთ დაცვას მოითხოვს, რომელიც დადგენილია კომპეტენტური სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ხელისუფლების ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ ამ სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის შესაბამისად და განავითაროს სასამართლო დაცვის შესაძლებლობები;

ც) უზრუნველყოს კომპეტენტური ორგანოების მიერ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენება" [5, 2].

მნიშვნელოვანია, რომ „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი"-ის 27-ე მუხლმა საერთაშორისო სამართალში თვისობრივად ახალ ეტაპს დაუდო სათავე. მასში აღინიშნა: „იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი

უმცირესობები, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას განეკუთვნებიან, არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ თავიანთი რელიგია, ან გამოიყენონ მათი მშობლიური ენა". ნათელია, სახელმწიფოსთვის დაკისრებული ვალდებულებები უმცირესობების მიმართ სამმაგი დანიშნულებისაა და გულისხმობს კულტურით სარგებლობის; რელიგიის ქადაგების და ღვთისმსახურების შესრულების; და ენის გამოყენების დაცვას" საჭიროების შემთხვევაში, რამდენადაც პაქტი უარყოფით ფორმაში იძლევა უფლების ფორმულირებას: „არ უნდა ეთქვას უარი..." [5, 5].

აღნიშნული ნორმის დეფინიცია პირველად მოიცავს უმცირესობების როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ უფლებებს კომპლექსურად. თუმცა, ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს პაქტის მე-4 მუხლით: „საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის სიცოცხლეს და რაც ოფიციალურად არის გამოცხადებული, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაუხვიონ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე, იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები შეუთავსებელი არ იქნება მათ მიერ საერთაშორისო სამართლით ნაკისრ სხვა ვალდებულებებთან და არ მოიცავს დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე" [5, 2]. თუმცა, ამ მუხლით დადგინდა, რომ შეზღუდვა არ ეხება პაქტის მე-6, მე-7, მე-8 (1 და2 პუნქტები), მე-11, მე-15, მე-16 და მე-18 მუხლებით დაცულ უფლებებს, რაც ყველა ადამიანს და მათ შორის უმცირესობებსაც ეხება.

მე-4 მუხლი, ასევე, ადგენს: „წინამდებარე პაქტის თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, რომელიც იყენებს შეზღუდვის უფლებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საშუალებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს წინამდებარე პაქტის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს, თუ რომელი დებულებები შეზღუდა და შეზღუდვის მიზეზები. ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საშუალებით უნდა შეატყობინოს ასეთი შეზღუდვის შეწყვეტის თარიღი" [5, 2].

ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვა ასახულია ,ასევე, „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციაში" [6], რომელიც მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წლის 18 დეკემბერს, ძა-

ლაში შევიდა 1981 წლის 3 სექტემბერს. საქართველო მას მიუერთდა 1994 წელს. კონვენციის პრეამბულაში აღინიშნა: „შეშფოთებული არიან, რომ სხვადასხვა დოკუმენტების მიუხედავად წინანდებურად ხდება ქალთა მნიშვნელოვანი დისკრიმინაცია... ადასტურებენ, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ყველა სახელმწიფოს ურთიერთთანამშრომლობა, მათი სოციალური და ეკონომიკური სისტემების მიუხედავად, საყოველთაო და სრული განიარაღება, განსაკუთრებით – ბირთვული განიარაღება მკაცრი და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით, ქვეყნებს შორის ურთიერთობაში სამართლიანობის, თანასწორობის და ურთიერთსარგებლობის პრინციპების დამკვიდრება და უცხოეთისა და კოლონიური ბატონობისა და უცხოეთის ოკუპაციის ქვეშ მყოფი ხალხების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლების განხორციელება, აგრეთვე, ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა ხელს შეუწყობს სოციალურ პროგრესს და განვითარებას“ [6, 1].

1989 წლის 20 ნოემბრის გაეროს „ბავშვის უფლებების შესახებ“კონვენციის [7], რომელსაც საქართველო შეუერთდა 1994 წლის 2 ივლისს, ოცდამეათე მუხლით განისაზღვრა: „ იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ჯგუფები ან მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი პირები, ბავშვს, რომელიც ასეთ უმცირესობებს ან მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნის, უარი არ უნდა ეთქვას უფლებაზე, თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლოს თავისი კულტურით, თავისი რელიგიით და აღასრულოს მისი რიტუალები, აგრეთვე ისარგებლოს მშობლიური ენით“ [7, 5].

ეროვნულ უმცირესობათა უფლებები დაცულია, ასევე, 1960 წლის 14 დეკემბერს პარიზში მიღებული „განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენციით“ და 1966 წლის „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტით“.

ეროვნული უმცირესობა განსაკუთრებით დაცვულია „ეროვნული უმცირსობის დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციით“ [10], რომელიც ევროსაბჭოს მიერ მიღებული იქნა სტრასბურგში 1995 წლის 1 თებერვალს, ხელი მოაწერა 42-მა და რატიფიცირება მოახდინა 35-მა სახელმწიფომ. საქართველომ მას ხელი 2000 წლის 21 იანვარს მოაწერა, რატიფიცირება კი მოახდინა 2005 წლის 13 ოქტომბერს. დოკუმენტის თავისებურებაა ის, რომ პირველ ეტაპზე ქვეყანა ხელს აწერს მას, კისრულობს ვალდებულებას კონვენცია მოარგოს

ქვეყნის პოლიტიკის სტრატეგიას და სპეციფიკას, შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა ეროვნული უმცირესობების შესახებ და მოახდინოს მისი რატიფიცირება. კონვენციაში ასახული სიტყვა „ჩარჩო“, საქართველოს, ისე როგორც ყველა მონაწილე სახელმწიფოს თავისუფალ სივრცეს აძლევს განმარტოს კონვენციის დებულებები ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის მახასიათებლების და სახელმწიფო პოლიტიკის შესატყვისად. კონვენციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს „მათ ტერიტორიებზე ეროვნული უმცირესობების არსებობის დაცვა“ იქვე აღინიშნა, რომ; „პლურალისტური და ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება არა მხოლოდ პატივს უნდა სცემდეს ერვნული უმცირესობისადმი კუთვნილი თითოეული პირის ეთნიკურ, ლინგვისტურ ლა რელიგიურ თვითმყოფადობას, არამედ ასევე უნდა შექმნას სათანადო პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მათ გამოამჟღავნონ, დაიცვან და განავითარონ თავიანთი თვითმყოფადობა“. „ეროვნული უმცირსობის დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის“ პირველი მუხლით: „ ეროვნული უმცირესობებისა და იმ პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ამგვარ უმცირესობებს, წარმოადგენს ადამიანის უფლებების საერთაშორისო დაცვის შემადგენელ ნაწილს და როგორც ასეთი, არის საერთაშორისო თანამშრომლობის სფერო“ [10, 1]. მე-3 მუხლით დადგენილი იქნა, რომ: „ყოველ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, უფლება აქვს, თავისუფლად აირჩიოს, რომ მას მოეპყრან ან არ მოეპყრან, როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს და დაუშვებელია ამ არჩევნიდან ან ამ არჩევანთან დაკავშირებული უფლებებდან გამომდინარე რაიმე გადახვევა. პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, შეუძლიათ ინდივიდუალურად ისევე, როგორც სხვებთან ერთად კავშირში, განახორციელონ ის უფლებები და ისარგებლონ იმ თავისუფლებებით, რომლებიც გამომდინარეობენ წინამდებარე ჩარჩო კონვენციით უზრუნველყოფილი პრინციპებიდან.“ [10, 2] კონვენციის მე-4 მუხლით: „მხარეები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების კანონის წინაშე თანასწორობა და კანონის მიერ მათი თანაბარი დაცვა. ამ მიმართებით აკრძალულია ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილებაზე დაფუძნებული ნებისმიერი დისკრიმინაცია. აუცილებლობის შემთხვევაში, მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ ადეკვატური ზომები იმისათვის, რომ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტი-

კური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ხელი შეუწყონ მთლიანი და ეფექტური თანასწორობის დამკვიდრებას იმ პირებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას და იმათ შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან უმრავლესობას. ამ მხრივ, ისინი სათანადოდ გაითვალისწინებენ იმ პირთა სპეციფიკურ მდგომარეობას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს“ მე-5 მუხლით: „მხარეები იღებენ ვალდებულებას, შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად“ [39, 2]. ჩარჩო კონვენციაში სიტყვა „ჩარჩო“' სახელმწიფოებს თავისუფალ სივრცეს აძლევს განმარტონ მოცემული კონვენციის დებულებები მათი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის მახასიათებლების და სახელმწიფო პოლიტიკის შესატყვისად. თუმცა, კონვენციის საბაზო მოთხოვნების ირგვლივ ვაჭრობა დაუშვებელია და არამოლაპარაკებად სფეროში ექცევა.

ეროვნული უმცირესობების დაცვასთან დაკავშირებით გარდა იურიდიული ძალის მქონე საერთაშორისო შეთანხმებებისა არსებობს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის (ეუთოს) მრავალი პოლიტიკური დოკუმენტი. ისინი, მართალია, იურიდიულად სავალდებულო შესასრულებელნი არ არიან, მაგრამ განსაკუთრებული ღირებულებები აქვთ. ისინი ყველა მონაწილე ქვეყნის თანხმობის საფუძველზეა მიღებული და პოლიტიკურ რეკომენდაციებს წარმოადგენენ. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია 1990 წლის კოპენჰაგენის ექსპერტთა თათბირის შედეგად შექმნილი დოკუმენტი [1]. ეს პირველი დოკუმენტია, სადაც დემოკრატიულ სახელმწიფოში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების მინიმალური პაკეტია აღწერილი, ესაა: არა დისკრიმინაციას; თანასწორობის წახალისება; კულტურის, რელიგიის, ენის და ტრადიციების შენარჩუნება; შეკრებათა, აზრის, სიტყვის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; განათლების ხელმისაწვდომობა; საზღვარგარეთ კონტაქტები და თანამშრომლობა; საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, იძულებითი ასიმილაციის აკრძალვა და სხვა. განსაკუთრებულად ღირებულია ეუთოს 1975 წლის დასკვნითი დოკუმენტი, 1983 წლის მადრიდის დოკუმენტი, 1989 წლის ვენის დოკუმენტი და 1991 წლის ეროვნული უმცირესობების ექსპერტთა ჟენევის ანგარიში. ამ უკანასკნელს ეუთოს ოფიცი-

ალური დოკუმენტის სტატუსი აქვს, შეიცავს გარკვეულ მექანიზმებს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების რეალიზაციისათვის. თუმცა მას პირდაპირი გაგებით სავალდებულო ძალა არ გააჩნია. საერთაშორისო ორგანიზაციების სხვა პოლიტიკური დოკუმენტებია: გაეროს 1992 წლის დეკლარაცია იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს; 1975 წლის ეუთოს ჰელსინკის დოკუმენტი; ეუთოს მადრიდის დოკუმენტი.

ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით შიდა საკანონმდებლო ნორმებიდან მნიშვნელოვანია ქვეყნის ძირითადი კანონი, საქართველოს კონსტიტუცია [11]. მასში ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა როგორც ადამიანის უნივერსალური უფლებების ჭრილში, ასევე, უშუალოდ ეროვნული უმცირესობების უფლებების ფარგლებშია წარმოდგენილი. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.“ კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს: „სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე.“ მე-9 მუხლი, კი იცავს რა ზოგადად ადამიანის ღირსებას პრიორეტულად, იმპერატიულად აწესებს: „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.“ მე-10 მუხლით დაცულია სიცოცხლის უფლება. მე-11 მუხლი ადგენს: „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. საერთაშორისო ნორმების და საქართველოს კანონ-

მდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.“ მე-14 მუხლით, ყველასათვის დაცულია თავისუფალი მიმოსვლის უფლება, მე15 მუხლი იცავს თითოეული ადამიანის „პირად სივრცეს“, მე-16 მუხლი ადგენს, რომ: „ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება.“ მე-17 მუხლით: „ აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.“ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი განსაზღვრავს: ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება.“ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუცია ყველას უფლებად აღიარებს: მე-19 მუხლით საკუთრების უფლებას, მე-20 მუხლით შემოქმედების თავისუფლებას, 21-მუხლით შეკრების თავისუფლებას, 22-ე მუხლით გაერთიანების უფლებას, 26-ე მუხლით შრომის თავისუფლებას, 27-ე მუხლით განათლების უფლებას, 29-ე მუხლით ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებას. საქართველოს კონსტიტუცია სხვა უფლებებთან ერთად საქართველოს მოქალაქეთა უფლებებად მიიჩნევს 23-ე მუხლით პოლიტიკური პარტიის შექმნის და მასში მონაწილეობის უფლებას, 24-ე მუხლით – არჩევნებში პასიური და აქტიური მონაწილეობის უფლებას, 25-ე მუხლით – საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება, 28-ე მუხლით ჯანმრთელობის უფლება, 37-ე მუხლით – პარლამენტის წევრად არჩევის უფლება 50-ე მუხლით – პრეზიდენტად არჩევის უფლებას და 63-ე მუხლით მოსამართლედ დანიშვნის უფლება. ცხადია, ყველა ეს უფლება განკუთვნილია როგორც მკვიდრი მოსახლეობისათვის, უშუალოდ ქართველებისთვის, ასევე ეროვნული უმცირესობებისთვის, თუმცა, მნიშვნელოვანია მათი ეფექტური რეალიზაცია. საქართველოს შიდა კანონმდებლობაში ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია, ასევე, რიგი კანონებით: 2005 წლის საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ [12], მუხლები: მე-8 და მე-13; 1997 წლის საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის შესახებ“, მუხლი მე-6; 2004 წლის საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ [13], მე-16 მუხლის „დ“ პუნქტი; „ადრეული და

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ 2016 წლის საქართველოს კანონის [14] 5.2 და 23-ე მუხლები; 2011 წლის „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი [15] მუხლი 5; „პროფესიული განათლების შესახებ“ 2018 წლის კანონის მე-2 და მე-4 მუხლები; 2010 წლის საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს შრომის კოდექსის [16] მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები; „მაუწყებლობის შესახებ“ 2004 წლის საქართველოს კანონის მე-3 მუხლი [17]. 2015 წლის საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ [18] მე-9 მუხლი; 1999 წლის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის [19] 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი, მე-4 მუხლი, 117-ე მუხლი; 2014 წლის ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ [20] მე-5, მე-6, 23-ე მუხლები; 2012 წლის ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ [21] მე-2 და მე-3 მუხლები; 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის [22] 142-ე მუხლი, რომელიც დასჯადად აცხადებს შემდეგი დეფინიციის შემადგენლობას:. „ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება.... იგივე ქმედება: ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. ამავე კოდექსის 142[1] მუხლი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს ისეთი ქმედებისთვის, როგორიცაა: „რასობრივი დისკრიმინაცია, ესე იგი ქმედება, ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება; იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ან ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ; რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. განსაკუთრებუ-

ლი ყურადღების ღირსია 2014 წლის 2 მაისის საქართველოს კანონი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ [23]. აღნიშნული კანონის 1-ლი მუხლის თანახმად: „კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.“ ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს: „საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია

ასეთი მიზნის მისაღწევად.

ამავე მუხლით: „განსხვავებული მოპყრობა, პირობების შექმნა ან/და მდგომარეობა დასაშვებია, თუ არსებობს სახელმწიფოს დაუძ-ლეველი ინტერესი და სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია დემოკ-რატიულ საზოგადოებაში.

აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგინდა:„ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განხორციელებულმა ღონისძიე-ბებმა ან ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომე-ლიმე ნიშნის მქონე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ საკუთარი უფლე-ბების განხორციელებამ/დაცვამ არ უნდა ხელყოს საჯარო წესრიგი, საზოგადოებრივი უსაფრთხოება ან/და სხვათა უფლებები.“

2014 წელს 27 ივნისს, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანე-ბას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ [24] დადებული „ასოცი-რების შესახებ შეთანხმების პრეამბულაში გაცხადებულ იქნა, რომ; „ითვალისწინებენ მხარეებს შორის მჭიდრო კავშირებსა და აღიარე-ბენ საერთო სურვილს, შემდგომში განავითარონ, გააძლიერონ და გააღრმაონ ურთიერთობები ამბიციური და ინოვაციური გზით; ცნო-ბენ საქართველოს ევროპულ მისწრაფებებსა და ევროპულ არჩევანს; აღიარებენ რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თა-ვისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა – ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთ-ხედს“; იქვე აღინიშნა, რომ „საქართველო, აღმოსავლეთ ევროპული ქვეყანა, ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ ღირებულებებით და ხელი შეუწყოს მათ დამკვიდრებას; ...ადამიანის უფლებების, მათ შო-რის იმ პირების უფლებების, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესო-ბებს, დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის პატივისცემა“; შეთანხმებაში მითითებულ ადამიანის უფლებების, მათ შორის უმცირესობათა უფლებების ეფექტური რეა-ლიზაციის მიზნით იქვე ადასტურებენ, რომ ვალდებულებას იღებენ: „ყველა პრინციპისა და დებულების მიმართ, რომელიც გათვალისწი-ნებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, ევრო-პაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო), კერძოდ კი 1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლო-ბის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნითი აქტით, 1991 წლისა და, შე-საბამისად, 1992 წლის მადრიდის, სტამბულისა და ვენის კონფერენ-

ციების დასკვნითი დოკუმენტებით და 1990 წლის პარიზის ქარტიით ახალი ევროპისათვის, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციით.“ აღნიშნულ ნორმატიულ აქტებში ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის ფასეულობა განსაკუთრებული აქტუალობით არის წარმოდგენილი.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 8 მაისის №348 განკარგულებით დამტკიცებული „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციით“ [25] განისაზღვრა ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის განსახორციელებელი ვალდებულებები, ასევე, აღიარებულ იქნა: „ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა თავისუფალი არჩევანის უფლება – მოექცნენ თუ არა მათ, როგორც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს და ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლება, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად განახორციელონ ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციასა და ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციიდან“ [მუხლი 2, 3].

ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფის სტრატეგიების ძირითადი პოსტულატები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №1740 განკარგულებით დამტკიცებული „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმით“ [26]. მასში აღინიშნა, რომ: ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა და მრავალფეროვნებასა და პლურალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების ხელშეწყობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხს და განვითარებას. საქართველოს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია მიზნად ისახავს სამოქალაქო თანხმობისა და თანასწორობის უზრუნველყოფას და ეთნიკური თუ კულტურული მრავალფეროვნების დაცვის გზით სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას. სტრატეგია ორიენტირებულია ყველა მოქალაქისათვის – განურჩევლად ეთნიკური, კულტურული თუ სხვა ნიშნებისა – თანაბარი შესაძლებლობების შექმნაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მცირერიცხოვანი და მოწყვლადი

ეთნიკური ჯგუფების საკითხზე მუშაობა.

აღნიშნული ნორმატიული აქტების ეფექტური იმპლემენტაცია, ეროვნული უმცირესობებისთვის უზრუნველყოფს: გამოხატვის თავისუფლებას; მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების, ასევე რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას; გაერთიანების თავისუფლებას; გამოხატვის თავისუფლებას; მშვიდობიანი შეკრების უფლებას; რელიგიის თავისუფლებას; მედიაზე ხელმისაწვდომობის უფლებას; ლინგვისტურ უფლებებს; კულტურული უფლებებით სარგებლობას; საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქმედით მონაწილეობას, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს. აღნიშნულით კი მიღწევადია ეროვნული უმცირესობების ინკლუზიური ზრდა, რაც გამართლებული და სასურველია როგორც ეროვნული უმცირესობების მიზნებისათვის – არ მოხდება მათი იძულებითი ასიმილაცია სამოქალაქო ინტეგრაციის პირობებში, ისე ქვეყნის მთლიანობისთვის, რადგან გამორიცხული იქნება ეროვნული უმცირესობების მცდელობები თვითგამორკვევის უფლების გამოსაყენებლად.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ადამიანური განზომილების კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი, 1990.
2. 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.
3. 1949 წლის „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“ კონვენცია.
4. 1965 წლის „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად“, საერთაშორისო კონვენცია.
5. 1966 წლის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი“.
6. 1979 წლის „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია“.
7. 1989 წლის „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია.
8. 1966 წლის „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი“.
9. 1960 წლის „განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია“.
10. 1995 წლის „ეროვნული უმცირსობის დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია“.

11. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995.
12. 2005 წლის საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“.
13. 2004 წლის საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“.
14. 2016 წლის საქართველოს კანონი, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“.
15. 2011 წლის საქართველოს კანონი, „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“.
16. 2010 წლის საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს შრომის კოდექსი.
17. 2004 წლის საქართველოს კანონი, „მაუწყებლობის შესახებ“.
18. 2015 წლის საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.
19. 1999 წლის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.
20. 2014 წლის ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.
21. 2012 წლის ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.
22. 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი.
23. 2014 წლის, 2 მაისის, საქართველოს კანონი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.
24. 2014 წელს დადებული „ასოცირების შესახებ შეთანხმება“.
25. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 8 მაისის №348 განკარგულებით დამტკიცებული „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია“.
26. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №1740 განკარგულებით დამტკიცებული „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა“.

Marina Gloveli

Tbilisi Technical University, Doctoral Student at the Faculty of Law and International Relations

Title of the Article: The Current Normative Space of Georgia on the Rights of National Minorities

Summary

The paper examines the current normative acts in Georgia on the protection of the rights of national minorities, including, both international and domestic normative legislation. Furthermore, given the fact that the rights of national minorities are part of human rights, with reference to preserving the rights of national minoritieshere is also presented current normative acts in Georgia,both on human rights and on protecting the rights of national minorities.

ზაქარიაძე და ბზიტაძე

ემზარ ფაჟავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით-პროექტის – „საქართველოს ევროპული ორიენტაციის გენეზისი“ ფარგლებში [გრანტის ნომერი YS-18-200]“.

ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ ემთხვეოდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

წყვეტილი დრო: აზიელი დამპყრობლები და რუსული ანექსია

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და წყვეტილობისა, საქართველოს ევროპულ სამყაროსთან მუდმივი კულტურული, რელიგიური, სამხედრო, დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები ჰქონდა, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა საქართველოს დამოკიდებულება ევროპული ღირებულებებისადმი და გადამწყვეტი როლი ითამაშა ქვეყნის განვითარების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ სანამ აზიელი დამპყრობლები გამოჩნდებოდნენ პოლიტიკურ არენაზე ქართველურ ტომებს უკვე დიდი ხნის ურთიერთობები ჰქონდათ ევროპული იდენტურობის საფუძვლად მიჩნეულ ბერძნულ, რომაულ და მოგვიანებით ბიზანტიურ სამყაროსთან.

პირველი ქართულ-ბერძნული ინტენსიური ურთიერთობები ანტიკური პერიოდიდან ე. წ. დიდი ბერძნული ახალშენების (კოლონიების) დაარსებიდან ჩვ. წ. VIII-VI სს. იღებს სათავეს, უკვე ჩვ. წ-მდე VI ს-დან ბერძნებმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არაერთი ახალშენი დააარსეს. მაგალითად ფაზისი (ქალაქ ფოთთან), გიენო-

სი (ქალაქ ოჩამჩირესთან), დიოსკურია (ქალაქ სოხუმთან), პიტიუნტი (ქალაქ ბიჭვინთასთან). ახალშენების დაწინაურებას ხელს უწყობდა „დიდი აბრეშუმის“ სავაჭრო გზა, რომელიც იწყებოდა ინდოეთიდან შავ ზღვამდე, ქალაქ ფაზისამდე და აქედან უკვე ბერძნული სამყაროსკენ მიემართებოდა.

ბერძნები კოლხეთთან ძირითადად სავაჭრო ურთიერთობებით იყვნენ დაკავებულნი. ბერძნული ახალშენების დაარსებამ უცილობლად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შავი ზღვისპირეთის მოსახლეობის ანტიკურ სამყაროსთან კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის გაცხოველებაში და, საერთოდაც, ხელი შეუწყო ამ ადგილებში სავაჭრო-ეკონომიური ცხოვრების დაწინაურებას და გარკვეულად დააჩქარა სოციალურ-ეკონომიური განვითარების პროცესი ადგილობრივ მოსახლეობაში [1, 276].

როგორც ჩანს, კოლხეთის, ანუ ეგრისის სამეფო ამ პერიოდისთვის წარმოადგენდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაწინაურებულ, განვითარებული კულტურის მქონე სახელმწიფოს, რომელსაც აქტიური ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროსთან და განსაკუთრებით საბერძნეთთან.

ახალშენების დაარსებას ხმელთაშუაზღვის ელინიზაცია მოჰყვა და მისი გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე, რელიგიური, კულტურული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, დიდი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობების პირველ ეტაპზე მხოლოდ კოლხეთი იყო ჩართული, ხოლო მოგვიანებით მას იბერიაც შეუერთდა, უნდა ითქვას, რომ ეს ურთიერთკავშირი ორგანული იყო და გაუცხოებისა და დაპირისპირების გარეშე მიმდინარეობდა, რაც ღრმა ისტორიული მეხსიერიბითა და მრავალსაუკუნოვანი თანაარსებობით უნდა ყოფილიყო განპირობებული. აქედან გამომდინარე, აზია-ევროპის გზაგასაყარზე მყოფი ქვეყნის დღევანდელი ევროპული ორიენტაციაც ბუნებრივად გამოიყურება [2, 112].

ბრძოლა იბერია-ლაზიკის დაპყრობისთვის ირანსა და რომს შორის I საუკუნეში დაიწყო და VII საუკუნემდე, არაბების შემოსევამდე გაგრძელდა. ორივე დამპყრობელი ცდილობდა პოლიტიკურ-ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებას მცირე აზიის ტერიტორიაზე, მაგრამ ქართული სამეფოებიც აქტიურად იბრძოდნენ სახელმწი-

ფოებრიობის შენარჩუნებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთს არ ჰქონდა რესურსი დამოუკიდებლად შეწინააღმდეგებოდა ესოდენ დიდ იმპერიებს.

მიუხედავად იმისა, რომ IV-VI საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში - სასანიდების ირანის, ხოლო დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის შემოტევები გაძლიერდა, ქართლიც და ეგრისიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდენ დამოუკიდებელი სამეფოების სტატუსს, თან საინტერესოა ისიც, რომ ბიზანტიის პოლიტიკური ბატონობის პერიოდში ეგრისისა და მოგვიანებით ლაზიკის მეფეები თავიანთ სამეფო საქმეებს თავისუფლად განაგებდნენ, მხოლოდ ფორმალურად ხდებოდა მათი დამტკიცება ბიზანტიის კეისრისაგან.

თბილისის აღებისა და იბერია ეგრისიდან ირანელების განდევნის შემდეგ კეისარი ჰერაკლე ცდილობდა საკუთარი გავლენის გაძლიერებას ორივე ქვეყანაში, მაგრამ ამ დროს სამხრეთ კავკასიაში გამოჩნდნენ არაბი დამპყრობლები.

მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო იბერია-ეგრისის, როგორც შემოერთება, ისე მოსახლეობის პოლიტიკურ-იდეოლოგიური შემომტკიცებაც. რასაც მოჰყვა ქრისტიანობის ცეცხლითა და მახვილით გავრცელება, რათა საბოლოოდ ამოეძირკვათ წარმართობა. „ჰერაკლემ თბილისს და მცხეთას და უჟარმას განავლინა ქადაგნი... ყოველნი მოგუნი ცეცხლის მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრენ; ხოლო მათ ნათლის ღებაი არ ინებეს, ზაკუით თანა აღერინეს ქრისტიანეთა, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჰმართა მახვილი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს.... მოგვითხრობს „მოქცევაი ქართლისაი“ [3, 65].

ამასთანავე ბიზანტიის ინტერესები მოითხოვდა საქართველს სამეფოების უფრო მეტად დაშლა-დაქუცმაცებას წვრილ პოლიტიკურ სამთავროებად, რათა უზრუნველეყო თავისი ბატონობა მთელი შავი ზღვის სანაპიროზე.

მართალია, ჩვენ არ გვაქს წყაროები თუ როდის და როგორ უნდა მომხდარიყო ერთმეფობის მოსპობა საქართველოში (ეგრისში), მაგრამ თეოფანეს ცნობიდან ირკვევა, რომ 689 წლიდან ეგრისში მეფობა უკვე აღარ არის და ქვეყანას მართავს ლაზიკის პატრიკიოზი [4, 77].

ამავდროულად ბიზანტიის კეისარი არაბების შემოტევის წინააღმდეგ შავ ზღვაზე ერთგვარ ბუფერულ ზონად (შემოტევის წინააღ-

მდეგ) აფხაზეთისა და სამხრეთის საზღვარზე ტაო-კლარჯეთის სამთავროებს აწინაურებს, რომლის პირველი ერისთავიც არაბებისგან დევნილი ქართლის ერისთავი აშოტ კურაპალატი გახდა, რომელსაც ბიზანტიის კეისრის მფარველობა ჰქონდა.

ორივე ეს სამთავრო ბიზანტიის მფარველობაში იმყოფებოდა, რომელიც ყოველნაირად ხელს უწყობდა მათ გაძლიერებას, რათა მედგარი წინააღმდეგობა გაეწიათ არაბებისთვის.

იმავდროულად ეს კუთხეები წარმოადგენდნენ არაბებისგან შევიწროებული და დევნილი ქართველების თავშესაფარს. [3, 89]. ისინი იხიზნებოდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში: ტაო-კლარჯეთში, აფხაზეთსა და ეგრისში, რომლებიც, როგორც უკვე ითქვა ბიზანტიის მფარველობის ქვეშ იყვნენ, სადაც მშვიდობიანობა სუფევდა. აღმოსავლეთ საქართველოდან სამხრეთ დასავლეთ საქართველოში გახიზვნას იმ დროს ფართო ხასიათი ჰქონდა (მაგალითად, ნერსე ქართლის ერისთავი აფხაზეთში გაიხიზნა თავისი ამალით – დიდებულებით, ყმებითა და მოსამსახურეებით. ეგრისში გაიხიზნენ თავიანთი ამალით ქართლის ერისთავები: არჩილი, იოანე, ჯუანშერი და სხვ. [3, 208] რომელიც V-VI სს. ირანსა და რომს შორის ხანგრძლივი ომების შედეგად თითქმის უკაცრიელი იყო. VI საუკუნიდან დაწყებული VIII საუკუნის ჩათვლით ჯერ სპარსელებისგან და შემდეგ არაბებისგან შევიწროებული აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ამ მხარეში იხიზნებოდა და აქ პოულობდა მეტ პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებას. ამგვარად VII-VIII საუკუნეებში ჩნდება ეგრისის გაქართველებული ნაწილები აჭარაში, გურიასა და იმერეთში [5, 210-216].

მთლიანობაში, უნდა ითქვას, რომ IV-X სს. საქართველოში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ასევე საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის თვალსაზრისითაც, გარდამტეხია ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება, მეფობის გაუქმება, ერისმთავრის ხელისუფლების წარმოქმნა, ადრეფეოდალური დაქუცმაცებულობა, ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოშობა და ბრძოლა ამ ახალ ფეოდალურ ერთეულთა გაფართოება-განმტკიცებისათვის, რაც თავის მხრივ ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლას ნიშნავდა. ეს ხანა მნიშვნელოვანია, ასევე ქართველი ხალხის ბრძოლით სასანიდების ირანის, აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიისა და არაბთა აგრესიისა წინააღმდეგ.

მართალია საქართველოს გაერთიანების პროცესი ფაქტობრივად ბაგრატ III-ის (980 წ.) გამეფებიდან იწყება, მაგრამ ის საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, რადგან აღმოსავლეთი საქართველო კვლვ არაბების ხელში რჩებოდა. მისი შემოერთება მხოლოდ დავით აღმაშენებელმა შეძლო 1122 წელს, როდესაც თბილისი აიღო, არაბები განდევნა საქართველოდან და სატახტო ქალაქი თბილისში გადმოიტანა. აღმაშენებელმა საბოლოოდ შეძლო ქართული ფეოდალური სამთავრო-საერისთავოების გაერთიანება. [3, 79]. სწორედ აქედან იწყება საქართველოს აღმავლობის პერიოდი და დიდ ძლიერებას მიაღწია გიორგი III-სა და თამარის დროს.

თუმცა საქართველოს აღმავლობის პერიოდი მონღოლთა გამოჩენამ შეაჩერა და ეს იმ დროს, როდესაც ევროპის ქვეყნები პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას განიცდიდნენ, მკვიდრდებოდა რენესანსი, განმანათლებლობა, მიმდინარეობდა კულტურის, მეცნიერების არნახული განვითარება, ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვა-გაძლიერება. დამპყრობლების რკალში მყოფი საქართველოს მთავარი საზრუნავი მტერთან ბრძოლა და საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნება იყო [6, 6].

მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, საქართველომ არა თუ შეძლო საკუთარი სახელმწიფოებრიობის გადარჩენა და გარკვეულწილად ამიერკავკასიაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცენტრის ფუნქციის შენარჩუნებაც, არამედ შეანელა კიდეც ევროპის ქვეყნებზე ამ დამპყრობლების შეტევითი ტალღები. სამწუხაროდ, ეს მდგომარეობაც დიდხანს არ გაგრძელებულა, XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დასაწყისში საქართველოში თემურ ლენგის შემოსევები დაიწყო, თემურ ლენგის ურდოების პარალელურად, XV საუკუნეში არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა ოსმალთა იმპერიაც.

ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ (1453 წ.) და ბიზანტიის დიდ ნაწილზე კონტროლის დამყარებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა საქართველოს მომავალი, რადგან კულტურული, მაღალგანვითარებული ქრისტიანული სახელმწიფოს ნაცვლად მას დაუმეზობლდა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი, აგრესიული და მეტად ძლიერი მუსლიმური იმპერია, რომელმაც გადაკეტა გზა ევროპისკენ, ვისთანაც საქართველოს საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა პოლიტიკური, ეკონომიკური, და კულტურულ ურთიერთობები და მოწყვიტა ქვეყანა კაცობრიობის სულიერი, პოლიტიკური, მეცნიერების განვითარების კერებს, რითაც შეაფერხა ქვეყნის შემ-

დგომი განვითარება [6, 8].

ამდენად, კონსტანტინოპოლის დაპყრობამ საქართველოს ევროპასთან ურთიერთობა საგრძნობლად შეაფერხა და თუ აქამდე ევროპელები ქართველ მეფეებს თხოვდნენ დახმარებას, ახლა მდგომარეობა შეიცვალა და ქართველი მეფეები თვითონ ითხოვენ ევროპისაგან დახმარებას.

პარალელურად, 1514 წელს დაწყებული ოსმალეთ-ირანის ომი კარგა ხანს გაგრძელდა და უკანასკნელის დამარცხებით დამთავრდა; ამ ომით დაიწყო ახალი ეპოქა ამიერკავკასიის ცხოვრებაში.

ამ დროიდან მოყოლებული კიდევ უფრო გამწვავდა საქართველოს ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებს მსხვერპლთან ერთად ერთიანი ქვეყანის ცალკეულ სამთავროებად დაშლა მოჰყვა, გახშირდა ერთმანეთს შორის დაპირისპირებაც, მაგრამ საქართველომ ამჯერადაც შეძლო სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება.

ამდენად, ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბებამდე, ბიზანტიის გავლენა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში არაბების ბატონობა დამყარდა და პოლიტიკურ ასპარეზზე ოთხი ძლიერი და მსხვილი ფეოდალური ერთეული აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის, ქართლისა და კახეთის საერისთავოები გამოვიდნენ. სწორედ ამ ოთხი პოლიტიკური ერთეულის გაერთიანება გახდა მოგვიანებით ერთიანი საქართველოს შექმნის ქვაკუთხედი.

რაც შეეხება კულტურულ-სარწმუნოებრივ ასპექტებს, დასავლეთ საქართველოს ჯერ საბერძნეთთან, შემდეგ რომთან და ბიზანტიასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, ვიდრე ირანთან. ტერიტორიულადაც ლაზიკა რომის მოსაზღვრე იყო, საიდანაც უფრო ადრე და ადვილად შემოდიოდა განათლება და კულტურა, ვიდრე შორეული ირანიდან. ამიტომაც ქრისტიანობაც ადრე გავრცელდა დასავლეთ საქართველოში, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.

ამ მხრივ განსხვავებული ვითარება იყო აღმოსავლეთ საქართველოში, რომელსაც უფრო მეტი ურთერთობა ჰქონდა აზიურ სამყაროსთან, განსაკუთრებით ირანელებთან, რაც ასევე ტერიტორიული სიახლოვით იყო განპირობებული. ირანელებს დიდი წვლილი მიუძღვით ქართლის პოლიტიკური ერთეულის შექმნაში, თუმცა მოგვიანებით ისინი დამპყრობლებად მოევლინენ ქვეყანას და განვითარებისთვის შემაფარხებელ გარემოებად იქცნენ. ირანელებს არაბები ენაცვლებიან, რომლებმაც უფრო მეტად დააზიანეს ქართული სახელმწიფო ინსტიტუტი. შემდეგ მონღოლები გვევლინებიან დამ-

პყრობლებად, რომლებმაც დიდი შრომით გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება კიდევ უფრო შეაფერხეს, პოლიტიკურად დააქუცმაცეს და ეკონომიკურად დაასუსტეს.

ამდენად, აზიელმა დამპყრობლებმა ბევრად უფრო მეტი ზიანი მიაყენეს აღმოსავლეთ საქართველოს, სადაც დიდად შეაფერხეს კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება, ვიდრე ბიზანტიამ დასავლეთ საქართველოს.

XVIII საუკუნის დასასრულს კი, მუსლიმური სახელმწიფოების გარემოცვაში მოქცეული, პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასუსტებული და დაშლილი ქვეყნის წინაშე მწვავედ დადგა ახალი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, რათა დასრულებულიყო საქართველოზე მაჰმადიანური სახელმწიფოების გაუთავებელი თარეში და ქართველი ხალხის შევიწროება.

თავის მხრივ, რუსეთის იმპერიაც, რომელიც შავსა და კასპიის ზღვებზე გაბატონებას ცდილობდა, ამ იდეის განსახორციელებლად სწორედ საქართველოს დაუფლებას ისწრაფვოდა.

ქართლ-კახეთის მეფეებსაც მიაჩნდათ, რომ შესაძლებელი იყო რუსეთის ინტერესების საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენება, რაც საბოლოოდ 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებთ დასრულდა. სამწუხაროდ ამ ქვეშევრდომობას სულ მალე დაქუცმაცებული, მაგრამ დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროების ანექსია და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოჰყვა.

საბოლოოდ, საქართველო XIX საუკუნეს დამდეგს დაპყრობილი და რუსეთის გუბერნიად ქცეული შეხვდა. საქართველო, როგორც ქვეყანა, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე 1801 წლიდან აღარ არსებობდა.

მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი სხვადასხვა ფორმით ისევ განაგრძობდა უკომპრომისო ბრძოლას რუსეთის ცარიზმის ძალადობის წინააღმდეგ.

XX საუკუნის დასწყისში მსოფლიოში პოლიტიკური ვითარება ძირეულად შეიცვალა, პირველმა მსოფლიო ომმა და რუსეთის ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოს მცირე ხნით თავისუფლების მოპოვების საშუალება მისცა და 1918 წლის 26 მაისს აღდგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

თუმცა ეს მხოლოდ სამი წელი გაგრძელდა, 1921 წლის 25 თებერვალს, ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ ქვეყანა

ამჯერად ბოლშევიკური რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდა. დაიწყო არნახული პოლიტიკური რეპრესიები, კერძო საკუთრების, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების უარყოფა. სამოცდაათწლიანი მმართველობის შემდეგ საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო XX საუკუნის დასასრულს, 1991 წელს უკვე მეორედ გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა. საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების პერიოდიც სწორედ აქედან იწყება.

ამდენად, საუკუნეთა განმავლობაში ქართულ სახელმწიფოს მრავალი წინააღმდეგობა ახლდა თან – გარეშე მტერი თუ შინა აშლილობა. ჯერ სპარსელების, შემდეგ არაბების, მონღოლების, თურქსელჩუკების, მეფის რუსეთის, საბჭოთა კავშირის და ბოლოს ისევ რუსეთის ფედერაციის დაპყრობითი ომები და ოკუპაცია, რამაც საბოლოო ჯამში გარკვეულწილად შეაფერხა ქართული სახელწიფოს განვითარება და შექმნა ერთგვარი წყვიტილი დრო ქვეყნის ისტორიაში.

მიუხედავად ამის, საქართველოს მაინც არ შეუწყვეტია გზების ძიება ევროპული იდეალებისაკენ და ახერხებდა ამას სხვადასხვა ფორმით. ამის უნიკალური მაგალითია ჯერ კიდევ XII საუკუნეში საქართველოში პარლამენტის მსგავსი ორგანოს შექმნის იდეა ყუთლუარსლანის მეთაურობით, რომელმაც მეფის უფლებების შეზღუდვა მოითხოვა ახალი ორგანოს, „კარავის“ სახით, რომელიც დემოკრატიული მმართველობის გარკვეულ სახეს წარმოადგენდა [7, 31].

გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ შუა საუკუნეების მსოფლიო ისტორიაში საქართველო ბიზანტიის შემდგომ იყო მეორე ქვეყანა, სადაც არათუ სიკვდილით დასჯა გაუქმდა, არამედ აიკრძალა ადამიანის დამასახიჩრებელი და ღირსების შემლახავი სასჯელებიც.

საქართველოს ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი მაგალითი იყო ასევე ქართველების ჯვაროსნული ლაშქრობებში მონაწილეობა.

ქართველ მეფეებსა და მთავრებს დიდი სურვილი ჰქონდათ ევროპასთან კავშირ-ურთიერთობების დამყარებისა, „საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მეფეები ევროპასთან კავშირისთვის იღვწოდნენ...“ [9].

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო ვატიკანის ურთიერთობა იყო ქართველ მეფე-მთავართა დასავლური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება XIII-XVIII საუკუნებში, რომელიც დაიწყო რომში

სამხედრო პოლიტიკური მოკავშირის ძიების მცდელობით მაჰმადიანი აგრესორების წინააღმდეგ და დამთავრდა საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის გაშლით [8, 8].

XIX საუკუნიდან ქართველი განმანათლებლები ევროპელობას თავისუფლების, ჰუმანურობის სიმბოლოდ მიიჩნევენ. ისინი აღფრთოვანებული იყვნენ ევროპული ფასეულობებითა და ღირებულებებით, სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური იდეებით.

მიუხედავად ამდენი გასაჭირისა, საქართველომ ისტორიის თითქმის ყველა მონაკვეთში შეძლო ყოფილიყო მიმღები განსხვავებული კულტურებისა და მულტიკულტურალიზმისა და ტოლერანტობის თვალსაზრისით უნიკალური ქვეყნად ჩამოყალიბდა [10, 52].

1992 წელს, ევროკავშირმა ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დაახლოების პერიოდი წარმატებით გრძელდება დღესაც.

მართალია, 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა მოახდენა ქვეყნის ნაწილის ოკუპაცია, რომლის ერთ-ერთი მიზანიც საქართველოს ევრო-ატლანტიკური მიმართულების ვექტორის შეცვლა იყო, მაგრამ ამანაც არა თუ ვერ შეაჩერა ეს პროცესი, არამედ დააჩქარა კიდეც. რასაც 2016 წელს საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება მოჰყვა. ხოლო 2017 წელს ძალაში ოფიციალურად შევიდა ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ მოგზაურობა.

ამდენად, საქართველოს ევროპული ორიენტაცია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართული სახელმწიფოს ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენდა, XXI საუკუნეში მისი არსებობის მანძილზე არნახულ ევოლუციას განიცდის [6, 7].

როგორც ვხედავთ, საქართველო აქტიურად მონაწილეობდა ყველა იმ მოვლენაში, რომელიც ევროპასა და აზიაში მომდინარეობდა, მაგრამ არ ისწრაფვოდა ისლამური კულტურის ქართულ რეალობაში დასამკვიდრებლად და ეს იმიტომ, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი დიდი ხნის წინ ჰქონდა გაკეთებული, ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან და ბოლოს მაშინ, როცა მან ქრისტიანობა მიიღო, რასაც აზიური სამყაროსგან საქართველოს საბოლოო ცივილიზაციური გამიჯვნა მოჰყვა.

ამიტომაც იყო, რომ საბერძნეთთან, რომთან და მოგვიანებით ბიზანტიასთან საქართველოს პოლიტიკურ დაპირისპირებას ქვეყნისთვის საზიანო გავლენა არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, დღევანდელი დასავლური კურსი სრულიად ბუნებრივი და პრაგმატულიცაა და

მას ქართულ საზოგადოებაში სერიოზული დაპირისპირება არ მოჰყოლია.

და ბოლოს, ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ ყველა ამ დამპყრობელს შორის მაინც ყველაზე ორგანიზებული ბრძოლა თანამედროვე „რუსეთის იმპერიამ“ გამოუცხადა ევროპული ცივილიზაციის ნაწილს და მის მხარდამჭერ ქართულ სახელმწიფოს, რომელიც დღემდე გრძელდება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი I, თბილისი, 1970.
2. ე. ფაჟავა, საქართველო ევროპული ორიენტაციის სათავეებთან, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №1 (23), თბილისი, 2019.
3. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1992.
4. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1908.
5. ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1906.
6. საქართველოს ისტორია, ტ. 3, თბილისი, 2012.
7. ქ. გარდაფხაძე, ლ. გორდეზიანი, თ. დულარიძე, თ. თარხნიშვილი, ქ. ნადარეიშვილი, მ. ფხაკაძე, დემოკრატიული ტენდენციები: ანტიკური სამყარო და საქართველო, თბილისი, 2012.
8. მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა, თბილისი, 1995.
9. ჟურნალი „მამული“, № 4, ბუენოს-აირესი, 1954.
10. ც. ბარამიძე, კავკასიური და ევროპული იდენტობა კომპარატისტულ ჭრილში, საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია: ევროპული ღირებულებები და იდენტობა, მოხსენებები, თბილისი, 2014.

Emzar Pazhava

Georgian Technical University,
Associate professor

„This research was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number YS-18-200]“.

The ideas introduced in the work – belong to the author and may not coincide with the thoughts and ideas of Shota Rustaveli Georgian National Science Fund.

„Intermittent Period“: Asian Conquerors' and the Russian Annexation

Summary

In the article, „Intermittent period: Asian conquerors' and the Russian annexation“, is discussed the „Intermittent period“ when Georgia was completely cut off from the European world, due to the Asian conquerors' invasions and Russian annexation.

By studying this topic, we analyzed the tough consequences caused by separation from the European world that halted Georgia's development towards Europe.

It is noteworthy, that the perception of „Intermittent period“ will be introduced in the Georgian historiography for the first time.

ვახტანგ გვიშიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რუსეთის ფაქტორი და აშშ-ს პოზიცია

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება, ახალ ხელისუფლებას კი არ შეუცვლია კურსი, რომელმაც ჩამოყალიბება 1995 წლიდან დაიწყო და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში ყველაზე პროდასავლური საგარეო კურსის მქონე ქვეყნის სტატუსი შესძინა. „ვარდების რევოლუციამ“ საქართველოს ეს სტატუსი კიდევ უფრო განუმტკიცა. დასავლეთის მიერ შექებული რევოლუციის გმირებს პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიული ცვლილებების ექსპორტიორობაზე გაუჩნდათ პრეტენზია, თუმცა ამასობაში დემოკრატიამ მათსავე ქვეყანაში წაიბორძიკა. თუ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში სწორ საგარეო პოლიტიკურ კურსს სათანადო შედეგები ვერ მოჰქონდა ქვეყნის შიგნით გამეფებული სრული სტაგნაციის გამო, სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გამოკვეთილ ახალ საგარეო მიღწევებს დემოკრატიასთან ხელისუფლების დამოკიდებულება ჩრდილავს.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი თავიდანვე რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავდა. პირველი გახლდათ კონფლიქტების მოგვარების პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო აქტიური ჩართვის მიღწევა და ამით ამ საქმეში რუსეთის დემონოპოლიზაცია, მეორე – დასავლეთის ინვესტიციების წახალისება საქართველოს ეკონომიკაში, მესამე – საქართველოდან რუსეთის სამხედრო შენაერთების გაყვანის პროცესის დაწყება, მეოთხე – აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობა და, ბოლოს, რაღა თქმა უნდა, დასავლეთში საქართველოს ფიზიკური უსაფრთხოების გარანტიების ძიება, რაშიც ნატოსა და ევროკავშირისკენ საქართველოს წინსვლა იგულისხმებოდა. ეს ყველაფერი მიუღებელი იყო რუსეთისთვის, რადგან რუსეთი დასავლურ ორიენტაციას ანტირუსულად განიხილავდა [1].

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატო-ს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. 2002 წელს ქ. პრაღაში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველომ პირველად გააჟღერა ნატოში გაწევრიანების სურვილი. შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან იწყება საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი.

კავკასია ნატოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ რუსეთისთვის ეს რეგიონი სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს. საქართველოს ნატოში შესვლის შემთხვევაში რუსეთი კონტროლს არამარტო შავ ზღვაზე დაკარგავს, არამედ ნატოს მოსაზღვრეობა უარყოფითად აისახება მის შიდა უსაფრთხოებაზე და ახალ ბიძგს მისცემს ეთნოკონფლიქტებს. რუსეთი აცნობიერებდა, რომ თუ ნატო ძალიან ახლოს მოუშვა, მაშინ არათუ შავ ზღვას და კავკასიას, არამედ – კასპიის ზღვასაც დაკარგავს თავისი ენერგორესურსებიანად. შესაბამისად, დაკარგავს კონტროლს კასპიის გადაღმა სახელმწიფოებზე და პოლიტიკის ცენტრი აღმოსავლეთით გადაუნაცვლდება, სადაც ასევე ძალიან არასახარბიელო სიტუაცია დახვდება მზარდი ჩინეთისა და ინდოეთის სახით.

თბილისში ხელისუფლების შეცვლიდან სულ ცოტა ხანში, 2003 წლის დეკემბერში, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე ეწვია მოსკოვს, სადაც ნათლად განმარტა, რომ მისი ვიზიტის ძირითადი მიზანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზება იყო. რუსეთის აზრით საქართველოსთან ურთიერთობის „ნორმალიზების“ მთავარ წინაპირობებს წარმოადგენდა შემდეგი:

- უარის თქმა ცალსახა ორიენტაციაზე აშშ-სა და ნატო-სთან მიმართებაში;
- რუსეთის განსაკუთრებული ინტერესის აღიარება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომლებიც წარმოადგენენ სამშობლოს იმ ათეულ ათასობით ადამიანისთვის, რომლებმაც ცოტა ხნით ადრე მიიღეს რუსული პასპორტები;
- რუსეთის უსაფრთხოების ძალებისთვის ნების დართვა, საქართველოს ტერიტორიიდან, უმთავრესად პანკისის ხეობიდან, შეებრძოლონ ჩეჩენ მეამბოხეებს.

საქართველოს ახალი ხელისუფლების ამ პირობებზე დათან-

ხმების მთავარი არგუმენტი ეკონომიკური ხასიათის იყო. საქართველოს ვალი რუსეთის მიმართ 300 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებდა, რაც, ძირითადად, ელექტროენერგიის დავალიანებას შეადგენდა. იმ დროისათვის, ზეწოლის სხვა ბერკეტებს წარმოადგენდა რუსეთში ქართველი მიგრანტი მუშაკების დიდი რაოდენობა, აგრეთვე, ვაჭრობასა და ენერგო რესურსების მიწოდებაში საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება [2].

საქართველოსა და რუსეთს შორის ორმხრივი ურთიერთობის ზოგადი გადმოსახედიდან, ჩანს, რომ ეს ურთიერთობა გაუარესდა, რაც „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლებაში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოვიდა, რომელიც იძლეოდა აშშ-სა და ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოების დაპირებებს და ინტენსიურად ისწრაფვოდა ნატო-სკენ. თუმცა, 2003 წლის ნოემბერში თბილისში ხელისუფლების შეცვლიდან 2004 წლის ზაფხულში სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის დაძაბვამდე არსებულ პერიოდში თითქოსდა, უკეთესობისაკენ მიანიშნებდა. ამ გაუმჯობესების ერთ-ერთი საწყისი მომენტი იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის – იგორ ივანოვის შუამავლობა 2003 წლის ნოემბერში, საქართველოს პოლიტიკური კრიზისის დროს, რაც პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომით დასრულდა. ამ მოვლენების შემდგომ საქართველოში გამართული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების პერიოდში (2004 წლის იანვარსა და მარტში) მიხეილ სააკაშვილის გარშემო არსებულმა პოლიტიკურმა ელიტამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მტკიცე მხარდაჭერა მოიპოვა. ამ დამაჯერებელი გამარჯვების საშუალებით მოხერხდა შევარდნაძის ეპოქის ბოლო პერიოდისთვის დამახასიათებელი სუსტი სახელმწიფოს სინდრომის გადალახვა [1].

რუსეთისათვის ეს გახლდათ თბილისის ახალი ხელმძღვანელობის შეფასების პერიოდი. ამის ერთ-ერთი შესაძლებლობა იყო 2004 წლის თებერვალში მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოს ახალი პრეზიდენტის სტატუსით განხორციელებული ვიზიტი მოსკოვში. მან განაცხადა საქართველოს მზადყოფნის შესახებ, გაეთვალისწინებინა რუსეთის ინტერესები და ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესება დაასახელა თავის სამ უმთავრეს მიზანს შორის, რომელთაგან დანარჩენი ორი – კორუფციასთან ბრძოლა და მთავრობის რეორგანიზაცია-გაძლიერება იყო. ორმხრივ ურთიერთობებში დათბობის ხანმოკლე პერიოდი მოიცავდა მოლაპარაკებებს რუსეთის მიმართ საქართველოს ენერგო ვალის რესტრუქტურიზაციაზე, აფხაზეთთან მოუგ-

ვარებელ კონფლიქტზე, შეთანხმებებზე მედიასთან და ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით, ორმხრივი სავაჭრო კომისიის შექმნაზე და ენერგეტიკის სფეროში უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე. 2004 წლის 3 აპრილს ხელმოწერილი ახალი ორმხრივი შეთანხმება ითვალისწინებდა საქართველო-რუსეთის თანამშრომლობას უსაფრთხოების საკითხებზე. საქართველოს თავდაცვის მინისტრი და მისი რუსი კოლეგა შეთანხმდნენ ერთობლივ ძალისხმევაზე საერთაშორისო ტერორიზმთან, ნარკოტიკების, ტრეფიკინგთან, არალეგალურ მიგრაციასთან და იარაღის კონტრაბანდასთან საბრძოლველად [2].

რიგი რუსი ანალიტიკოსებისა, თბილისში ძალაუფლების შეცვლას კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის გადაფასებისათვის სათანადო მომენტად მიიჩნევდნენ. ლიბერალურად განწყობილი ექსპერტები თბილისთან მიმართებაში პოლიტიკის შეცვლისაკენ მოუწოდებდნენ იმ არგუმენტით, რომ მიმდინარე ხისტი მიდგომა საქართველოს უბიძგებდა უფრო გაეღრმავებინა თავისი თანამშრმლობა დასავლეთთან. რუსეთში პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში არსებული ტრადიციონალისტები საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ და ერთობ სკეპტიკურად უყურებდნენ საქართველოს მმართველი სამეულის ზრახვებს, კერძოდ კი თბილისის ახალ პოლიტიკურ ელიტას (მიხეილ სააკაშვილის, ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ჟვანიას სახით). ექსპერტების ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს ადმინისტრაციას უნდოდა, „საბოლოოდ გამოეყვანა საქართველო რუსეთის გავლენის სფეროდან და აშშ-ს საიმედო მოკავშირედ გადაექცია“, 2003 წლის ბოლოსთვის ორმხრივ ურთიერთობებს აღწერდა, როგორც „ქარიშხლის წინ ჩამოწოლილ სიმშვიდეს“. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ორივე მხარის რიტორიკა შეიცვალა და რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურმა დიალოგმა ახალი იმპულსი შეიძინა. ამავე დროს, მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ვაშინგტონის „ძირითად გეოპოლიტიკურ პარტნიორად“ წარმოაჩენდა და თავის დასავლელ პარტნიორებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარებისაკენ მოუწოდებდა. მართალია, რუსეთი ერთი შეხედვით, მხარს უჭერდა თბილისში ძალაუფლების მშვიდობიან გადაცემას, მაგრამ „ვარდების რევოლუცია“ აღქმული იქნა, როგორც გამოწვევა დსთ-ის სივრცეში რუსეთის ხელახალი დამკვიდრებისათვის [3]. ეს „ფერადი რევოლუციების“ სერიის პირველი ნაწილი იყო, რომელსაც რუსეთი, მის მიერ გაკეთებული კომენტარებიდან გამომდინარე, აღიქვამდა, როგორც პოსტ-საბჭოთა სივრცეში დასავლური ძალების მიერ რუსე-

თის სტრატეგიული პოზიციის წინააღმდეგ მიმართულ „გეოპოლიტიკურ აგრესიას.“ ამგვარად, თავდაპირველი მოჩვნებითი პოლიტიკური მსგავსება პრეზიდენტ პუტინსა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის შეიცვალა და ჩამოყალიბდა ყველაზე უფრო რთულ და პრობლემურ პირად ურთიერთობებად დსთ-ის სახელმწიფო ლიდერებს შორის.

ვლადიმირ პუტინისა და მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში ორმხრივმა ურთიერთობებმა არასტაბილურობის ისეთ ხარისხს მიაღწია, რასაც მანამდე ადგილი არ ჰქონია რუსეთის ფედერაციასა და მის რომელიმე მეზობელ სახელმწიფოს შორის, რომელიც წარსულში საბჭოთა კავშირში შედიოდა. ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში მოსკოვსა და თბილისს შორის ადგილი ჰქონდა მთელ რიგ გამაღიზიანებელ ფაქტორებს. ორმხრივი ურთიერთობების გაუარესება გამოწვეული იყო შემდეგით: საქართველოს მოთხოვნა რუსეთის ჯარის გაყვანისა და საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების გაუქმების შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებული იყო რუსეთის მიერ 1999 წელს სტამბულში გამართულ ეუთო-ს სამიტზე მიღებული ვალდებულებებით; საქართველოს მონაწილეობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში (BTC); რუსეთის მოთხოვნა საქართველოს ტერიტორიის, კერძოდ კი მის კონტროლს მიღმა არსებული ტერიტორიების, მაგალითად პანკისის ხეობის, გამოყენებაზე სამხედრო მიზნებით, შეიარაღებულ ჩეჩენ მეამბოხეებთან საბრძოლველად; ასევე აშშ-ის გაძლიერებული სამხედრო მხარდაჭერა აქამდე სუსტი ქართული ჯარის მოდერნიზაციისათვის [4]. 2004 წლის იანვარში რუსეთის დუმის კომიტეტის თავმჯდომარემ დსთ-ის საკითხებზე ანდრეი კოკოშინმა, საქართველოს „ზედმეტი დამოკიდებულება დასავლეთის ქვეყნებზე ამ პრობლემების გადასაწყვეტად“ მოიხსენია, როგორც „საქართველოს წინა ხელისუფლების დიდი შეცდომა. “საქართველოს მიმართ რუსეთის უკმაყოფილების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის „დასავლური კურსი“, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში კიდევ უფრო მკვეთრად იყო გაცხადებული. რუსეთის დიპლომატია ფორმალურად ცნობდა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა იგი ამ ქვეყნებს კვლავ რუსეთის „ახლო საზღვარგარეთად“ აღიქვამდა. ამგვარ სიტუაციაში კი, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის თავისუფლება შეზღუდული იყო იმ ქვეყნებში, რომლებმაც დამოუკიდებლობა ხელახლა მოიპოვეს. რუ-

სეთის პასუხი „დასავლურ კურსზე“ საქართველოს მიმართ ძალისმიერი პოლიტიკის სახით გამოვლინდა, რიგი ეკონომიკური და დიპლომატიური სადამსჯელო ზომების ამოქმედების გზით.

ამერიკის მთავრობა, ისევე, როგორც დასავლეთის სხვა მთავრობები, არ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის დომინანტურ სამშვიდობო როლს ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებისათვის მისაღები იყო ასეთი შეთანხმება, ამავდროულად ის ფაქტიც, რომ კავკასიის რეგიონში სასიცოცხლო გეო- სტრატეგიული ინტერესები არ იყო დაცული, როგორც ჩანს, ამგვარი დამოკიდებულების მთავარ მიზეზებს წარმოადგენდა. ვაშინგტონი არ იზიარებდა მოსკოვის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ სამხრეთ კავკასია, პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთის „ახლო საზღვარგარეთის“ ნაწილი იყო; მაგრამ იგი დარწმუნებული იყო, რომ მათ, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის საფუძველზე, სტაბილურობის შენარჩუნების საერთო ინტერესი ჰქონდათ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. როგორია საქართველოს საგარეო პრიორიტეტები “ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და მიღწევები საგარეო ასპარეზზე. სექტემბერი 02, 2005. ეკა წამალაშვილი (https://www.radiotavisupleba.ge/a/1543105.html) (20. 06. 2019).
2. ნატო-რუსეთის ურთიერთობები: მოკლე მიმოხილვა. ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, მედია-საინფორმაციო ფურცელი. დეკემბერი 2015 (http://infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1472127718_nato-ruset-urtiertoba-new.pdf) (20. 06. 2019).
3. The White House “President Bush Welcomes President Saakashvili of Georgia to the White House,“ http://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2006/07/20060705-4.html (19. 06. 2019).
4. On the debate on Georgia’s integration into NATO see the various contributions and particularly the presentations of Jan Henrik Van Thiel and James Mackey in “Georgian NATO Accession and Potential Impacts on the Georgian-Abkhaz Peace Process,“ Istanbul, Turkey, 14-15 June 2007, 14th Conference in the Series Aspects of the Georgian-Abkhaz Conflict, Heinrich Böll Stiftung and University of California, Irvine, http://georgien.boell-net.de/downloads/Georgian_NATO_Acces-

sion_ENG.pdf (10. 05. 2019)
5. იგორ ტობარკოვი სააკაშვილის პოლიტიკურმა ძალამ იაძულა რუსეთი თავისი პოლიტიკის გადახედვისთვის: Eurasia Insight, 2004 წლის 7 აპრილი.
6. Независимая газета, 2008, 5 июнь.
7. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ანგარიში, 2009.

Vakhtang Gvishiani

Georgian Technical University, Doctoral Student
at the Faculty of Law and International Relations

Political Processes in Georgia after „Rose Revolution“. Russian Factor and US Position

Summary

After the Rose Revolution of 2003, the government in Georgia changed, and the new government did not change its course, which began in 1995 and gave Georgia the status of the most pro-Western foreign course in the Commonwealth of Independent States. The Rose Revolution further strengthened Georgia's status. The article reviewed the Russian factors in the development of Georgian political orientation and government after the Rose Revolution. We briefly overview the position of the US during this time and the actions taken towards Russia’s interests in Georgia. The US government, like other Western governments, had not opposed Russia's dominant peacekeeping role in „South Ossetia“ and Abkhazia. The fact that such an agreement was acceptable to the Georgian authorities, as well as the fact that vital geo-strategic interests were not protected in the Caucasus region, seems to have been the main reason for this attitude. Washington did not share Moscow's view that the South Caucasus was politically part of Russia's „near abroad“; But he was convinced that they had a common interest in maintaining stability on the basis of the principle of territorial integrity.

ემზარ ფაჟავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი YS-18-200]“.

ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ ემთხვეოდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

საქართველოს ევროპული ორიენტაციის ევოლუცია

საქართველოს ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობა არ დაწყებულა დღეს, ის გაცილებით ადრე დაიწყო და მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა ისტორიის მთელ მანძილზე და აქტიურად გრძელდება ახლაც. „საერთო ევროპული მემკვიდრეობისაკენ ლტოლვას ჩვენს ქვეყანაში, ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ასაზრდოებდა. ის უხსოვარი დროიდან მონაწილეობდა ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში. როგორც ირკვევა, ქართველურ ტომებს, შესაძლოა, გენეტიკური ურთიერთობები ჰქონდათ წინაბერძნული ცივილიზაციის მატარებელ ხალხებთან (პელასგებთან, ლელეგებთან, მინოსელებთან და ა. შ.), ასევე იტალიის უძველეს მოსახლეობასთან, ეტრუსკებთან. მიკენური ეპოქიდან მოყოლებული, როგორც ჩანს, სათავეს იღებს ბერძნულ-ქართული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორია [1, 8]. სწორედ ამ მუდმივმა მრავალმხრივმა ურთიერთობებმა განსაზღვრა ევროპული ღირებულებებისადმი საქართველოს დამოკიდებულება და გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს დღევანდელ ევროპულ ორიენტაციაზე [2, 97].

მიუხედავად მეცნიერთა დიდი ნაწილის მტკიცებისა, რომ ევროპული იდენტობის საფუძვლები ანტიკური ცივილიზაციის წიაღში წარმოიშვა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ევროპის, როგორც კულტურული სივრცის იდენტობა, საკმაოდ შორეულ წარსულს უკავშირდება და, შესაძლებელია, ეს ანტიკურობასაც სცილდება. ამიტომაც ურიგო არ იქნებოდა ანტიკური ეპოქის

კულტურული იდენტობის კვლევისთვის იმის გარკვევა თუ რომელი კულტურული კომპონენტები ედო საფუძვლად მას ისტორიის ადრინდელ ეტაპზე. აქ კი ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით იმ ხალხს, რომლებიც უხსოვარი დროიდან მონაწილეობდა ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში, რომლებთანაც ბერძნებს ჰქონდათ შეხება და რომლებიც ჯერ კიდევ მათ მოსვლამდე ბინადრობდნენ ამ ტერიატორიაზე. ნიშანდობლივია, რომ სხვებთან ერთად აქ იყვნენ ქართველური ტომებიც. ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში ამის შესახებ არაერთი საინტერესო დოკუმენტი მოიპოვება [2, 103].

ქართულ-ბერძნული ურთიერთობები უკვე შავი ზღვის აუზში ანტიკური პერიოდიდან გაგრძელდა. ამ დროიდან ეს ურთიერთობები უფრო ინტენსიური ხდება, განსაკუთრებით ე. წ. დიდი ბერძნული ახალშენების დაარსებიდან (ძვ. წ. VIII-VI სს.).

ბერძნული ახალშენების დაარსებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შავი ზღვისპირეთის მოსახლეობის ანტიკურ სამყაროსთან კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაში, რასაც ხმელთაშუა ზღვის ელინიზაცია მოჰყვა და მისი გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე, რელიგიური, კულტურული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით კიდევ უფრო გაიზარდა.

მოგვიანებით, ძვ. წ. I ს. შუახანებიდან, რომის მიერ წინა აზიაში ახალი პოლიტიკური წესრიგის დამყარების, ე. ი. დასავლეთის ვექტორის გაძლიერების შემდეგ მთელი მცირე აზია გახდა ევროანტიკური ცივილიზაციის ნაწილი, ქართულ პოლიტიკურ სამყაროს სამხრეთიდან მომდინარე საფრთხეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფაქტობრივად მოეხსნა [3].

დღევანდელი გადასახედიდან, საქართველოს ევროპული ორიენტაციის ჭრილში, ძალიან მნიშვნელოვანია VI საუკუნეში (აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ირანისა და ბიზანტიის დაპირისპირების პერიოდში, რომელიც დასავლეთ საქართველოშიც გადაიკვეთა) ეგრისის ორიენტაციის საკითხი, როდესაც მან, მიუხედავად ბიზანტიელთა მიერ გუბაზ მეფის მკვლელობისა, დასავლეთს (ბიზანტიას) მიანიჭა უპირატესობა.

ამდენად, საქართველოსთვის, ანტიკურ სამყაროსთან მრავალმხრივი ურთიერთობების გარდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანობის მიღებასაც, რასაც აზიური სამყაროსგან საქართველოს საბოლოო „ცივილიზაციური გამიჯვნა“ მოჰყვა. ეს იყო გადამწყვეტი ეტაპი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში და მან საბოლოოდ

განსაზღვრა ქვეყნის ევროპული იდენტურობა. ეს გადაწყვეტილება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მიუხედავად გარეშე მტრების მიერ საქართველოს მრავალგზის დაპყრობისა, ევროპასთან ურთიერთობების წყვეტილობისა, ქვეყანამ საკუთარი თვითმყოფადობა და სახელმწიფოებრიობა დღემდე შეინარჩუნა და დიდად განსაზღვრა ქვეყნის ევროპული იდენტობა [2, 109].

მართალია, აღნიშნული საკითხის ანალიზი ჩვენი ნაშრომის უშუალო კვლევის მიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ზოგიერთ ასპექტზე. კერძოდ, ქართული იდენტობის რომელი მარკერია ცივილიზაციურად ევროპულ იდენტობასთან ყველაზე ახლოს ან მსგავსი.

ეროვნული იდენტობა, როგორც კოლექტიური იდენტობის „პროტოტიპი“, განსაზღვრულია გარკვეული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის ხარისხით (Kecmanovic, 1996). თეორეტიკოსები (De Cillia 1999; Hobsbawm 2005; Staub 1997) მიიჩნევენ, რომ ეროვნული იდენტობის განცდის ხარისხი და ხასიათი დროის მიხედვით იცვლება და ამ პროცესს საზოგადოებისთვის აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა ფაქტორები განსაზღვრავს. ეროვნული იდენტობის კვლევისას ლეგიტიმურად ჩნდება ასეთი კითხვები: რა ქმნის ნაციონალურ იდენტობას? რა ფაქტორები განაპირობებს იმას, რომ ჩვენ ჩვენს თავს ქართველებად აღვიქვამთ? ჰაიდერისა და შმიდტის აზრით, ეს არის ემოციები ეროვნული იდენტობის გარკვეული ასპექტების მიმართ, რომლებიც ერს, როგორც მთლიანობას აერთიანებს. ამგვარ ასპექტებად ჰაიდერი და შმიდტი გამოყოფენ: ისტორიას, კულტურას, ეკონომიკას და ერთობასთან სიახლოვის განცდას (Heyder; Schmidt, 2001) [4, 75].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული იდენტობის კულტურული მარკერები, სხვა ცივილიზაციებთან შედარებით, ევროპულთან უფრო მეტ მსგავსებას ავლენს და ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ამიტომაც ქართული იდენტობა, რომელიც თავის მხრივ დამოუკიდებელი და ინდივიდუალურია, იმავდროულად, ყველაზე მეტად (თუ არ ჩავთვლით ზოგად კავკასიურს, რომელიც ცალკე განხილვის თემაა) ცივილიზაციურად ევროპულთან ახლოს დგას და მას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ევროპული. ყოველივე ეს კი, როგორც ისტორიული რეტროსპექტივიდან ჩანს, ჩამოყალიბდა იმ კულტურასთან თანაარსებობითა და ურთიერთობებით, რომელიც მიჩნეულია ევროპულის საწყისად. ხოლო დანარჩენი, რომელიც შეიძ-

ლება განსხვავდება ევროპულისაგან, შეძენილია, ევროპის, როგორც ცნების არსებობამდე დიდი ხნით ადრე და ვროპული სამყაროსგან წყვეტილობის პერიოდში, რომელიც ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ხდებოდა.

საუკუნეთა მანძილზე ქართულ იდენტობას მრავალი წინააღმდეგობა ახლდა თან. გარეშე მტერი თუ შინა აშლილობა. ჯერ სპარსელების, შემდეგ არაბების, მონღოლების, თურქ-სელჩუკების, მეფის რუსეთის, საბჭოთა კავშირის და ბოლოს ისევ რუსეთის ფედერაციის დაპყრობითმა ომებმა თუ ოკუპაციამ, ქართული იდენტობა მაინც ვერ შეცვალა.

მიუხედავად ამისა, ქართველობას არ შეუწყვეტია სწრაფვა ევროპისა და ევროპული იდეალებისაკენ. ამის უნიკალური მაგალითია ჯერ კიდევ XII საუკუნეში საქართველოში პარლამენტის მსგავსი ორგანოს შექმნის იდეა ყუთლუ-არსლანის მეთაურობით, რომელმაც მეფის უფლებების შეზღუდვა მოითხოვა ახალი ორგანოს, „კარავის“ სახით, რომელიც დემოკრატიული მმართველობის გარკვეულ სახეს წარმოადგენდა [5, 31].

გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ შუა საუკუნეების მსოფლიო ისტორიაში საქართველო ბიზანტიის შემდგომ იყო მეორე ქვეყანა, სადაც არათუ სიკვდილით დასჯა გაუქმდა, არამედ აიკრძალა ადამიანის დამასახიჩრებელი და ღირსების შემლახველი სასჯელებიც. ასეთი სიახლე იმ დროის მსოფლიო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში საქართველოს დიდი კულტურულ-ისტორიული ტრადიციების ქვეყნად წარმოაჩენდა.

საქართველოს ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი მაგალითია ასევე ქართველების ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები თურქ-სელჩუკებთან ბრძოლით იყვნენ დაკავებული, მასში ევროპელებთან ერთად დავით აღმაშენებლის ლაშქრიც იღებდა მონაწილეობას [6, 295].

ქართველი რაინდები განსაკუთრებული სიმამაცით იბრძვიან ჯვაროსნულ ომებში, ნათქვამია "ჯვაროსანთა ისტორიაში".

თამარ მეფეც ჯვაროსნულ ლაშქრობაში ექომაგებოდა პაპს და დახმარებასაც აღუთქვამდა მას, ლაშა-გიორგიც აპირებდა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ მონღოლთა შემოსევისა და თვით მისი გარდაცვალების გამო მას ეს არ დასცალდა.

დედოფალი რუსუდანი რომის პაპს იოანე მესამეს 1224 წელს

სწერდა მისი ძმის – ლაშა-გიორგის სურვილის შესახებ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიეღო მონაწილეობა, რაც მას არ დასცალდა [7, 176].

ხოლო მას შემდეგ, როცა მონღოლები შემოესივნენ საქართველოს რუსუდან დედოფალმა პაპ გრიგოლ IX-ს დახმარება სთხოვა, სანაცვლოდ პირობას იძლეოდა, რომ საქართველოს ეკლესია, რომის ეკლესიას შეუერთდებოდა. რუსუდან დედოფლის ამ განზრახვას პაპმა „ღვთაებრივი შორსმჭვრეტელობის ნიმუში უწოდა“ [7, 190]. სამწუხაროდ პაპი საქართველოს ვერ დაეხმარა და ქვეყანა მონღოლთა ბოტონობის ქვეშ მოექცა.

ჯვაროსნული ლაშქრობების ფარგლებში რომსა და საქართველოს შორის დაწყებული პოლიტიკური ურთიერთობები მოგვიანებით კულტურულ ურთიერთობებში გადაიზარდა, რასაც საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობა მოჰყვა.

მართალია, პაპობაზე დამყარებული იმედები ვერ გამართლდა, მაგრამ ქართველი მეფეები არ წყვეტდნენ კავშირს რომთან, პირიქით, საქართველოში კათოლიკე მისიონერთა ასეთი წარმატებული საქმიანობა თავისთავად მიუთითებს თუ რა დიდ პატივს სცემდნენ ქართველი საერო და სასულიერო მესვეურები რომის პაპებსა და მათ წარმომადგენლებს [8, 100].

გარდა ამისა, მეტად ნიშანდობლივია ისიც, რომ ეკლესიათა ერთიანობის მცდელობის საკითხს პოლემიკა ან რაიმე სერიოზული განსჯა არ მოჰყოლია, შეიძლება ამას რაიმე სხვა განმარტებაც აქვს, თუმცა XIII-XV საუკუნეებში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მესვეურები საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის რომაულ კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანების კონკრეტულ გადაწყვეტას მჭიდროდ უკავშირებდნენ საქართველოს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში რომის პაპების მხრიდან შესაძლო სამხედრო დახმარებას [8, 100].

ამდენად, საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა იყო ქართველ მეფე-მთავართა დასავლური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება XIII-XVIII საუკუნებში, რომელიც დაიწყო რომში სამხედრო პოლიტიკური მოკავშირის ძიების მცდელობით მაჰმადიანი აგრესორების წინააღმდეგ და დამთავრდა საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის გაშლით [8, 8].

თურქ-სელჩუკებთან და მონღოლებთან თავგანწირული ბრძოლებით საქართველომ შეანელა ევროპის ქვეყნებზე ამ დამპყრობლების შეტევითი ტალღები, თუმცა თავად გახდა შემდგომ მსხვერპლი

ოსმალთა და სპარსელთა მუდმივი თავდასხმებისა.

1453 წელს ოსმალთა მიერ ბიზანტიის და კონსტანტინოპოლის დაპყრობამ საქართველოს ევროპასთან ურთიერთობა საგრძნობლად შეაფერხა და თუ აქამდე ევროპელები ქართველ მეფეებს თხოვდნენ დახმარებას, ახლა მდგომარეობა შეიცვალა და ქართველი მეფეები თვითონ ითხოვენ ევროპისაგან დახმარებას.

ამ მხრივ საინტერესოა ქართლის მეფის ლუარსაბ I (1527-1556 წწ.) თხოვნა რომის პაპისა და ევროპელი მეფეებისადმი დახმარების თაობაზე.

თეიმურაზ პირველის მიერ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნიკიფორე ირბახი) ელჩად დანიშვნა ევროპაში.

ქართლის მეფის, ვახტანგ V შაჰ-ნავაზის (1658-1675 წწ.) კავშირი ევროპულ სახელმწიფოებთან, თუმცა ის უფრო ეკონომიკური სახის დახმარებას ითხოვდა.

ასევე აღსანიშნავია, ვახტანგ VI მცდელობა დახმარების მიღების თაობაზე, ამ მიზნით მან სულხან-საბა ორბელიანი მიავლინა საფრანგეთში.

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლემაც (კახეთის მეფე 1744-1762 წწ. ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წწ.) სცადა ევროპასთან დაახლოება. მან ავსტრიის იმპერატორს, საფრანგეთის მეფესა და ევროპის ზოგიერთი სხვა ქვეყნის მმართველს დახმარების მიღების მიზნით, თხოვნით მიმართა.

ასევე აქტიური ურთიერთობები ჰქონდა იევროპასთან სამეგრელოს სამთავროს. ლევან მეორე დადიანმა (ოდიშის მთავარი 1611-1657 წწ.) ჩამოიყვანა კათოლიკე მისიონერები სამეგრელოში და დაიწყო სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები ევროპასთან. მოგვიანებით კი დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილმა სალომე დადიანმა საფრანგეთის სამეფო კარზე ჯვარი დაიწერა ფრანგ პრინცა აშილ მიურატზე.

როგორც ვხედავთ, ქართველ მეფეებსა და მთავრებს დიდი სურვილი ჰქონდათ ევროპასთან კავშირ-ურთიერთობების დამყარებისა. „საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მეფეები ევროპასთან კავშირისთვის იღწვოდნენ, იმიტომ, რომ საქართველო არ იყო აზია, არც ხორციელად, არც სულიერად, არც ბუნებითა, არც ხასიათით, არც ცხოვრების წესით, არც ზნეობით. საქართველოსა და აზიას შორის ანუ ევროპეიზმსა და ორიენტალიზმს შორის ისეთივე სხვაობა იყო და არის, როგორც თვით აზიასა და ევროპას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გეოგრაფიულად აზიასთან უფრო ახლოს არის, ის მაინც ვერ ეგუებოდა მას, ვინაიდან თავისი სულიერი გამოვლინებით ევროპელი იყო“ – აღნიშნავდა ქართველი ემიგრანტი მეცნიერი ვიქტორ ნოზაძე [9].

1783 წელს კი, მიუხედავად იმისა, რომ „ქართლ-კახეთის სამეფოს პროდასავლური ორიენტაცია ძალიან სერიოზული იყო... [10, 62] ქვეყანა მაინც იძულებული გახდა რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატზე მოეწერა ხელი, რომლითაც რუსეთს ირან-ოსმალეთის ექსპანსია უნდა შეეჩერებინა. მოგვიანებით, რუსეთმა თანდათან ტრაქტატის დარღვევა დაიწყო და საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა, მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალია და თავისუფლება.

ქვეყანა კი, დღემდე რუსული ექსპანსიის მსხვერპლია და განიცდის ორსაუკუნოვანი დეფორმირებული ცნობიერების პრობლემას. ამ პრობლემის მიხედვით, ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს ... მიაჩნია, რომ რუსული სივრციდან გამოსვლა ან უბრალოდ, არ შეგვიძლია, ან არ იქნება მომგებიანი. ასეთი მიდგომა, საბჭოური აზროვნების პროდუქტია. იგი ეწინააღმდეგება ეროვნულ იდენტობას... იგი ეწინააღმდეგება ასევე ჰუმანიზმსა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს [11, 52].

მიუხედავად ამ ყველაფრისა, საქართველოს მაინც არ შეუწყვეტია გზების ძიება ევროპისაკენ და ახერხებდა ამას სხვადასხვა ფორმით.

XIX საუკუნიდან ქართველი განმანათლებლები აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, არჩილ ჯორჯაძე, ივანე მაჩაბელი და სხვ. ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ევროპელობას თავისუფლების, ჰუმანურობის სიმბოლოდ მიიჩნევენ. ისინი აღფრთოვანებული იყვნენ ევროპული ფასეულობებითა და ღირებულებებით, სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური იდეებით.

ამ ღირებულებების სამშობლო კი ისტორიულად საქართველო იყო, ისევე, როგორც – პირველი ევროპელისა. საქართველო მულტიკულტურალიზმისა და ტოლერანტობის თვალსაზრისით უნიკალური ქვეყანაა. ამიტომაც შესძლო საქართველომ ისტორიის თითქმის ყველა მონაკვეთში, ყოფილიყო მიმღები განსხვავებული კულტურებისა და სწორედ ამან შეუწყო ხელი ქართული იდენტობის შენარჩუნებას. სწორედ ამიტომ გაუჭირდა მისი მოსპობა ყველა დამპყრობელს და ებრძოდა ყველა დამპყრობელი ქართულ იდენტობას, როგორც გა-

რანტს კავკასიელი ხალხების გადარჩენისა. ყველაზე დაუნდობელი, ორგანიზებული ბრძოლა კი „კავკასიურ ცივილიზაციას“ „რუსულმა ცივილიზაციამ“ გამოუცხადა [11, 52].

ევროპული ფასეულობების პოპულარიზაციასა და ქართულ რეალობაში მათი დამკვიდრების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ XIX-XX საუკუნის ქართველ მოაზროვნეებს ნიკო ნიკოლაძესა და არჩილ ჯორჯაძეს. მათი შეხედულებები საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ დღესაც აქტუალურია.

„ჩვენ გვსურს დასავლეთ ევროპასთან გავმართოთ საუბარი, – წერდა არ. ჯორჯაძე, – ევროპასაც უნდა გავაცნოთ საქართველო, მისი წარსული, აწმყო და მომავლის იმედი. ...ჩვენთვის ევროპის ზნეობრივი თანაგრძნობაც ძვირფასი იქნებოდა, რადგან ამ თანაგრძნობით გავამხნევებდით და წავახალისებდით უსასოო, დაჩაგრულ პატარა ერს“ [12].

მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძისა და არჩილ ჯორჯაძის მოსაზრებები პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ განსხვავებული იყო (კერძოდ, რუსეთთან მიმართებაში), ზოგადად, ორივე თანხმდებოდა, რომ საქართველოს პოლიტიკური ორიენტირი დასავლეთისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, რადგანაც «სინათლე და მოძრაობა» დასავლეთიდან მოდის და, შესაბამისად, ეს ღირებულებები – კანონის უზენაესობა, თავისუფლება, დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი და სხვა საქართველოს აღორძინების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

რუსეთის 1917 წ. თებერვლის რევოლუციით ისარგებლეს იმპერიაში შემავალმა ყოფილმა სახელმწიფოებმა და 1918 წელს აღადგინეს დამოუკიდებლობა. მათ შორის საქართველომაც. დამოუკიდებელი ქართული რესპუბლიკა აქტიურად ცდილობდა ევროპულ სივრცესა და ორგანიზაციებში ინტეგრაციას, თუმცა 1921 წელს ესეც ჩაიშალა, ამჯერად ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან ოკუპაციის შედეგად, რომელიც 1991 წლამდე გაგრძელდა.

ოკუპაციის შემდეგ მრავალი ქართველი მეცნიერი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო. ემირაციაში ყოფნისას მათ იმედი არ დაუკარგავთ, რომ საქართველო კვლავ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას და გაერთიანებულ ევროპაში ღირსეულ ადგილს დაიკავებდა. მათ მრავალი ნაშრომი შექმნეს ემიგრაციაში (აღსანიშნავია, რომ ეს ნაშრომები დღემდე ბოლომდე შეუსწავლელია, ამი-

ტომაც კვლავ დიდი შრომაა გასაწევი ემიგრანტული მემკვიდრეობის შესასწავლად), რომელთა ნაწილი გაერთიანებული ევროპის შექმნის იდეებს მიეძღვნა.

ერთიანი ევროპის იდეის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ემიგრაციაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა – მიხეილ მუსხელიშვილმა (1903-1964) და ალექსანდრე ნიკურაძემ (1901-1981).

მიხეილ მუსხელიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა წამოაყენა და დაასაბუთა ევროპის გაერთიანების, ევროპის ფედერაციის შექმნის იდეა. ევროპული ფედერალიზმი – ეს არის არა მარტო სასიცოცხლო აუცილებლობა ევროპელი ერებისათვის, არამედ მშვიდობის განმტკიცებისა და ევროპაში საერთო აყვავების, ადამიანთა თავისუფლებისა და ღირსების დაცვის გარანტია – წერდა იგი ნაშრომში „ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა“ [13, 50].

რუსეთის ხელისუფლებას დასავლეთის მხოლოდ ტექნიკური მიღწევები აინტერესებს, მიაჩნდა მუსხელიშვილს, შემდეგ კი იგი მზადაა, ზურგი შეაქციოს ევროპას. რაც შეეხება საქართველოს, რუსეთის მხრიდან ანექსიამდე მას მუდამ დასავლეთისკენ ჰქონდა მზერა მიპყრობილი. ქართველი ერი მხოლოდ ერთიანი ევროპის პირობებში მოიაზრებდა საკუთარი ფიზიკური არსებობის, კულტურული განვითარებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

სტატიაში „საქართველო და ევროპა“ მუსხელიშვილი წერდა, რომ საჭიროა ფიქრი იმაზე თუ რა ადგილს დაიმკვიდრებს თავისუფალი საქართველო ხვალინდელ მსოფლიოში..., როგორ შეუძლია მას თავი დააღწიოს რუსულ აგრესიას. ქვეყანა დგას არჩევანის წინაშე: ან იძულებით დარჩეს რუსეთის შემადგენლობაში ან მოკავშირე ეძებოს. სიმართლე რომ ითქვას, მას არჩევანი არა აქვს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველო უფრო ახლოსაა (იგულისხმება მენტალურად ავტ.) ევროპასთან და უცხოა რუსეთისთვის. შეგნებული აქვს რა ეს ფაქტი, საქართველო არასოდეს დათანხმდება რუსეთთან შეერთებას.

მიხეილ მუსხელიშვილი იყო ევროპის ხალხთა კონგრესის, ერთიანი ევროპის შექმნის ორგანიზატორი და პირველი პრეზიდენტი, „ფედერალური ევროპის მოძრაობის“ კომიტეტის წევრი, ევროპის ერთიანობის საერთაშორისო ცენტრის ბიუროს ვიცე-პრეზიდენტი... იგი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთში „ერთიანი ევროპის“

წარმომადგენელთა არჩევნებში, იყო ჟურნალის „ევროპის ფორმირება“ სარედაქციო კომიტეტის წევრი [14, 139].

1953 წლის 10 აგვისტოს დაარსდა “ევროპული ქართული მოძრაობა“ (საპატიო თავმჯდომარე პროფესორი მიხეილ წერეთელი), რომლის სულისჩამდგმელი ასევე მ. მუსხელიშვილი იყო [15].

1954 წლიდან მან „ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია“ დაარსა და მისი გენერალური მდივანი გახდა. სტრასბურგში მუსხელმა შექმნა „მუსხელის სამეცნიერო ცენტრი“, რომელიც ევროინტეგრაციის საკითხებს იკვლევდა. ამ ცენტრში მან დააარსა საერთაშორისო სამეცნიერო კრებული. რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები ჟორჟ კედელი, რობერ მოსსე, გუი ერო, ანრი შამბრი და სხვ. პროფესორმა მიშელ მუსხელმა გარდაცვალებამდე მოასწრო ამ ცენტრის კრებულის ორი დიდი ტომის მომზადება და გამოცემა, რომლებსაც მისი ვრცელი წინასიტყვაობა უძღვის [16].

გერმანიაში მოღვაწეობდა, ასევე, ქართველი მეცნიერი ალექსანდრე ნიკურაძე. ის კონტინენტური ევროპის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი იყო მიუნჰენში, მასთან ერთად ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ზურაბ ავალიშვილი. ალექსანდრე ნიკურაძემ გერმანულ ენაზე გამოსცა რამოდენიმე წიგნი, მათ შორის აღსანიშნავია: „აღმოსავლეთ ევროპა“, „კავკასია“, „ოცნებითგან ვიდრე საქმემდე“, რომლებშიც განხილულია ევროპული ინტეგრაციის, ასევე საქართველოს ისტორიის საკითხები. 1951 წლის სექტემბერში მან პარიზის ქართულ სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება „ზოგადი სურათები ქართულ-ევროპული წარსულიდან“.

1952 წელს საფრანგეთში, ქ. კომპიენთან ალექსანდრე ნიკურაძის ინიციატივით „ლა ბრევიერის“ სასახლეში შედგა ევროპელ მეცნიერთა კონგრესი, რომელმაც მიიღო პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის წინადადება მცნება-ტერმინ „ევროპოლოგიის“ შემოღების შესახებ, რაც გაზიარებულ იქნა ევროპელ მეცნიერთა მიერ [14, 142].

ამდენად, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი მეცნიერები მხარს უჭერდნენ ევროპის გაერთიანების იდეას და იმედოვნებდნენ, რომ საქართველო კვლავ მოიპოვებდა დამოუკიდებელობას და გახდებოდა ერთიანი ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი.

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1992 წელს ევროგაერთიანებამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს და ევროკავშირის დაახლოების პერიოდიც სწორედ აქედან იწყება.

პირველი პროექტი, რომელიც ევროკავშირმა საქართველოს მიმართ წამოიწყო ტექნიკური დახმარების პროგრამა იყო, რომელიც TACIS (Technical Assistance to the Commonwealth of Independent States) ფარგლებში განხორციელდა.

TACIS-ის პროგრამა საქართველოს ეხმარებოდა დამოუკიდებლობის, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის განვითარებაში.

1996 წელს ლუქსემბურგში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა საქართველო-ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში.

1999 წლის 27 აპრილს საქართველო ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი გახდა. ეს იყო საქართველოს ევროპულ ოჯახთან დაახლოების მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

2006 წლის ნოემბერში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის (ENP AP) მიღებამ საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესი თვისობრივად ახალ საფეხურზე გადაიყვანა.

2007 წლიდან კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გაგრძელდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) შესაბამისად.

2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის შეიარაღებულმა აგრესიამ გამოიწვია აღნიშნული პროცესის დაჩქარება და გარკვეულწილად განაპირობა კიდეც ამ ინიციატივისადმი ევროკავშირის დადებითი გამოხმაურება. შესაბამისად, 2008 წლის დეკემბერში ევროკომისიას დაევალა ამ ინიციატივასთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა. ევროკომისიამ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ კომუნიკაცია 2008 წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა, რომელიც 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა.

მართალია, „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ არ არის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა, მაგრამ ის, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებები ასო-

ცირების შეთანხმების თაობაზე 2010 წლის 15 ივლისიდან დაიწყო და დასრულდა 2013 წლის ივლისში.

2014 წელს, ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP) ასოცირების შეთანხმების განხორციელების სამოქმედო გეგმამ ჩაანაცვლა.

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩათვლით.

2015 წლის დეკემბერში დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი.

2016 წლის პირველ ივლისს, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში.

2017 წლის 28 მარტს, საქართველოს მოქალაქეებისთვის ძალაში ოფიციალურად შევიდა ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ მოგზაურობა. ამიერიდან, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია იმოგზაუროს ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში მაქსიმუმ 90 დღე.

2017 წლის 20 ნოემბერს საქართველომ და ევროკავშირმა ასოცირების განახლებული დღის წესრიგი 2017-2020 წლებისათვის დაამტკიცეს.

ამდენად, საქართველოს ევროპული ორიენტაცია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართული სახელმწიფოს ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენდა, XXI საუკუნეში მისი არსებობის მანძილზე არნახულ ევოლუციას განიცდის. ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებით კი ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ურთიერთობებს უფრო გააღრმავებს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. რ. გორდეზიანი, ნ. ტონია, ანტიკური ლიტერატურა საუნივერსიტეტო კურსი, თბილისი, 2007.
2. ე. ფაჟავა, საქართველო ევროპული ორიენტაციის სათავეებთან, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №1, თბილისი, 2019.

3. კ. ფიფია, ანტიკური და თანამედროვე საქართველოს გეოპოლიტიკა, https://militarium.org/sakartvelos-geopolitika.
4. დ. ბოგიშვილი, ი. ოსეფაშვილი, ე. გავაშელიშვილი, ნ. გუგუშვილი, ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია, თბილისი, 2016.
5. ქ. გარდაფხაძე, ლ. გორდეზიანი, თ. დულარიძე, თ. თარხნიშვილი, ქ. ნადარეიშვილი, მ. ფხაკაძე, დემოკრატიული ტენდენციები: ანტიკური სამყარო და საქართველო, თბილისი, 2012.
6. რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, თბილისი, 1990.
7. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტ. I, თბილისი, 1984.
8. მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა, თბილისი, 1995.
9. ჟურნალი „მამული“, № 4, ბუენოს-აირესი, 1954.
10. ვ. გურული, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 1483-1801, თბილისი, 2009.
11. ცვ. ბარამიძე, კავკასიური და ევროპული იდენტობა კომპარატისტულ ჭრილში, საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია: ევროპული ღირებულებები და იდენტობა, მოხსენებები, თბილისი, 2014.
12. გაზეთი „საქართველო“, №7, 1, IX, 1903.
13. ე. ჯაფარიძე, ევროინტეგრაციის სათავეებთან, თბილისი, 2019.
14. ვ. შუბითიძე, ევროპა და ქართული პოლიტიკური აზროვნება (საქართველოს ევროპული იდენტობა), თბილისი, 2013.
15. ჟურნალი „ბედი ქართლისა“, №15, 1953.
16. გაზეთი “ფიგარო“, 2 მარტი, 1965.

Emzar Pazhava

Georgian Technical University,
Associate Professor

„This research was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number YS-18-200]“.

The ideas introduced in the work – belong to the author and may not coincide with the thoughts and ideas of Shota Rustaveli Georgian National Science Fund.

The Evolution of European Orientation of Georgia

Summary

The evolution of European orientation of Georgia from ancient times until today is discussed in the work.

Every important issue, which took place during this part of the history is briefly reviewed in the article. The following topics are discussed in the article: relationships of Georgia with ancient world; Georgian identity similarities with European; Georgian participation in the Crusades; the correspondence of the Georgian kings with the Pope; activities of the Catholic missionaries in Georgia; the attempts of Georgian kings to establish relations with Europe; the activities of Georgian immigrants in Europe and their role in unifying Europe; the participation of Georgia in European integration processes and its impact on further development of the country.

ვახტანგ გვიშიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

საქართველო-რუსეთის ურთიერთობები და ნატოს ფაქტორი 2003-2008 წლებში

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტმა ყველაზე დიდი გავლენა ნატო-ს გაფართოების პოლიტიკაზე იქონია. კერძოდ, საქართველოსა და უკრაინის შესაძლო ინტეგრაციაზე. რუსეთის ძალისმიერი პოლიტიკა საქართველოს მიმართ თავდაპირველად გულისხმობდა ნატო-ს გაფართოების შეჩერებას. აღნიშნულმა პოლიტიკამ ხელსაყრელი მომენტი შექმნა საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის განხილვისას. რუსეთის მოქმედებები ორივე ქვეყნის წინააღმდეგ მიზნად ისახავდა იმის დემონსტრირებას, რომ მოსკოვს შეეძლო მათი ნატოში გაწევრიანება შეეფერხებინა.

ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაერთიანება საქართველოში ეროვნული პროექტი გახდა.

2004 წლის 28-29 ივნისს სტამბოლში გამართულ ნატო-ს უმაღლესი დონის სამიტზე საქართველო, აზერბაიჯანი და უზბეკეთი ოფიციალურად შეუერთდნენ „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“ ინიციატივას.

2004 წლის აგვისტოში ნატო-ში ოფიციალურად გაიგზავნა საქართველოს „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“.

2004 წლის 29 ოქტომბერს ნატო-ს უმაღლესმა ორგანომ – ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ (NAC), ე. წ „დუმილის პროცედურის“ საფუძველზე დაამტკიცა საქართველოს „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“ და საქართველო გადავიდა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ე. წ. „მეორე ეტაპზე“ [1].

საქართველოს „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“ ოთხი ნაწილისაგან შედგება:

1. პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები;
2. თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სამხედრო საკითხები;
3. საჯარო ინფორმაცია, სამეცნიერო და გარემოს დაცვის სა-

კითხები და სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმარება;

4. ადმინისტრაციული, საინფორმაციო უსაფრთხოებისა და რესურსების მართვის საკითხები.

ზემოთჩამოთვლილი მიმართულებები ზოგადად არის განხილული გეგმის პირველ ნაწილში, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს დასმული მიზნების განხორციელებითვის აუცილებელი ღონისძიებების კონკრეტულ, დროში გაწერილ გეგმას. აღნიშნული გეგმა, შეეხება თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ ფართო სფეროს, როგორიცაა, თავდაცვის პოლიტიკა, ტერორიზმთან ბრძოლა, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა, თავდაცვის დაგეგმვა, თავდაცვის სისტემის დაფინანსება, კრიზისული სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა.

2005 წლის 14 თებერვლიდან ძალაში შევიდა შეთანხმება „ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის მეკავშირე ოფიცრის მოვლინების შესახებ საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის“, რის საფუძველზეც საქართველოში მოვლინებულ იქნა სამხრეთ კავკასიისთვის მეკავშირე ოფიცერი.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, 2005 წელს შეიქმნა „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის“ განმახორციელებელი სახელმწიფო კომისია, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით არსებული უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელსაც დაევალა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინირება და კონტროლი.

2005-2006 წწ. საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) იმპლემენტაციის შუალედური შეფასების ჯგუფები.

აშშ-სთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუციის შემდეგ. ახალმა მთავრობამ მტკიცედ შეუტია ქართულ არარეგულარულ სამხედრო ძალებს, რომლებიც შედიოდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე გალის რაიონში საქართველოს მხრიდან და რომელთა ქმედებების მოთმენა შეუძლებელი იყო ტერორიზმის წინააღმდეგ საყოველთაო ბრძოლის ფონზე. ამერიკის მხრიდან სრული მხარდაჭერა მიიღო ასევე ბრძოლამ კორუფციის წინააღმდეგ; ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ და სამხედრო რეფორმამ, რაც, ძირითადად, ნაკარნახევი იყო ამერიკის შიშით, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, არ შედგებოდა. ამერიკის

მხარდაჭერას სააკაშვილის მთავრობისადმი, როგორც ჩანს, დამატებითი, უპირატესად იდეოლოგიური ხასიათის მოტივებიც ჰქონდა. საქართველო გახდა „რეჟიმის ცვლილების“ თვალსაჩინო მაგალითი რეგიონში. 2005 წლის 10 მაისს, პრეზიდენტმა ბუშმა, თავისი ოფიციალური ვიზიტის დროს თბილისში, საქართველოს „თავისუფლების შუქურა“ უწოდა. ამერიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოს მიმართვა „ექოსავით გაისმის მსოფლიოში – თავისუფლება იქნება ყველა ერისა და ყველა ადამიანის მომავალი დედამიწაზე“ [4].

ამერიკის შეერთბულმა შტატებმა პოლიტიკური მხარდაჭერა გაუწია საქართველოს ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. 2004 წლის შუა პერიოდში, მან საქართველოში ეუთო-ს მისიას მანდატის გაფართოებისკენ მოუწოდა. 2005 წლის მაისში, ამერიკის ელჩმა საქართველოში განაცხადა, რომ უნდა ეპოვათ ორივე კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზა, თუმცა, „სტატუს-ქვო არ უნდა ყოფილიყო შენარჩუნებული“. 2005 წელს ამერიკამ დაიწყო სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამა (Sustainment and Stability Operation Program - SSOP), რომელიც 2002 წლის საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამას (GTEP) მოჰყვა. ამ პროგრამამ საქართველოს სამხედრო ძალები ერაყში ოპერაციებისთვის მოამზადა. სათანადოდ აღიჭურვა მსუბუქი ქვეითი ჯარი. სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამის გაგრძელება 2006 წლის ივლისსა და 2007 წლის ივლისში განხორციელდა [5].

აშშ-ში პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტის დროს, 2006 წლის 5 ივლისს, პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა: „მჯერა, რომ ნატოსთვის სასარგებლო იქნება, თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება. ვფიქრობ, ეს საქართველოსთვის ასევე სასარგებლო იქნება“. მან თავის საუბარში მოწონება გამოთქვა საქართველოს მიერ გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მიღებაზე. 2006 წლის 21 სექტემბერს, ნიუ-იორკში გაიმართა ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა არაფორმალური შეხვედრა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატო-ში გაწევრიანების საკითხებზე საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყების შესახებ. საქართველოს მიერ ინტენსიური დიალოგის დაწყება პარტნიორობის ფორმატიდან წევრობის კანდიდატის ფორმატზე გადასასვლელად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ინტენსიური დიალოგი წარმოადგენდა ალიანსსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მექანიზმს, რომლის ძირითადი მიზანი იყო. მოემზადებინა საფუძველი ქვეყნის

MAP-ის (გაწევრიანების სამოქმედო გეგმა) ფაზაზე გადასასვლელად. მიუხედავად იმისა, რომ ალიანსის ზოგიერთი წევრი სხვებთან შედარებით მეტად იყო დარწმუნებული საქართველოს შესაბამის წინსვლაში, 2006 წლის სექტემბერში წევრები შეთანხმდნენ, რომ საქართველოსთვის შეეთავაზებინათ „ინტენსიური დიალოგი“. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა გააქტიურებული კონსულტაციების წარმოება მიმდინარე რეფორმების გატარებაში ქვეყნის დასახმარებლად და მისი ალიანსში გაწევრიანებისადმი მისწრაფების მხარდასაჭერად. ნატოს იმ წევრებს, რომლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ საქართველოსთვის გაწვრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) შეთავაზებას, შესაძლოა, გააზრებული ჰქონდათ, რომ ეს შეიძლებოდა აღქმულიყო, როგორც საქართველოსთვის ნატოს წევრად მიღების პოლიტიკური ვალდებულება და უარყოფითად ემოქმედა მათ ურთიერთობაზე რუსეთთან. ნატოს იმ წევრებმა, განსაკუთრებით კი, შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ საქართველოს ნატოში დაჩქარებულ შესვლას და მისი წევრობის პერსპექტივების გაუმჯობესებას, ხაზი გაუსვეს ნატოს გაფართოებისა და პარტნიორობის როლს სტაბილურობისა და უსაფრთხოების გავრცელების საკითხში, ახალი წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის პოლიტიკის დემოკრატიზაციისა და დემოკრატიულ ქვეყნებს შორის უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის შეთანხმებებზე ხელმოწერის გზით. როგორც ჩანს, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შემდგომი წევრობის პერსპექტივა, სრული წევრობის ჩათვლით, შიდა კონფლიქტების მოსაგვარებლად საქართველოს მხრიდან ძალის გამოყენების ნებისმიერ სურვილს შეაკავებდა, ვინაიდან ეს დამღუპველ გავლენას მოახდენდა ნატოში გაწევრიანების პერსპექტივაზე. დებატების პროცესში წამოყენებული ერთ-ერთი არგუმენტის მიხედვით, რაც უკავშირდებოდა ნატოს პოლიტიკას საქართველოს მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივები დამოკიდებული იყო მის ძალისხმევაზე მიეღწია კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის, ეს არ ნიშნავდა, რომ წევრობა აუცილებლად საბოლოო მოგვარებაზე იყო დამოკიდებული. ასეთი პირდაპირი კავშირი ნატო-საქართველოს ურთიერთობას მთლიანად დამოკიდებულს გახდიდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხების მოგვარებაზე და საბოლოოდ, რუსეთის პოლიტიკაზე რეგიონში. ეს კი, თავის მხრივ, გარე ძალისთვის – რუსეთისთვის – ნატოს გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების ტოლფასი იქნებოდა [5; 6].

ნატოს პოზიტიური ინიციატივები, რაც ტრანსფორმაციის ფუნქციას ასრულებდა საქართველოს დემოკრატიზაციაში, ნეიტრალდებოდა საქართველოს შიდა კონფლიქტებისთვის ნეგატიური შედეგებით, რაც წინასწარ არ იყო განზრახული; ეს განსაკუთრებით ეხებოდა უსაფრთხოების დონეს. ნატოს შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებში სამხედრო ინტერვენციის დიდი გამოცდილება აქვს, რამაც გააძლიერა ეჭვი მოსკოვში, ასევე – შიში სოხუმსა და ცხინვალში, რომ მომავალში, ნატო სეპარატისტული რეგიონების საქმეებში ჩაერეოდა. ამერიკის ადმინისტრაციას მძლავრი დიპლომატიური ძალისხმევა დასჭირდა რუსეთის დასარწმუნებლად, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია არ ეწინააღმდეგებოდა მისი უსაფრთხოების ინტერესებს. მან ასევე მხარი დაუჭირა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დელეგაციების ვიზიტს ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში, სადაც ისინი მიიღებდნენ პირველად ინფორმაციას ნატოს პოლიტიკის შესახებ.

საქართველოს ინტეგრაციას ნატოში განაპირობებდა მისი შემდგომი სვლა დემოკრატიზაციისკენ. პოლიტიკურმა კრიზისმა საქართველოში, რომელიც 2007 წლის შემოდგომაზე მთავრობასა და ოპოზიციას შორის კონფრონტაციით დაიწყო, ასევე პოლიციის სპეცრაზმების სასტიკმა შეტევებმა დემონსტრანტებზე და ოპოზიციური მედიის დახურვამ, ნატოს ზოგიერთ წევრში გააძლიერა სკეპტიციზმი, იყო თუ არა მიზანშეწონილი საქართველოს მიწვევა გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP) მონაწილეობის მისაღებად ნატოს მომავალ სამიტზე ბუქარესტში, 2008 წლის აპრილში. თუმცა, ნატოს სხვა წევრები აღიარებდნენ, რომ თბილისმა დიდი ძალისხმევა გასწია ნატოში ინტეგრაციის მიზნით ამბიციური ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) შესრულების თვალსაზრისით. ამერიკის თვალთახედვიდან, საქართველო, 2000 ქვედანაყოფით ერაყის სამხედრო მოქმედებებში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილით, უკვე აღიქმებოდა „უსაფრთხოების მომხმარებლიდან“ „უსაფრთხოების მომწოდებლად“ გარდამავალ პროცესში მყოფ ქვეყანად. კიდევ ერთი მოტივაცია საქართველოსთვის და უკრაინისთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭების შესახებ ის იყო, რომ აშშ-ს არ უნდოდა, რუსეთთან და ნატოს აღმოსავლეთ ევროპის წევრებსა და პარტნიორებთან სისუსტე გამოემჟღავნებინა. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში სერიოზული დარღვევების გამო, ნატოს სხვა წევრებისაგან განსხვავებული დასკვნები გააკეთა. მან ძლიერი შეშფოთება

გამოხატა მთავრობის მიმართ 2007 წლის შემოდგომაზე ოპოზიციისადმი განხორციელებულ ქმედებებზე და მოუწოდა საქართველოს მთავრობას, კვლავ გაეხსნა კერძო სატელევიზიო არხები. თუმცა, ვაშინგტონის აზრით, საქართველოს დემოკრატიზაციას ყველაზე მეტად ნატოში ინტეგრაცია წაადგებოდა.

2008 წლამდე დაძაბულობა საქართველოსა და რუსეთს შორის მატულობდა. 2008 წლის იანვარში, დიმიტრი როგოზინმა, რუსეთის დესპანმა ნატო-რუსეთის საბჭოში, განაცხადა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება გამოიწვევდა დესტაბილიზაციას კავკასიის რეგიონში. რუსეთის სხვა ოფიციალური პირები გამოხატავდნენ მოსაზრებას, რომ ნატოს მიერ გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP) საქართველოს მონაწილეობის ხელშეწყობა, ,გამოიწვევდა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას – ამ რეგიონებში რუსეთის სამხედრო დანაყოფების განთავსების მიზნით.

2008 წლის 14 თებერვალს, ნატოს გენერალურმა მდივანმა, იააფ დე ჰოოფ სხეფერმა, მიიღო ოფიციალური თხოვნა პრეზიდენტ სააკაშვილისგან, მიეწვია საქართველო გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP) მონაწილეობის მისაღებად ნატო-ს მომავალ სამიტზე ბუქარესტში, 3 აპრილს. ალიანსის ზოგიერთმა ევროპელმა წევრმა შეშფოთება გამოთქვა აღნიშნულის შესახებ და განაცხადა, რომ საჭირო იყო უფრო მნიშვნელოვანი წინსვლა დემოკრატიზაციისკენ. 2008 წლის 19 მარტს პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრაზე, ვაშინგტონში, პრეზიდენტმა ბუშმა თავისი მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს მიწვევაზე გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP). საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭებას მხარს მტკიცედ უჭერდა არა მარტო ვაშინგტონი, არამედ საქართველოს ახალი მეგობრების ჯგუფი.

2008 წლის 6 მარტს, ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ბრიუსელში, ზოგიერთმა მონაწილემ გამოთქვა აზრი, რომ ფიქრობდნენ საქართველოსა და უკრაინისთვის წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭების გადავადებაზე. საქართველოს განაცხადი საკამათო იყო. წინააღმდეგობა გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიისა და ზოგიერთი სხვა მთავრობის მხრიდან, ძირითადად, დამყარებული იყო მათ შეშფოთებაზე რუსეთთან ურთიერთობის გამო. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბერნარ კუშნერი დაჟინებით მოუწოდებდა ნატოს საბჭოს, რომ „მხედველობაში მიეღო რუსეთის სენსიტიურობა და ის მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ეს ქვეყანა

ასრულებდა.“ მისი აზრით, რუსეთთან ურთიერთობა უკვე საკმაოდ დაძაბული იყო კოსოვოსა და ასევე ამერიკის გეგმების გამო, განეთავსებინა სარაკეტო დაცვის სისტემები ცენტრალურ ევროპაში. საფრანგეთის მთავრობას ასევე მთლიანად ევროკავშირს, სჭირდებოდა რუსეთთან თანამშრომლობა. მსგავსი თვალსაზრისი გამოხატა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმაც, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა. გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა, იმავე წლის 10 მარტს განაცხადა, რომ რეგიონულ ან შიდა კონფლიქტებში ჩართული ქვეყნები ალიანსის წევრები არ უნდა გამხდარიყვნენ.

2008 წლის 6 მაისს საქართველოს მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, თემურ იაკობაშვილმა ბრიუსელში, პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველო ძალიან ახლოს იყო საომარი მოქმედების დაწყებასთან: „ჩვენ პირდაპირი მნიშვნელობით თავიდან უნდა ავიცილოთ ომი.“ ასეთი განცხადების დაძაბულობის დონემ საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია. მომდევნო დღეებში ქართული მხარე მიესალმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მცდელობას, შეეჩერებინა შეიარაღებული კონფლიქტი. ევროკავშირმა გამოაცხადა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების ჯგუფი გაემგზავრებოდა თბილისში, რათა მოეძებნა იმ უკიდურესად აგრესიული ქმედებებისა და რიტორიკის შეჩერების გზები, რომელიც გასული კვირების ქართულ-რუსულ ურთიერთობაში შეიმჩნეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერდა თბილისს, ის კვლავაც ესწრაფოდა შეესრულებინა სამშვიდობო ფუნქცია, თუმცა არ სურდა რაიმე ისეთი ქმედების განხორციელება, რომლითაც იგი მოსკოვს დაუპირისპირებდა [2].

2008 წლის ივნისიდან აგვისტოს დასაწყისამდე, დაძაბულობის მატებამ, რომელიც ზოგიერთი ანალიტიკოსის მიერ დახასიათებული იყო როგორც დაბალი ინტენსივობის ომი – კულმინიციას მიაღწია საქართველოს მიერ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის ჩატარებით ე. წ. სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამით [7].

აგვისტოს დასაწყისში დაძაბულობამ იმატა ქართულ-აფხაზური ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე, განსაკუთრებით, კოდორის ხეობაში. ქართულმა მხარემ არაერთხელ განაცხადა, რომ ფლობდა ინფორმაციას აფხაზეთის ან/და რუსეთის მიერ ხეობაზე იერიშის მიტანის შესახებ. მაშინაც კი, როდესაც აფხაზური მხარე აცხადებდა იქ ქართული ძალების რაოდენობის ზრდის შესახებ. ორივე მხარე ასევე აც-

ხადებდა, რომ მეორე მხარე მძიმე სამხედრო აღჭურვილობას მალავდა ხეობაში, თავის კონტროლს დაქვემდებარებულ ნაწილში.

რუსეთი კონფლიქტში რამდენიმე ფორმით იყო ჩართული. პირველი, რუსი სამშვიდობო ძალები, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ სამხრეთ ოსეთში სოჭის შეთანხმების საფუძველზე, მონაწილეობდნენ ცხინვალის ბრძოლაში. მეორე, რუსეთის რეგულარული საჯარისო დანაყოფები იბრძოდნენ ე. წ. სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთსა და საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში. მესამე, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოეთ კავკასიის არარეგულარულმა ფორმირებებმა. და ბოლოს, რუსეთი მრავალი სახით უჭერდა მხარს აფხაზურ და ოსურ ძალებს, განსაკუთრებით, წვრთნით, შეიარაღებით, აღჭურვილობით, დაფინანსებით და სხვ.

რუსეთის ფედერაციამ თავისი სამხედრო ძალების გამოიყენების პრინციპულ მიზეზად და გამართლებად დაასახელა ის, რომ საჭირო იყო თავდაცვა რუს სამშვიდობოებზე საქართველოს თავდასხმის გამო.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. იგორ ტობარკოვი, სააკაშვილის პოლიტიკურმა ძალამ იაძულა რუსეთი თავისი პოლიტიკის გადახედვისთვის, Eurasia Insight, 2004 წლის 7 აპრილი.
2. Независимая газета, 5 июнь, 2008.
3. საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ანგარიში, 2009.
4. The White House ~President Bush Welcomes President Saakashvili of Georgia to the White House,~ http://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2006/07/20060705-4.html (19.06.2019).
5. On the debate on Georgia's integration into NATO see the various contributions and particularly the presentations of Jan Henrik Van Thiel and James Mackey in ~Georgian NATO Accession and Potential Impacts on the Georgian-Abkhaz Peace Process,~ Istanbul, Turkey, 14-15 June 2007, 14th Conference in the Series Aspects of the Georgian-Abkhaz Conflict, Heinrich Böll Stiftung and University of California, Irvine, http://georgien.boell-net.de/downloads/Georgian_NATO_Accession_ENG.pdf (10.05.2019)ю

6. Interview with Viacheslav Chirikba, ~Abkhazia, Georgia, Russia and NATO,~ 07 February 2014 https://abkhazworld.com/aw/interview/1184-interview-with-viacheslav-chirikba.
7. Stefan Wagstyl, Stephen Fidler, and Chrystia Freeland, ~Enlargement to the East Divides Nato Nations, Financial Times, 25 January, 2008.
8. Ambassador Arthur Hartman, ~Democratic Governance in Georgia: Lost Promises and Missed Opportunities~, in Hug (ed.), Spotlight on Georgia, London, The Foreign Policy Centre, 2009.
9. Jim Nichol, ~Georgia (Republic) and NATO Enlargement. Issues and Implications~, CRS Report for Congress, 7 March 2008.
10. The White House. Transcripts: President Bush and President Saakashvili Meet in the White House, 19 March 2008, http://georgia.usembassy.gov/tr-03192008.html (14.03.2019).
11. Vladimir Socor, Friends of Georgia Hold Strategy Session in Lithuania, Jamestown Eurasia Daily Monitor, September 17, 2007, Vol.4, Issue 171, http://www.jamestown.org/single/ ?no_cache=1&tx_ttnews%5Btt_news%5D=33000 (16.06.2019).
12. Vladimir Socor, Hard Debates at NATO on Georgian Membership Action Plan,~ Jamestown Foundation, Eurasia Daily Monitor, vol.5, issue 46, March 11, 2008, http://www.jamestown.org/ single/?no_cache=1&tx_ttnews%5Btt_news%5D=33449 (29.04.2019).
13. Socor, Germany Torpedoes Ukrainian, Georgian Membership Action Plans Ahead of NATO Meeting, Jamestown Foundation, Eurasia Daily Monitor, Vol.5, Issue 48, 13 March 2008, http://www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews%5Btt_news%5D=33458 (29.04.2019).

Vakhtang Gvishiani

Doctoral student, Georgian Technical University,
Faculty of Law and International Relations

Georgian-Russian Relations and NATO Factor during the Years 2003-2008

Summary

The Russia-Georgia conflict of 2008 had the greatest impact on NATO's enlargement policy. In particular, on the possible integration of Georgia and Ukraine. Russia's coercive policy toward Georgia was initially intended to halt NATO enlargement. This policy has created a favorable moment for the discussion of the action plan for Georgia's and Ukraine's accession. Russia's actions against both countries were aimed at demonstrating that Moscow could prevent them from joining NATO. Russia was involved in the conflict in several ways. First, Russian peacekeepers stationed in “South Ossetia“ under the Sochi agreement took part in the Battle of Tskhinvali. Second, Russia's regular military units fought in “South Ossetia“, Abkhazia, and deep into Georgian territory. Third, irregular formations in the North Caucasus took part in the hostilities. Finally, Russia has supported Abkhaz and Ossetian forces in many ways, especially in training, armaments, equipment, funding, and so on. The Russian Federation cited the need to defend Russian peacekeepers from Georgian forces as a key reason and justification for using its military forces.

არჩილ ჩაჩხიანი

ისტორიის დოქტორი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის თავდაცვის სტრატეგიებისა და რესურების მართვის მიმართულების ხელმძღვანელი, თადარიგის პოლკოვნიკი, სრული პროფესორი

არშემდგარი სამხედრო პროექტი – „ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმია“

მეფის რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების საუკუნეობრივმა მტრულმა დამოკიდებულებამ სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით თავის პიკს პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე მიაღწია. ჯარების საბრძოლო მზადყოფნის, საომარი ოპერაციების დაგეგმვისა და ოპერაციების აღსრულების თვალსაზრისით კავკასიის ფრონტზე გაშლილმა ოსმალთა მე-3 არმიის სარდლობამ აშკარად წააგო პაექრობა რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობასთან. სწორად დაგეგმილი და აღსრულებული საბრძოლო ოპერაციების შედეგად რუსეთის კავკასიის ფრონტის შენაერთებმა 1915-1917 წლებში ოსმალთა იმპერიის უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტები – არზრუმი, ტრაპიზონი, ერზინჯანი, ბაიბურთი დაიკავეს. გავიდნენ მუშთან, ბითლისთან და სტრატეგიული პლაცდარმი შექმნეს ცენტრალური ანატოლიის ზეგანზე გასასვლელად. ამავე დროს, ფაქტიურად ზურგში მოექცნენ მესოპოტამიის ფრონტზე მოქმედ ოსმალთა მე-6 არმიას და მისი შენაერთები იზოლაციისა და გარშემორტყმის საშიშროების წინაშე დააყენეს. რუსულ-ოსმალური ისტორიული დაპირისპირების ორსაუკუნოვანი პერიოდის განმავლობაში ეს იყო რუსული სამხედრო შენაერთების ყველაზე უფრო ღრმა შეჭრა ოსმალთა იმპერიის ტერიტორიებზე. მაგრამ რუსეთის თებერვლის რევოლუციამ და ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ სულ სხვა მიმართულება მისცა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ მსვლელობას.

რუსეთის ფრონტებზე რევოლუციური იდეოლოგიის გავრცელება 1917 წლის ზაფხულიდან დაიწყო, განსაკუთრებული მასშტაბე-

ბი კი, მან ბოლშევიკთა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიძინა. საერთო უბედურებისა და ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსის ფონზე ბოლშევიკებმა კაცობრიობის ისტორიაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოდიოზური ლოზუნგი წამოაყენეს: „გადავაქციოთ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად!“ „კლასთა ბრძოლის“, „კომუნისტური ინტერნაციონალიზმისა“ და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ თეორიებით შეიარაღებული რუსეთის ბოლშევიკური მთავრობისა და მისი მეთაურის – ვლადიმერ ლენინის მოწოდებებმა 1917 წლის ბოლოდან კიდევ უფრო დააჩქარა პირველი მსოფლიო ომის თეატრებზე მოქმედი რუსული სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების ფრონტებიდან მასიურად მოხსნა და მათი პირადი შემადგენლობის რევოლუციურ რელსებზე გადაყვანა.

კავკასიის ფრონტზე, ისევე როგორც პირველი მსოფლიო ომის რუსეთის სხვა ფრონტებზე, ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელებამ უაღრესად უარყოფითად იმოქმედა ჯარების საბრძოლო და მორალურ მდგომარეობაზე. დაიწყო უმართავი პროცესები: ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნა, გაუთავებელი მიტინგები, ბოლშევიკური აგიტაცია, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის საწესდებო ურთიერთობების მოშლა, მასობრივი დაუმორჩილებლობა, დეზერტირობა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, სისხლიანი ანგარიშსწორებები. ასობით და ათასობით ჯარისკაცმა მასობრივად დაიწყო ფრონტების მიტოვება და რუსეთში დაბრუნება რევოლუციის მონაპოვრების დაცვის საბაბით. კავკასიის ფრონტმა დაშლა დაიწყო... ფაქტია, რომ შექმნილი მძიმე მდგომარეობის გადასარჩენად ქმედითი ღონისძიებების გატარება იყო საჭირო. როგორც საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, პროფესორი სტივენ ჯონსი აღნიშნავს: „კავკასიის არმიის სარდლობა საბოლოოდ იმ აზრამდე მივიდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მოტივირებულ ნაციონალურ შენაერთებს შეეძლოთ შექმნილი სიტუაციის გადარჩენა“ [1, 114]. ვეთანხმებით ავტორის ამ დასკვნას, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ნააზრევი მხოლოდ კავკასიის არმიის სარდლობას არ გასჩენია. ამ საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართულნი იმ დროისათვის ამიერკავკასიაში მოქმედი უამრავი რევოლუციური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეროვნული, საზოგადოებრივი თუ პროფესიული მიმართულების და ათასგვარი შედგენილობისა და კონფიგურაციის მქონე ორგანიზაციები, საბჭოები, კავშირები თუ კომიტეტები. ასეთ ორგანიზაციათა სპექტრი ძალიან მრავალრიცხოვანი და ჭრელი იყო. თითოეული მათგანი ცდილობდა საკუთარი თა-

ვი მთავარ ძალად, მთავარ პოლიტიკურ ცენტრად გამოეყვანა და შესაბამისი ადგილიც მოეპოვებინა რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეტად უცნაური და ეგზოტიკურიც კი იყო ამ ორგანიზაციათა ჩამონათვალი, რაც ნათლად მიგვანიშნებს იმდროინდელ ამიერკავკასიაში არსებულ ურთულეს პოლიტიკურ მდგომარეობასა და იქ მიმდინარე პროცესების ქაოტურობაზე. ეს ორგანიზაციები იყო: ამიერკავკასიის კომისარიატი, ფრონტის კომისარიატი, ოლქის კომისარიატი, სამხარეო საბჭო, მუშათა და ჯარისკაცთა თბილისის საბჭო, ესერთა პარტიის საოლქო კომიტეტი, კავკასიის საოლქო მუსულმანთა სამხედრო ორგანიზაცია „შურა“, სომეხთა ეროვნული საბჭო, თბილისის მუსულმანთა კომიტეტი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების რევოლუციური პარტია, უკრაინული საჯარისო რადა, ამიერკავკასიის მუსულმანთა ცენტრალური კომიტეტი, დაშნაკცუტიუნის პარტია, ბერძნული სამხედრო დელეგაცია, კავკასიის ელინთა სამხედრო კავშირი, ებრაელ მეომართა კავშირი, კავკასიის ფრონტის მთავარსარდლობის შტაბი, მოხალისეთა არმიის კავკასიის საოლქო კომიტეტი, მენშევიკთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტი, ბოლშევიკთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტი, პოლონელთა ეროვნული კავშირი, ქართველთა სამხედრო კავშირი, ლატვიელთა სამხედრო კავშირი, ოლქის შტაბი (Sic!) [2, 116] და ა. შ.

კავკასიის ფრონტის იმდროინდელი ფაქტობრივი სარდალი, გენერალი ილია ოდიშელიძე, თავის ნაშრომში, „როგორ დაიბადა ქართული არმია“, აღნიშნავს, რომ „ნაციონალური ნაწილების ჩამოყალიბების აუცილებლობა კავკასიის ფრონტზე, საკმაოდ გვიან, 1917 წლის ოქტომბრის ბოლოს დადგა“ [3, 4]. თუმცა ამ მომენტისათვის ჯერ კიდევ არ იყო გაცნობიერებული იმ კატასტროფის მასშტაბები, რაც ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებას უნდა მოჰყოლოდა რუსეთშიც და ამიერკავკასიაშიც. ოდნავ მოგვიანებით ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 12 იანვრის მიმართვაში ვკითხულობთ: „რუსული სახელმწიფო, როგორც ასეთი, მოცემულ მომენტში აღარ არსებობს. გადატრიალების შემდეგ უუნარო მმართველობამ მიიყვანა იგი სრულ კრახამდე და გახრწნამდე. ბოლშევიკების პოლიტიკამ სახელმწიფოს საფუძველებს ბოლო დარტყმა მიაყენა და საბოლოოდ გახრწნა არმია და ფლოტი. ზავის დადების მცდელობა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ჩავარდა. ბოლშევიკთა პროპაგანდის გამოისობით შეიარაღებულ ბანდათ გადაქცეულმა არმიამ იხუვლა ქვეყნის სიღრმისაკენ, რომელიც თავის გზაზე ყველაფერს ანგრევს და ანადგურებს. ბოლშევიკთაგან შეგულიანებულმა ხალხთა ბნელმა მასებმა

სამოქალაქო ომი წამოიწყეს, რომელმაც უკვე მიაღწია გრანდიოზულ მასშტაბებს...“ [2, 52].

ამიერკავკასიის იტერნაციონალური მოხალისეთა არმიის შექმნა „ეროვნული და დემოკრატიული ორგანიზაციების“ წარმომადგენლების მიერ 1917 წლის 9 დეკემბერს გამართულ სხდომაზე გადაწყდა. სხდომას თავმჯდომარეობდა აპენიანსკი, მდივანი კი ოსბერგი იყო [2, 87]. ჩანაფიქრის მიხედვით, უნდა შექმნილიყო ამ არმიის მართვის ერთიანი ორგანო (შემდგომში მას სამხედრო საბჭო ეწოდა), რომელშიც უნდა შესულიყვნენ თითო-თითო წარმომადგენელი სხვადასხვა პოლიტიკური და ეროვნული ორგანიზაციებიდან: ეროვნული საბჭოებიდან, ეროვნული სამხედრო საბჭოებიდან, სამხარეო ცენტრიდან, სამხარეო საბჭოდან, ფრონტის შტაბიდან, ოლქის შტაბიდან, ფრონტის კომისარიატიდან და ოლქის კომისარიატიდან. ეს ორგანო უნდა შემდგარიყო ამიერკავკასიის კომისარიატის სამხედრო და საზღვაო კომისართან არსებულად [4, 58]. სწორედ ამ „ნაციონალური და დემოკრატიული ორგანიზაციების“ მიერ 1917 წლის 9-11 დეკემბერს მიმდინარე სხდომაზე გადაწყდა შექმნილიყო ახალი ტიპის „ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმია“. კონფერენციაში მონაწილე ამ „ნაციონალური და დემოკრატიული ორგანიზაციების“ რაოდენობა სამ ათეულამდე იყო, ხოლო მათ მიერ შემოტანილ პროექტს ნაციონალური შენაერთებისა და ნაწილების შესახებ, შემდეგი სახე ჰქონდა: სომხები – 1 ¾ კორპუსი, ასურელები და სხვა წვრილი ეროვნებები – 1 ¾ კორპუსი, ქართველები – 1 ¾ კორპუსი, მუსულმანები – 1 კორპუსი, პოლონელები – 1 კორპუსი, რუსები – 1 კორპუსი, უკრაინელები – 1 კორპუსი, ელინები – ½ კორპუსი. ანუ, სულ – 8 ¼ – 8 ¾ კორპუსი [4, 20].

ასე ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭო, რომელიც კავკასიის ფრონტის ნაციონალური შენაერთების ფორმირების, ორგანიზაციისა და მომარაგების ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა. ეროვნებათაშორისი საბჭოს პრეზიდიუმი კი მართლაც ინტერნაციონალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მასში შევიდნენ – ქართველი ნოე რამიშვილი, სომეხი მიქაელ პაპაჯანოვი, რუსი ლიახნიცკი, მუსულმანი ხურამოვიჩი, პოლონელი იარეცკი, ბერძენი სპილიოტი, უკრაინელი ხიმენკო, ოსი ვანეევი [8, 1]. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ნოე რამიშვილი აირჩიეს. როგორც ვხედავთ, საკმაოდ ბუნდოვანი სურათი და ჭრელი საზოგადოებაა, მაგრამ ერთ რამეზე ყველა შეთანხმდა: „კავკასიის მოხალისეთა არმიის ნაციონალური შენაერთებისათვის მთავარი უნდა ყოფილიყო პრინციპი –

დაეცვათ საკუთარი ხალხით დასახლებული ტერიტორიები“ [4, 52]. საბჭოში წარმომადგენლობა კი, დამოკიდებული იყო ნაციონალური შენაერთების სიდიდეზე. კერძოდ – ერთი, ორი ან სამი წარმომადგენელი. ეროვნულ საბჭოს, რომელსაც უნდა მოეხდინა დივიზიამდე სიდიდის ნაწილის შექმნა, ეროვნებათაშორის სამხედრო საბჭოში ჰყავდა ერთი წევრი, დივიზიას და მეტს – 2 წევრი, კორპუსს და მეტს – 3 წევრი. მთავარსარდალს – 1 წევრი, სამხარეო გაერთიანებულ ცენტრს – 1 წევრი და სამხარეო ცენტრს – 1 წევრი [5].

საერთო ჯამში, ეს რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ომის მსვლელობისას არსებულ კავკასიის არმიას. ამასთან დაკავშირებით კავკასიის არმიის გენერალ-კვარტერმეისტერი, გენერალი პაველ შატილოვი რიტორიკულ კითხვას სვამდა – შეეძლო კი ამიერკავკასიას ასეთი არმიის თუნდაც დროებით შენახვა? აქვე შატილოვი დაუშვებლად თვლიდა ისეთი ნაციონალური ნაწილების შექმნას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ხალხს დაიცავდა ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში. იგი თვლიდა, რომ უკეთესი იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის შეიარაღება, მათგან მილიციის ორგანიზება და მათი მხოლოდ და მხოლოდ საბრძოლო მასალებით უზრუნველყოფა. დანარჩენს კი, მოსახლეობა თვითონ მოაგვარებდა. ამ მოსაზრებას კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ლევანდოვსკიც იზიარებდა.

ასე იწყებოდა ამიერკავკასიის ინტერნაციონალური არმიის ჩამოყალიბების რთული და არაერთგვაროვანი პროცესი, რომლის საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურაც მისი ეროვნული შენაერთებით დაკომპლექტების პრინციპზე უნდა ყოფილიყო აგებული. საერთო ჯამში, „ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმია“ უნდა შემდგარიყო რუსული მოდელით, ქართული, რუსული, სომხური და მაჰმადიანური კორპუსებისგან. გარდა ამისა, მასში უნდა ჩართულიყო ბერძნული, პოლონური და უკრაინული დივიზიები, ასევე სხვა ეროვნული ნაწილები [6, 49]. შემუშავებული სქემის მიხედვით „ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალურ არმიას“ პოლკურ-დივიზიური წყობა უნდა ჰქონოდა, რომლის სტრუქტურაც მშვიდობიან პერიოდში ბატალიონი-ბრიგადის წყობამდე იქნებოდა დაყვანილი. ასეთი ამოცანის დასმა შეცდომა იყო, დიდი შეცდომა! ყოველივე ეს, რბილად რომ ვთქვათ, საფუძველშივე უქმნიდა საფრთხეს დასახული ამოცანის შესრულებას. ჩვენი უფრო რადიკალური შეფასება კი შემდეგია – იდეური ჩანაფიქრითა და არსებული ძალებისა და საშუალებების ასეთი კონფიგურაციით, ნაციონალურ პრინციპზე აგებული

არმიის შექმნისა და მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულების მოლოდინი თავიდანვე განწირული იყო მარცხისთვის.

ქართულ კორპუსს შემდეგი სტრუქტურა უნდა ჰქონოდა: სამი იდენტური ქვეითი დივიზია, ერთი საკავალერიო ბრიგადა, საინჟინრო ბატალიონი, მორტირების დივიზიონი და საეტაპო ბატალიონი. თვითოეული ქვეითი დივიზია შედგებოდა 4-4 პოლკისგან და სამთო არტილერიის ბრიგადისგან. სამთო არტილერიის ბრიგადა შეიცავდა 2 დივიზიონს და ერთ მეტყვიამფრქვევეთა გუნდს.[1] თავის მხრივ, საარტილერიო დივიზიონები შეიცავდნენ სამ-სამ ბატარეას. ცხენოსან ბრიგადაში უნდა ყოფილიყო ცხენოსანი პოლკი და ორი საარტილერიო ბატარეა. სათადარიგო ნაწილებად კი, განსაზღვრული იყო მხოლოდ ორი ერთეული – ერთი მსროლელი ქვეითი პოლკი და ერთიც საკავალერიო ესკადრონი [6, 42]. დახლოებით იდენტური უნდა ყოფილიყო სხვა კორპუსების საორგანიზაციო-საბრძოლო სტრუქტურებიც. გენერალი კვინიტაძე: „განსაზღვრული იყო ერთი საჯარისო გაერთიანების – ამიერკავკასიის არმიის ჩამოყალიბება ქართული, სომხური და მაჰმადიანური საარმიო კორპუსების, ბერძნული დივიზიისა და გერმანული პოლკის შემადგენლობით“ [7, 45]. გენერალ კვინიტაძის მემუარში „გერმანული პოლკის“ ქვეშ ცხადია, საქართველოში მცხოვრები გერმანელებისგან შემდგარი სამხედრო ნაწილი იგულისხმება და არა მოგვიანებით, 1918 წლის ივნისიდან, საქართველოში შემოყვანილი გერმანული საექსპედიციო კორპუსის ნაწილები და ქვედანაყოფები. გარდა გერმანული პოლკისა, ამიერკავკასიის ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს 1918 წლის 18 იანვრის №146 გადაწყვეტილებით აქვე დაგეგმილი იყო ამიერკავკასიის ინტერნაციონალური არმიის შემადგენლობაში ოსური პოლკის შექმნაც [8, 2]. მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ოსთა ეროვნული საბჭო ოსური პოლკის ქართული კორპუსის შემადგენლობაში ჩართვას მოითხოვდა, რასაც ოსთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ა. გაგლოევი თავის 1918 წლის 25 ივნრის №226 წერილით იტყობინებოდა [8, 4]. საბოლოოდ, ოსთა ეროვნული საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე, ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ნოე რამიშვილისაგან სწორედ ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული – ოსური პოლკი ქართული კორპუსის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი [9, 2].

ქართული კორპუსის პირადი შემადგენლობით დაკომპლექ-

1 გუნდი – აქ სამხედრო ტაქტიკური საჯარისო ერთეულის – ასეულის არქაული დასახელება.

ტების საქმეში, როგორც ოფიცრების, ასევე რიგითი შემადგენლობის თვალსაზრისით, თითქოს პრობლემები არ უნდა ყოფილიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით გენერალი ოდიშელიძე თავის ნაშრომში „როგორ დაიბადა ქართული არმია“, რომელიც პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე წარსადგენად იყო მომზადებული, აღნიშნავდა: „მსოფლიო ომში (აქ I მსოფლიო ომზეა საუბარი და მისი საინტერესო ფომულირებაა მოყვანილი – Всемирная война – ა. ჩ.) რუსეთის არმიის შემადგენლობაში იბრძოდა 180-200 ათასი კაცი საქართველოდან. ამ რიცხვში ჩათვლილია მოხალისეებიც, მაგრამ არა ქართველი ოფიცრები და გენერლები, რომლებიც რუსეთის არმიაში ძალიან ბევრი იყო. ეს რიცხვი საქართველოს მამრობითი მოსახლეობის 20%-ს შეადგენს, თუ ჩავთვლით მხოლოდ ქართველ ქრისტიანებს (საქართველოს მთლიანი მოსახლეობა 2 მილიონი), იმდენად რამდენადაც ქართველი მაჰმადიანები სამხედრო ვალდებულებას არ ექვემდებარებოდნენ (მეფის რუსეთში არა მარტო ქართველი მაჰმადიანები, არამედ საერთოდ მაჰმადიანები არ ექვემდებარებოდნენ სამხედრო გაწვევას და სამსახურს – ა. ჩ.). ამგვარად, მოკავშირეთა რიგებში საქართველოს მოსახლეობის გასაწვევი ასაკის მამრობითი მოსახლეობა სამი წლის განმავლობაში მთელი ღირსებითა და დიდებით ეწეოდა დიადი ომის მთელ სიმძიმეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოფიცერთა შემადგენლობის ღვაწლი, რასაც მუდმივად აღნიშნავდნენ რუსი მხედართმთავრები“ [3, 2]. როგორც ვხედავთ, საქართველოდან I მსოფლიო ომის მონაწილეთა რაოდენობა ძალიან დიდია, რუსეთის საიმპერატორო არმიის რიგებში მომსახურე ქართველი ეროვნების ოფიცერთა პროფესიონალიზმი კი – ძალიან მაღალი. გენერალი კვინიტაძე აღნიშნავდა, რომ I მსოფლიო ომში საქართველოდან 155 ათასი კაცი მონაწილეობდა [7, 49].

სომხური კორპუსის სტრუქტურა შედეგნაირად განისაზღვრა: ორი ქვეითი დივიზია, ერთი განსაკუთრებული დივიზია, ცხენოსანი ბრიგადა, საინჟინრო პოლკი და მორტირების დივიზიონი. გარდა ამისა – 5 ცალკეული პოლკი, შემდეგი დისლოკაციებით: შულავერი, შუშა, ვართაშენი, ახალქალაქი, ნახიჭევანი. კიდევ ერთი დამატებითი პოლკი რკინიგზის დასაცავად. ე. წ. „განსაკუთრებული დივიზია“ უნდა შემდგარიყო ოსმალეთის სომხებისაგან. მისი პოლკები კი, შესაბამისად უნდა განლაგებულიყვნენ არზრუმში, ყარაქილისაში, ხნისსა და ვანში. თვითოეული დივიზია ოთხპოლკიანი იყო თავისი საარტილერიო ბატარეებით, განსაკუთრებულ დივიზიაში კი, დამატებით განსაზღვრული იყო აგრეთვე საკავალერიო დივიზიონი და

სამთო არტილერიის ერთი ბრიგადა. სამთო არტილერიის ბრიგადაში განსაზღვრული იყო სამი დივიზიონი სამ-სამი ბატარეით. საკავალერიო დივიზიონში განსაზღვრული იყო დამატებით საარტილერიო ბატარეა. ცხენოსანი ბრიგადა შედგებოდა ორი ცხენოსანი პოლკისა და ორი საარტილერიო ბატარეისაგან. ამ ყველაფერთან ერთად თვითოეული დივიზიისათვის განსაზრღვრული იყო აგრეთვე თითო სათადარიგო მსროლელი პოლკის შექმნა. ასევე სათადარიგო საინჟინრო პოლკი, სათადარიგო ესკადრონი და ორი სასწავლო საარტილერიო ბატარეა [6, 41]. ამავე დროს სომხური სამხედრო საბჭო თავისი 1917 წლის 29 დეკემბრის №664 წერილით თხოვდა სომხური კორპუსის სარდალს, რომ თბილისში შექმნილიყო სომხური სათადარიგო ბატალიონი, ქალაქიდან მე-3 სომხური მსროლელი პოლკის წასვლის გამო „თბილისის გუბერნიაში დეზერტირობის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისა და საყარაულო სამსახურის საწარმოებლად“ [10,3].

მუსულმანური კორპუსის სტრუქტურა კი შემდეგი სახისა უნდა ყოფილიყო: ორი ქვეითი დივიზია, ერთი საკავალერიო ბრიგადა, მორტირების დივიზიონი და მესანგრეთა ბატალიონი. ქართული და სომხური ქვეითი დივიზიებისაგან განსხვავებით, აქ სისტემა ტრიანგულარული არ იყო. მუსულმანურ კორპუსში განსაზღვრული იყო არა სამი ქვეითი პოლკი, არამედ 4. ქვეით დივიზიებში არსებული საარტილერიო ბრიგადის სტრუქტურა კი იდენტური იყო. ანუ – სამ-სამ ბატარეიანი ორი საარტილერიო დივიზიონი და პარკი. განსაზღვრულ იყო აგრეთვე თითო-თითო სათადარიგო ნაწილის შექმნა – მსროლელი პოლკი, სასწავლო ბატარეა, მესანგრეთა ასეული და ცხენოსანი ესკადრონი [6, 43].

როგორც ვხედავთ, თავისი სტრუქტურითა და პირადი შემადგენლობის რიცხოვნობით სომხური კორპუსი აღემატეოდა ქართულ და მუსულმანურ კორპუსებს, მაგრამ ყველზე დიდი და მრავალფეროვანი „ამიერკავკსიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმიის“ შემადგენლობაში რუსული კორპუსი უნდა ყოფილიყო: ორი ქვეითი დივიზია, ერთი ცხენოსანი ბრიგადა, საარტილერიო ბრიგადა, მესანგრეთა ბატალიონი. გარდა ამისა, დამატებით – მეტყვიამფრქვევეთა ასეული, საავიაციო რაზმი, მოტოციკლისტთა რაზმი, რადიოსატელეფონო რაზმი, ჯავშანმანქანების რაზმი, საეტაპო ბრიგადა და საჭაპანე ბატალიონი. სხვა ეროვნული დივიზიებისაგან განსხვავებით რუსულ ქვეით დივიზიაში დამატებით განსაზღვრული იყო ერთი საკავალერიო ესკადრონი და მეტყვიამფრქვევეთა ასეული. სხვა კორპუსების საკავალერიო ბრიგადებისგან განსხვავებით აქ დამატებით

იყო კიდევ ერთი სათადარიგო ესკადრონი. სათადარიგო ნაწილებად კი მოიაზრებოდა ქვეით დივიზიებში შემავალი ორ-ორი ქვეითი პოლკი და ერთი სასწავლო ბატარეა.

ქართულ, რუსულ, სომხურ და მუსულმანურ კორპუსებთან ერთად „ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმიის“ შემადგენლობაში უნდა ჩართულიყო აგრეთვე ბერძნული დივიზია სამი ქვეითი პოლკის, საარტილერიო დივიზიონის, საინჟინრო ასეულის, ცხენოსანი დივიზიონისა და ერთი სათადარიგო მსროლელი პოლკის შემადგენლობით [6, 49]. 1918 წლის 7 იანვრის ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს სხდომაზე დაისვა საკითხი ებრაული ბატალიონის შექმნის შესახებ. პეზიდიუმმა ამ საკითხის განხილვა და გადაჭრა პლენარულ სხდომას მიანდო [5, 10]. განსაზღვრული იყო ასევე პოლონური და უკრაინული დივიზიების შექმნა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, „ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმიის“ სტრუქტურა სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:



მუსულმანური კორპუსის სარდლად გენერალ-ლეიტენანტი ალი-აღა შიხლინსკი დაინიშნა, სომხურის – გენერალ-მაიორი თომა ნაზარბეგოვი, ქართულისა – პოლკოვნიკი ალექსანდრე ახმეტელაშვილი, რუსული კორპუსის სარდლად – პოლკოვნიკი დრაცენკო, ბერძნული დივიზიის მეთაურად – პოლკოვნიკი ანანიო [2, 128].

მიუხედავად დიდი მოსამზადებელი სამუშაოებისა, 1918 წლის დასაწყისიდან პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე მიმდინარე მოვლენების, აგრეთვე ამიერკავკასიაში არსებული რევოლუციური ქაოსისა და ჯარისკაცთა მასების ბოლშევიზაციის გამო, დასმული ამოცანა ვერ შესრულდა [11, 88]. რეგიონში განვითარებული ცნობილი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების გამო, დაგეგმილი სამხედრო პროექტი არ შედგა – „ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმია“ ვერ ჩამოყალიბდა. 1918 წლის მაისის ბოლოსთვის ამიერკავკასიის ფედერაცია ცალკეულ რესპუბლიკებად დაიშალა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Stephen F. Jones, Georgian-Armenian Relations in 1918-20 and 1992-94: A Comparison, Ronald Suny (ed.) Transcaucasia, Nationalism and Social Change: Essays in the History of Armenia, Azerbaijan and Georgia, Ann Arbor: Rev. ed. Univ. of Michigan Press, 1996, pp. 441-460.
2. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 22.
3. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 8.
4. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 18.
5. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 1.
6. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 13.
7. გიორგი კვინიტაძე, მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921, ტომი I, „ლომისი“, თბილისი, 1999.
8. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 16.

9. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1868, ანაწერი 1, საქმე 29.
10. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1968, ანაწერი 1, საქმე 20.
11. А. Ю. Безугольный, Демократическая республика Грузия и ее вооруженные силы, 1918-1921 гг., Вопросы истории, №10, 2009.

Archil Chachkhiani

Doctor of History, Professor, David Agmashenebeli National Defense Academy of Georgia, Colonel

Failed Military Project – „Trans Caucasus Volunteers International Army“

Summary

The article discusses political, ideological and military-operational situation on the Caucasian front, from the end of 1917 till the beginning of 1918. It signs the fact that upon Russian February Revolution and October Bolshevik Coup d`état on the Caucasian front as well as other fronts of the I World War Russia, spread of Bolshevik ideology negatively influenced the troops` morale. Caucasian front began breaking down. The command of the front and representatives of other social-political organizations in Transcaucasia concluded that only motivated national formations could save the existing situation. It was decided to create „Trans Caucasus Volunteers International Army“ including Georgian, Armenian, Muslim and Russian corps, Greek, Polish and Ukrainian divisions, as well as German and Osetian regiments and other smaller national units. The topics discussed in the article are based on archival documents. In spite of the long preparatory works, planned military project of „Trans Caucasus Volunteers International Army“ failed due to the military-political events since the beginning of 1918 on the Caucasian front of WWI. By the end of May 1918, Transcaucasian Federation broke into separate republics…

არჩილ ჩაჩხიანი

ისტორიის დოქტორი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის თავდაცვის სტრატეგიებისა და რესურსების მართვის მიმართულების ხელმძღვანელი, თადარიგის პოლკოვნიკი, სრული პროფესორი

გენერალი მუსტაფა ქემალი (ათათურქი) და ანატოლიის „ნაციონალური ძალები“

XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს ოსმალთა იმპერიაში ქემალისტური მოძრაობის აგორება გენერალ მუსტაფა ქემალისა და ოფიცერთა ჯგუფის კონსტანტინოპოლიდან ანატოლიაში გადასვლას უკავშირდება. 1919 წლის 5 მაისს გენერალი მუსტაფა ქემალი მე-3 არმიის გენერალურ ინსპექტორად ინიშნება. ასევე დაინიშნენ სხვა სამხედრო ინსპექტორებიც – კონსტანტინოპოლში დისლოცირებული 1-ლი არმიის ინსპექტორის თანამდებობაზე გენერალი ფევზი ჩაქმაქი, ხოლო კონიის მე-2 არმიის ინსპექტორად გენერალი ჯემალ მერსინლი.

1919 წლის 15 მაისს გენერალი მუსტაფა ქემალი 20 კაციან ჯგუფთან ერთად, ძველი სატვირთო გემით „Bandirma“, კონსტანტინოპოლის პორტს ტოვებს და ახალი დანიშნულების შესაბამისად, ცენტრალურ ანატოლიაში მიემგზავრება მე-3 არმიის სამხედრო ინსპექტორის რანგში. მუსტაფა ქემალთან ერთად ანატოლიაში გაემგზავრნენ მე-3 საარმიო კორპუსის სარდლად დანიშნული ოფიცერი, პოლკოვნიკი რეფეტ ბელე, მუსტაფა ქემალის თანამებრძოლი დარდანელსა და სირიაში, პოლკოვნიკი ქიაზიმ ბეი დირიქი – მისი შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი იბრაჰიმ თალი – სამხედრო ექიმი, პოდპოლკოვნიკი არიფ ბეი, დაზვერვის მაიორი მუსტაფა ჰუსრევი, არტილერიის მაიორი ქემალ ბეი, კაპიტანი ისმალ ჰაკი ბეი და სხვა. სულ 20 ოფიცერი. წარმოიდგენდა კი იმ წუთებში მუსტაფა ქემალი, რომ კონსტანტინოპოლს იგი მთელი რვა წლის განმავლობაში, 1927 წლამდე ველარ იხილავდა? ბოლომდე ჰქონდა კი გააზრებული, რა ელოდა წინ და რა მძიმე ბრძოლების გადახდა მოუწევდა, რა ჩახლართულ პოლი-

ტიკურ ინტრიგებში გაეხვეოდა? როგორც ჩანს, არა! მაგრამ იდეის არსი ნათელი იყო. გენერალ მუსტაფა ქემალის ჩანაფიქრს ანატოლიაში დაფუძნება, მოსახლეობის ორგანიზება და ანტისაოკუპაციო და ანტისულთანური მოძრაობის აგორება წარმოადგენდა. იგი და მისი თანამოაზრეები მზად იყვნენ მიეღოთ ისტორიის მიერ მირთმეული მძიმე გამოწვევები და განსაცდელსაც მედგრად აღდგომოდნენ წინ. იმავე დღეს, 1919 წლის 15 მაისს, ბერძნებმა მცირე აზიაში გადმოსხეს დესანტი და მოახდინეს სმირნას (იზმირი), მოგვიანებით კი, ადრიანოპოლისისა და ბურსას ოკუპაცია [1].

19 მაისს მუსტაფა ქემალი თავის ჯგუფთან ერთად სამსუნში ჩადის. სწორედ ეს დღე, 1919 წლის 19 მაისი ითვლება თურქული წინააღმდეგობისა და ნაციონალური მოძრაობის დაწყების დღედ – დღე, როდესაც მუსტაფა ქემალი და მისი ჯგუფი ცენტრალურ ანატოლიაში, ქალაქ სამსუნში ჩავიდნენ. ერთი საინტერესო ფაქტი – შემდგომში, როცა მუსტაფა ქემალს ეკითხებოდნენ თუ რომელ დღეს დაიბადა (დღემდე არაა დადგენილი მისი დაბადების დღე), იგი ხუმრობით პასუხობდა – „19 მაისს“ [2, 150].

ანატოლიაში ბერძნული შენაერთების გადასხმის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მოკავშირეთა ლიდერების, დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის დევიდ ლოიდ ჯორჯის, აშშ-ის პრეზიდენტის ვუდრო ვილსონისა და საფრანგეთის პრემიერის, ჟორჟ კლემანსოს მიერ პარიზში 6 მაისს. მივიღეთ სურათი – მუდროსის ზავის პირობების შესაბამისად, მოკავშირეთა ჯარებმა ოსმალთა იმპერიის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია განახორციელეს. მოხდა მუდროსის ზავით გათვალისწინებული „de jure“ პირობების „de facto“-დ ქცევა და ოსმალთა იმპერიამ ნომინალურად არსებობა შეწყვიტა. სმირნას ბერძნულ ოკუპაციას თან სდევდა ჯარისკაცთა მიერ ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის დარბევები, მასობრივი დევნა და სისხლიანი ანგარიშსწორებები. იგივე სურათი შეიქმნა ქილიკიაშიც, სადაც სომხურმა ქვედანაყოფებმა მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ სისხლიანი ანგარიშსწორებები დაიწყეს.

სამსუნში ჩასვლისთანავე მუსტაფა ქემალმა და მისმა ჯგუფმა მეტად საინტერესო პოლიტიკური თამაშები წამოიწყეს, რომლის წარმოების საშუალებასაც მათ ოფიციალურად მინიჭებული სტატუსი აძლევდა. სამხედრო ინსპექტორის რანგში მუსტაფა ქემალი ძალიან ფართო უფლებამოსილებებით აღიჭურვა. მის მოვალეობაში შედიოდა რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა, არეულობის მი-

ზეზების გამოძიება, იარაღისა და საბრძოლო მასალების შეგროვება, თავმოყრა და დასაწყობება, ანატოლიაში მოთარეშე ბანდების განიარაღება და შემდგომში ყოველგვარი სამხედრო დაჯგუფების შექმნისა და შეიარაღების პრევენცია. მისი უფლებამოსილებები ანატოლიის 5 ვილაიეთზე ვრცელდებოდა და რწმუნების აღსასრულებლად 2 საარმიო კორპუსი გადაეცა. ნაწილობრივ მის კონტროლქვეშ იმყოფებოდა ანატოლიის დანარჩენი 5 ვილაიეთიც, რომელთაც კიდევ 2 დაემატა. გარდა რეგულარული ჯარის ნაწილებისა ანატოლიაში მოქმედებდნენ ე. წ. „ნაციონალური ძალები“, რომელთა ზეგავლენა რეგიონის მოსახლეობაზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

საინტერესოა თუ რას წარმოადგენდნენ ეს ე. წ. „ნაციონალური ძალები“, ასევე აქ დისლოცირებული თურქული საჯარისო შენაერთები და ნაწილები. როგორი იყო მათი დისლოკაციები, შეიარაღება და პირადი შემადგენლობის რაოდენობა, მათი საბრძოლო სულისკვეთება.

1919 წლისათვის თურქეთის არმიის აღმოსავლეთის ფრონტის შენაერთებისა და სამხედრო ნაწილების დისლოკაციაზე ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის თვით მუსტაფა ქემალი: „1918 წლის ბოლოდან მე-3 არმიის მთავარ ინსპექტორად დავინიშნე და უშუალოდ მევალებოდა ორი საარმიო კორპუსის ინსპექტირება. ერთ-ერთი მათგანი იყო მე-3 საარმიო კორპუსი, დისლოკაციით სივასში... ამ კორპუსის მე-3 (კავკასიის) დივიზია ამასიაში იყო განლაგებული, ხოლო მე-5 დივიზია – სამსუნში. მეორე საარმიო კორპუსი – დისლოკაციით არზრუმში, მე-15 კორპუსი იყო... მისი მე-19 დივიზია აქვე იყო დისლოცირებული, ხოლო მე-3 დივიზია – ტრაპიზონში. კორპუსის მე-12 დივიზია ჰასანყალაში იდგა, ხოლო მე-13 – ბაიაზეთში. მე-15 საარმიო კორპუსს ქიაზიმ ყარაბექირ ფაშა სარდლობდა და კორპუსის პირადი შემადგენლობა 17860 კაცს შეადგენდა“ [1, 32]. მე-15 კორპუსის შესახებ განსხვავებულ ციფრებს გვაძლევს სხვა წყარო, ბრიტანელი მკვლევარი ენდრიუ მანგო (Andrew Mango), რომელიც თავის მხრივ თურქი ავტორის, ჯელალ ერიკანის (Celal Erikan) მონაცემებს ეყრდნობა. კერძოდ – „ყარაბექირ ფაშას სარდლობის ქვეშ მყოფი მე-15 კორპუსის პირადი შემადგენლობა 12000 კაცს და 40 ქვემეხს შეადგენდა“ [3, 288].

იმჟამად არსებული ჯარების საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურით თურქული საარმიო კორპუსის შემადგენლობაში სამი ქვეითი დივიზია იყო გათვალისწინებული. გამონაკლისს მხოლოდ ყა-

რაბექირ ფაშას მე-15 საარმიო კორპუსი შეადგენდა ოთხი დივიზიის შემადგენლობით. ეს ფაქტი კარგად მიგვითითებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კავკასიის სტრატეგიულ მიმართულებას. ეს მიმართულება კიდევ ერთი, მე-3 საარმიო კორპუსის მე-5 დივიზიით იყო გამაგრებული. საერთო ჯამში, კავკასიის მიმართულებაზე სულ ხუთი, მე-15 კორპუსის ოთხი, და მე-3 კორპუსის ერთი დივიზია იყო დისლოცირებული. 1919 წლისათვის კი მთლიანად თურქეთის შეიარაღებული ძალების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის „New-York Times"-ის 19 ივლისის ნომერი: „ქემალ ფაშამ, რომლის დაქვემდებარებაშიცაა 40000 ჯარისკაცი, 47 მძიმე საარტილერიო დანადგარი და მრავალი ტყვიამფრქვევი, უარი განაცხადა დამორჩილებოდა კონსტანტინოპოლის ოფიციალურ მთავრობას" [4]. მაგრამ ყველა ეს მონაცემი ქაღალდზე იყო – ოფიციალურ ანგარიშებსა და საშტაბო დოკუმენტებში არსებულ ჩანაწერებში. რეალური სურათი კი თურქთათვის მძიმე იყო, გაცილებით მძიმე. უკვე შემდეგ, 1922 წელს, საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან ელჩთან, სემიონ არალოვთან საუბარში მუსტაფა ქემალი მის დაქვემდებარებაში არსებული ჯარების პირადი შემადგენლობის რაოდენობის შესახებ გულწრფელად ამბობდა: „თქვენ კარგად იცით, თუ რა რაოდენობის ჯარი მყავდა თავდაპირველად – 5 ათასი..."[5, 54]

რაც შეეხება პირადი შემადგენლობის პროფესიონალიზმსა და მათი კომპეტენციის საკითხს, თურქ ნაციონალისტთა არმია ოფიცერთა მაღალპროფესიონალური კადრებით იყო დაკომპლექტებული. ყველა მათგანი შესაბამის ნაწილებსა თუ შენაერთებს ხელმძღვანელობდა I მსოფლიო ომის დროს და საკმაო წარმატებითაც. სუსტი წერტილი, რაც არმიას გააჩნდა, პირველ რიგში იარაღისა და საბრძოლო მასალების სიმცირე იყო. ეს განსაკუთრებით ავტომატურ იარაღსა და საბრძოლო ვაზნებს შეეხებოდა, აგრეთვე არტილერიასა და საარტილერიო ჭურვებს. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ რეგულარული ჯარის პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი დემორალიზებული და ბრძოლისუუნარო, ხოლო მათი საბრძოლო სულისკვეთების დონე დაბალი იყო. მნიშვნელოვანი იყო დეზერტირობის მაჩვენებელიც.

საერთო ჯამში, 1919 წლისათვის ოსმალთა შეიარაღებული ძალები თითქმის არც ერთი პარამეტრით არ წარმოადგენდა ანგარიშგასაწევ ძალას და მას სიმბოლური დატვირთვა უფრო ჰქონდა, ვიდრე რეალური საბრძოლო პოტენციალი. მით უმეტეს, მძიმე მდგო-

მარეობა იყო ცენტრალურ და დასავლეთ ანატოლიაში. საერთო სიტუაციას და აქ მიმდინარე პროცესებს სულ სხვა ძალები და სულ სხვა პერსონები აკონტროლებდნენ. საუბარი ე. წ. „ნაციონალურ ძალებს“ და „პარტიზანულ რაზმებს“, რეალობაში კი, შეიარაღებულ ბანდებსა და მათ მოქმედებებს ეხება. ფაქტია, რომ რეგიონში არსებული სოციალური და კრიმინოგენული მდგომარეობა უმძიმესი იყო – ცენტრალური ანატოლია სხვადასხვა ბანდებისა და კრიმინალური დაჯგუფებების სათარეშო ადგილად იყო ქცეული.

რას წარმოადგენდა ეს ე. წ. „ნაციონალური ძალები“ თუ „პარტიზანული რაზმები“? როგორი იყო მათი საბრძოლო აქტივობა და რა მიზნებს ისახავდნენ ისინი? აქ მოქმედი ბანდებიდან ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და დაუნდობელი თოფალ ოსმანის – „კოჭლი“ ოსმანის ბანდა იყო, რომლის სახელიც ადგილობრივ მოსახლეობაში „ულმობელთან“ ასოცირდებოდა. წარსულში იგი პროფესიონალი სამხედრო იყო, მოხალისეთა ე. წ. „ჩეთეს“ ესკადრონს მეთაურობდა. იგი ბალკანურ ომებსა და I მსოფლიო ომში იბრძოდა, სადაც ვიცე-პოლკოვნიკის ჩინსაც მიაღწია. ამჯამად კი მისი რაზმი დემობილიზებული და დეზერტირი ჯარისკაცების, სხვადასხვა ჯურის ბანდიტებისა და კრიმინალებისაგან შედგებოდა. მისი რაზმი ყველას ატერორებდა – პირველ რიგში კი, ბერძნებსა და სომხებს, აგრეთვე იმ თურქებსაც, ვინც მის წინააღმდეგ წავიდოდა. თავად ოსმანი კი, თავის თავს და საკუთარ ბანდას „ნაციონალურ ძალებად“ მოიხსენიებდა [6]. ზოგიერთი წყაროს მონაცემებით თოფალ ოსმანი ლაზი იყო. სემიონ არალოვი: „სამსუნის, სინოპის და ამასიის სანჯაყებში მრავალი ბანდა დათარეშობდა. თავისი მხეცობებით განსაკუთრებით გაითქვა სახელი ლაზების თავკაცმა ოსმან-აღამ. მან ცეცხლითა და მახვილით გაიარა მთელი ეს რაიონი. ადგილობრივი თურქები ძრწოლით ლაპარაკობდნენ მისი დაუნდობლობის შესახებ“ [5, 54].

თოფალ ოსმანის ბანდის გარდა არსებობდნენ სხვებიც – თითქოს უფრო ძლიერნიც, უფრო დაუნდობელნიც და უფრო მოტივირებულნიც, რომლებიც ძირითადში ოკუპირებული მიწებიდან გამოქცეული ადგილობრივი გლეხებისაგან შედგებოდნენ. ამ რაზმების შევსების ძირითად წყაროსაც დემობილიზებული თუ გადეზერტირებული ჯარისკაცები შეადგენდნენ, რომელთა რიცხვიც ძალიან დიდი იყო. ზოგადად, ოსმალეთის არმიაში არსებული დეზერტირობის მაღალ მაჩვენებელს გერმანელი გენერალი ოტო ლიმან ფონ სანდერსიც აღნიშნავდა 1918 წლის შემოდგომის მდგომარეობით: „თურქები დაი-

ღალნენ ომისაგან და აღარ სურთ მისი გაგრძელება. ეს ფაქტი თურქი ჯარისკაცების მასიური დეზერტირობიდანაც ჩანს. დეზერტირებს თან მიაქვთ არა მარტო შაშხანები და ყუმბარები... არამედ ტყვიამფრქვევებიც“ [7, 41]. გლეხები შეიარაღებულ ბანდებს სხვადასხვა მიზნებისთვის ქმნიდნენ: ბერძნების მიმართ ზიზღი, სომხებისაგან მომავალი საფრთხეების აღკვეთა, სულთნისა და ხალიფას დაცვა, იმ „ქონების“ უსაფრთხოება, რომელიც მათ ომის დროს ჰქონდათ „მოპოვებული“, აგრეთვე მიწათმფლობელებზე ზეწოლის განხორციელება, ძარცვა-გლეჯვა, მოროდიორობა და ა. შ. ასეთი ბანდების საველე მეთაურები იყვნენ, მაგალითად, სრულიად ახალგაზრდა ალი იორუქი, აგრეთვე მამაცი და დაუნდობელი მეჰმედ-მჭედელი – ისიც ყოფილი დეზერტირი. მაგრამ ამ ბანდებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი, ეროვნებით ჩერქეზი, დიფშოუთა მოდგმის შაფსუღის, ეთჰემის ბანდა იყო, რომელიც შიშის ზარს სცემდა ყველას. თავად ეთჰემ ჩერქეზიც დიდი საბრძოლო გამოცდილების მქონე ყოფილი ოფიცერი იყო, მაგრამ ახლა, დემობილიზაციით ანატოლიაში დაბრუნებული, აღარავის აღარ ემორჩილებოდა, ხოლო მისი ე. წ. „მფრინავი საკავალერიო რაზმი“ უამრავ პრობლემას უქმნიდა გარემოს. ეს ძალები უაღრესად არადისციპლინირებულნი და არაპროგნოზირებადები იყვნენ, არ სცნობდნენ კანონს, არ აღიარებდნენ სუბორდინაციის ნორმებს და თავი ქვეყნის ბატონ-პატრონებად მიაჩნდათ. მათ შეეძლოთ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაეპატიმრებინათ და დაეხვრიტათ მაგალითად უბრალო სამოქალაქო პირი ან ჩინოვნიკი, რომელიც მათ არ დაემორჩილებოდა. სწორედ ეს ყაჩაღური ბანდები შეადგენდნენ რეალურად დასავლეთ და ცენტრალურ ანატოლიაში მოქმედ ე. წ. „ნაციონალურ ძალებს“, ვისზე გათვლითაც აპირებდა მუსტაფა ქემალი თავისი ბრძოლის ორგანიზებას. ამისათვის კი, საჭირო იყო ამ ე. წ. „ნაციონალური ძალებისა“ და მუსტაფა ქემალის ერთგული მცირერიცხოვანი საარმიო კორპუსების პირადი შემადგენლობის საერთო ძალისხმევა, მათი საბრძოლო საშუალებებისა და პოტენციალის კონსოლიდაცია. გასაგებია, თუ რამდენად რთული ამოცანის გადაჭრაზე მოუწევდა მას მუშაობა.

დაახლოებით იგივე პრობლემებს აწყდებოდა მუსტაფა ქემალი აღმოსავლეთშიც, მაგრამ აქ ქემალის ერთგული რეგულარული ჯარის ნაწილები იყვნენ დისლოცირებულნი. საუბარი პირველ რიგში მე-15 საარმიო კორპუსსა და მის სარდალს, გენერალ ქიაზიმ ყარაბექირ ფაშას შეეხებათ. აქაური ბანდების მოქმედებები გარკვეულ

კონტროლს ექვემდებარებოდა, დასავლეთში კი, არავითარი საერთო ხელმძღვანელობა, არავითარი კოორდინაცია არ არსებობდა. ეთჰემ ჩარქეზის „მფრინავი საკავალერიო რაზმი“ თითქმის მთლიანად ჩერქეზებისაგან შედგებოდა და იგი არა მხოლოდ ბერძნული ოკუპაციის, არამედ სხვა ბანდების წინააღმდეგაც გამოდიოდა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეთჰემ ჩერქეზი და არა მუსტაფა ქემალი იყო ის პიროვნება, რომელმაც პირველად ასწია ანატოლიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა, მაგრამ მის ბრძოლას ორგანიზებულობა და დისციპლინა აკლდა. როგორც ბრიტანელი მკვლევარი ჰაროლდ არმსტრონგი (H. C. Armstrong) აღნიშნავს: „მაშინ როცა მუსტაფა ქემალი სულთნისა და ხალიფას წინააღმდეგ შეთქმულებებს ხლართავდა, რომ ერთპიროვნული მმართველი გამხდარიყო და დაეკმაყოფილებინა თავისი დიქტატორული მისწრაფებები, მეორე ადამიანი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ თურქეთი გადაერჩინა... ეს ადამიანი ეთჰემ ჩერქეზი იყო“ [8, 223].

დაწყებული 1919 წლის 15 მაისიდან, მას შემდეგ რაც ბერძნები გადმოსხდნენ სმირნაში, დასავლეთ ანატოლიის რეგიონი საომარ მოქმედებათა ზონად იქცა. ბერძნული კონტინგენტი კი, თანდათან იზრდებოდა და მისმა რაოდენობამ ივლისის დასაწყისისათვის 35 ათასს მიაღწია, ხოლო ზაფხულის ბოლოს – უკვე 75 ათასს, რაც ერთნახევარჯერ მეტი იყო, ვიდრე მთლიანად ოსმალთა რეგულარული ჯარი და აქ მოქმედი ყველა ბანდა ერთად აღებული. პატრიოტულად განწყობილი თურქები ცდილობდნენ მტრის შეჩერებას, მაგრამ მათი სუსტი და დაქსაქსული ძალები არ იყვნენ ისე ორგანიზებულები, როგორც ეს აღმოსავლეთ ანატოლიაში იყო. დასავლეთში დისლოცირებული რეგულარული არმიის პირადი შემადგენლობა კი სულ 3 ათას კაცს ითვლიდა, რომელიც სმირნას ყოფილ კორპუსში იყო განაწილებული. თავისთავად ცხადია, ისინი ბერძნების წინსვლას წინ ვერ აღუდგებოდნენ. რეგიონში მოქმედი ყველაზე ანგარიშგასაწევი ძალა, ეთჰემ ჩერქეზი, რომელმაც საკუთარ რაზმს „განთავისუფლების არმია“ უწოდა, დამოუკიდებლად მოქმედებდა. „განთავისუფლების არმია“ ცალკეული ჩერქეზული რაზმების, რამდენიმე რეგულარული ქვედანაყოფისა და სხვადასხვა მუსლიმ ფანატიკოსთა ჯგუფისაგან შედგებოდა, რომელთაც არც რეგულარული ბრძოლების გამოცდილება გააჩნდათ და არც შესაბამისი შეიარაღება. მათ მიერ ჩატარებული საბრძოლო მოქმედებების ძირითად ფორმას სწრაფი და მოულოდნელი რეიდები წარმოადგენდა და ბრძოლებსაც პარტიზანული

ტაქტიკის შესაბამისად ატარებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი მოქმედებები ხშირად საკმაოდ წარმატებული იყო, ისინი გადამწყვეტი გამარჯვების მიღწევას მაინც ვერ ახერხებდნენ. აქ ახალი არაფერია – საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ მოკლე დროში მხოლოდ დაქსაქსული პარტიზანული რაზმების მოქმედებებით რიცხობრივად აღმატებულ რეგულარულ ჯართან გამარჯვების მიღწევა შეუძლებელია. ეს მდგომარეობა კარგად ესმოდა მუსტაფა ქემალსაც, რომელსაც ანატოლიური წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერობაზე ჰქონდა გაცხადებული ხმამაღალი პრეტენზიები. როგორც ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე და თურქოლოგი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, მუსტაფა ქემალის ბიოგრაფი, ალექსანდრ ჟევახოვი (ჯავახიშვილი) აღნიშნავს – ქემალი აღარ იყო ის ახალგაზრდა კაცი, რომელიც აფრიკის უდაბნოებში იბრძოდა და მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნოდა. მან დიდი ხანია უკვე დატოვა პიროვნული ავანტიურების სამყარო. მას მყარად სჯეროდა: შეუძლებელია სამშობლოს გათავისუფლება და სახელმწიფოს შექმნა მხოლოდ პარტიზანული რაზმების მეშვეობით [9].

ეთჰემ ჩერქეზს ორი ძმა ჰყავდა – რაშიდი და ტევფიკი. სამივე ძმა იტიჰადისტთა „სპეციალური სადაზვერვო ორგანიზაცია“ Teşkilât-ı Mahsusa-ს წევრები იყვნენ. ტევფიკი ამავე დროს პარლამენტის დეპუტატიც იყო, ასე რომ, ეთჰემ ჩერქეზის ეს დაჯგუფება საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენდა. თავისუფლებისმოყვარე, ამაყ და მამაც ჩერქეზ ძმებს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე საკუთარი, მაგრამ ძალზე ბუნდოვანი შეხედულებები ჰქონდათ ჩამოყალიბებული. შესაბამისად, ბრძოლის წარმოების თავისი გზები და საშუალებებიც ჰქონდათ არჩეული. ამ გზაზე ისინი შეურიგებელნი იყვნენ და არ აპირებდნენ ვინმესთვის დაეთმოთ რამე. ფაქტი ისაა, რომ ანატოლიაში მოქმედი ე. წ. „ნაციონალური ძალები“ უმართავ ბანდებს წარმოადგენდნენ და მუსტაფა ქემალსა და მის თანამოაზრეებს დიდი მუშაობის გაწევა მოუხდებოდათ მათი ნეიტრალიზებისათვის, რაც საბოლოოდ მოხერხდა კიდეც დიდი ძალისხმევისა და მსხვერპლის გაღების ფასად.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Kamuran Gurun, The War of Independence, Ankara, 1982.
2. მიხეილ სვანიძე, ოსმალეთის ისტორია (1600-1923), ნაწილი II, თბილისი, 2002.

3. Andrew Mango, Atatürk, London, 2004.
4. May break from Turkey, The New York Times, July 19, 1919.
5. С. И. Аралов, Воспоминания советского дипломата 1922-1923, Москва, 1960.
6. Topal Osman olarak da bilinen ve Rumlara yapılan zulümlerin (özellikle de Karadeniz'i terk ederken) çoğundan sorumlu tutulan Osman Ağa üzerine Yunanca'da geniş bir yazın vardır, Onur Yıldırım, Diplomasi ve Göç, İstanbul Bilgi Üniversitesi Yayınları, 2006.
7. Е. Саркисян, Из истории турецкой интервенции в Закавказье в 1918 г., Общественные науки №7, 1958. Liman von Sanders, Fűnf Jahre in Tűrkei, Berlin, 1919.
8. H. C. Armstrong, The Grey Wolf, Capricorn Books, New York, 1961.
9. Александр Жевахов, Кемаль Ататюрк, Перевод осуществлен по изданию: Alexander Jevakhoff, Kemal Atatürk, Paris, 1999. http://www.ereading.bz/chapter.php/ 1013613/ 63/Zhevahov _ -_ Kemal_Atatyurk.html.

Archil Chachkhiani

Doctor of History, Professor, David Agmashenebeli National Defense Academy of Georgia, Colonel

General Mustafa Kemal (Ataturk) and „National Forces" of Anatolia

Summary

The article is about the leaders of opposition movement begun in Anatolia in Spring of 1919. It generally discusses the Army troops dislocated in the region and the issues of combat readiness. In sum, by the end of 1919, Turkish armed forces did not represent significant power and they had more symbolic meaning than real combat potential.

We also discuss social and criminal picture in the region, acting bands and their genesis. Those bands represented „National Forces" of Anatolia. Their consolidation and interference in the structures of regular army became one of the main challenges for the Kemalist movement.

ავთანდილ სონღულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე

ახდენილი წინასწარმეტყველება
(ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში)

ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების დიდი ნაწილი კვლავ ამოუცნობია. არის ფაქტები, რომელთა შესახებ მეცნიერებას პასუხი არ გააჩნია. ამოუწურავია ბუნების ფანტაზია, მაგალითად, ცნობილია პეპელა – ს ფ ი ნ ქ ს ი „მკვდარი თავი“, რომელსაც ზურგზე აქვს გამოხატული ადამიანის თავის ქალა გადაჯვარედინებული ძვლებით (დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში). ობობა ც ი კ ლ ო ს მ ი ა ს (ფლორიდა) ზურგზე აქვს გამოხატული მკაცრი გამომეტყველების ადამიანის სახე ფარით (ზოგს იგი ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ბელადის მუმიფიცირებულ სახედ მიაჩნია.)

იაპონური ცხრაფეხა კიბორჩხალა დ ო რ ი ა ე ს ჯავშანზე აღბეჭდილია სამურაების პორტრეტი, ხოლო იაპონური თევზის – ს ა ლ ა ნ ტ ი ს თავზე კი ტოკუგავას კლანის გერბია გამოსახული.

თევზის – ა რ ი უ ს პ რ ი უ ს ი ს ფორმა და პოზა მთლიანად იმეორებს ჯვარცმულ ქრისტეს. „გამომგონებლობის“ ყველა რეკორდი მოხსნა ქაცვთავა თევზმა ჰ ო ლ ო ვ ა ნ ტ უ ს მ ა, რომლის კუდზე ძველ არაბულ ენაზე ასეთი დაფიცება იკითხება: „ლა, ილლა ილ ალლაჰ“ (არ არსებობს ღმერთი ალაჰის გარდა) და „შანი ალლაჰ“ (გეშინოდეს ალაჰის) [1, 63].

ახლა, რაც შეეხება საზოგადოებას, სახელმწიფოებს, ადამიანებს: თუ რელიგიას, ოკულტიზმს, ისე ვირწმუნებთ, რომ ადამიანს შეუძლია ურთიერთობა დაამყაროს საიქიოსთან, ზებუნებრივ ძალებთან, მაშინ ვიფიქრებთ რომ ყველაფერი განსაზღვრულია უფლის მიერ. არიან პიროვნებები, რომელთაც შემოქმედმა მიანიჭა ძალა, რომლის მეშვეობით იწინასწარმეტყველეს გამორჩეული პერსონების და სახელმწიფოების მომავალი. ნოსტრადამუსზე და ვანგაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სხვებიც იყვნენ ცნობილი ნათელმხილველები. მაგალითად შეიძლება ავიღოთ 1941 წლის 21 ივნისს თემურ-ლენგის

საძვალის გახსნა, რათა აკადემიკოს გერასიმოვს აღედგინა შუა აზიელი დამპყრობლის გარეგნობა. შესვენებაზე კინოოპერატორი მალიქ კაიუმოვი ჩაის დასალევად შევიდა ახლო მდებარე „ჩაიხანაში“. კაიუმოვი იგონებს, რომ „იქვე ახლოს სამი მოხუცი იჯდა მაგიდასთან, რომლებიც ერთმანეთს ღვიძლი ძმებივით გავდნენ. ერთი მათგანი მეუბნება: „შვილო, შენ ერთ-ერთი მათგანი ხარ ვინც ტამერლანის საფლავის გახსნა მოიფიქრა?“ მივდივარ ახლოს. ვხედავ მის ხელში „ძველ“ წიგნს – არაბული ანბანით. მოხუცი თითით მაჩვენებს სტრიქონებს: „აი, შეხედე შვილო რა წერია ამ წიგნში: ვინც გახსნის ტამერლანის საფლავს – თავისუფლებას აძლევს ომის სულს. და იქნება ისეთი სისხლიანი და საშინელი ბრძოლა, რომელიც არ უნახავს სამყაროს საუკუნეების მანძილზე...“

მავზოლეუმში დაბრუნებულმა კაიუმოვმა მომხდარის შესახებ უამბო ექსპედიციის წევრებს, რომლებმაც ბევრი იცინეს. თუმცა ერთ-ერთი მათგანი შევიდა „ჩაიხანაში“, რათა გაეგო ადგილობრივი ლეგენდების შესახებ. შეხვედრა არ შედგა. უხუცესებმა არ ისურვეს საუბარი და დატოვეს საჩაიე. კაიუმოვი შეეცადა დაწეოდა მათ, მაგრამ ვერსად მიაგნო მიუხედავად იმისა, რომ ყველა მახლობელი ქუჩა მოირბინა. გერასიმოვმა იმავე დღეს შეძლო თემურ-ლენგის თავის ქალის რეკონსტრუქცია და დამპყრობლის ჩონჩხი მოამზადეს მოსკოვში გასამგზავრებლად.

მეორე დღეს, დილით რადიომ აუწყა ქვეყანას გერმანიის თავდასხმის შესახებ საბჭოთა კავშირზე. ახდა მოხუცების წინასწარმეტყველება. 1942 წელს კაიუმოვმა მომხდარის შესახებ უამბო გიორგი ჟუკოვს, რომელმაც თავის მხრივ სტალინს მოახსენა. მთავარსარდალი ნაამბობს სერიოზულად მოეკიდა. 1942 წლის 20 დეკემბერს თემურის ძვლები მავზოლეუმში დააბრუნეს. ფაქტია, რომ ერთი თვის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა – 1943 წლის იანვარში სტალინგრადთან მოხდა დიდი გარდატეხა, რაც საბოლოოდ გერმანიის დამარცხებით დასრულდა [2, 5].

საინტერესოა, რომ თავისი ცხოვრების 30 წლის განმვალობაში ადოლფ ჰიტლერი არაფერს წარმოადგენდა, მხოლოდ დანარჩენი 26 წლის მანძილზე მან შეძლო ისტორიაში ღრმა კვალი დაეტოვებინა [3, 6]. ევროპულ პოლიტიკაში ახალი ღრუბლები ქუჩდებოდა. 1930 წლის ოქტომბერში გერმანიაში ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტებმა რაიხსტაგში ასზე მეტი ხმა მიიღეს არჩევნებში და მათმა პარტიამ მეორე ადგილი დაისაკუთრა. მიუხედავად ამისა ადამიანები ადრინ-

დელივით კითხულობდნენ: „ეს ჰიტლერი ვინღაა?“ [4, 319].

ბუნებრივი გადარჩევის ჰიპოთეზის მეშვეობით, ჰიტლერი ამართლებდა გერმანელთა ბრძოლას ჰაბსბურგების იმპერიაში მცხოვრები მრავალი ხალხის მიერ თანაბარი უფლებების მოთხოვნის წინააღმდეგ. ჰიტლერის სასტიკმა და ხისტმა გონებამ იოლად აითვისა საერთაშორისო რეალიზმის ბიოლოგიური თეორია, რომლის კლასიკური გამოხატულება მისი „Mein Kampf“-ია (რადგანაც უხეში თეორიის კლასიკური გამოხატულება სწორედ მისი ყველაზე უხეში ვარიანტია) [5, 42].

ჰიტლერმა მიიყვანა გერმანია, ევროპა და თითქმის მთელი მსოფლიო უპრეცენდენტო დამანგრეველ ომამდე; ოთხი წელი ეკავა ხელისუფლება კონტინენტის დიდ ნაწილზე, მან მოაწყო ყველაზე საშინელი გენოციდი, რაც კი ცნობილი იყო კაცობრიობის ისტორიაში. თავისი ქვეყანა მიიყვანა მთლიან სამხედრო განადგურებასა და ოკუპაციამდე.

როგორ მოხდა, რომ მსგავსმა ფიგურამ თითქმის რამდენიმე წელიწადში შეძლო მსოფლიოში ერთ-ერთი შედარებით სამრეწველო და კულტურული თვალსაზრისით განვითარებული ერის სათავეში მოსვლა? როგორ შეეძლო ჰიტლერს თუნდაც მოკლე ხნით გამხდარიყო ყოვლისშემძლე ადამიანი ევროპაში? მისი სოციალური წარმოშობა, განათლება, „წარსული“ – მხოლოდ საწინააღმდეგოს ლაპარაკობს. ის გერმანიის მოქალაქეც კი არ ყოფილა (მხოლოდ 1932 წელს ებოძა მოქალაქეობა). ადოლფი არ იყო წარმოშობით ისეთი ოჯახიდან, საიდანაც ჩვეულებრივ გერმანიის ლიდერები იყვნენ. ასევე არ წარმოადგენდა ძალოვან ელიტას. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო უცხო [3, 9].

მომავალი ფიურერი ამ ქვეყანას 1889 წელს მოევლინა. მამამისი ალოიზი საბაჟოს ჩინოვნიკი იყო. იგი ქორწინების გარეშე შობილი გახლდათ, ამიტომ ერთხანს დედის გვარს – შიკლგრიუბერს ატარებდა. დედა მეორედ გათხოვდა და ვინმე ჰიტლერის ცოლი გახდა. მალე ალოიზიც მამობილის გვარზე დაეწერა და ჰიტლერად იქცა.

„გავრცელებული მოსაზრება, თითქოს ადოლფ ჰიტლერის თავდაპირველი გვარი შიკლგრიუბერი იყო, არ არის სწორი. ჰიტლერი იმთავითვე ჰიტლერი იყო“ – წერს გერმანელი ისტორიკოსი და მწერალი იოახიმ ფესტი.

ალოიზ ჰიტლერი კლარა ჰიტლერზე დაქორწინდა, რომელიც მას ბიძაშვილად ერგებოდა. ალოიზის შვილებს ფსიქიკური გადახრე-

ბი აღენიშნებოდათ. ადოლფი გამონაკლისი არ იყო. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სიჯიუტით, ფეთქებადი ბუნებით, აკვიატებული აზროვნებისადმი მიდრეკილებით. მამა მას გამორჩეულად მკაცრად ეპყრობოდა. ბავშვიც თავის თავში ჩაიკეტა, გახდა გულჩათხრობილი, გაბოროტდა [6, 8-9].

ფიურერის პირადი მდივანი კ რ ი ს ტ ა შ რ ი ო დ ე რ ი ჰიტლერს არაერთგვაროვნად ახასიათებდა: შეცდომა იქნება იმაზე ფიქრი, რომ მე ჰიტლერის ჭეშმარიტი სახის წარმოჩენას შევძლებ. ეს მართლაც შეუძლებელია, რადგან ჰიტლერს რამდენიმე სახე ჰქონდა... ის სიცრუისა და სიმართლის, ძალადობისა და სისუსტის, სისადავისა და ავხორცობის, სიკეთისა და სისასტიკის, მისტიკისა და რეალობის, ხელოვანისა და ბარბაროსის განსახიერება იყო“ [7, 17].

სწავლების უკვე პირველ წელს ის იმდენად ცუდად სწავლობდა, რომ მომდევნო კლასში არ გადაიყვანეს... მეხუთე კლასში სწავლის უკანასკნელი წლის მიწურულს ერთ მოვლენას, შესაძლოა, რაღაც სიმბოლური აზრი ჰქონდა. ატესტატის მიღების შემდეგ, ის თავის ამხანაგებთან ერთად ტავერნაში წავიდა ღვინის დასალევად. სახლში აღმოაჩინა, რომ ატესტატი დაკარგა. სანამ ფიქრობდა თუ როგორ აეხსნა ეს, უცებ სასწავლებლის დირექტორთან გამოიძახეს. ტუალეტის ქაღალდად გამოყენებული ატესტატი ქუჩაში იპოვეს. როგორი მთვრალიც უნდა ყოფილიყო ამ საქციელში სიმბოლურად გამოიხატება სკოლისადმი მისი სიძულვილი და აბუჩად აგდება [8, 25].

ბერლინში ნაპოვნია დოკუმენტი, რომლის შესახებაც მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს ჰიტლერის მიერ სატანასთან დადებული ხელშეკრულებაა და ის ორივე მხარის ხელმოწერით დასტურდება. ხელშეკრულებაში წერია, რომ სატანა მას ყველანაირ ძალაუფლებას მისცემს, ოღონდ ბოროტი საქმეებისთვის, ხოლო ჰიტლერს თავის მხრივ, სანაცვლოდ საკუთარი სული უნდა დაეთმო ზუსტად 13 წლის შემდეგ.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ამ დოკუმენტზე არსებული ხელმოწერა ემთხვევა ჰიტლერის ხელმოწერას 30-40-იანი წლების დოკუმენტებზე, ხოლო სატანის ხელმოწერა შეესაბამება სხვა მსგავსი დოკუმენტების ხელმოწერებს, ასეთი დოკუმენტაცია ისტორიას არცთუ ისე ცოტა მოეძებნება.

მეცნიერებს სჯერათ ამ დოკუმენტის. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჰიტლერი თავისი ცხოვრების პირველ ეტაპზე საკმაოდ წარუმატებელი პიროვნება იყო – გამოაგდეს უმაღლესი სას-

წავლებლიდან, ორჯერ ჩაიჭრა გამოცდაზე ხელოვნების აკადემიაში, ციხეშიც იჯდა. საკითხავია, ასეთმა წარუმატებელმა პიროვნებამ როგორ შეძლო ამხელა ძალაუფლების მოპოვება? ის ხომ სრულაიდ ხელმოცარული იყო. მაგრამ 1933 წლიდან ვითარება რადიკალურად შეიცვალა და იგი გერმანიის მმართველადაც კი მოგვევლინა. ასევე გავიხსენოთ, რომ მან, კაცობრიობისგან სრულიად მოძულებულმა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. სწორედ ეს ფაქტები გაიხსენა დოქტორმა ლ ა ი ბ ე რ მ ა. მისი თქმით, „სწორედ ასეთ ადამიანს ირჩევს ეშმაკი, წარუმატებელს, რომელიც პატივმოყვარეობით იტანჯება და ამქვეყნიურ სიამოვნებას არის მოწყურებული. შედეგად კი სრული უბედურება მოაქვს“.

თუ როგორ წარმოედგინა ჰიტლერს თავისი სახელმწიფოს რელიგია, კარგად ჩანს მისი ერთ-ერთი გამოსვლიდან: „ჩვენი უბედურება ის არის, რომ არასწორი რელიგია გვაქვს. რა კარგი იქნებოდა, იაპონელების რელიგია რომ გვქონოდა, რელიგია, რომელიც სამშობლოსთვის გაღებულ მსხვერპლს უმაღლეს მსხვერპლად მიიჩნევს! მუსლიმანური რელიგიაც კი უფრო მეტად გამოგვადგებოდა, ვიდრე ქრისტიანობა თავისი არაფრის მქნელი და ფორმალური შემწყნარებლობით!“ [9, 72].

შემთხვევითი არ იყო, რომ ფიურერმა ექსპედიცია გაგზავნა ტიბეტში ზებუნებრივი ძალაუფლების მოსაძიებლად, მესამე რაიხის გასაძლიერებლად და შამბალას მითიურ სამეფოსთან კონტაქტის დასამყარებლად [10, 53].

XX საუკუნის 20-იან წლებში ტიბეტიდან „საიდუმლო სწავლების“ მონაწილეებმა ევროპაში გაგზავნეს ამოუცნობი მეტეორის ნატეხი – „ელექტროლიტი“. კატაკლიზმების პერიოდში მის გარეკანზე ჩნდებოდა წინასწარმეტყველების ნიშნები, რომლითაც გადმოიცემოდა მომავლის აზრი და პოლიტიკური პერსპექტივები.

მეტეორიტის ნატეხი მოგზაურმა ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე რ ე რ ი ხ მ ა შესთავაზა ერთა ლიგას – მაგრამ ორგანიზაციამ უარი განაცხადა მიეღო საკრალური საგანი. რერიხს მეტეორიტი ტიბეტში უნდა დაებრუნებინა, უფრო სწორად – შამბალაში.

ქვას გააჩნდა მძლავრი კოსმოსური გამოსხივება. უფრო მეტიც, გავლენას ახდენდა ადამიანების აზროვნებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს ქვას ფლობდა ნაციზმის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ფაშისტური ოფიციოზის „Фолькише беобахтер“-ის ხელმძღვანელი – დ ი ტ რ ი ხ ე კ ა რ ტ ი [11, 252].

ჩვენ არ ვიცით, იყენებდა თუ არა ფიურერი ამ ქვის ძალას ადამიანებზე ზემოქმედებისთვის, მაგრამ ცნობილია მისი კავშირები მაგიასთან და ტიბეტელ ბერებთან. ერთი რამ ფაქტია, რომ ჰიტლერს ეხერხებოდა თავისი გარემოცვის იმგვარად დამუხტვა, რომ ისინი თავიანთ შრომისუნარიანობას ორმაგად ზრდიდნენ [9, 28].

ხელისუფლებაში მოსულმა ნაცისტებმა აკრძალეს ათეიზმისა და თავისუფალი რელიგიების მქადაგებელი ორგანიზაციები. როგორც აღვნიშნეთ ჰიტლერი თვლიდა, რომ უკეთესი იქნებოდა გერმანელებს მიეღოთ არა ქრისტიანობა, არამედ ნამდვილი მამაკაცური რელიგია – ისლამი. თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელი ქემალ ათა-თურქი ჰიტლერისადმი დიდ აღფრთოვანებას გამოხატავდა, ხოლო იერუსალიმის მუფტი ალ-ჰუსეინი ჰიტლერის პერსპექტიულ მოკავშირეს წარმოადგენდა. თურქი და ირანული წარმოშობის გერმანელები არ ექვემდებარებოდნენ ნიურნბერგის რასობრივ კანონებს მაშინ, როცა არაბებთან მიმართებაში დამოკიდებულება განსხვავებული იყო. და ბოლოს, ინდოელთა სს-ის მოხალისეთა ლეგიონის მეოთხედი მაჰმადიანებისაგან შედგებოდა.

ინდოეთი ძირითადად ითვლებოდა არიელების უძველეს სამშობლოდ. ამიტომ ნაცისტები კეთილგანწყობილი იყვნენ ინდუსებისა და ბუდისტებისადმი. ეწყობოდა ექსპედიციები ტიბეტში შამბალას მოსაძებნად. ამ საქმით იყო დაკავებული ტულეს საზოგადოება.

არანაკლებ საინტერესოა წარმართობისა და ქრისტიანობის ურთიერთობა, რომელსაც ნაცისტები განიხილავდნენ მისტიკური ასპექტებით. გერმანელების უმრავლესობა ითვლებოდა ქრისტიანად. ჰიტლერი მზად იყო შეგუებოდა გარემოებას ერთი პირობით: „გაეწმინდათ“ ქრისტიანული სარწმუნოება „იუდაიზმის შრეებისაგან“. ასეთ ვითარებაში ქრისტე წარმოჩნდებოდა არიელად [12, 20].

ტულეს საზოგადოების წევრმა კარლ ჰაუსჰოფერმა მოიწვია გერმანიაში ტიბეტელები და ინდოელები, რომლებმაც 1926 წელს მიუნხენსა და ბერლინში შექმნეს პატარა კოლონიები. ერთ-ერთმა ტიბეტელმა ბერმა, რომელსაც უწოდებდნენ „მწვანე ხელთათმანის ადამიანს“ და ჰქონდა ზედმეტი სახელი „ფიურერი“, სამჯერ სწორად იწინასწარმეტყველა რამდენ ადგილს დაიკავებდნენ ნაცისტები რაიხსტაგში [12, 22].

1942 წელს ყირიმიდან დაბრუნებული სს-ის გრუპენფიურერი ოტო ოლენდორფი ჰიტლერმა დააჯილდოვა პირველი ხარისხის ჯვართან ერთად ხმლით, საბრძოლო დამსახურებისათვის. მისი

ხელმძღვანელობით მოქმედი ჯგუფი ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაკავებული იყო ებრაელების, კომუნისტებისა და ყველა მათ წინააღმდეგ ბრძოლით, ვინც მონაწილეობდა იატაკქვეშა და პარტიულ მოძრაობაში. მაგრამ ფიურერმა, როდესაც გადასცა ჯილდო თავის რჩეულს რატომღაც უწოდა „გრაალის რაინდი“.

სს-ის გრუპენფიურერის ოტო ოლენდორფის მთავარი ამოცანა წმინდა გრაალის თასის მოძებნა იყო. პარალელურად ოლენდორფი მუშაობდა სს-ში შემავალი ინსტიტუტის „ანენერბე“-ს („წინაპართა მემკვიდრეობა“) შემადგენლობაში. ეს დაწესებულება სწავლობდა გერმანელი რასის ისტორიასა და ტრადიციებს, რომლის ამოცანას წარმოადგენდა მიღებული ცოდნის ოკულტიზმის მიზნით გამოყენება.

ჰიტლერელთა სპეცსამსახურების მრავალი საიდუმლო ოპერაცია მოტივირებული იყო მოეძებნა მაგიური არტეფაქტები, აეხსნა სამყაროს საიდუმლოებანი. „ანენერბე“-ს ეგიდით ესესელთა ექსპედიციები „დაეხეტებოდნენ“ ჰიმალაის ტერიტორიაზე, ხოლო წყალქვეშა ნავები ცურავდნენ არქტიკისა და ანტარქტიდის წყლებში.

ყველაზე მეტად ჰიტლერი დაინტერესებული იყო ყირიმით. უკვე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის პერიოდში ფიურერი აცხადება, რომ ამ ნახევარკუნძულის ფლობის გარეშე მესამე რაიხის ბრძოლას მთელ მსოფლიოსთან საერთოდ არ ექნებოდა საკრალური მნიშვნელობა [13, 20]. „ანენერბე“-ს მონაცემებით გრაალის თასი ყირიმში უნდა ყოფილიყო.

როგორც დავინახეთ ჰიტლერს ჰქონდა გარკვეული კავშირი მაგიასთან და ცდილობდა ზებუნებრივი ძალების შეცნობას. საინტერესოა, რამ განაპირობა ასეთი ოდიოზური პერსონის გერმანიის სათავეში მოსვლა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ზოგიერთი წინასწარმეტყველის ვარაუდი, რომ სწორედ ეს პიროვნება იქნებოდა მსოფლიოში უდიდესი სისხლისღვრის ინიციატორი.

შეიძლება ითქვას, რომ მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გერმან (ჰერშელ) შტაინშნაიდერი (1899-1933 წწ.). მისი როგორც ნათელმხილველის დებიუტი ვენის ერთ-ერთ კაბარეში მოეწყო. მან იწინასწარმეტყველა, რომ ავსტრიის ერცჰერცოგ ფერდინანდს სარაევოში მოკლავდნენ, გამოიცნო პირველი მსოფლიო ომის დაწყების წელი (1914) და ისიც, რომ გერმანია ამ ომში დამარცხდებოდა.

ლიონ ფოიხტვანგერი, რომელმაც შტაინშნაიდერი გამოიყვანა

თავის რომანში „ძმები ლაუტენზაკები“ წერს, რომ ასტროლოგის წინასწარმეტყველება ბევრმა არასერიოზულად აღიქვა. მის სეანსებზეც, როგორც კარგ საცირკო სანახაობაზე, ისე დადიოდნენ. პირველი მსოფლიო ომი ხომ მართლაც დაიწყო. ასტროლოგის სიტყვებსაც უკვე სერიოზულად მიუგდეს ყური [14,85].

მან ასევე იწინასწარმეტყველა, რომ ომი 1918 წელს დამთავრდებოდა. გერმანიას წინ მძიმე დღეები მოელის. ვხედავ ლიდერს, რომელიც გერმანიას აღადგენს. ამ კაცს ა დ ო ლ ფ ი ჰქვია, ის ავსტრიელია. ეს კაცი გერმანიას ძველ დიდებას დაუბრუნებს. აგერ, ერთი შავგვრემანი კაციც, რომელმაც სული ეშმაკს მიჰყიდა. ის კავკასიელია, მაგრამ რუსეთის იმპერატორი გახდება. ამ კავკასიელისა ძალიან მეშინია. მას გერმანიის განადგურება და მსოფლიო ბატონობა სურს.

შტაინშნაიდერი ამ ყველაფერს 1916 წელს ამბობდა [14,86]. ნიუ-იორკში სეანსის დროს ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა მოელოდა აშშ-ს, ასტროლოგმა მიუგო:

– მალე მთელ ევროპაში საშინელი კრიზისი დაიწყება. ეს აშშ-ზეც აისახება. ბევრი ქარხანა დაიხურება, ბანდიტიზმი და დანაშაული გაიზრდება, თუმცა მალე გამოჩნდება ლიდერი, რომელიც ამას ალაგმავს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ამერიკა მსოფლიო ლიდერი გახდება.

– მეორე მსოფლიო ომის შემდეგ?

– დიახ, ის 1939 წელს დაიწყება. დიდი ბრიტანეთის იმპერია დაინგრევა. ევროპიდან დიდი სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნების შანსი მხოლოდ გერმანიას აქვს. თუკი ჩვენმა პოლიტიკოსებმა შეცდომა არ დაუშვეს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორი ზესახელმწიფო იქნება, ამერიკა და გერმანია. თუკი ეს ვერ მოხერხდება, მაშინ გერმანიის ადგილს რუსეთი დაიკავებს.

– ანუ ამერიკის კონკურენტი რუსეთი იქნება?

– თუკი ასე მოხდა, ეს მსოფლიოს ძალიან ძვირი დაუჯდება! რუსეთი გააღვიძებს ჩინეთს, რომელიც ასევე დიდ სახელმწიფოდ გადაიქცევა და უამრავ პრობლემას შექმნის... ეს ყველაფერი ასტროლოგმა 1929 წელს განაცხადა [14, 87].

პარადოქსია, მაგრამ ებრაელმა გერმან შტაინშნაიდერმა ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა. მისმა მრავალრიცხოვანმა სტატიებმა, სეანსებმა, სადაც ის ჰიტლერს მხსნელად მოიხსენიებდა, პუბლიკაზე განსაცვიფრებელი

გავლენა იქონია. უილიამ შირერი იმასაც ამტკიცებს, რომ შტაინშნაიდერი ნაცისტების საარჩევნო კამპანიას წარმართავდა [14, 90].

ჰიტლერ-შტაინშნაიდერის შეხვედრის ორგანიზატორი ერნსტ რემი იყო. შეხვედრას ნაციონალ-სოციალისტების მთელი ზედაფენა უჭერდა მხარს. იდგა 1930 წელი.

– ჰიტლერი იმხანად მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც ფეთქებადი ტემპერამენტის ადამიანებს ხშირად ემართებათ. ენერგიის მოზღვავებას დეპრესია ცვლის. ჰიტლერი კი პარტიის აღიარებული ბელადი იყო. ამომრჩეველი ხმას არა ნაციონალ-სოციალისტებს, არამედ ჰიტლერს აძლევდა. ფიურერის პოლიტიკიდან წასვლა მისი გარემოცვისათვის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა, – წერს უილიამ შირერი.

შტაინშნაიდერთან შეხვედრის შემდეგ ფიურერს სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა. ასტროლოგმა უწინასწარმეტყველა, რომ პარტია ხელისუფლებაში 1933 წელს მოვიდოდა. ასტროლოგი იმდენად დაჯერებული ლაპარაკობდა, რომ ფიურერი გადაეხვია და უთხრა:

– ამიერიდან ჩემი პირადი ასტროლოგი იქნებით.

შემდგომი მოვლენები შტაინშნაიდერმა მართლაც ზუსტად განჭვრიტა. მორიგი სეანსი მან რემის, ჰიტლერისა და გერინგის თანდასწრებით მოაწყო. ასტროლოგმა რაიხსტაგის ხანძარიც იწინასწარმეტყველა და ისიც განსაზღვრა, რომ ანტინაცისტური ფრონტი, სადაც კომუნისტები და სოციალ-დემოკრატები უნდა გაერთიანებულიყვნენ, ვერ შეიქმნებოდა.

არჩევნებში ჰიტლერელებმა გაიმარჯვეს. ფიურერმა სახალხოდ განაცხადა:

– შტაინშნაიდერი გერმანიის სინდისი და ინტელექტია! ნაციონალ-სოციალისტური პარტიის კრებაზე ფიურერი საზეიმოდ აცხადებდა: მალე შტაინშნაიდერი გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გახდებაო. ასტროლოგი ნელ-ნელა გამოიკვეთა ფიგურად, ვისაც ჰიტლერზე უზარმაზარი გავლენა ჰქონდა.

– მას შეეძლო ისეთივე როლი ეთამაშა, როგორც რასპუტინს – ნიკოლოზ მეორის კარზე, – მიიჩნევს უილიამ შირერი.

ცხადია, ამან ბევრი შეაშფოთა. გებელსმა ჰიტლერს შტაინშნაიდერის (ჰანუ-სენის) ებრაელობა შეახსენა. ფიურერზე ამ ცნობას გავლენა არ მოუხდენია. ნაცისტური პარტიის ზედაფენა შეშფოთებული იყო. ჰიტლერი უკვე არა მხოლოდ პარტიის ბელადი, სახელმწიფოს მეთაურიც გახლდათ. ასტროლოგისა მას ბრმად სჯეროდა,

მისი გავლენაც ფიურერზე განუსაზღვრელი იყო. არც გერინგს, არც გებელსს, არც თავად რემს ამის დაშვება არ შეეძლოთ. ასტროლოგი ყველა მათგანის კონკურენტად გადაიქცა.

1933 წლის 25 მარტს, გამთენიისას, 34 წლის შტაინშნაიდერის ტყვიებით დაცხრილული გვამი ბერლინის გარეუბანში იპოვეს. მკვლელები მალე დააპატიმრეს. ისინი მოიერიშე რაზმების წევრები აღმოჩნდნენ.

შტაინშნაიდერი ჩვეულებრივ ადამიანზე ბევრად ძლიერი იყო, ამიტომაც შეეძლო დაენახა და განეჭვრიტა ის, რასაც უბრალო მოკვდავნი ვერ ხედავენ. მისი პროგნოზების დიდი ნაწილი გამართლდა. როგორც აღინიშნა, მანვე გამოიცნო რაიხსტაგის დაწვა, გერმანიის ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლა, მეორე მსოფლიო ომის დაწყება და სხვა. თუმცა საკუთარი სიკვდილი ვერ განსაზღვრა. რატომ? იმიტომ, რომ მაინც ადამიანი იყო და ზებუნებრივი ძალა არ გააჩნდა [14, 90-91].

რაც შეეხება ფიურერს, მისი გარემოცვა მიიჩნევდა, რომ ის ღვთისგან იყო მოვლენილი და შტაინშნაიდერის წინასწარმეტყველებაც იმიტომ ახდა. ამ რწმენას კიდევ უფრო განამტკიცებდა შემდეგი ფაქტები: სხვადასხვა გათვლებით ჰიტლერზე განხორციელდა 42-დან 50-მდე თავდასხმა. თუ არ გავითვალისწინებთ ყალბ მცდელობებს, რომელიც დადგმული იყო მესამე რაიხის სპეცსამსახურების მიერ, მსურველთა რაოდენობა მოეკლათ ადოლფი მაინც შთამბეჭდავია. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე გამორჩეული თავდასხმა მოახდინა მარტოხელა – ანტიფაშისტმა გ ე ო რ გ ელ ზ ე რ მ ა [15,16]. თუმცა უშედეგოდ.

საინტერესოა, რომ ჰიტლერის უსაფრთხოებით დაინტერესებული იყო სტალინი. ამიტომ ფიურერის სიცოცხლეს ფარულად ბერიას სამსახურიც იცავდა. საქმე იმაშია, რომ თუ ომის პერველ ეტაპზე კრემლი ჰიტლერის „მოშორებას“ ფიქრობდა, შემდეგში ვითარება შეიცვალა. ჰიტლერის მოწინააღმდეგე ძალები ცდილობდნენ მის „ჩანაცვლებას“ ფ ო ნ პ ა პ ე ნ ი თ, რომელთანაც მოკავშირეები სეპარატულ ზავს გააფორმებდნენ საბჭოთა კავშირის გარეშე. არსებობდა საფუძვლიანი ინფორმაცია, რომ ამერიკელები ფარულ კონტაქტზე გადიოდნენ ფონ პაპენთან სტამბულში, რომელიც ამ დროს გერმანიის ელჩის მოვალეობას ასრულებდა თურქეთის რესპუბლიკაში. მოსკოვი პაპენის ლიკვიდაციას გეგმავდა [16, 334].

გავიხსენოთ, როდესაც სტალინმა პოტსდამში ჩასვლისთანავე

გამოთქვა ეჭვი, რომ ჰიტლერი ცოცხალი იყო და გერმანიის ფარგლებს გარეთ იმალებოდა. ბრიტანელებისა და ამერიკელების გასაკვირად, ბელადმა იგივე რამდენიმე დღის შემდეგაც გაიმეორა. როგორც ჩანს სტალინს გონებაში უტრიალებდა ნაპოლეონის ელბიდან დაბრუნების და 100-დღიანი მმართველობის ეპიზოდი. სტალინი იყენებდა ჰიტლერის ფანტომს, რომ მოკავშირეთა ერთიანობა არ დარღვეულიყო [17, 216].

ჰიტლერის მოღვაწეობაში კი განგების ხელს ხედავდა რაიხის უმრავლესობა. აი, კიდევ ერთი მაგალითი: 1928 წლის დასაწყისში დასავლეთში გაიქცა სტალინის პირადი მდივანი ბორის ბაჟანოვი, რომელიც დიდი შენაძენი აღმოჩნდა ევროპისთვის. ის გახდა საბჭოთა რუსეთის მთავარი სპეციალისტი, რომლის შესახებ პოლიტიკოსებს ბუნდოვანი წარმოადგენა ჰქონდათ.

1941 წლის ზაფხულში, როდესაც „ბარბაროსას“ გეგმა უკვე მოქმედებაში იყო მოყვანილი, ბაჟანოვი მიიწვიეს ბერლინში კონსულტაციისათვის. ის მიიღო ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მთავარმა იდეოლოგმა ა ლ ფ რ ე დ რ ო ზ ე ნ ბ ე რ გ მ ა, რომლის აზრს დიდ ყურადღებას აქცევდა თავად ფიურერი. ბაჟანოვი ცდილობდა, დაერწმუნებინა მოსაუბრე, რომ არ აერიათ ერთმანეთში კომუნისტების პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა და ომი რუს ხალხთან. მისი კონცეფციის თანახმად, საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ოკუპაცია არ უნდა მოეხდინათ, არამედ გაეთავისუფლებინათ. შეექმნათ მათთვის ლოიალურად განწყობილი რუსული მთავრობა.

„თუ თქვენ ომს აწარმოებთ კომუნიზმის წინააღმდეგ, – მიანიშნებდა ბაჟანოვი ნაცისტურ ელიტას – მაშინ რუსი ხალხი თქვენს მხარეს იქნება. მაგრამ, თუ ბრძოლას დაიწყებთ რუსეთის წინააღმდეგ, მაშინ ხალხი თქვენს წინააღმდეგ იქნება და ომს წააგებთ...“

ომის დაწყებამ ბაჟანოვს ბერლინში მოუსწრო. გაირკვა, რომ რაიხის პოლიტიკური ელიტა საკუთარი ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა. უარყოფდა ყველაფერს, რაც არ ჯდებოდა ნაციონალ-სოციალიზმის მიერ დაფუძნებული იდეოლოგიის კონცეფციის ჩარჩოებში. როზენბერგის წინადადება, შეექმნათ რუსული ანტიბოლშევიკური მთავრობა – ჰიტლერმა კატეგორიულად უარყო. ფიურერი თვლიდა, რომ „აღმოსავლეთის ტერიტორიები, დაკავებული გერმანიის არმიის მიერ, უნდა გამხდარიყო გერმანიის კოლონიები გერმანელთა მმართველობით.

ბაჟანოვი შეეჯახა გერმანული მმართველი ელიტის ბრმა ფა-

ნატიზმს ჰიტლერისადმი. „ჰიტლერის მრავალი გადაწყვეტილება – აღნიშნავდნენ ისინი – თავიდან სისულელედ გვეჩვენებოდა. რურის ოკუპაცია და ვერსალის ხელშეკრულების დარღვევა, ავსტრიის ანშლიუსი და შეჭრა ჩეხოსლოვაკიაში, ჩვეულებრივი ლოგიკით განადგურებას გვიმზადებდა, მაგრამ ყოველთვის ის იმარჯვებდა. ასე იყო პოლონეთში, საფრანგეთში და ნორვეგიაში, ახლა არის რუსეთი. ჩვენ წინ მივდივართ და მალე მოსკოვში ვიქნებით. ეს ადამიანი ხედავს და ესმის ის, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ და არ გვესმის. ჩვენ არაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ გავყვეთ მას“ [18, 35].

ასე ესმოდათ შტაინშნაიდერის წინასწარმეტყველება რაიხის წარმომადგენლებს. თუმცა გერმანელების ნაწილს გამარჯვებისათვის აუცილებლად მიაჩნდათ ჰიტლერის რეჟიმის შეცვლა და ისინი გულში იმედს ატარებდნენ, რომ ამ შეცვლის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ევროპა-ამერიკასთან შეთანხმება; რაც გერმანიას გამოუვალი მდგომარეობიდან გამოიყვანდა.

გამოდის, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს არსებობდა ორად გათიშული გერმანია: ერთი, რომელიც ტევტონების მანიით – გერმანელი რასის უპირატესობით იყო შეპყრობილი – ანუ ნაცისტური გერმანია, და მეორე – ევროპის გაერთიანების იდეით შეპყრობილი გერმანია, რომელსაც უნდოდა ევროპის გაერთიანება, რათა მისი ცალკეული სახელმწიფოები ამერიკის, რუსეთისა და ჩინეთის სათამაშოდ არ გადაქცეულიყვნენ. ამიტომ არსებობდა ძლიერი წინააღმდეგობა გერმანიის მხედრობაში ჰიტლერის რეჟიმისადმი. ამას ადასტურებს ჰიტლერზე მრავალგზის თავდასხმა, რასაც 5000 გერმანელი ოფიცრის ჩამოხრჩობა მოჰყვა [19, 48-49].

იყო თუ არა წინასწარმეტყველებით განსაზღვურლი მეორე მსოფლიო ომი, რომელსაც გერმანელი ნაცისტები გააჩაღებდნენ ჰიტლერის მეთაურობით, მისტიკის საგანია. მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ა. მიშელი მიიჩნევდა, რომ მსხვილი მესაკუთრეებისა და მრეწველების მხარდაჭერით შეძლო ჰიტლერმა ხელისუფლებაში მოსვლა და მისი შენარჩუნება. ნაცისტები იყენებდნენ გაბატონებული წრეების დამოკიდებულებას სოციალური და რელიგიური კონსერვატიზმისადმი, შიშსა და ზიზღს ე. წ სოციალიზმისადმი... [20, 17].

გლობალურმა ოლიგარქიამ გერმანული ნაციზმის კონსტიტუცია შექმნა „რუსული საკითხის“ გადასაჭრელად, რომელიც დღის წესრიგში დადგა ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების გამო.

სწორედ ოქტომბრის გადატრიალებამ გაწყვიტა დროებითი მთავრობის კავშირი საგარეო მართვასთან.

საგულისხმოა, რომ ჰიტლერი ანტანტის მიერ გაკონტროლებული გერმანიის სამხედრო დაზვერვის აგენტი გახდა, რომელიც გადაბირებული იყო ჯერ კიდევ 1919 წელს, რათა სათავეში ჩასდგომოდა ანტონ დრექსლერის გერმანიის მუშათა პარტიას; 1921 წელს, როცა მისი ლიდერი გახდა, სახელი გადაარქვა და უწოდა ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის მუშათა პარტია. ე. წ. ლუდის პუტჩის ჩაფლავების შემდეგ გადაიყვანეს მოქმედ რეზერვში, რომელშიც მისი და რუდოლფ ჰესის კურატორი იყო კარლ ჰაუსჰოფერი – გენერალი, გამოჩენილი გეოპოლიტიკოსი, ავტორი კონცეფციისა „ცხოვრებისეული სივრცე“. ამავე დროს იყო ოკულტისტი, საიდუმლო საზოგადოება „ტულე“-ს წევრი. მას ეკუთვნის „მაინ კამპფის“ ძირითადი იდეები, რომლებიც ჰიტლერს უკარნახა. თვითონ ჰიტლერმა კი მათი ვექტორი გაშალა აღმოსავლეთისაკენ, რომელსაც, სხვათა შორის, ეწინააღმდეგებოდა ჰაუსჰოფერი.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის წინ დასავლეთის სტრატეგია იყო ის, რომ ერთმანეთისათვის დაეჯახებინა გერმანია და საბჭოთა კავშირი, რათა შემდეგ ორივესთვის ეკარნახა თავისი ნება. ამას ადასტურებს რუსი მზვერავი – არალეგალი, გენერალი იური დროზდოვი; აღნიშნული აღიარა აშშ-ის მომავალმა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა. ანგლო-ამერიკული გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ დალოდებოდნენ მომენტს და ომში ჩართულიყვნენ თავიანთი პირობებით. და დაბრუნებოდნენ ახალი მსოფლიო წესრიგის პროექტს, რომელიც ოქტომბრის გადატრიალებამ ჩააფლავა.

ანტიჰიტლერული კოალიცია – ეს იყო დასავლეთის იძულებითი ნაბიჯი, რათა მოხვედრილიყვნენ გამარჯვებულთა წრეში და მონაწილეობა მიეღოთ ომის შემგდომი მსოფლიოს დანაწილებაში, თუმცა არა ისე, როგორც სურდათ, არა დამოუკიდებლად, არამედ საბჭოთა კავშირთან ერთად [21, 10].

შეიძლება ითქვას, რომ ჰიტლერი მოთამაშე იყო. ის თამაშობდა ყველა გერმანელის სიცოცხლით, თამაშობდა თავისი საკუთარი სიცოცხლითაც. მიუხედავად დამრცხებისა, მან მიიღო ნგრევით გამოწვეული კმაყოფილება, რაც მის ნეკროფილურ და მანიაკალურ სულს ახასიათებდა. ვინც მართლა წააგო, ესაა მილიონობით ადამიანი – გერმანელები, სხვა ერების და ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები, რომელთათვისაც ბრძოლაში სიკვდილი ხშირად იყო

ტანჯვის ყველაზე მსუბუქი ფორმა. მაგრამ, რადგანაც ჰიტლერისათვის უცხო იყო სხვათა ტკივილისადმი თანაგრძნობა, ამ ადამიანთა ტანჯვამ მასში არ გამოიწვია სინდისის არავითარი ქენჯნა [8. 114].

XX საუკუნის პოლიტიკური ფიგურის ჰიტლერის ფენომენის შეფასება დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას იძენს, რადგან გახშირდა „ფიურერის“ პიროვნების კვლავ განდიდების და მისი „სიდიადით“ ხელახლა აღფრთოვანების მცდელობები. ეს ტენდენცია მკაფიოდ შეიმჩნევა ყოფილი ნაცისტების ფართოდ გამოქვეყნებულ მოგონებებში.

მიმდინარე ეტაპზე აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით იზრდება პუბლიკაციების რაოდენობა ფაშისტური რაიხის, ჰიტლერისა და მისი გარემოცვის შესაფასებლად. ამ ლიტერატურის ხასიათი მკვეთრად განსხვავდება მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პირველ ათწლეულში გამოქვეყნებული პუბლიკაციებისაგან. თუ ადრე, როგორც წესი გერმანიის დამარცხებას „ფიურერის შეცდომებით“ ხსნიდნენ, ეხლა მიმდინარეობს კამპანია ჰიტლერისა და მთლიანად ნაციზმის რეაბილიტაციის შესახებ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ლ. მაჭავარიანი, ნ. ელიზბარაშვილი, სახალისო გეოგრაფია, თბილისი, 1998.
2. Прохор Эжов, Проклятие гробницы Тамерлана, Журнал „Тайны ссср“, 2019, № 3.
3. Ян Кершоу, Гитлер, Перевод с английсково, Ростов на дону, 1997.
4. პოლ ფერისი, ზიგმუნდ ფროიდი, თბილისი, 2013.
5. მარტინ უაითი, საერთაშორისო თეორიის სამი ტრადიცია, კრ. „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, თბილისი, 2004.
6. ნ. თევზაძე, ადოლფ ჰიტლერი, თბილისი, 2018.
7. მეორე მსოფლიო ომი, თარგმანი ინგლისურიდან, თბილისი, 2014
8. ერიხ ფრომი, ადოლფ ჰიტლერი – ნეკროფილიის კლინიკური შემთხვევა, თბილისი, 2013.
9. ალბერტ შპეერი, ჰიტლერი, თბილისი, 2012.
10. ჯონათან უოტსი, ჩინეთი დღევანდელ მსოფლიოში, თბილისი, 2012.
11. Олег Шишкин, Битва за гималаи, Москва, 1999.
12. О. Покровский, Мистика третьево райха, журн. „Загадки исто-

рии“, 2019, № 47.
13. Дмитрий Митюрин, В поисках чудесной реликвии, Журнал „Загадки истории“, 2019, № 26
14. ნ. თევზაძე, ჰიტლერის პირადი ასტროლოგი, ჟურნალი „ისტორიანი“, 2014. №6.
15. К. Ришес, Особый заключенный фюрера, Журнал „Загадки истории“, 2020, № 6.
16. Андрей Судоплатов, Тайная жизнь генерала судоплатова, Книга первая, Москва, 1998.
17. ისააკ დოიჩერი, სტალინი, ნაწილი II, თბილისი, 2014.
18. Валерий Ярхо, Побег секретаря сталина, Журнал „Тайны ссср“, 2020, № 3.
19. მარიამ მარჯანიშვილი, გოლგოთის გზაზე მიმავალი, ჟურნალი „ისტორიანი“, 2019, №9.
20. Е. Н. Кульков, О. А. Ржешевский, И. А. Челышев, Правда и ложь о второй мировой войне, Москва, 1988.
21. გ. გაჩეჩილაძე, იალტა-პოტსდამიდან დღევანდელობამდე, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, 2020, №6.

Avtandil Songulashvili

Doctor of Historical Sciences, Professor, Ivane Javakishvili Tbilisi State University Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology The Head of Department of the Modern and Contemporary History

A Self-fulfilling Prophecy (Hitler in Power)

Summary

There are people whom the Creator has empowered to predict the future of prominent people. Besides Nostradamus and Vanga there were other Prophets. For example, in 1916 Steinschneider (1899-1933), a Jew by nationality, at the age of 17, predicted Hitler's rise to power, World War II and its consequences. Later, due to his influence on Führer, Hitler’s entourage secretly sentenced 34-year-old Steinschneider to death on March 25, 1933.

ლილი ხარჩილავა

დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური ინტერესები სპარსეთის ყურეში

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ამერიკის შეერთებული შტატები რჩება ერთადერთ ზესახელმწიფოდ, რომელსაც გააჩნია სტრატეგიული უპირატესობა მსოფლიო პოლიტიკური სისტემის დანარჩენ აქტორებთან სამხედრო, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში, ასევე ტექნოლოგიურ ურთიერთობაშიც. ამერიკელი მკვლევარის ზბიგნევ ბჟეზინსკის აზრით ამერიკის შეერთებული შატატები, თავისი ხასიათით, არის ერთადერთი სახელმწიფო, რომლის სიძლიერეც „ვლინდება გლობალური სისტემის მეშვეობით“ [1, 259].

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატები იყო დომინანტი მსოფლიო პოლიტიკაში. ამ ფაქტმა ასახვა ჰპოვა აშშ-ს ნაციონალური უშიშროების 2 დოქტრინაში – 2002 წ. და 2006 წ.

ჯორჯ ბუშ უმცროსის ორივე დოქტრინის საფუძველში იყო მოსაზრება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ფლობდა უპრეცენდენტო და შეუდარებელ ძალას და გავლენას მსოფლიოში. აშშ მზად იყო ეს ძალა გამოეყენებინა საერთაშორისო ტერორიზმთან და იმ სახელმწიფოებთან საბრძოლველად, რომლებიც თავიანთი მოსახლეობის რეპრესიებს ახდენდნენ, უგულვებელყოფდნენ საერთაშორისო სამართალს, არღვევდენ საერთაშორისო შეთანხმებებს, ემუქრებოდნენ მეზობელ სახელმწიფოებს, რომლებიც მზად იყვნენ გამოეყენებინათ მასობრივი განადგურების იარაღი და ხელს უწყობდნენ საერთაშორისო ტერორიზმის გავრცელებას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბრძოლის მეთოდად გამოიყენა პრევენციული ომის თავიდან აცილების მეთოდი, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა გამაფრთხილებელი მოქმედებები, რომელბიც მიმართული იყო მსოფლიო პოლიტიკის აქტორებისაკენ, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალურ უსაფრთხოებას.

ასეთი ხასიათის ცალმხრივმა ქმედებებმა, მსოფლიოში ანტიამერიკული განწყობის გაზრდა გამოიწვია. ჯორჯ ბუშ უმცროსის

პრეზიდენტობის დასასრულს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური ვითარება, აშშ-ს საგარეო პოლიტიკური კურსის და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში აშშ-ს როლის გადახედვას მოითხოვდა. ამ საკითხთან მიმართებაში აღსანიშნავია ბჟეზინსკის ნაშრომი „არჩევანი: მსოფლიო ბატონობა თუ გლობალური ლიდერობა“, რომელშიც ავტორმა მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას უარი ეთქვა მსოფლიო ჰეგემონობაზე და გამხდარიყო ლიდერი გლობალურ სისტემაში [2, 127].

მსოფლიო ბატონობა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, ხელს უწყობს უკმაყოფილების ზრდას ამ სისტემის სხვა წევრებს შორის, იმ დროს როდესაც გლობალური ლიდერობა უფრო სხვანაირად აღიქმება. ის გულისხმობს, რომ მთელი სიძლიერე, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ფლობს, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კაცობრიობის სასიკეთოდ. აშშ-ს გლობალური ლიდერობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია თავისი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი, მიღწევები მეცნიერებასა და ტექნიკაში საერთო გლობალური პრობლემების მოსაგვარებლად გამოიყენოს, მას შეუძლია გახდეს საკუთარი მსოფლიო პოლიტიკური სისტემის ლოკომოტივი და ამასთან ერთად იხელმძღვანელოს საერთო გლობალური ინტერესებით.

ბზეჟინსკის მსგავსი მოსაზრება გააჩნია ასევე ფ. ზაქარიას, რომელიც თავის ნაშრომში „პოსტამერიკული მსოფლიო“ ასკვნის, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მსოფლიო ჰეგემონის როლი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამერიკის შეერთებულ შტატებს უკვე აღარ შეუძლია ერთპიროვნულად მართოს მსოფლიო, რადგან გლობალიზაციის პირობებში იზრდება თანამშრომლობის, ძირითად საკითხებზე კონსულტაციების ჩატარების და გადაწყვეტილების მიღებისას კომპრომისზე წასვლის აუცილებლობა, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გლობალური სისტემის სხვა აქტორებზე [3, 136].

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ჰილარი კლინტონის განცხადება იმის შესახებ, რომ „ამერიკას არ შეუძლია მარტო გადაჭრას მსოფლიოში არსებული უმნიშვნელოვანესი პრობლემები, მაგრამ არც მსოფლიოს შეუძლია ამ პრობლემების გადაწყვეტა ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობის გარეშე. საუკეთესო ხერხი ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების განვითარებისა, რომელიც მსოფლიოში გლობალური საფრთხეების შემცირებისა და გლობალუ-

რი შესაძლებლობების ათვისებაში მდგომარეობს, არის გლობალური გადაწყვეტილებების შემუშავება და რეალიზაცია. ეს არ არის ფილოსოფიური ხედვა, ეს ჩვენი რეალობაა“.

ეს მოსაზრება გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური უსაფრთხოების 2010 წლის დოქტრინის მთავარი ლეიტმოტივი. აღნიშნული სტრატეგია იყო მცდელობა, ძირითადი ყურადღება გადატანილი ყოფილიყო იმ გლობალური პრობლემების აუცილებელი გადაჭრისაკენ, რომელიც კაცობრიობის წინაშე იდგა XXI საუკუნეში და რომელთა გადაწყვეტაც შეუძლებელი იყო საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სხვა აქტორების მონაწილეობის გარეშე.

სტრატეგიის შინაარსი ბევრ პოზიციაში, აცდენილი იყო იმ საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები თანამედროვე ეპატზე ატარებდა. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ამერიკის შეერთებული შტატების ცალმხრივი ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ, კერძოდ ალ-ქაიდასთან. მაგალითად ოპერაცია „ნეპტუნის შუბი“, რომელიც ამერიკის სპეც დანიშნულების რაზმმა ჩაატარა ბინ-ლადენის ლიკვიდაციისათვის. კიდევ ერთ მაგალითად გამოდგება ნატოს ოპერაცია ლიბიაში, რომელიც ინიცირებული იყო აშშ-ს მიერ, რის შემდეგაც აღნიშნული ოპერაციის ხელმძღვანელობა დაევალათ ნატოში აშშ-ს პარტნიორებს – დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს [4, 358].

თანამედროვე პერიოდში შეინიშნება ამერიკის შეერთებული შატატების მიერ საგარეო პოლიტიკის რეალიზაციის მეთოდების დივერსიფიცირება, რადგანაც ისინი ცდილობენ გამოიყენონ თავიანთი სიძლიერის ყველა ხელმისაწვდომი საშუალება: „სამხედრო-პოლიტიკური მეთოდები, სავაჭრო კავშირები და ინვესტირება, ასევე პოლიტიკური ღირებულებების გავრცელება“. წინა პლანზე გამოდის დიპლომატიური და ეკონომიკური შესაძლებლობები, თუმცა ცხადია, რომ უხლოეს მომავალში ამერიკის შეერთებული შტატები უარს არ იტყვის სამხედრო ძალის გამოყენებაზეც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აქტუალური ხდება ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე სამხედრო დოქტრინა, რომელშიც იკვეთება რკალი, რაც თავის თავში გულისხმობს ახლო აღმოსავლეთს, დასავლეთ აზიას და აზია წყნარი ოკეანის რეგიონს. როგორც ოფიციალურად არის დეკლარირებული, აშშ-ს ეკონომიკური და ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესები განუყოფელად არის დაკავშირებული ამ რეგიონებთან. საკუთარი ინტერესების წარ-

მატებით რეალიზაციისათვის აშშ ცდილობს იმ პარტნიორ სახელმწიფოებთან გააფართოვოს და გაამყაროს კავშირები, რომელიც ამ რეგიონს განეკუთვნებიან.

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ აშშ-მ თანამედროვე დოქტრინაში უარი თქვა ნაციონალური უსაფრთხოების საფრთხის სახელმწიფო-ცენტრისტული განსაზღვრისაგან. მასში დევს ე. წ. „მთლიანი სპექტრის“ პრინციპი, რომელიც თავის თავში გულისხმობს ნებისმიერი საფრთხის ასახვას, რომელიც მომდინარეობს ნებისმიერი მოწინააღმდეგისაგან, მსოფლიო პოლიტიკური სისტემის არასახელმწიფოებრივი აქტორების ჩათვლით [5, 65].

ახალი სამხედრო დოქტრინის არანაკლებ მნიშვნელოვანი ელემენტია ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვა, უზრუნველყოს მისთვის და მისი მოკავშირეებისათვის შეუზღუდავი წვდომა იმ გლობალურ საერთო საკუთრებასთან, რომელიც არ შედის არც ერთი სახელმწიფოს იურისდიქციაში, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისტემის განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის. ნებისმიერი სახელმწიფოებრივი თუ არასახელმწიფოებრივი აქტორი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ ობიექტებზე თავისუფალ წვდომას, აშშ-ს მიერ შეფასებულია, როგორც აშშ-ს ნაციონალური ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი და შესაბამისად მის წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებული იყოს „ხისტი ძალა“.

ცნობილია, რომ აშშ ყოველწლიურად თავდაცვის სამინისტროს საჭიროებებისათვის ხარჯავს იმაზე მეტს, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახელმწიფო, თუმცა საბაზო ნაწილის მიღმა, ფინანსების დიდი ნაწილი იხარჯება იმ სამხედრო ოპერაციებზე, რომელსაც აშშ მისი საზღვრების გარეთ აწარმოებს. მაგ. აშშ-ს 2012 წლის სამხედრო ბიუჯეტმა 645,7 მილიარდი დოლარი შეადგინა, რომლიდანაც საბაზო ნაწილი იყო 530,6 მილიარდი დოლარი, ხოლო საზღვარგარეთის სამხედრო ოპერაციების წილი 115,1 მილიარდი დოლარი, რაც საერთო ბიუჯეტის 20 პროცენტია.

აღნიშნული გარემოებები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სისტემებში, აშშ-ს საგარეო პოლიტიკური დოქტრინის ტრანსფორმაციის მიუხედავად, ჰეგემონი სახელმწიფოდან ლიდერ სახელმწიფომდე, რჩება რა ის უბადლო ძალაუფლების მქონე სახელმწიფოდ, სიცოცხლის უნარიანს ხდის მსოფლიო პოლიტიკაში დომინირების სტრატეგიას, რომელიც შეუძლებელია მსოფლიო საკვანძო რეგიონების კონტრო-

ლის გარეშე, რომელის შემადგენელიცაა ახლო აღმოსავლეთი.

ახლო აღმოსავლეთი არის მსოფლიოს უნიკალური რეგიონი, სადაც ერთმანეთშია შეზრდილი მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციები და სადაც ასევე ერთად ცხოვრობენ და ერთმანეთთან მუდმივად თანამშრომლობენ ისლამური, ქრისტიანული და იუდეისტური ცივილიზაციები. ახლო აღმოსავლეთი თავისი მასშტაბებით შეთავსებადია სხვა მსხვილი რეგიონებისა და მდებარეობს დასავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. რეგიონი შეგვიძლია პირობითად დავყოთ სამ სუბრეგიონად: ლევანტი – რომელიც მოიცავს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს; მაღრიბი – რომელიც მოიცავს ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებს, და ბოლოს სპარსეთის ყურის ქვეყნები [6, 145].

მას შემდეგ, რაც ენერგეტიკულმა რესურსებმა მნიშვნელოვანი როლის თამაში დაიწყო ეკონომიკაში, ახლო აღმოსავლეთი გახდა წამყვანი სახელმწიფოების ინტერესის საგანი და გადაიქცა მათ შორის ბრძოლის ეპიცენტრად ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე კონტროლის მოსაპოვებლად. ამრიკის განსაკუთრებული ინტერესის სფერო ამ მიმართულებით სპარსეთის ყურეა, სადაც მსოფლიოში არსებული ნახშირწყალბადის რესურსების უდიდესი მარაგია.

სპარსეთის ყურის რეგიონი რვა სახელმწიფოსაგან შედგება: ბაჰრეინი, ერაყი, ირანი, ყატარი, კუვეიტი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ომანი და საუდის არაბეთი. რეგიონის ყველა სახელმწიფოს გააჩნია ნახშირწყალბადოვანი რესურსების უდიდესი საბადოები, რაც განსაზღვრავს მათ გავლენას მსოფლიოში.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამ ეტაპზე რეგიონში წარმოადგენს ყველაზე გავლენიან არარეგიონალურ აქტორს. ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური ინტერესების მნიშვნელობას სპარსეთის ყურეში ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ გრძელდება დისკუსიები საზღვარგარეთ მყოფი სამხედრო კონტინგეტის შემცირების თაობაზე საბიუჯეტო სახსრების ეკონომიის მიზნით, აშშ მაინც ინარჩუნებს სპარსეთის ყურეში სამხედრო ძალებს, რეგიონში სტრატეგიული უპირატესობის შესანარჩუნებლად.

შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანესი ინტერესია შეინარჩუნოს დომინანტური პოზიცია სპარსეთის ყურეში მაქსიმალურად დიდი დროით, რამდენადაც მას ამის საშუალებას მისცემს სტრატეგიული უპირატესობა მთელს ახლო აღმოსავლეთზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ზ. ბჟეზინსკი, დიდი საჭადრაკო დაფა, თბილისი, 2014.
2. Z. brzezinski, The choice: Global Domination or Global leadership, N.Y., 2004.
3. F. Zakaria, The Post-American World, Boston, 2009.
4. В. Ягья, М. Лагутиной, Актуальные проблемы мировой политики в XXI веке, Санкт-Петербургский государственный университет, 2011.
5. Д. Миргород, Глобализация как фактор трансформации политических процессов в ближневосточном регионе, Пятигорск, 2011.

Lili Kharchilava

Doctoral student, Georgian Technical University

The National Interests of the United States of America in the Persian Gulf

Summary

The Middle East is a very specific and hard region of the world. This is also confirmed by the dramatic facts over the last decade. Many great states of the world are interested in this region, including the supper state, such as the United States of America. As the external players, Russia also plays a very important role in the region.

In the modern system of international relations, the United States remains a hegemonic state despite the transformation of its foreign policy doctrine. The Middle East is one of the most important regions of its national interest. This is caused by the region's richest energy resources. The main interest of the United States of America is to maintain a dominant position in the Persian Gulf for as long as it can provide a strategic advantage over the entire Middle East.

გიორგი ჩხიკვიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ევროპული რადიკალური მემარჯვენე პარტიების თანამედროვე გამოწვევები

ევროპის რადიკალური მემარჯვენე პარტიების გააქტიურება პირდაპირ კავშირშია აზროვნებისა და მოწყობის იმ წესის რღვევასა თუ შერყევასთან, რომელიც აქამდე იყო გაბატონებული განვითარებულ სამყაროში და რომელსაც ლიბერალური მსოფლიო წესრიგი ჰქვია. ევროპულ პოლიტიკაში მიმდინარე ფუნდამენტური ცვლილებები თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე ევროპელი პოლიტიკური კომენტატორებისა და მედიის მიერ „პოლიტიკურ მიწისძვრად“ არის შეფასებული. პოლიტიკის ექსპერტთა ამგვარი შეფასება ევროპაში ძალთა ახალ კონფიგურაციას და აქედან გამომდინარე ნგრევის შიშს უკავშირდება. თავად ტერმინი „რადიკალიზმიც“ მომდინარეობს სიტყვა ფესვიდან (Radiqs) და ნიშნავს იმგვარი პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც გულისხმობს სისტემის ძირფესვიან გარდაქმნას.

თანამედროვე ეტაპზე ევროპაში მიმდინარე ურთულესმა პოლიტიკურმა პროცესებმა – ეკონომიკურ პერფორმანსთან ერთად მიგრაციისა და მულტიკულტურალიზმის პრობლემების მოუგვარებლობამ, ტერორიზმის საფრთხის გაძლიერებამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და ევროპული იდენტობის პოლიტიკურმა და კულტურულმა კრიზისმა, ევროპული პოლიტიკის დღის წესრიგში დიდი წყვეტის შემდეგ კვლავ დააყენა რადიკალიზმის ახალი ტალღისა და კარდინალური ცვლილებების აუცილებლობა, რამაც გამოიწვია ულტრამემარჯვენე რადიკალების პოპულარობის ზრდა.

მათი პოლიტიკური ანატომიის შესწავლა და ანალიზი აქტუალურია ქართული საზოგადოების ინტერესების გადმოსახედიდანაც, რადგანაც რადიკალური მემარჯვენე პარტიების ხელისუფლებაში შესაძლო მოსვლის შემთხვევაში ამ ძალების უმრავლესობის პოლიტი-

კური სიმპატიები პუტინის მიმართ და მათ მიერ ყირიმის ანექსიის ლეგიტიმაცია გარკვეული დაბრკოლება შეიძლება გახდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ტრადიციული მხარდაჭერისა და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესებისათვის. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ პრობლემის გააქტიურება და დისკუსიის დაწყება სამომავლო კონკრეტული საგარეო პოლიტიკის სცენარების თაობაზე, რომლებიც რადიკალური მემარჯვენე ძალების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში თავიდან აგვაცილებს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ნეგატიურ შედეგებს.

წარმოდგენილი სტატია არის ამ პრობლემის განხილვისაკენ გადადგმული მოკრძალებული ცდა, რომლის მიზანსაც შეადგენს დაინტერესებული პირებისათვის ევროპის პარტიულ ლანდშაფტში წარმოშობილი მემარჯვენე რადიკალიზმისაგან მომავალი საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ანალიზი.

საკვლევი თემის ამოცანაა რადიკალური მემარჯვენე ძალების გააქტიურების ტენდენციისა და რუსეთის ინტერესების თანხვედრას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის წარმოჩენა და კვლევა, რაც დაგვეხმარება თანამედროვე ევროპაში განვითარებული პოლიტიკური პროცესების ადექვატურ აღქმასა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებაში.

საკვლევ საკითხებად სტატიაში განხილულია რადიკალიზმის დუალისტური ბუნება, რადიკალური მემარჯვენე ძალების ახლო წარსულში მარგინალიზებული რადიკალური ჯგუფებიდან ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალებად და არსებული ევროპული პოლიტიკის ალტერნატივებად ჩამოყალიბების დინამიკა, მათი ანტილიბერალური ხასიათი და სახიფათო კავშირები რუსეთთან. თუ პოსტ-ფაშისტურ ევროპაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთგვარი ტაბუ არსებობდა საჯარო პოლიტიკაში ფაშისტური ან ნეონაცისტური ჯგუფების ჩართვასთან დაკავშირებით, თანამედროვე ეტაპზე ამ ჯგუფების საჯარო სივრცეში ხშირი გამოჩენითა და ნორმალიზებით ეს ტაბუ ირღვევა და შესაბამისად, მსგავსი ჯგუფების არსებობა და ჩართულობა პოლიტიკაში უკვე კანონიერი ხდება.

აქვე განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ რადიკალური მემარჯვენე პარტიების (რმპ) ცნებაში ვგულისხმობ არა ევროპისთვის ტრადიციულ მემარჯვენე ბანაკს, ქრისტიან-დემოკრატიულ თანამეგობრობას, არამედ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც მათგან განსხვავებით;

1. არ მიეკუთვნებიან ევროპისთვის ტრადიციულ მემარჯვენე ბანაკს, ქრისტიან-დემოკრატიულ თანამეგობრობას;

2. გამოირჩევიან ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული რიტორიკითა და სკეპტიციზმით საერთო ევროპული ინსტიტუტების მიმართ;

3. თავიანთ იდეოლოგიად აცხადებენ ნაციონალიზმის ურთიერთგანსხვავებულ ფორმებს, ეფუძნებიან უცხოსმოშიშეობის ფენომენს, ავლენენ ნაკლებ მიმღებლობას, წინააღმდეგობას სხვადასხვა ტიპის უმცირესობის მიმართ;

4. ხასიათდებიან დემოკრატიის არალიბერალური ინტერპრეტაციების ან სულაც ავტორიტარიზმის მხარდაჭერით;

5. ხასიათდებიან პოპულისტური რიტორიკით, საზოგადოების ორ ჰომოგენურ და კონტრასტულ ჯგუფად დაყოფის ხედვით, მათ შორის არსებული კონფლიქტის პოლიტიკური პროცესის მთავარ საგნად გამოცხადების ტენდენციით [1].

სტატია შემდეგი სტრუქტურით არის წარმოდგენილი: 1. რადიკალიზმის დუალისტური ბუნება და რადიკალური მემარჯვენე პარტიების კლასიფიკაცია; 2. რადიკალური მემარჯვენე პარტიების ირიბი და მჭიდრო იდეოლოგიური და პერსონალური კავშირები რუს ბიზნესმენებთან, პოლიტიკოსებთან და დიპლომატებთან; 3. რადიკალური მემარჯვენე პარტიების მიერ რუსეთის პოლიტიკის ლეგიტიმაცია; 4. რადიკალური მემარჯვენე პარტიების ექსტრემისტული დაჯგუფების მიერ პრო-რუსული და ანტი-უკრაინული ძალადობრივი ორგანიზაციების ინსტრუმენტალიზება; 5. დასკვნა

1. რადიკალიზმის დუალისტური ბუნება და რადიკალური მემარჯვენე პარტიების კლასიფიკაცია. რადიკალიზმი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ფორმირების პროცესში, მსოფლიო პოლიტიკის კვლევის სხვა ობიექტებისაგან განსხვავებით შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. სოციალურ მეცნიერებებში ის მეტწილად პოლიტიკურ კონტექსტზე არის დამოკიდებული – სხვადასხვა დროში, სხვადასხვა სივრცესა და საზოგადოებაში მან შესაძლოა სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძინოს.

ერთი მხრივ, ის შეიძლება გახდეს პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური, მსოფლმხედველობრივი და ფსიქოლოგიური ფენომენი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება არსებულის მკვეთრი იდეური და ფსიქოლოგიური მიუღებლობა, ისეთი იდეებისა და განწყობების არსებობა ან ისეთი ქმედებების და პოლიტიკის გატარე-

ბა, რომელთა მიზანი იქნება არსებულის ძირფესვიანი, რადიკალური გარდაქმნა ან განადგურებაა; მაგრამ მეორეს მხრივ, რადიკალიზმი შეიძლება გამოიხატოს არსებულის, მისდამი პოზიტიური დამოკიდებულების შემთხვევაში, ყველა შესაძლო ცვლილებებისგან მტკიცე და უაპელაციო დაცვაში და ამ ცვლილებებისადმი მკვეთრ დაპირისპირებაში.

შესაბამისად, რადიკალური მემარჯვენე პარტიები (რმპ) ევროკავშირის ქვეყნებში განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და მრავალგვარობით ხასიათდებიან – ერთ ოჯახში არიან გაერთიანებული სხვადასხვა წარმომავლობის პარტიები – როგორც სახელისუფლებო უმრავლესობის მქონე, კონსერვატიული ელიტიდან წარმოშობილი ჯგუფები, ასევე ევროპის ნაცისტური წარსულის სამართალმემკვიდრე პოლიტიკური ძალები, რომლებსაც იტალიელი მეცნიერი პიერო იგნაცი ტრადიციულ მემარჯვენე ექსტრემისტულ ძალებს უწოდებს.

სამეცნიერო პოლიტიკურ ლიტერატურაში რადიკალური მემარჯვენე პარტიების ქოლგის ქვეშ განასხვავებენ რამოდენიმე ქვეჯგუფს – მემარჯვენე-პოპულისტებს (ნაციონალისტები), ევროპასკეპტიკურ ძალებს, „რეფორმისტთა და კონსერვატორთა“ და მემარჯვენე-ექსტრემისტების ჯგუფებს. თუმცაღა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი განსაზღვრებების შესახებ საყოველთაო შეთანხმება მეცნიერთა შორის არ არსებობს და დებატები დღემდე გრძელდება, რადგან რადიკალური ძალების მრავალფეროვნების მიუხედავად, რადიკალურ მემარჯვენე პოლიტიკურ ორგანიზაციებში შემავალ ქვეჯგუფებს შორის არსებული მიჯნები ბუნდოვანებითა და რელატიურობით ხასიათდებიან. მათ გამაერთიანებელ რამოდენიმე კრიტერიუმში შედის მათი კავშირები რუსეთთან. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა შეიძლება განვიხილოთ რუსეთის ინტერესების კონტექსტში: რადიკალური მემარჯვენე პარტიების ნაწილი, რომლებიც ადრე ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების საკითხებზე კონცენტრირდებოდნენ, უკრაინის კრიზისის შემდეგ ღიად უჭერენ მხარს რუსეთს, თანამედროვე რუსეთს იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მოდელად მიიჩნევენ და მჭიდრო იდეოლოგიური და პერსონალური კავშირები გააჩნიათ რუს ბიზნესმენებთან, პოლიტიკოსებთან და დიპლომატებთან; გარკვეული ძალები კი ირიბად უჭერენ მხარს რუსეთს, რადგანაც ამ ძალების ევროსკეპტიციზმი და იდეოლოგიური დაპირისპირება ლიბერალიზმთან შედის რუსეთის ინტერესებში. მათ მიერ ლიბერალური მსოფლიო წესრიგისა და პრინციპების

უარყოფა გლობალურ დონეზე რუსეთისთვის ხელფეხის გახსნასთან არის დაკავშირებული.

2. რადიკალური მემარჯვენე პარტიების ირიბი და მჭიდრო იდეოლოგიური და პერსონალური კავშირები რუს ბიზნესმენებთან, პოლიტიკოსებთან და დიპლომატებთან. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის 26 ნოემბერში ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის მხრიდან მომავალი დეზინფორმაციისა და მტრული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლას, რუსეთის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროპაგანდა, ევროკავშირის დესტაბილიზაციისა და შიდა პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით, კვლავაც გრძელდება და გავლენას ახდენს ევროკავშირის ქვეყნების შიდა პოლიტიკაზე. კრემლის სქემა „აქტიური ღონისძიებების“ (Активные мероприятия) საბჭოთა ტრადიციას ეფუძნება, რომლის მიზანიც სხვა ქვეყნებში პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენაა. მოსკოვის სტრატეგია მოიცავს პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციების მხარდაჭერასა და დეზინფორმაციის გავრცელებასა და გავლენის მოხდენას დასავლეთ ევროპის ქვეყნების შიდა პოლიტიკაზე. რუსეთი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც შეეცადა, საფრანგეთში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე გავლენა მოეხდინა. ბრიტანული ანალიტიკური ცენტრის, Bakamo-ს ჩატარებული ახალი კვლევის თანახმად, ყოველი მეოთხე ინტერნეტ-ბმული, რომელსაც სოციალურ ქსელებში ფრანგი მომხმარებლები მიმართავდნენ წინასაარჩევნოდ, დეზინფორმაციას და ცრუ ახალ ამბებს შეიცავდა. აღნიშნულ ბმულებზე განთავსებული იყო ინფორმაცია, რომელიც პროევროპელი კანდიდატების წინააღმდეგ იყო მიმართული და რუსეთის გავლენის კვალს შეიცავდა. კვლევის ფარგლებში Bakamo-ს სპეციალისტებმა, დაახლოებით, 800 ვებგვერდი და ბოლო 6 თვის განმავლობაში გამოქვეყნებული 8 მილიონი ბმული გააანალიზეს. კვლევის თანახმად, ბმულების 19,2 %-ში „ჟურნალისტიკის სტანდარტები დაცული არ იყო“, გამოხატავდა „რადიკალურ იდეებს“ და დესტრუქციული შინაარსის გამავრცელებელი იყო. ბმულების 5% კავშირში იყო მითებთან ან შეთქმულების თეორიებთან [2]. ფრანგი ჟურნალისტის, პიერ ჰასკის მოსაზრებით, რუსული წყაროების გავლენა ყველაზე ძლიერი იყო ისეთ საკითხებში, როგორიცაა ფრანგული იდენტობა, ანტიისლამიზმი, ანტიგლობალიზმი და სხვა. აღნიშნული რესურსების წყაროები მხარს უჭერდნენ ანტიდასავლურად განწყობილ ფრანგ პოლიტიკოსებს, მათ შორის, მარი ლე პენს, ჟან-ლუკ მელაშონსა და

ფრანსუა ფიონს, რომლის განცხადებებშიც შეიმჩნეოდა პრორუსული განწყობები. მარინა კაცონოვამ საფრანგეთის რადიკალური პარტიის – საფრანგეთის სახალხო ფრონტის მოქმედი ლიდერის მარი ლე პენის მიმართ შემდეგი კომენტარი გააკეთა: „ევროსკეპტიკოსი, ის მხარს უჭერს რუსეთს და შესაბამისად იდეალური კანდიდატია... ძნელია არ გიყვარდეს“.

შესაბამისად, რუსი პროპაგანდისტების გამოკვეთილი ფავორიტიც ლოიალურადაა განწყობილი ოფიციალურ მოსკოვთან და თვლის, რომ ნაციონალური ინტერესების არსებობის შემთხვევაში, საფრანგეთმა უნდა ითანამშრომლოს ნებისმიერ შესაძლო ძალებთან იქნება ეს „დემოკრატიული თუ არა“; როგორც „დე გოლი გაერთიანდა სტალინთან ნაციზმის დამარცხების მიზნით“. მარინი მოსკოვთან პარტნიორობის აუცილებლობას საფრანგეთის ენერგოუსაფრთხოებით ხსნის. „რუსი ერი ძალიან ძლიერი ერია, მათ საკუთარი არჩევანი გააკეთეს. იმის დამიუხედავად, მომწონს თუ არა ეს არჩევანი, არაფერი იცვლება. უნდა იყოს თუ არა რუსეთი მაგალითი საფრანგეთისთვის? არა. უნდა იყოს თუ არა რუსეთი საფრანგეთის მოკავშირე? კი. იგივე შემთხვევაა აშშ-სთანაც“, – განაცხადა მარინ ლე პენმა CNN-თან ინტერვიუში [3]. თუ მე გავხდები პრეზიდენტი, საფრანგეთს რუსეთთან კარგი ურთიერთობა ექნება“[4] – აღნიშნა საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა და ღიად გამოხატა მხარდაჭერა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიაზე 2017 წელს, როცა CNN-ზე ქრისტიანე ამანპურთან ინტერვიუში განაცხადა „უკრაინაში იყო სახელმწიფო გადატრიალება და არა ყირიმის ანექსია, „რუსეთი ყირიმში არ შეჭრილა. ყირიმი რუსეთის ტერიტორიის ნაწილია, ეს ყოველთვის ასე იყო. ყირიმის მოსახლეობა თავს რუსად თვლის. ხალხის უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ ისინი რუსეთს ეკუთვნიან. ასე, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით დემოკრატები მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ ეს გვაწყობს, ხოლო როცა არ გვაწყობს დემოკრატიის პრინციპებს უგულებელვყოფთ“ [5]. ულტრამემარჯვენე ეროვნული ფრონტის ლიდერი რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს სრულ სისულელეს უწოდებს, რომელმაც „ვერც ერთი პრობლემა ვერ მოაგვარა, ვერ გააუმჯობესა ევროკავშირის ქვეყნების მდგომარეობა. შედეგად მხოლოდ ეკონომიკური პრობლემები მივიღეთ“ [6]. ამიტომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში ის მაქსიმალურად სწრაფად მოუხსნის რუსეთს დაწესებული სანქციებს – განაცხადა მარინმა მოსკოვში უკანასკნელი ვიზიტისას. ამასთანავე, ცნობილი გახდა, რომ 2014 წელს ლე

პენის პარტიამ, „ეროვნულმა ფრონტმა“ ჩეხეთში რეგისტრირებული რუსული ბანკიდან ისესხა 9 მილიონი ევრო [7], რაც კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვებს იმის შესახებ, რომ ეს პოლიტიკური ძალა ირიბად რუსეთთან არის დაკავშირებული. რადიკალური მემარჯვენე პარტიების გარკვეული ძალები, კერძოდ, ევროსკეპტიკოსები, მაგ. „დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტია (UKIP)“, იტალიური მოძრაობა „ხუთი ვარსკვლავი“ და სხვა, ირიბად უჭერენ მხარს კრემლის პოლიტიკას. მათ შესაძლოა პირდაპირი კონტაქტები არ ქონდეთ რუსეთთან, მაგრამ ამ ძალების ევროსკეპტიციზმი და იდეოლოგიური დაპირისპირება ლიბერალიზმთან შედის რუსეთის ინტერესებში. მათ მიერ ლიბერალური მსოფლიო წესრიგისა და პრინციპების უარყოფა გლობალურ დონეზე რუსეთისთვის ხელფეხის გახსნასთან არის დაკავშირებული.

ევროპის რადიკალური მემარჯვენე პარტიების უმრავლესობას კი პირდაპირი იდეოლოგიური და პერსონალური კავშირები აქვს რუს ბიზნესმენებთან, პოლიტიკოსებთან და დიპლომატებსთან. კერძოდ, ავსტრიის ყველაზე პოპულარულ ულტრა-მემარჯვენე პარტიას „ავსტრიის თავისუფლების პარტიას“ (FPO) პირდაპირი კავშირები აქვს რუსეთის მმართველ პარტიასთან „ერთიანი რუსეთი“. 2016 წლის 19 აპრილს ავსტრიის თავისუფლების პარტიამ რუსეთის მმართველ პარტიასთან (ერთიანი რუსეთი) ხელი მოაწერა თანამშრომლობის ხუთწლიან შეთანხმებას. შეთანხმება ვენას და მოსკოვს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების, მეგობრობისა და ახალგაზრდა თაობების განათლების განმტკიცებას ისახავს მიზნად. პარტიას პირდაპირ კავშირი აქვთ ასევე მართლმადიდებელ ოლიგარქ კონსტანტინ მალოფეევთან, რომელიც ევროპაში ექსტრემისტულ ქსელებს აფინანსებს.

საბერძნეთის მემარჯვენე რადიკალურ პარტიას – „ოქროს განთიადს“ მჭიდრო კავშირები აქვს რუსეთის ნეო-ნაცისტურ ჯგუფთან „Русский Обра“, რომელსაც თავის მხრივ ფარული კავშირები აქვს რუსეთის საიდუმლო სამსახურებთან და პუტინის პოლიტკურ პარტიასთან „ერთიან რუსეთთან“. რუსეთის მთავარი იდეოლოგი, ალექსანდრ დუგინი „ოქროს განთიადს“ ღიად უჭერდა მხარს.

2017 წლის მარტში იტალიის ჩრდილოეთ ლიგის პარტიამ ხელი მოაწერა „თანამშრომლობის შეთანხმებას“ იმ დროისთვის რუსეთის დუმის სპიკერ სერგეი ჟელეზნიაკთან, რომელიც რუსეთის მმართველ პარტიას წარმოადგენს.

ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის მემარჯვენე რადიკალური ორგანიზაციებიდან რუსეთის ერთგვარ დასაყრდენს ევროპაში წარმოადგენს თავად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს, უნგრეთის პრეზიდენტი ვიქტორ ორბანი, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გულითადი მხარდამჭერი და პარტნიორი, რაც აისახა არამარტო პრეზიდენტის პოლიტიკურ რიტორიკაში, არამედ ისეთ სფეროებზეც, როგორიცაა ენერგეტიკული თანამშრომლობა სტრატეგიულ დონეზე, რომლის ნაწილიც არის რუსული ფულით 10 მილიარდიანი (ევრო) ატომური ელექტროსადგურის აშენება უნგრეთში (Paks II) და ბუნებრივ აირთან დაკავშირებული ის გრძელვადიანი კონტრაქტები, რომლებიც უნგრეთსა და რუსეთს აკავშირებს. გარდა ამისა, უნგრეთი ხელს უწყობს საკუთარ მოქალაქეებში რუსული კულტურის დამკვიდრებასაც, რაც გამოიხატება რუსული წერა-კითხვისა და კულტურის გამავრცელებელი ცენტრების გახსნაში ადგილობრივი უნივერსიტეტების ბაზებზე, ამასთანავე, უნგრეთის სახელმწიფოს მიერ 9 მილიონი დოლარის გამოყოფაში რუსული ეკლესიის რესტავრაციის მიზნით ქალაქ ჰევიცში. რუსეთის პოლიტიკის სტრატეგიის მიზანი ამ რეგიონში ასევე იმ სისუსტეების გამოყენებაა, რომლებიც ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპას მემკვიდრეობით მოსდევს: წარსული დაპირისპირებები საზღვრებისა და ტერიტორიების გამო, ნაციონალისტურ-სეცესიონისტური ტენდენციები, ერების სიძლიერის აღდგენის მომხიბვლელი შოვინისტური იდეოლოგიები. მაგალითად, უნგრეთის „65 საგრაფოს ახალგაზრდული მოძრაობა“ უნგრეთის საზღვრებს გასცდა და აცხადებდა, რომ უკრაინის კარპატები უკრაინის ტერიტორიას არ ეკუთვნოდა, ხოლო ყირიმის ანექსია უნგრეთს უკრაინის კარპატებისა და ტრანსილვანიის დაბრუნებაში დაეხმარებოდა [8].

3. რადიკალური მემარჯვენე პარტიების მიერ რუსეთის პოლიტიკის ლეგიტიმაცია. ერთია, რომ რადიკალური მემარჯვენე პარტიები თანამშრომლობენ რუსეთთან, მაგრამ გაცილებით საშიში (განსაკუთრებით კი ჩვენი ქვეყნისათვის) არის ის ფაქტი, რომ ეს ძალები ახდენენ რუსეთის პოლიტიკის ლეგიტიმაციასაც, კერძოდ,

- 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს უნგრეთის, სლოვაკეთისა და ბულგარეთის ნეო-ფაშისტურმა პარტიებმა რუსეთის საქართველოში ინტერვენციას მხარი დაუჭირეს.
- 2014 წელს დამოუკიდებლობის შესახებ ყირიმში ჩატარებულ რეფერენდუმს დაკვირვებლების სტატუსით ესწრებოდნენ შემდეგი

ულტრა-ნაციონალისტური პარტიები: ბულგარეთის ატაკა, ბელგიის ფლამანფური ინტერესი, იტალიის ჩრდილოეთის ლიგა, უნგრეთის იობიკი. მემარცხენე ფლანგიდან კი გერმანიის მემარცხენე პარტია, საბერძნეთის კომუნისტური პარტია და პოლონეთის მემარცხენე დემოკრატების ალიანსი.

• 2014 წლის მაისში ქალაქ ვენაში ალექსანდრ დუგინმა გამართა საიდუმლო შეხვედრა ევროპის ულტრა ნაციონალისტურ და ნეო-ფაშისტურ პოლიტიკურ პარტიებთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდა საფრანგეთის მემარცხენე პარტია სირიზა. დუგინის ინიციატივა იყო ევროპაში ანტილიბერალური განწყობების მობილიზების მიზნით რუსეთთან „საღვთო ალიანსის“ შექმნა, რომლის სახელიც 1815 წელს რუსეთის დომინირებით ჩამოყალიბებული ალიანსიდან მომდინარეობს, რომელიც ევროპაში დემოკრატიული სწრაფვების ჩახშობას ისახავდა მიზნად. ვენის შეხვედრას აფინანსებდა დასავლური სანქციების შავ სიაში შესული და პუტინთან დაახლოებული ბიზნესმენი კონსტანტინ მალოფეევი, რომელიც იმავდროულად აღმოსავლეთ უკრაინაში პრორუს სეპარატისეტებს აფინანსებს.

• იგივე პარტიები (მაგალითად, ავსტრიის თავისუფლების პარტია, საბერძნეთის ოქროს განთიადი) 2014 წელს ყირიმის ანექსიის გამო რუსეთზე დაკისრებულ სანქციებს ეწინააღმდეგებოდნენ; ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში უკანონო არჩევნებში სადამკვირვებლო მისიებში ასევე მონაწილეობდნენ პოლონეთის რადიკალური პარტიის „ზმიანას“ ლიდერი მათეუშ პისკორსკი, 2012-2014 წლებში მას კრემლი აფინანსებდა (პისკორსკი ამჟამად რუსეთის ჯაშუშობისთვის იხდის სასჯელს) და უნგრათის რადიკალური მემარჯვენე პარტიის „იობიკის“ წევრი და ევროპარლამენტარი ბელა კოვაჩი, რომელსაც ამჟამად ბრალად ედება რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობა. ბრალდება მოიცავს ფინანსურ თაღლითობასა და დოკუმენტების გაყალბებას, რამაც ევროპარლამენტის ინსტიტუტების ფინანსური ზიანი გამოიწვია.

• ჩეხეთის ულტრა-ნაციონალისტური პარტიის „თავისუფლება და პირდაპირი დემოკრატია“ დეპუტატები რუსეთის პოლიტიკის ლეგიტიმაციას სხვადასხვა მეთოდებით ახდენენ: ადგენენ დღის წესრიგს, რომ რუსეთი აგრესორი არ არის, რუსეთის გავლით მოგზაურობენ ანექსირებულ ყირიმში, პერიოდულად ატარებენ პრორუსულ კონფერენციებს.

4. რადიკალური მემარჯვენე პარტიების ექსტრემისტული დაჯგუფების მიერ პრორუსული და ანტიუკრაინული ძალადობრივი ორგანიზაციების ინსტრუმენტალიზება. მემარჯვენე პრორუსული ულტრა-ნაციონალისტური ძალები პოლიტიკურ დეკლარირებაზე უფრო შორს მიდიან და ქმნიან არაფორმალურ გასამხედროებულ დაჯგუფებებს, რომლებშიც განსაკუთრებული წარმატებით აღწევს კრემლი. იმის გამო, რომ ეს დაჯგუფებები მცირე ზომის და ადვილად მანიპულირებადები არიან, კრემლისთვის მათი მოსყიდვა და კონტროლი მარტივია.

უნგრულმა ორგანიზაციამ „პოლიტიკური კაპიტალი“ გამოაქვეყნა კვლევა „პრორუსი ექსტრემისტული ჯგუფების საქმიანობა ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპაში“, რომელიც ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ულტრა-მემარჯვენე პოპულისტური პარტიების, ექსტრემისტული ორგანიზაციებისა და გასამხედროებული დაჯგუფებების საქმიანობას ეხება. კვლევა ერთი წლის მანძილზე ევროპის ხუთ ქვეყანაში – ავსტრიაში, ჩეხეთში, უნგრეთში, პოლონეთსა და სლოვაკეთში ჩატარდა.

პრორუსული, ანტიუკრაინული რადიკალური და ექსტრემისტული ორგანიზაციები და მათი დესტაბილიზაციური ქმედებები

ქვეყანა	ორგანიზაცია	ქმედებები
ჩეხეთი	ნაციონალური დემოკრატია (National Democracy)/ნაციონალური სახალხო გვარდია (National Home Guard)	არალეგალური დონეცკის სახალხო რესპუბლიკის "საკონსულოს" დაარსება 2016 წელს.
უნგრეთი	მოძრაობა უკეთესი უნგრეთისთვის (Jobbik)	ევროკავშირის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციისთვის ჯამუშობა (გამოძიება დაინყო 2014 წელს)
უნგრეთი	Hidfo.ru პორტალი	უნგრეთის მთავრობა უკრაინისთვის T-72 ტანკების მიყიდვაში დაადანაშაულა. ეს ყალბი სიახლე 2014 წელს კრემლის პრეს რელიზშიც აისახა.
უნგრეთი	უნგრეთის ნაციონალური ფრონტი	სამხედრო წვრთნა Airsoft გრუ-ს წევრებთან ერთად[1]
სლოვაკეთი	სლოვაკეთის აღორძინების მოძრაობა (Slovak Revival Movement)	პარტნიორობა "სახალხო ასამბლეასთან"[2], სეპარატისტი მებრძოლების რეკრუტირება 2014 წელს.
პოლონეთი	Zmiana/ ახალ მემარჯვენეთა კონგრესი (Congress of the New Right"	დასავლეთ უკრაინაში მეორე მსოფლიო ომის ძეგლების მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული 2014 წელს.
ავსტრია	იდენტობის მოძრაობა (Identitarian Movement)	ლტოლვილთა საწინააღმდეგო პროტესტები, რომლებიც ალექსანდრ დუგინის იდეოლოგიითაა ინსპირირებული.

1 Airsoft თამაშია ცეცხლსასროლი იარაღის მოდელებით. ამ იარაღების გამოყენებით სამხედრო დანაყოფების ტაქტიკური მომზადებაც არის შესაძლებელი.

2 მართლმადიდებელ-პატრიოტული ორგანიზაცია, რომლის მიზნებიც „ლიბერასტებთან“ და დასავლურ ღირებულებებთან ბრძოლა, მართლმადიდებლობის მხარდაჭერა და ტრადიციული ოჯახური ღირებულებების შენარჩუნებაა [9].

დასკვნა. ამგვარად, ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთაშორისო წესრიგის თანამედროვე განზომილებაში რადიკალური მემარჯვენე პოლიტიკური ძალების გააქტიურება ევროპაში საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას იქცევს. ამ ძალების ევროსკეპტიციზმი და ანტიამერიკანიზმი ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის კრემლის მცდელობებს, რომ არა მხოლოდ ირიბად მოახდინოს გავლენა ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ პროცესებზე, არამედ მოახდინოს ძალადობრივი ორგანიზაციების ინსტრუმენტალიზება.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს რადიკალური მემარჯვენე პარტიების ნაწილის შეხედულებების ტრანსფორმაციის დინამიკა. მიუხედავად იმისა, რომ, რადიკალური მემარჯვენე პოლიტიკური პარტიები ერთმნიშვნელად ლიბერალურთან შედარებით უფრო მოწყვლადნი არიან ავტორიტარიზმის წინაშე, რადიკალიზმსა და პოპულისტურ ნაციონალიზმს, დემოკრატიული ინსტიტუციებისა და ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის დემოკრატიული განვითარებისთვის საჭირო დაბალანსების და კონტროლის მექანიზმების მყარი არსებობის შემთხვევაში, ავტორიტარული გადახრების წინააღმდეგ იმუნიტეტი აქვს, რაც დასტურდება რამოდენიმე ქეისის შემთხვევაში დასავლეთ ევროპის მაგალითზე. აქ ევროპარლამენტში გამარჯვების შემდეგ, ხალხის ზეწოლის შედეგად მოხდა გარკვეული რადიკალური ძალების მიერ ფუნდამენტური შეხედულებების ტრანსფორმაცია და მათ დაიწყეს საუბარი არა ევროპული იდეის უარყოფაზე, არამედ მხოლოდ მათთვის მიუღებელი იდეებისა და ლიბერალური პრინციპების იდეოლოგიურ გადასინჯვზე, თუმცა, სამწუხაროდ, არ გადაუხედიათ დამოკიდებულებებისათვის რუსეთის მიმართ, რაც ამ ძალების კიდევ უფრო გააქტიურების შემთხვევაში სერიოზული გამოწვევა შეიძლება გახდეს საქართველოს სამომავლო განვითარების ევროპული პერსპექტივისათვის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ლ. ლორთქიფანიძე, რადიკალური მემარჯვენე პარტიების განვითარების ძირითადი ტენდენციები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (2010-იანი წლების მაგალითზე), 2018. file:///C:/Users/User/Downloads/93-438-1-PB.pdf).
2. EU ASSOCIATION AGREEMENT, http://eugeorgia.info/ru/latestarticle/348/ruseti-ertaderti-qveyanaa-romelic-safrangetshi-sapreziden-

to-archevnebze-gavlenis-moxdenas-cdilobs/.
3. მ. ტაბატაძე, რატომ უნდა ადარდებდეს საქართველოს მარი ლე პენი. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2017, http//gip.ge/ge/.
4. http://www.tabula.ge/ge/story/114654.
5. http://www.tabula.ge/ge/story/118645-le-peni-ruseti-kirimshi-ar-shechrila-kirimi-koveltvis-rusetis-natsili-iko.
6. http://www.tabula.ge/ge/story/118645-le-peni-ruseti-kirimshi-ar-shechrila-kirimi-koveltvis-rusetis-natsili-iko,
7. http://eugeorgia.info/ru/latestarticle/348/ruseti-ertaderti-qveyanaa-ro-melic-safrangetshi-saprezidento-archevnebze-gavlenis-moxdenas-cdi-lobs/.
8. ს. გელავა, მითების დეტექტორი, თბილისი, 2018. https://www.mythdetector.ge/ka/myth/obiektivis-camqvanis-mtkitsebit-neo-pash-istebs-ara-ruseti-aramed-ashsh-akhalisebs.
9. https://www.mythdetector.ge/ka/research/sidzulvilit-rusetidan-kvle-va-pro-rusi-ekstremistuli-jgupebis-sakmianobaze-tsentralur.

Giorgi Chkhikvishvili
Associate Professor, Georgian Technical University

Modern Challenges of European Radical Right-Wing Parties

Summary

The article "Modern Challenges of European Radical Right-Wing Parties" discusses and analyzes challenges derived from activated radical right-wing parties in modern Europe. Special attention is paid to those dangers which are directly related to the shaking of the rules of thinking and arrangement that was prevailed in the developed world and which are called the liberal world order; Likewise, a causal link is shown between the tendency to activate radical right-wing forces and the alignment of Russia's interests.

ალექსანდრე მოსიაშვილი

ისტორიის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესია-მონასტრებისადმი საქართველოში

ქართული ეკლესიის და მისი მსახურების თუ მრევლის მიმართ XIX საუკუნეში არსებულ რუსულ იმპერიულ დამოკიდებულებაზე ბევრჯერ ხმამაღლა თქმულა და დაწერილა. რაც შეეხება საბჭოური ხელისუფლების ათეისტურ-ბარბაროსულ-მზაკვრულ მიდგომებს, არც ის არის უცხო ფართო საზოგადოებისათვის [1], მაგრამ თითოეული ტაძრის დანგრევა-განადგურების ისტორიის მოძიებაც ერთგვარად გვავალდებულებს მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საკითხით დაინტერესებული პირებისათვის. ჩვენ დღეს შეიძლება გავიხსენოთ ზოგიერთი ტაძრის განადგურების მცდელობის მომენტები და ასევე, ახლად მოძიებული, ამ დროისათვის ნაკლებად ცნობილი ეკლესიების დანგრევის ისტორიებიც. ამ საქმეში მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევენ არსებული ფოტო თუ ბეჭდური მასალები და საარქივო საცავებში შემონახული დოკუმენტები. უშუალოდ ფოტოსურათებზე მუშაობისას შედეგის მისაღებად საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა კომპიუტერის გამოყენებით ტექნიკური სამუშაოების შესრულება – სურათის გადიდება, კოპირება, ამოჭრა, ჩასმა და სხვა.

ბოლო პერიოდში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ აქტიურად ქვეყნდებოდა ინტერნეტსივრცეში ძველი თელავის ფოტოსურათები. ზოგიერთმა მათგანმა განსაკუთრებით, იმთავითვე მიიქცია ჩემი ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე არასოდეს მიმუშავია ასეთ საკითხებზე, ამჯერად ერთგვარ აზარტადაც კი მექცა წარმოდგენილ ფოტოებზე ასახული ზოგიერთი შენობა-ნაგებობის თუ ტაძრის ამჟამინდელი მდგომარეობის გარკვევა. მათ შორის, როგორც შემდგომში გაირკვა, ზოგიერთი მათგანი დღეს საერთოდ აღარ არსებობს. მათი გაქრობის მიზეზების დადგენას კი

შემდეგნაირად შევეცადე: მაგალითად, ერთ ფოტოსურათზე (იხ. №1 ფოტოსურათი), რომელიც ქ. თელავში ვახვახიშვილების გორიდან იყო გადაღებული, მოჩანდა მეფე ერეკლე მეორის სასახლის გალავნის სამხრეთი ნაწილი სიგრძეზე, მიმართულებით აღმოსავლეთიდან დასავლეთით. სწორედ აღნიშნული გალავნის სამხრეთ-დასავლეთის კუთხის მიღმა, ძალიან ახლოს მდებარე ეკლესიის ფრაგმენტი ფიქსირდებოდა თავისი გუმბათით. იმ ადგილას, ამჟამად ერთგვარი პატარა სკვერია მოწყობილი. ამ ეკლესიის შესახებ არასდროს არაფერი მსმენოდა და ამან გამოიწვია სწორედ – საკითხით ჩემი დაინტერესება. მისი არსებობის შესახებ ვცდილობდი ინფორმაციის მოპოვებას, როგორც თელაველი ისტორიკოსებისაგან, ასევე ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებისა და ასაკოვანი ადამიანებისგან, მაგრამ ამაოდ. პასუხი ძირითადად იყო შემდეგი: ეს ფრაგმენტი ან თელავის ღვთისმშობლის ტაძრის იქნება, ან ღვთაების ეკლესიისო. ასეთი პასუხი ჩემ ინტერესს ვერ აკმაყოფილებდა, რადგან ხსენებული ტაძრებიდან ღვთისმშობლის ეკლესია თავისი სიმაღლიდან გამომდინარე შესაძლებელი იყო გამოჩენილიყო გადაღების ადგილიდან, მაგრამ ის ამ მიმართულების გასწვრივ ვერანაირად ვერ მოხვდებოდა ერთი მარტივი მიზეზის გამო – ის მდებარეობს ოდნავ უფრო სამხრეთ დასავლეთით (ვგულისხმობ ამავე მიმართულებიდან – ა. მ.), ანუ ამ შემთხვევაში ოდნავ მარცხნივ და სასახლის გალავნის ამ ნაწილის გაყოლებაზე ის ვერ დაფიქსირდებოდა. ოდნავ მოგვიანებით სხვა ძველ, ოდნავ დაზიანებულ სურათზე, მისი გადიდების შედეგად, შევძელი აღმოჩენა ღვთისმშობლის ეკლესიის გუმბათისა, იგივე მიმართულებიდან გადაღებულ ფონზე (იხ. №3 ფოტოსურათი) და საბოლოოდ გამოვრიცხე ხსენებული ვერსია.

ახლა დავუბრუნდეთ №1 ფოტოზე ნაჩვენებ ეკლესიას. მისი არსებობის დასადგენად დამეხმარა კიდევ ერთი ძველი ფოტო (იხ. №2 ფოტოსურათი), რომელზეც იგი ჩანს საგლეხო რეფორმის პირობებში 1864 წლის მანიფესტის გამოცხადების მომენტი თელავში. მიუხედავად იმისა, რომ ეს სურათი ჯერ კიდევ „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“-ს V ტომში [2] იყო გამოქვეყნებული, არც ამ ფოტოზე ასახული ეკლესიის არსებობა-მდებარეობის შესახებ იცოდა ვინმემ რაიმე. სწორედ ხსენებული ორი ფოტოსურათის (იხ. №1 და 2 ფოტოსურათები) ერთმანეთთან დაკავშირება შევძელი, გარკვეული დაკვირვების წარმოების შედეგად და იქვე ასახული სხვა შენობა-ნაგებობები ერთმანეთს აბსოლუტური სიზუსტით დავამთხვიე. სა-

ბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ხსენებული ეკლესია ნამდვილად მდებარეობდა ერთ დროს, ჩემ მიერ ზემოთ აღწერილ ადგილას, ანუ ქ. თელავის ცენტრში, დღევანდელ ერეკლე მეორის მოედანზე, სასახლის გალავნის კუთხესა და ამჟამად არსებულ ხუთსართულიან საცხოვრებელ კორპუსს შორის.

რაც შეეხება ღვთაების ეკლესიას, მისი ხსენებულ ადგილას გამოჩენაც შეუძლებელი იყო, რადგან ის ყორჩიბაშიშვილების გორაზე მდებარეობს და ამავე მიმართულებიდან უფრო შემაღლებულ ადგილას, რის გამოც ფოტოზე ოდნავ მარჯვნივ უნდა გამოჩენილიყო, ვიდრე გალავნის ბოლოს მკაფიოდ გამოკვეთილი ნაწილი ეკლესიისა. კიდევ ერთ ფოტოსურათზე დაკვირვებამ მომცა აღნიშნული ვერსიის აბსურდულობის დადასტურების საფუძველი (იხ. №4 ფოტოსურათი). ამის შემდეგ ჯერი მიდგა სათანადო საარქივო მასალების მოძიებაზე.

სამწუხაროდ, კახეთის რეგიონულ არქივში შესაბამისი დოკუმენტები ვერ მოიძებნა და თელავის ისტორიულ მუზეუმს იგივე განზრახვით ვესტუმრე. ვერ ვიტყვი, რომ აქ ძალიან ბევრი ინფორმაციის მოპოვება შევძელი, მაგრამ მაინც გამიმართლა იმ მხრივ, რომ მუზეუმის საარქივო საცავში დაცულ გიორგი მელითაურის საარქივო მასალებში, სადაც თელავის ქუჩების ისტორიებია აღწერილი, აღმოვაჩინე ხსენებული ეკლესიის დანგრევის ისტორია. უნდა ითქვას, რომ ჩემი ვარაუდი გამართლდა – მისი დანგრევა XX საუკუნის 20-იანი წლების საბჭოთა ხელისუფლების „შემოქმედება“ აღმოჩნდა. რაც შეეხება გიორგი მელითაურს იგი თელავის საზოგადოებისათვის საბჭოთა პერიოდის ცნობილი პიროვნება გახლდათ. ის ძირითადად განათლების დარგს ემსახურებოდა და სხვადასხვა დროს გარკვეულ საპასუხიმგებლო თანამდებობასაც იკავებდა. სწორედ მისგან მოწვდილი მასალები არ იწვევს ეჭვს, რადგან ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერ ადამიანთან გვაქვს საქმე. გიორგი მელითაურის არქივში სხვაც ბევრი მასალაა დაცული თელავის და თელავის რაიონის ისტორიისთვის, რომლებიც ძირითადად რეალურ ფაქტებსა თუ მონაცემებს ასახავენ და სანდოობით გამოირჩევიან. მასალის ავტორი ასე გადმოგვცემს მისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას მომხდარის შესახებ: „ძალიან უკარგავდა ხედს უადგილო ადგილას აშენებული ეკლესია. დასავლეთის მხარეს, ზედ ბურჯზე მიდგმული იყო ეკლესია. იგი აშენებული იყო მეცხრამეტე საუკუნეში, სასახლის დასავლეთის მხრიდან. ქალაქის ხმოსნები ვაჭრები და მემამულენი იყვნენ, რადგან არსებული კანონით ცენზი მათ ჰქონდათ. ქალაქის მესვეურნიც ისინი იყვნენ.

რა საჭირო იყო აქ კიდევ ერთი ეკლესია, როცა იქ სადაც ეხლა კინოთეატრია იყო ეკლესია. ამ ეკლესიის მონგრევა ქალაქის საბჭომ დაადგინა 1924 თუ 1925 წელს. თელავში მყოფ სამხედრო ნაწილის ვალმოხდილმა ორმა ჯარისკაცმა, რუსებმა, იკისრეს ორას მანეთად ეკლესიის დანგრევა. ყველაფერი მშვიდათ ჩაივლიდა, კომგანის ტექნიკს რომ შეცდომა არ მოსვლოდა. მან სამრეკლოს სვეტების ხელით მონგრევა ვერ გამოიანგარიშა კარგად. სამი ისეთი სვეტი დასტოვა, რომ სიმძიმის ცენტრი მათ შუა არ გადიოდა. მან მაინც თავისი გაიტანა და მეოთხე სვეტი ხელით მოანგრევინა... და მაშინ მოხდა უბედურება, როგორც კი მეოთხე ბურჯი გამოეცალა მაშინვე ჩამოწვა გუმბათი და ეს ორი ადამიანი ქვეშ მოიყოლა, თუმცა ერთმა გადმოხტომა მოასწრო, მაგრამ ნანგრევების ნატეხით გარდაიცვალა.

ტექნიკ ჟარსკის უვიცობამ იმსხვერპლა ორი ვაჟკაცი.

მეოთხე სვეტისათვის, რომ მოებათ თოკი და გაეწევინებინათ საქონლისათვის, გუმბათი მოინგრეოდა და ტრაგედია აცილებული იქნებოდა. ჟარსკიმ უცოდინარ და მორწმუნე ხალხს მისცა საბაბი ეთქვათ – ცოდომ უწიაო“ [4].



სურათი 1.

სურათი 2.



სურათი 3.



სურათი 4.

აღნიშნულ ეკლესიასთან დაკავშირებით თელავის ისტორიული მუზეუმის არქივში გასული საუკუნის თელავის მაცხოვრებელთა ჩანაწერებიც აღმოჩნდა. მათი ნაწილი დანგრეულ ეკლესიას წმინდა გიორგის სახელზე აშენებულ სომხების ეკლესიად იხსენიებს და აღწერს, როგორც „თელავის ეკლესიებს შორის ყველაზე დიდს, ფართე ეზოთი, როგორც ულამაზეს ტაძარს, ორნამენტებით მოჩუქურთმებულს, ულამაზესი ფრესკებით, სადაც გამუდმებული წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა“ [5]. ნაწილი კი მას „თელეთის“ ეკლესიად ასახელებს. მისი დანგრევის თარიღად 1922-დან 1925 წლამდე პერიოდს ასახელებენ და მათივე გადმოცემის მიხედვით, მის დასანგრევად იძულებით გამოყვანილ კომკავშირლებსა და ჯარის ნაწილზე საუბრობენ, რის შემდეგაც გიორგი მელითაურის მიერ გადმოცემულ ტრაგედიას იმეორებენ. დაბოლოს, იხსენებენ თუ როგორ იმართებოდა ხოლმე ნატაძრალ ადგილას ცირკი.

ტაძარი სომხურ-გრიგორიანული იყო თუ ქრისტიანულ-მართლმადიდებლური მოცემული ფოტოსურათებიდან ამის დადგენა ჭირს და ალბათ მისი საძირკვლის კვლევა უფრო დაგვეხმარებოდა ამ საკითხის გარკვევაში. მაგრამ ამჯერად ის ჩემი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს.

„რა საჭირო იყო აქ კიდევ ერთი ეკლესია, როცა იქ სადაც ეხლა კინოთეატრია იყო ეკლესია?“ – ვკითხულობთ მოძიებული მასალის მიხედვით და თელავში ახლაც მონიშნულია ადგილი, სადაც ასევე, ნამდვილად ყოფილა სხვა ეკლესია და როგორც ჩანს ისიც XX საუკუნის 20-იანი წლების ნგრევებს შეეწირა. მისი მდებარეობა, როგორც გიორგი მელითაურიც გვიდასტურებს სასახლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან ყოფილა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გავრცელებული ფოტოსურათებით დასტურდება კიდევ რამდენიმე ეკლესიის არსებობაც თელავში, რომლებიც ასევე დანგრეულია სავარაუდოდ იმავე პერიოდში, მაგრამ ამჯერად თელავიდან გადავინაცვლოთ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ.

საბჭოურ ეპოქაში სერიოზულ შეშფოფებას იწვევდა ქართულ საზოგადოებაში ჰესების მშენებლობის საკითხი – ხშირ შემთხვევაში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების, ნიშების და სალოცავების დანგრევა-დაზიანების თუ მათი წყლით დაფარვის ხარჯზე. ერთ-ერთი ფხიზელი მოდარაჯე ქართული სიწმინდეების იმ დროისათვის ცნობილი დისიდენტი, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი და შემდგომში საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო. იგი მიუხედავად არსებული რეჟიმის სისასტიკისა, მაინც ბედავდა და იმაღლებდა ხმას ასეთი ქმედებების წინააღმდეგ და კარგად ხედავდა რა, არსებული საკითხისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებას, მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ცდილობდა საზოგადოების დარაზმვას, მსგავსი ქმედებების შესაჩერებლად. თვით გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს გალაკტიონ ტაბიძეს ცნობილ ლექსში – „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ – ბოლო სტროფში გადმოცემულ სტრიქონებს:

„შენ, ფრთამოღუღუნეს
ჟამთა სიმაღლეზე,
ჩვენი საუკუნე
გიცავს, უახლესი:
მძლავრი ხელოვნება,
ხალხის ხელოვნება –
ბრწყინავს საქართველოს
ქებად ნიკორწმინდა!“ [7]

ზვიად გამსახურდიამ თავისი ასევე, შესანიშნავი ლექსით –

„საუკუნე უახლესი“ უპასუხა:

„ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით
სურთ საქართველოს აუგონ წესი.
ჩვენს ბრგე ციხეებს, ტანკენარ ტაძრებს
ეს საუკუნე სპობს უახლესი.
მალე გვექნება მინაძე-ჰესი.
დაშლის ვარძიას, ზარზმას და ხერთვისს
გმინვა-გოდება ჯავახის, მესხის
აბობოქრებულ ტალღებს შეერთვის...
ამ ხუდონ-ჰესით, ნამოხვანჰესით
სვანეთს და ლეჩხუმს სურთ დასცენ მეხი,
რომ სამუდამოდ ჩვენს მთიანეთში
ამოუკვეთონ ქართველ კაცს ფეხი.
ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით
სურთ საქართველოს აუგონ წესი.
თან გვარწმუნებენ: იცავსო ძეგლებს
ეს საუკუნე უდიადესი!“ [3]

თვით გალაკტიონ ტაბიძისგან იმჟამინდელი ხელისუფლების პოლიტიკის მხარდაჭერა, განსაკუთრებით ხსენებულ საკითხში, წარმოუდგენლად მიმაჩნია. ასევე წარმოუდგენელია ზვიად გამსახურდიას მხრიდან გალაკტიონ ტაბიძისადმი უპატივცემულობის გამოხატვა, მაგრამ ფაქტია, რომ მან გენიალური პოეტის მიმართ პოეზიითვე გაცემული ერთგვარი პასუხით კვლავ საზოგადოების გამოფხიზლება სცადა. გალაკტიონის სტრიქონები:

„შენ, ფრთამოღუღუნეს
ჟამთა სიმაღლეზე,
ჩვენი საუკუნე
გიცავს, უახლესი“... და პასუხი:
„ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით
სურთ საქართველოს აუგონ წესი.
თან გვარწმუნებენ: იცავსო ძეგლებს
ეს საუკუნე უდიადესი!“

ვფიქრობ აქ ყველაფერი გასაგებად არის ნათქვამი.

დისიდენტური თვითგამოცემები, მაგალითად „საქართველოს მოამბე“, თავის შესაძლებლობის ფარგლებში ოპერატიულად აქვეყნებდა ინფორმაციებს ქართული რელიგიური სიწმინდეების სავალალო მდგომარეობის შესახებ. მათ შორის არის პუბლიკაცია სათა-

ურით: „არტილერია ანადგურებს ფრესკებს“, სადაც გაშუქებულია ბარბაროსული ფაქტები დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით. „დავით გარეჯის მრავალმთის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსებისა და კედლის მხატვრობის მრავალრიცხოვანი ნიმუშის დაცულობა საგრძნობლად გაუარესდა მას აქეთ, რაც ყარაიას ველზე სამხედრო პოლიგონმა დაიწყო მოქმედება.

პოლიგონის ასაფეთქებელი მოედნები უშუალოდ ეკვრიან ბერთუბნის, უდაბნოსა და ნათლისმცემლის მონასტრებს, რომელთა საფასადო მხარე პოლიგონისკენ არის მიმართული და აფეთქებისაგან გამოწვეული მძლავრი ტალღები დაუბრკოლებლად აღწევენ სამონასტრო კომპლექსების მრავალრივხოვან ღიადებში. გარდა ამისა, ხშირად ალბათ უნებლიედ, ეს მონასტრები ყუმბარების სამიზნე ობიექტებიც გამხდარან“. ასეთი სახის ბეჭდურ მასალას სხვებსაც ვხვდებით აღნიშნულ გამოცემაში და ისინი ეკუთვნით ძირითადად კომპეტენტურ პირებს და წარმოადგენენ მიმართვის ფორმებს შესაბამისი უწყებებისადმი, რათა მათ უზრუნველეყოთ უნიკალური სამონასტრო კომპლექსის გადარჩენა ერთმორწმუნე უფროსი ძმის მსახვრალი ხელისაგან. ამავე გამოცემაში ჩვენ ვკითხულობთ: „წითელწყაროს რაიონში (ამჟამად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი – ა. მ.) კოლმეურნეობამ საწყობებად აქცია 3 ძველი ეკლესია, ქარელის რაიონში 5 ძეგლია გადაკეთებული საწყობებად და წისქვილებად. გურჯაანის რაიონის სოფელ ჭერემში IX-XI საუკუნის ძეგლი ბოსლადაა ქცეული, სოფელ ზემო მაჩხაანში კი (წითელწყაროს რაიონი), ძველი ეკლესია „არპათიონი“ გადაქცეულია ყველის სათავსოდ. სოფელ მჭადიჯვარში (დუშეთის რაიონი) XVII საუკუნის წარწერებიანი ეკლესია, სადაც ფრესკებიც არის, გადაქცეულია სკოლის საწყობად“ [6]. ვფიქრობ, ეს ჩამონათვალი კომენტარს აღარ საჭიროებს.

ამრიგად, ზემოხსენებულ საკითხებზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება. ასევე, ბევრის მოძიებაც იქნება ალბათ მომავალში შესაძლებელი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთი იდეოლოგიის შესაბამისად ჩამოყალიბებულები იყვნენ ათეისტებად და მომდევნო თაობებსაც ამავე სულისკვეთებით ზრდიდნენ. აქ, ხსენებული უფლის სახლების დანგრევა-განადგურების თუ სხვა მიზნებისთვის გამოყენების ფაქტები მხოლოდ მცირე ჩამონათვალია არსებულ მრავალთა შორის, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის აღდგენა-რესტავრირება ჯერაც ვერ ხერხდება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ზ. აბაშიძე, მ. ბახტაძე, ო. ჯანელიძე, საქართველო და ქართველები, თბილისი, 2013.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი V, თბილისი, 1970.
3. ზ. გამსახურდია, მთვარის ნიშნობა, თბილისი, 1999.
4. თელავის ისტორიული მუზეუმი, ფონდი საინვენტარო № 80-93.
5. თელავის ისტორიული მუზეუმი, ფონდი საინვენტარო № 80-94.
6. საქართველოს მოამბე, № 1, 1976.
7. გ. ტაბიძე, რჩეული, თბილისი, 1973.

Aleksandre Mosiashvili

Doctor of History, Iakob Gogebasvili Telavi State University, Associate Proffesor at the Faculty of Humanities

The Attitude of the Soviet Authorities Towards Churches and Monasteries in Georgia

Summary

Beginning in the 1920s, representatives of the Soviet government, based on their own ideology, were imbued with an atheistic spirit and enthusiastically demolished and rebuilt churches and monasteries.The existing or newly discovered materials also indicate the unheard of actions committed by them, according to which excellent architectural monuments were damaged and destroyed, unique works of art were destroyed, sacred shrines were used for completely unacceptable purposes and others. In some cases, the lives of people were sacrificed in these processes.

არქიმანდრიტი მიქაელ ეჯიბიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია

საბერძნეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა საბერძნეთის კონსტიტუციის მიხედვით

შესავალი. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაშრომი გახლავთ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა საბერძნეთის რესპუბლიკის 1975 წლის კონსტიტუციის მიხედვით. დასაწყისისათვის, განვსაზღვრავთ რა შემდეგი ტერმინების: სახელმწიფოსა და ეკლესის მნიშვნელობებს, შეძლებისდაგვარად განვიხილავთ ამ ორი უდიდესი ინსტიტუტის ურთიერთობას საუკუნეთა განმავლობაში რომაული ეპოქიდან დაწყებული და 1975 წლის საბერძნეთის კონსტიტუციით დამთავრებული, რაც აღნიშნული რესპუბლიკისა და მის ტერიტორიაზე არსებული საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობას დღემდე განსაზღვრავს. დასასრულისათვის, განვიხილავთ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ძირითად პრინციპებს და მათ შედარებებს ამავე სახის სისტემებთან, რომლებიც დღევანდელ დასავლურ სამყაროში არსებობენ, რათა ჩვენი თემის ირგვლივ არსებულ მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას.

წარმოდგენილ საკითხს, რომელიც ბერძნულ სამყაროს, ჩვენს შემთხვევაში კი საბერძნეთის რესპუბლიკას მართლმადიდებელ ეკლესიასთან აკავშირებს, უდიდესი ისტორიული და საკანონმდებლო საფუძველი გააჩნია. ორივე მხარის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ძალაუფლება, ხოლო მოღვაწეობის არეალს კი საჯარო სივრცე. იმ მომენტიდან, როდესაც საეკლესიო და საერო ძალაუფლების ერთიანობა ირღვევა, ანუ ხორციელდება ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან კონსტიტუციური შეთანხმების ან ზოგადად კონსტიტუციის შესაბამისად, მათი მოქმედების სფერო და არეალი იცვლება და ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხდება. ამისათვის მიზეზები საკმაოდ ბევრი და მრავალფეროვანია: პირველი, ორ დიდი ძალაუფლების მქონე ინსტიტუტს შორის განსხვავებას მათი მიზნები წარმოადგენს. სახელმწიფოს საფუძვლად უდევს ერის,

ხალხისაგან მიღებული სუვერენიტეტი, მაშინ როცა რელიგია დაფუძნებულია საღვთო განცხადების ჭეშმარიტებაზე. ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს საღვთისმეტყველო და სახელმწიფოებრივი, ძირითადად სამეცნიერო ხედვები სამყაროს, სიცოცხლის საწყისის, ადამიანის განვითარებისა და გარდაცვალების შესახებ.

მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხი გახლავთ სახელმწიფოსა და ეკლესიის მიზნებისა და მოქმედების სფეროებს შორის სხვაობა. ყოველი რელიგიის მიზანს წარმოადგენს მორწმუნეთა რაოდენობის შენარჩუნება, მათი რაოდენობის ზრდა, ქრისტიანული ჭეშმარიტების სწავლება, ისევე როგორც ქრისტიანული დოგმატების დაცვა. ხოლო თანამედროვე სახელწიფოს მიზანს წარმოადგენს მოქალაქეთა რელიგიისა და სინდისის თავისუფლება, რა თქმა უნდა, ტოლერანტობასთან ერთად, რაც მრავალი ევროპული საზოგადოების მიერაა ნაკარნახევი [4, 34].

ტერმინების – „სახელმწიფო“ და „ეკლესია“ კონცეპტუალური განმარტება. ჯერ კიდევ უძველეს დროს, ტერმინი „სახელმწიფო“ განსაზღვრავდა კანონთა სიმრავლეს პოლიტიკური ან ქალაქური ცხოვრების დაარსებისათვის. ამასთანავე აღნიშნული ტერმინით გადმოიცემოდა ამ ქალაქ-სახელმწიფოებში ცხოვრებისა და მოღვაწეობის წესი.

დღეს ტერმინით „სახელმწიფო“ იწოდება საზოგადოებისა და კანონის კავშირი. საუბარია ისეთი ძალაუფლების შესახებ, რომელიც ჩამოყალიბებულია იმ ხალხისა და იმ სახელმწიფოს ნიშან-თვისებების შესაბამისად, რომელშიც ეს ხალხი ცხოვრობს და თანხვედრია სახელმწიფოსი, რომელიც თავისი კონკრეტული, ვიწრო გაგებით არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და შედგება კონსტიტუციისა და სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობისაგან.

აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესია, მისივე სწავლებით, არის ღვთივდაარსებული ორგანიზაცია და საღვთო გამოცხადებისმიერი რელიგია. საბერძნეთის რესპუბლიკაში მოქმედი კონსტიტუციის მე-3 მუხლის შესაბამისად, რომელიც მართლმადიდებლობას განსაზღვრავს, როგორც სახელმწიფოს უპირატეს, დომინანტ რელიგიას, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა საჯარო სამართლის პრინციპების მიხედვით განისაზღვრება. იმავე კონსტიტუციის მე-13 მუხლით განისაზღვრება რელიგიის თავისუფლება, მაშინ როცა მუხლი 72, §1 ხმამაღლა აცხადებს საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების აღიარების შესახებ. ამის პარალელუ-

რად, მუხლი 3 საბერძნეთის მართლმადიდებელ ეკლესიას თვითმართველობის უფლებას ანიჭებს [12].

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სისტემები

1. **იეროკრატია ანუ პაპოცეზარიზმი** – აღნიშნული სისტემა პირველად დასავლეთში გამოჩნდა და თავისი განვითარება XI-XIV სს. ჰპოვა, რაც რომის ეკლესიის მეთაურის, რომის პაპის ხელში საეკლესიო და საერო ძალაუფლების შერწყმაში გამოიხატა. ამ სისტემის თეორიული მომხრე გახლდათ ნეტარი ავგუსტინე, რომელმაც თავის ნაშრომში **De civitate dei** („ღვთის ქალაქის შესახებ"), მკვეთრად გამოხატა საკუთარი დამოკიდებულებანი ამ საკითხის ირგვლივ. პაპოცეზარიზმის უმკაცრესი ფორმები გამოყენებული იყო რომის პაპის გრიგორი VII-ის მიერ, რომელიც მხარს უჭერდა რა ეკლესიის სულიერი ძალაუფლების აღმატებულობას, ცდილობდა ყოველმხრივ დაემორჩილებინა ყოველი სახის საერო ძალაუფლება. ისევე როგორც პაპი ბონიფანტე VIII, თავისი ცნობილი ბულით **Unam Sanctam**, რომელიც მან 1302 წ. გამოსცა და რომელშიც მოცემულია სწავლება რომის ეკლესიის მეთაურისათვის ორი მახვილის მინიჭების შესახებ. ორი მახვილი განასახიერებს ორ ძალაუფლებას. მატერიალური ანუ ხილული მახვილი პაპს ენიჭება როგორც სახელმწიფო ძალაუფლების სიმბოლო. თუმცა ამ მახვილს იგი პირადად არ იყენებს, არამედ მხოლოდ ეკლესიის დასაცავად. მეორე, უხილავი მახვილი, რომის პაპის, როგორც დედამიწაზე იესო ქრისტეს მოადგილის მახვილს წარმოადგენს. აღნიშნულმა სწავლებამ ვატიკანის 1869 წ. კრებაზე დოგმატის მნიშვნელობა მიიღო.

2. **პოლიტიოკრატია** – იეროკრატიის საპირისპიროდ ხასიათდება როგორც საეკლესიო, ისე საერო ძალაუფლების თავმოყრით საერო ძალაუფლებაში, რომელიც **ცეზაროპაპიზმის** სახელით არის ცნობილი. ამ სისტემას მიეკუთვნება ასევე **აბსოლუტიზმი** და ე. წ. **Territorialismus,** რომელთა გავრცელების არეალი ძირითადად რომაულ-კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი ევროპული სახელმწიფოები გახლდათ.

ა) **ცეზაროპაპიზმი** – სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ეს ფორმა ევროპაში XIV-XVI სს. ჩამოყალიბდა, როდესაც სახელმწიფოს მეთაური იმავდროულად ეკლესიის მეთაურის ფუნქციასაც ასრულებდა. სისტემის დამახასიათებელი ნიშან-თვისება გახ-

ლდათ სწავლება, რომ ღმერთი მთელს ძალაუფლებას საერო მმართველს აძლევს. ამ სწავლების სულისჩამდგმელებად ითვლებიან დანტე, თავის ნაშრომში De monarchia, და მარსელიოსი ნაშრომში Padova Defensor pacis.

ბ) **Territorialismus -**ი, ანუ პერიფერიული სისტემა, ცეზაროპაპიზმის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოს ეკლესიასთან აიგივებს. ამ სისტემის დამახასიათებელ ნიშანთვისებას წარმოადგენს საერო ძალაუფლება, რომელიც ინგლისში დღესაც მოქმედებს, სადაც მეფე იმავდროულად ანგლიკანური ეკლესიის მეთაურია.

გ) **აბსოლუტიზმის** სისტემა იმ რომაულ-კათოლკურ ქვეყნებში განვითარდა, რომლებმაც ლუთერის რეფორმა არ მიიღეს. მათმა მმართველებმა საეკლესიო მმართველობა აბსოლუტიზმის პრინციპის მიხედვით განსაზღვრეს რელიგიური თავისუფლების შეზღუდვის გარეშე. სისტემის ძირითად პრინციპს წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის გარეგანი გამოხატულებების (iura circa sacra) შეუზღუდაობა. დანარჩენში ეკლესია თავად არეგულირებს შიდა სულიერ საკითხებს (iura in sacra). აღნიშნული სისტემა ძირითადად საფრანგეთში, ლუდოვიკო XIV-ის (1643-1715) და ავსტრიაში იოსებ II-ის (1780-1790) მეფობისას დამკვიდრდა.

დ) აღსანიშნავია კიდევ ერთი სისტემა, რომლის დახასიათებაც პირველად ცნობილმა კანონოლოგმა და მეცნიერმა კ. რალისმა მოგვცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სისტემა პოლიტიოკრატიის განვითარებულ სახეს წარმოადგენს. სახელმწიფო ერევა საეკლესიო საკითხებში კანონების საშუალებით. საეკლესიო საკითხები, რომლებიც სახელმწიფოებრივი ჩარევის სფეროს წარმოადგენენ, ცნობილია როგორც საგარეო საკითხები (sacra externa), ხოლო შიდა საკითხები (sacra interna) გახლავთ ეკლესიის საშინაო საკითხები, რომელთა რეგულაციაშიც სახელმწიფო არ ერევა. აღნიშნული სახით ხორციელდება რელიგიური თავისუფლების დამყარება და ასევე სახელმწიფოში მოქმედი რელიგიებისათვის თავისუფალი მოქმედების უფლების მინიჭება. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ეს ფორმა მოქმედებს: რუსეთში, სერბეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში, მეტნაკლებად საქართველოში, სადაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმება დღემდე სრული სახით არ არის ამოქმედებული, რაც ამ ურთიერთობას უფრო მოქნილს გახდიდა.

განსხვავებულობის სისტემები. შეერთების სისტემების საპირისპიროდ, არსებობს აგრეთვე განსხვავებულობის სისტემებიც, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფო და ეკლესია წარმოადგენენ განსხვავებულ ინსტიტუტებს არა მხოლოდ ტიპიურად, არამედ არსობრივადაც, ძირითადად იმ საკითხებში, რაც მათი მოქმედებისა და მოღვაწეობის სფეროს შეეხება. თავდაპირველად წარმოიშვა სისტემა, რომელიც კლასიფიცირების სახელით იყო ცნობილი, რომლის განვითარებულ სახესაც მოგვიანებით წარმოადგენდა ურთიერთობის კონცეფციური სისტემა.

1. კლასიფიცირება წარმოადგენს რა პოლიტიოკრატიიდან გაყოფის სისტემაში გადასვლას, ეკლესიასა და სახელმწიფოს თანაბარ, ერთ სიმაღლეზე მდგომ ინსიტუტებად განიხილავს. ყოველი მხარე თავისი საქმითაა დაკავებული და მოქმედებს მისი ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით და არავითარ შემთხვევაში არ ერევიან ერთმანეთის საქმეებში.

2. ურთიერთობის კონცეფციურ სისტემას იეროკრატიასთან საერთო მონაცემები გააჩნია და თვლის, რომ იგი მოქმედებდა ბიზანტიის სახელმწიფოში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის სისტემის სახით. სახელმწიფო და ეკლესია განიყოფებიან, მაგრამ მათ აერთიანებთ იესო ქრისტეს, როგორც აღმატებული საწყისის აღიარება.

სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის სისტემები (სრული და ნაწილობრივი)

1. სრული გამიჯვნის სისტემა: ეკლესია ითვლება მკაცრად განსაზღვრულ კერძო თემად და ამის გამო იგი არსებობს როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სისტემის მინუსად ითვლება სახელმწიფოს მხრიდან მისი დაცვისა და მასზე ზრუნვის არარსებობა. ეს სისტემა დაინერგა საფრანგეთსა და ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში 1905 წ. აღნიშნული სისტემა მოქმედებს აშშ-შიც.

2. ნაწილობრივი გამიჯვნის სისტემა: სახელმწიფო ასრულებს პასიურ როლს ეკლესიასთან ურთიერთობის საკითხში. საუბარია სისტემის შესახებ, რომელიც დანერგილია დიდ და მრავალი წლის განმავლობაში არსებულ რელიგიურ საზოგადოებებში (მაგ. რომაულ-კათოლიკური ეკლესია ესპანეთის კონსტიტუციაში 1978/1992 წწ. მუხლი 12, §3). გერმანიაში მოქმედებს იგივე სისტემა რამდენი-

მე ცვლილების დამატებით ვაიმარის კონსტიტუციის 137-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ჩამატებულია ბონის 1949/1993 წწ. ძირითადი კანონის 140-ე მუხლში.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მოქმედი სისტემა საბერძნეთის რესპუბლიკაში

საბერძნეთის რესპუბლიკაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა ხორციელდება სისტემით, რომლის მიხედვითაც ეკლესიის შიდა ორგანიზება რეგულირდება სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობით. საუბარია სისტემის შესახებ, რომელიც ჩვენს მიერ განხილული პოლიტიოკრატიის ერთგვარ, მცირე მასშტაბების მქონე გამოხატულებას წარმოადგენს. როგორც ისტორია და გარდამოცემა, ისე მისი კონსტიტუციური კონსოლიდაცია და საბერძნეთის კანონმდებლობა (მაგ. საბერძნეთის ეკლესიის პრივილეგია), საბერძნეთის სახელმწიფოსა და მის ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებელ ეკლესიას საკმაოდ მყარი კავშირებით აერთიანებს.

სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზის საშუალებით აქვს შესაძლებლობა დაარეგულიროს არა მხოლოდ საეკლესიო საკითხები, არამედ მისი საშინაო მდგომარეობაც, ძირითადად ადმინისტრაციული. მაგალითისათვის, საბერძნეთის მოქმედი კონსტიტუციის 72-ე მუხლის §1 ბრძანებს, რომ „კომპეტენტური საკანონმდებლო ორგანო საეკლესიო საკითხთა და წინადადებათა განსჯის, კენჭისყრისა და გადაწყვეტილებისათვის არის საბერძნეთის პარლამენტის პლენარული სხდომა“. 1977 წლის N590 ბრძანების შესაბამისად „საბერძნეთის ეკლესიის წესდების შესახებ“ (მუხლი 9, §1, გ), ეკლესიას აქვს უფლება გამოთქვას აზრი და კონსულტაციები იქონიოს საეკლესიო კანონების ირგვლივ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საბერძნეთის ეკლესიის მუდმივმოქმედი სინოდის ეს აზრი სავალდებულო არ არის სახელმწიფოსათვის“ [7, 393-421].

კონსტიტუცია. საბერძნეთის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური ურთიერთობის შესახებ ძირითადი ბირთვი მოცემულია 1975/1986/2001/2008 წწ. კონსტიტუციის მე-3 და მე-13 მუხლებში.

აღნიშნული ორი მუხლით კანონმდებელი ცდილობს დააბალანსოს ორი ურთიერთსაპირისპირო მიმდინარეობა. ერთი მხრივ, პატივი მიაგოს ბერძენთა საუკუნეობრივ გარდამოცემას, რომელიც საუკუ-

ნეთა განმავლობაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული მართლმადიდებელ სარწმუნოებასთან და მეორეს მხრივ კი, დაიცვას დღევანდელ საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა რელიგია. აღნიშნულის გამო აუცილებელია საბერძნეთის კონსტიტუციის მოცემული მუხლების არსობრივი განმარტება.

ა) მუხლი 3 (ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, წმ. წერილის ენა)

1. საბერძნეთის რესპუბლიკის უპირატესი რელიგია არის აღმოსავლეთის ქრისტეს ეკლესიის რელიგია. საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ცნობს თავის თავად ჩვენს უფალს იესო ქრისტეს, დოგმატურად განუყოფლადაა დაკავშირებული კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან და სხვა ამავე აღმსარებლობის მქონე ეკლესიებთან. იცავს განუხრელად, როგორც ისინი, წმინდა მოციქულთა, მსოფლიო წმიდა კრებათა კანონებს და წმინდა გარდამოცემას. არის ავტოკეფალური, წარიმართება წმინდა სინოდის მიერ, მოქმედი მღვდელმთავრებისა და მუდმივმოქმედი წმინდა სინოდის კრებების მიერ, რომელიც კომპლექტდება საბერძნეთის ეკლესიის წესდების, საპატრიარქო N29 ტომოსისა (ივნისი 1850 წ.) და 1928 წლის 4 სექტემბრის სინოდალური ოქმის შესაბამისად.

2. საეკლესიო მდგომარეობა, რომელიც არსებობს სახელმწიფოს ზოგიერთ ტერიტორიულ ერთეულში, არ არის შეუსაბამობაში წინა პარაგრაფში არსებულ დებულებებთან.

3. წმინდა წერილის ტექსტი შენარჩუნებულია უცვლელად. მისი ოფიციალური თარგმნა სხვა ენაზე აკრძალულია საბერძნეთის ავტოკეფალური ეკლესიისა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ნებართვის გარეშე.

უპირატესი რელიგია. საუბარია საბერძნეთის კონსტიტუციის ერთ-ერთი საკამთო საკითხის შესახებ. ეს საკითხი შემდეგი სახით დაისმის: აღნიშნული ტერმინი წარმოადგენს რიცხვითი კავშირების უბრალო გადმოცემას, თუ სხვა რაიმე სახის ფართო კანონიკური შინაარსი გააჩნია? ორივე მოსაზრება მეცნიერთა და კანონოლოგთა მიერ მხარდაჭრილია [8, 813-814]. ერთი შეხედვით ეს ტერმინი ერთგვარ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას შეიცავს ქრისტიანული მართლმადიდებელი რელიგიის მიმართ სხვა რელიგიებთან შედარებით. თუმცა მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ, მისი უპირატესობისათვის ხაზის გასასმელად, უფრო უპრიანი იქნებოდა ტერმინის „ოფიციალური რელიგია“-ს გამოყენება. თუმცა უნდა აღვნიშნოთ

ისიც, რომ 1821 წლის საბერძნეთის რევოლუციის შემდეგ დღემდე მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის უმრავლესობითი ხასიათი ბერძნულ სამყაროში უეჭველ ფაქტს წარმოადგენს. ამასთანავე, 1974 წლის საკონსტიტუციო რეფორმა, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მეთაურისათვის უპირატესი რელიგიის დაცვის ვალდებულების ჩამორთმევა და მეორე მხრივ, პროზელიტიზმის გავრცელების აკრძალვა, წარმოადგენს აღნიშნული მოსაზრების გადამწყვეტ მტკიცებულებას. ამასთანავე, შესაძლებელია კიდევ ერთი მტკიცებულების მოპოვება საბერძნეთის კონსტიტუციის მე-3 მუხლის დაწვრილებითი განხილვის შედეგად ამავე კონსტიტუციის მე-13 მუხლთან მიმართებაში (რელიგიური თავისუფლება, ფიცი). ახალი კონსტიტუცია, წინამორბედ კონსტიტუციებთან შედარებით, განარჩევს ერთმანეთისაგან საკანონმდებლო პრობლემათა ორ ციკლს: პირველი ეხება ეკლესიათა კანონიკურ მდგომარეობას, რომლებიც საბერძნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებენ (მუხლი 3), მაშინ როცა მეორე შეეხება ზოგადად ყველა მორწმუნის კანონიკურ მდგომარეობას (მუხლი 13).

პირველი ციკლი ეხება სახელმწიფოს მოწყობის სისტემას, რომელშიც განიხილება ასევე, საზოგადოებრივი წყობის სხვადასხვა ფორმებიც. ხოლო მეორე ციკლი ძირითადი უფლებების საკითხებზე მსჯელობს.

წესდების საფუძველზე, საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია ტერიტორიების მიხედვით მოიცავს ათენის საარქიეპისკოპოსოს და 76 მიტროპოლიას, რომელთაგან 44 საბერძნეთის ავტოკეფალურ ეკლესიას, ხოლო დანარჩენი 35 მსოფლიო საპატრიარქო საყდარს მიეკუთვნება. გარდა ზემოჩამოთვლილისა, საბერძნეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობს კრეტის ნახევრადავტონომიური ეკლესია, რომელიც კონსტანტინეპოლის ეკლესიაზეა დამოკიდებული, თუმცა მისი წესდება საბერძნეთის პარლამენტის მიერ მტკიცდება. საბერძნეთის ტერიტორიაზე მდებარეობს აგრეთვე დოდეკანისის (12 კუნძულისაგან შემდგარი) ეკლესია, რომელიც მსოფლიო საპატრიარქოს პირდაპირ დაქვემდებარებაშია, ისევე როგორც ათონის წმინდა მთა, რომელიც თვითმართვადია წმინდა მთის მმართველობითი ორგანოს, წმინდა კინოტის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ათონის მთა საბერძნეთის რესპუბლიკის ზედამხედველობის ქვეშაა, სულიერად იგი მსოფლიო საპატრიარქოს ეკუთვნის [6, მუხლი 106]. ჩამოთვლილიდან ნათელი ხდება, რომ საბერძნეთის მართლმადიდებელ ეკლესიას არ აქვს მართლმადიდებელთა სიმრავლე-

ზე მწყემსობის საშუალება, რადგანაც მის იურისდიქციაში არ არიან კრეტისა და დოდეკანისის ეკლესიები.

მუხლი 13 (რელიგიის თავისუფლება)

1. რელიგიისა და სინდისის თავისუფლება ხელშეუხებელია. პიროვნული და პოლიტიკური უფლებების გამოყენება არ არის დამოკიდებული ადამიანთა რელიგიურ რწმენაზე.

2. ყოველი აღიარებული რელიგია თავისუფალია და მათი რიტუალები სრულდება დაუბრკოლებლად კანონების შესაბამისად. რიტუალურმა მსახურებებმა დაუშვებელია შეურაცხყოს საზოგადოებრივი წესრიგი და მიღებული ზნეობრივი ნორმები. პროზელიტიზმი აკრძალულია.

3. ყველა აღიარებული რელიგიის მსახურები არიან სახელმწიფოს იმავე მფარველობის ქვეშ და აქვთ იგივე ვალდებულებები, როგორც უპირატესი რელიგიის მსახურებს.

4. არავის აქვს უფლება, მისი რელიგიური შეხედულებების გამო თავი აარიდოს საკუთარი ვალდებულებების შესრულებას სახელმწიფოსთან მიმართებაში ან უარი თქვას კანონთა აღსრულებაზე.

5. არანაირი ფიცი არაა ძალმოსილი კანონის გარეშე, რომელიც ამ ფიცის სახეს განსაზღვრავს.

საბერძნეთის რესპუბლიკაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის შესახებ სრული სურათის მისაღებად აუცილებელია კონსტიტუციის მე-13 მუხლის ცოდნა, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს ბერძნული სახელმწიფოს მიმართებას სხვა რელიგიების მიმართ. მე-13 მუხლით განისაზღვრება ყოველი ბერძენი მოქალაქის რწმენის შეუვალობა, მაგრამ იმავდროულად ეს მუხლი მფარველობს სხვა რელიგიების მიმდევრებს და იცავს მათ უფლებებს კონსტიტუციის დონეზე.

რელიგიის ორმაგი კონსტიტუციური დაცვის უზრუნველყოფა

ა) რელიგიური შემწყნარებლობა არის სახელმწიფოს მხრიდან ტოლერანტობის გამოხატულება იმ რელიგიების მიმართ, რომლის მიმდევრებიც მისი მოქალაქეები არიან. რელიგიური შემწყნარებლობა, რომელიც წარმოდგენილია საბერძნეთის კონსტიტუციის მე-13 მუხლის §2-ით, იცავს რელიგიების თავისუფლებას. ყოველი აღიარებული რელიგია და სწავლება, ლეგიტიმური გზები მათ გადასაცემად, რელიგიური დოგმატების პატივისცემა და ამასთანავე ზოგადად

კულტებისადმი თაყვანისცემა, თავისუფალია. აღნიშნული სისტემა ძალზედ წააგავს უპირატეს სარწმუნოებასთან სახელმწიფოს დამოკიდებულებას, იმ განსხვავებით, რომ მართლმადიდებელი სარწმუნოება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის სარწმუნოებაა და ამის გამო კონსტიტუციაშიც მისი უპირატესობა ხაზგასმულია.

ბ) საკონსტიტუციო უფლება (რელიგიის თავისუფლება). რელიგიის თავისუფლება კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლებაა, რომელიც პირდაპირ და მჭიდრო კავშირშია ადამიანის პიროვნულ ცხოვრებასა და ადამიანურ ღირსებასთან (მუხ. 2 §1), ისევე როგორც პიროვნების თავისუფალ განვითარებასთან (მუხ. 5 §1). ყოველ პირს, კონსტიტუციის მე-13 მუხლის §1-ის მიხედვით, ვინაიდან არ არსებობს კონსტიტუციაში არანაირი განსხვავება, შეუძლიათ გამოიყენოს ეს უფლება. როდესაც ვსაუბრობთ პირის, პიროვნების შესახებ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს. ყოველ ფიზიკურ პირს აქვს უფლება რელიგიის თავისუფლებისა, ადგილობრივი იქნება ის თუ უცხოელი, კანონიერად იმყოფება ის საბერძნეთში თუ არა. ყოველი ფიზიკური პირი რელიგიური თავისუფლების უფლების მატარებელია. რაც შეეხება იურიდულ პირს ან პირთა ჯგუფს, არ არის შინაგანი, არამედ გარეგნული რელიგიური თავისუფლების მატარებელი, რომელთა საშუალებითაც გამოხატავენ საკუთარ რელიგიურ შეხედულებებს.

ეკლესია, როგორც იურიდიული პირი. საბერძნეთის ეკლესია და მისი ორგანული შემადგენელი კომპონენტები წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. აღნიშნული დახასიათება, როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლისა, გამომდინარეობს საბერძნეთის კონსტიტუციის 94-ე მუხლიდან.

თუ ჩავთვლით, რომ ეკლესია მის შემადგენელ კომპონენტებთან ერთად არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აღნიშნული ავტომატურად გულისხმობს მათი მოქმედებებისა და უმოქმედობის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ადმინისტრაციული დავების განსახორციელებლად სასამართლოებში, ისევე როგორც მათ შემდგომ დაქვემდებარებას საჯარო კონტროლისათვის. ამის საპირისპიროდ, კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ წარმოებული დავები სამოქალაქო სასამართლოს განსახილველი გახლავთ და საჯარო სამართლის კანონებს აქ ძალა არ გააჩნიათ.

ზოგადად, ეკლესიასთან მიმართებაში საკანონმდებლო მდგომარეობა შედარებით რთულია, რომ მას იურიდიული პირის სტატუ-

სი მიენიჭოს. ეკლესიის იურიდიულ პირებს გააჩნიათ ავტონომია და პარალელურად საჯარო მმართველობის სხვა პირებთან შედარებით განსხვავებული ორგანიზება აქვთ. აღნიშნული, ცხადია, მას მნიშვნელოვნად განასხვავებს საჯარო სამართლის სხვა პირებისაგან. იმავდროულად, ის ფაქტი, რომ ეკლესიის იურიდიული პირები მოქმედებენ საეკლესიო ძალაუფლებით, მათ ასევე განასხვავებს კერძო სამართლის იურიდიული პირის მახასიათებლებისაგანაც. შეგვიძლია ისინი დავახასიათოთ, როგორც მესამე განსხვავებული კეტეგორია. საკითხი განხილული იქნა „სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის საკითხების შემსწავლელი სპეციალური კომისიის“ მიერ. განხილული იქნა საკითხები და ის ჩარჩოები, რომელთა საშუალებითაც კონსტიტუცია შემოსაზღვრავს ამ კონკრეტულ საკითხს. ერთი მხრივ, 43-ე ბ) მუხლის ბარიერი, მეორე მხრივ მუხლები: 2, §1, 5, §1, 12, §1 და ბოლოს მუხლი 13 საბერძნეთის ეკლესიას დამატებით უფლებებს აძლევენ, კონსტიტუციისა და საბერძნეთის სახელმწიფოს მიერ უკვე მიღებული კანონების პარალელურად.

ამგვარად, სამართალი, რომლითაც ეკლესია ხელმძღვანელობს, არის საეკლესიო სამართალი, უახლესი საეკლესიო კანონები და კანონიკური დებულებები. მისი კავშირის დროს კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს სამოქალაქო სასამართლო. ამის საპირისპიროდ, მისი დავები სახელმწიფოსთან განიხილება ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ. რაც შეეხება ეკლესიის იურიდიულ პირებს შორის დავებს, ამ შემთხვევაში სასამათლოს ფუნქციას საეკლესიო სასამართლო ასრულებს [9, 41].

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ძირითადი პრინციპები

ა) ორი მხარის მისიის განსხვავების პრინციპი. აღნიშნული კონკრეტული პრინციპი ორად ჰყოფს ერთი მხრივ, სახელმწიფოს და მეორე მხრივ, ეკლესიის მისიას. საუბარია განსხვავებული მისიების მატარებელი ინსტიტუტების შესახებ, რომელთაგან თვითოეულს გააჩნია პირველადი ძალაუფლება, რათა საკუთარ მიზანს მიაღწიოს. სახელმწიფოს გააჩნია საერო მისია, რომლისთვისაც ძალაუფლებას ხალხისგან იღებს (კონსტ. მუხლი 1), მაშინ როცა ეკლესიას გააჩნია სარწმუნოება, რომელსაც იგი მორწმუნეთა ღმერთამდე მისაყვანად იყენებს. საუბარია განსხვავებაზე, რომელიც გამოხატულია

სახარებისეულ სწავლებაში: „მიეცით კეისრისა კეისარს და ღვთისა ღმერთს.“ [2, თ. 12, 17]. ამგვარად, ყოველი მათგანი აღასრულებს მისადმი განკუთვნილ მისიას და ყოვლად დაუშვებელია ამ სწავლებისაგან გადახვევა, რასაც შედეგად ერესების წარმოშობა შეიძლება მოჰყვეს.

რელიგიის თავისფლებისა და არარელიგიური სახელმწიფოს არსებობის პრინციპი

ფაქტია, რომ საბერძნეთში მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. თუმცა აღნიშნულის გამო ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ საბერძნეთის მოსახლეობა და საბერძნეთის ეკლესიის მრევლი ერთი და იგივე მცნებებია. რამდენადაც მრავალრიცხოვანი არ უნდა იყოს ამა თუ იმ რელიგიის მრევლი, ეს არ ნიშნავს რომ ქვეყნის მოსახლეობა და ეკლესია ერთსა და იმავე სხეულს წარმოადგენს. ძალაუფლების წყაროს წარმოადგენს ერი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას და მოქმედებს ერის მიზანსწრაფვებიდან გამომდინარე მიზნების მიხედვით. მსგავსი ამ ეკლესიაში არ მოქმედებს, რადგანაც არ არის ნებადართული ეკლესიის ორგანოებმა აღასრულონ საერო ძალაუფლება, რადგანაც ისინი ერის ლეგიტიმურობას მოკლებულნი არიან. თუკი მსგავსი რამ განხორციელდა, მაშინ დაირღვევა დემოკრატიული პრინციპი და პიროვნების თავისუფალი განვითარებაც (მუხ. 5, §1), ადამიანის ღირსებაც (მუხ. 2, §1) და ბერძენი მოქალაქეების თანასწორობაც (მუხ. 4). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერო ხელისუფლების წარმოშობა საერო ლეგიმიტაცია უნდა იყოს და სახელმწიფო შესაბამისად არ უნდა იყოს რელიგიური (არარელიგიური სახელმწიფოს პრინციპი). აღნიშნული ნეიტრალურობა გულისხმობს, რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება დაიცვას ყოველი მოქალაქის რელიგიური უფლება. სხვაგვარად რელიგიის თავისუფლების შინაარსი გახლავთ ის გარემოება, რომ ყოველ მოქალაქეს და არა სახელმწიფოს, ჰქონდეს რწმენა, იყოს მორწმუნე ან პირიქით, საერთოდ არაფერი სწამდეს, გამოხატოს ან არ გამოხატოს იგი სხვადასხვა სახის თაყვანისცემისა და რიტუალის საშუალებით, შეცვალოს საკუთარი რელიგიური შეხედულებები როდესაც ეს მას სურს და ა. შ. შესაბამისად, საბერძნეთის კონსტიტუციის მე-3 მუხლის შინაარსს „უფალ ჩვენს იესო ქრისტეს“ ან ყოვლადწმინდა სამების სახელის მოხმობას, ხშირად შეცდომაში შეჰყავს ზოგიერთი

ადამიანი, თითქოსდა კონსტიტუციით აკრძალულია, რომ ვინმეს არ სწამდეს იესო ქრისტესი.

ეკლესიის დამოუკიდებლობის პრინციპი

ჩვენს მიერ ზემოთქმულის საპირისპიროდ, ეკლესია თავად განსაზღვრავს საკუთარ შიდა საკითხებს და სრულიად აკრძალულია ნებისმიერი სახის ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან. თუმცა გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, რომ ეკლესიას ესაჭიროება კანონისმიერი მტკიცებულებანი საბერძნეთის კონსტიტუციის 43-ე მუხლის შესაბამისად, რათა მან შიდა საკითხები დაარეგულიროს. თუმცა აღნიშნული მოსაზრებების მიღება შეუძლებელია, რადგან იგი აუქმებს თვითგამორკვევისა და თვითრეგულაციის პრინციპებს, რომელთაც საბერძნეთის კონსტიტუცია საბერძნეთის ეკლესიას ანიჭებს შემდეგი მუხლების მიხედვით: მუხ. 2 §1; მუხ. 5, §1; მუხ. 12, §1; და მუხ. 13. სხვაგვარად, არ არის აუცილებელი რელიგიის არანაირი სახით აღიარება სახელმწიფოს მხრიდან და არც არანაირი სახელმწიფო ქონების მინიჭება. ამგვარად, საბერძნეთის კონსტიტუცია, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების პირობებში ჩამოყალიბდა, გარკვეულ საზღვრებს ღიად ტოვებს, რათა ეკლესიის ავტონომიურობა განსაზღვროს და იგი საკუთარ პრესტიჟზე იყოს დამოკიდებული. სრულიად უსაფუძვლო იქნებოდა, რომ სხვა რელიგიებს ჰქონდეთ შესაძლებლობა საკუთარი საკითხები დამოუკიდებლად აწარმოონ, ხოლო ქვეყნის უპირატეს რელიგიას, მართლმადიდებელ სარწმუნოებას, განსაკუთრებული ნებართვა ან მტკიცებულებანი დასჭირვებოდა სახელმწიფოს მხრიდან. პროფ. სტათოპულოსისთვის ეკლესიის აღნიშნული ძალაუფლება არ არის არც კერძო, არც საჯარო, არამედ „საეკლესიო“ და შესაბამისად, ეკლესია აღიარებული უნდა იყოს როგორც სპეციფიკური ხასიათის იურიდიული პირი (sui generis), რომლისთვისაც კანონში დარეგულირდებოდა განსაკუთრებული სამართლებრივი უფლებები. აღნიშვნის ღირსია აგრეთვე, რომ ეკლესიის წესდება არ უნდა იყოს სახელმწიფო კანონი, მიუხედავად იმისა, რომ მას კანონის ძალა აქვს მინიჭებული [12].

გამონაკლისს წარმოადგენს საბერძნეთის ეკლესიის საგარეო პოლიტიკა, რომლის მოქმედებაც საბერძნეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით რეგულირდება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფო გახლავთ ის ორგა-

ნიზმი, რომელიც აკონტროლებს ეკლესიას, მისი დამოუკიდებლობის მიუხედავად, როგორც კანონმდებლობის, ისე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით, რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს აქვს უნივერსალური მახასიათებლები, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ.

ურთიერთპატივისცემის პრინციპი

აღნიშნული პრინციპი დაკავშირებულია ერთი მხრივ, ეკლესიის ვალდებულებაზე პატივი მიაგოს სახელმწიფოს ნეიტრალურ მდგომარეობას რელიგიების მიმართ რელიგიური თავისუფლების თვალსაზრისით და მეორეს მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულებას, პატივი სცეს მოქალაქეთა რწმენას. ამათანავე, სახელმწიფო: ა) არ უნდა ივიწყებდეს ეკლესიის ისტორიულ წვლილს, ბ) უნდა ეხმარებოდეს ეკლესიას მატერიალურად (ხელფასების გაცემა, პენსიის დანიშვნა, სასულიერო პირთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა) და გ) სახელმწიფოსა და ეკლესიას აქვთ შესაძლებლობა გაცვალონ მოსაზრებები და შეხედულებები ისეთ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ რომ, ერთის მხრივ ეკლესია, აქვს რა თვითმყოფადობა და თვითმართველობა, მოწოდებულია თანამედროვე გლობალურ სამყაროში აქტიური როლი შეასრულოს სახელმწიფოსთან ურთიერთობის საქმეში. სხვაგვარად, უმნიშვნელოვანეს საკითხად ითვლება ეკლესიის წვლილი, როგორც საჯარო ძალაუფლების მატარებელისა, რათა შენარჩუნებულ იქნას ის ნიშან-თვისებები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში გამოიკვეთა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის პირობებში და თავისი დაღი დაასვა მთელ ბერძნულენოვან სამყაროს. ამის პარალელურად, ეკლესიის მოღვაწეობა, რა თქმა უნდა, უნდა განსხვავდებოდეს სახელმწიფოს მისიისგან, რადგანაც მას წმინდა სულიერი ხასიათი გააჩნია. სხვა მხრივ, თანამედროვე სახელმწიფოს როლი განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა. მან უნდა შეძლოს ეკლესიასთან ურთიერთობის იმ ნაზი, ძალზედ ფაქიზი ძაფის პოვნა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აკავშირებდა მასთან. ისევე როგორც საქართველოს ეკლესიის შემთხვევაში. ქართველი ერის მთავარი, ძირითად ნიშან-თვისება მისი მართლმადიდებელი სარწმუნოება გახლდათ საუკუნეების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ქართველობა

მხოლოდ მართლმადიდებლობას არ გულისხმობს და ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური მრწამსი. თუმცა გვერდს ვერ ავუვლით იმ გარემოებასაც, რომ ქართველი ერის იმ სახით არსებობაში, როგორც ის დღეს არსებობს, უდიდესი როლი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნის. სწორედ ამის გამოა აღიარებული მისი ისტორიული დამსახურება საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით [1, მუხლი 9].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995.
2. მარკოზის სახარება, ახალი აღთქმა, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბილისი, 2000.
3. სპ. ტროიანოსი, ხარ. დიმიტრაკოპულოსი, ეკლესია-სახელმწიფო კავშირები XIX საუკუნეში (1833-1852 წწ), ათენი, 1999.
4. პენ. ფუდედაკისი, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა ევროპულ სივრცეში, ათენი, 2006.
5. იო. კონიდარისი, საეკლესიო სამართლის სახელმძღვანელო, ათენი, 1999.
6. საბერძნეთის კონსტიტუცია, ათენი, 2008.
7. საბერძნეთის პარლამენტის პლენარული სხდომების პრაქტიკები 1975 წლის კონსტიტუციის მუხლებზე მსჯელობის შესახებ, ათენი, 2008.
8. კ. მავრიასი, კონსტიტუციური სამართალი, ათენი, 2005.
9. ვ. პულისი, საეკლესიო სამართლის კანონიკური ტექსტები, ათენი, 1999.
10. ან. დიმიტროპულოსი, კონსტიტუციური უფლებები, ათენი, 2008.
11. პ. სტათოპულოსი, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები, კომოტინი, 1993.
12. საბერძნეთის რესპუბლიკის კანონი, N590/1977.

Archimandrite Michael Ejibishvili
Doctor of Social Sciences,
Church of Greece

Relations between the Greek Church and the State According to the Greek Constitution

Summary

The work we have presented is the relationship between the state and the Church of the Hellenic Republic According to the Constitution of 1975. We discuss fundamental issues, such as systems of state-church relations, systems of state-church separation (full and partial), the principle of independence of the church, the principle of mutual respect.

Defining terms such as: church ans State, we discuss the relationship between these large institutions over the course oh many centuries, starting from the Roman era and ending with the 1975 constitution.

In conclusion, we will discuss the basic principles of the relationship between the state and the church and their comparison with the same systems that exist in the modern Western world to give a clearer picture of many important problems of our community.

სოფიო ანდღულაძე
ისტორიის დოქტორი

ბოდბის წმინდა ნინოს სავანის ისტორიიდან

როგორც ცნობილია, ბოდბის წმინდა ნინოს განსასვენებელი ტერიტორიულად მდებარეობს საქართველოს ერთჲ-ერთ უძველეს კუთხეში – ქიზიყში. მისი ადრინდელი სახელწოდება ისტორიული წყაროების მიხედვით „კამბეჩოვანი“ ანუ „კამბეჩანი“ იყო, სადაც, ოდითგანვე ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ ჰერული (ალბანური) ტომები: ჰერები, სოჯები, ელარბიელნი და ჭილბები. ქართველური ტომები კი ძირითადად ქართველი მთიელების მიგრაციის ხარჯზე იყო წარმოდგენილი [1, 20].

მირიანის მეფობის დროს, ჰერეთში წმინდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად ქრისტიანობის გავრცელებამ და ამ ტერიტორიაზე ქართული ენის გაბატონებამ, დააჩქარა აქ მოსახლე ჰერული ტომების „ქართებთან და კახებთან კულტურულ-ეთნიკური შერწყმის პროცესი“ [2, 80]. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით, ნინო „შთავიდა კხოეთა და დაადგა კაწრეთს და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით... ვითარ მოიწია ქუეყანასა კხოეთისასა დაბასა ბუდს დასნეულდა სნეულებითა მით, რომლითაცა მოცაკუდა“ [3, 89-104]. სწორედ ამ დროიდან იქცა ბოდბე ქართული ქრისტიანული კულტურის მნიშვნელოვან ცენტრად.

ტაძარი, რომელიც მირიან მეფემ წმინდანის ლუსკუმაზე ააშენა, მდებარეობს სოფელ ბოდბეს აღმოსავლეთით, მის განაპირა მხარეს, რომელსაც „ქედელს“ უწოდებენ. ეს სახელწოდება მთის გადასახედს ნიშნავს. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობის თანახმად, მირიან მეფეს ტაძარი აშენებისთანავე საეპისკოპოსოდ განუჩინებია. მირიან მეფის გარდაცვალების შემდეგ, წმინდა ნინოს განსასვენებელი ქართველ მეფეთა უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა. ვახტანგ გორგასალმა წმინდა ნინოს ლუსკუმაზე აგებული ტაძარი გააფართოვა და ბაზილიკური ფორმა მისცა. მისი მოღვაწეობის შედეგად, ბოდბის საეპისკოპოსოს მნიშვნელობა უფრო გაიზარდა და გაძლიერდა.

ბოდბელი მიტროპოლიტები უძრავ-მოძრავი სოლიდური ქო-

ნების მფლობელნი იყვნენ და საკუთარი გლეხობა და მხედრობა ჰყავდათ. ერის მართვა-გამგეობაში მინიჭებული ჰქონდათ თავადთა უფლებანი. ბოდბელისათვის ყველაზე საპატიო მეფეთა დაგვირგვინებისა და მირონცხების უფლება იყო. ცნობილია, რომ ამ ტაძარში იკურთხნენ კახეთის მეფენი: დავითი – 1469 წელს, გიორგი – 1471 წელს, ალექსანდრე I – 1492 წელს, ლევანი – 1520 წელს, ალექსანდრე II – 1574 წელს და თეიმურაზ I – 1606 წელს [4, 567-584]. საგულისხმოა, რომ თეიმურაზ I-ის მეფედ კურთხევას თვით შაჰ-აბასიც ესწრებოდა. ამ დროს თეიმურაზი თექვსმეტი წლისა იყო [5, 309]. სპარსეთის უზარმაზარი იმპერიის მმართველის ასეთი დაინტერესება აიხსნებოდა საქართველოში შექმნილი მაშინდელი პოლიტიკური ვითარებით. (მას სურდა ქრისტიანული ევროპისათვის ეჩვენებინა ქართველებისადმი თავისი ლოიალური დამოკიდებულება და ამით დასავლეთ ევროპის სუვერენებში ნდობა და ავტორიტეტი მოეპოვებინა. ის იმედოვნებდა, რომ ქრისტიანული ევროპის დახმარებით შესძლებდა საქართველოში მოცილე დაუძინებელი მტრის და პრეტენდენტის – ოსმალეთის დამარცხებას – ს. ა).

თეიმურაზ I-ის მეფობის დროს, ბოდბის საეპისკოპოსო ტაძართან, მთავარეპისკოპოს ევდემონის მღვდელმთავრობისას, 1617 წელს, დაარსდა სასულიერო სასწავლებელი, სადაც, გარდა საღვთისმეტყველო საგნებისა, ისწავლებოდა აგრეთვე, საერო მეცნიერებებიც: ფილოსოფია, ფიზიკა, გეომეტრია და სხვა. წმინდა ნინოს სავანეში მოღვაწეობდნენ დიდად განსწავლული სასულიერო პირები. ბოდბეს წიგნსაცავი კი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი იყო საქართველოში. აქ დაცულ ძვირფას ხელნაწერთა შორის ყველაზე ადრეულად მიჩნეული იყო გრიგოლ ბაკურაძის მიერ გადაწერილი ოთხთავი, რომელიც 1695 წლით თარიღდებოდა. ისტორიამ შემოგვინახა რამდენიმე ცნობილი ბოდბელი მწიგნობრის სახელი: ზაქარია ბოდბელი, ონოფრე ბოდბელი (თავადი ანდრონიკაშვილი), იოანე ბოდბელი (თავადი ჯორჯაძე), დავით ბოდბელი (თავადი ვაჩნაძე) და სხვანი.

ბოდბის წმინდა ნინოს სავანის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს მიტროპოლიტ იოანე მაყაშვილს. იგი დაიბადა 1743 წელს, კახეთის სამეფოს გამორჩეულ თავადთა – მაყაშვილების ოჯახში. აღიზარდა გარეჯში. 1774 წელს ბერად აღიკვეცა, ხოლო 1778 წელს მთავარდიაკვნად იქნა ხელდასხმული. 1785 წლიდან იგი მღვდელ-მონაზონია. 1787 წელს, კათალიკოსმა ანტონ I მიანიჭა არქიმანდრიტის ხარისხი და მეფე ერეკლე II მითითებით, ნინოწმინდის

ეპარქია განეკუთვნა. 1796 წლიდან იგი ბოდბის ეპარქიის მღვდელმთავარია. მისი მღვდელმთავრობისას ბოდბეს ეპარქია უძლიერესი იყო. ეპარქიაში 729 კომლი, 31 სოფელი და 28 თავადი შედიოდა.

ეგზარქოსების მმართველობის ხანაში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ იოანე ბოდბელი კახეთ-ალავერდის მწყემსმთავრად დაადგინა, სიღნაღის ეპარქიის აღდგენის შემდეგ კი ალავერდიდან ისევ სიღნაღში დააბრუნეს [6, 49]. ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა (1817-1821), სასულიერო პირთა ხელახალი განჩინებისას, იგი, როგორც გამონაკლისი, ამ ეპარქიის მმართველად სიცოცხლის ბოლომდე დატოვა [7, 1-4].

იოანე მაყაშვილს მოღვაწეობა უხდებოდა საქართველოს ეკლესიის ძნელბედობის ჟამს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსეთის იმპერიის სარწმუნოებრივი პოლიტიკის საქართველოში გამარჯვების მიზნით, რუსი ეგზარქოსები ყველანაირად ავიწროვებდნენ და ძარცვავდნენ საუკუნეების მანძილზე არსებულ მდიდარ ეკლესია-მონასტრებს. უწყოდა რა ბოდბის წმინდა ნინოს სავანის რელიგიურ-კულტურული მნიშვნელობა, იგი გამუდმებით ზრუნავდა მის გამშვენებასა და გაძლიერებაზე. მან განაახლა ტაძარი, ააგო საეპიკოპოსო სასახლე კარის ეკლესიითურთ. მისი მოღვაწეობის დროს, ბოდბის ეპარქიის საეკლესიო მამულები მდინარე ივრის გადაღმა განჯის საზღვრებამდე აღწევდა. ყოველ გლეხს, რომელიც საეკლესიო მამულზე სახლობდა, ეძლეოდა სიგელი იმის დასტურად, რომ იგი საეკლესიო კომლს წარმოადგენდა და ვალდებული იყო შემოსავლის ნაწილი გადაეხადა ეკლესიისათვის. სიგელი წარმოადგენდა ერთგვარ იურიდიულ დოკუმენტს, რის თანახმადაც, მიწის გარკვეული ნაწილი გლეხის საკუთრებაში გადადიოდა. იოანე ბოდბელის მიერ ბოძებული სიგელებია მოყვანილი გაზეთ „ივერიის“ 1894 წლის №15-ში გამოქვეყნებულ წერილში, საიდანაც ჩანს, რომ აღნიშნული სიგელებით ხდებოდა საკარმიდამო მამულებთან დაკავშირებით სადავო საკითხების გადაწყვეტა [8, 2].

ცნობილია იოანე ბოდბელის მისიონერული მოღვაწეობაც. ის სათანადო ყურადღებას აქცევდა ინგილოებსაც და ყოველწლიურად უგზავნიდა მათ ოცდაათ წმინდა სანთელს და ახარებდა ქრისტეს აღდგომას [9, 3].

იოანე მაყაშვილი სამეფო კართან დაახლოებული პირი იყო, სადაც იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მან პანაშვიდი გადაუხადა ერეკლე II-ს: „გარდაიცვალა მეფე ირაკლი თელავსა 11 იანვარს

1798 წელსა. მობრძანდა მეფე თელავს და თან ახლდა 130 თავადი და აზნაური ქართლისა და კახეთისა. იტირა მეფე-მამა, გარდაახდევინა პანაშვიდი მღვდელმთავართა მუნ მყოფთა ბოდბელს ი ო ა ნ ე ს, რუსთველსა სტეფანეს და ნინოწმინდელს მიხაილს“ [10, 50].

იოანე ბოდბელი გარდაიცვალა 1837 წელს, 94 წლის ასაკში. მისი ანდერძი საკმაოდ ვრცელია და გარდა ისტორიული და სულიერი ღირებულებისა, მხატვრული ღირებულებაც გააჩნია, რაზედაც მეტყველებს ხატოვანი თხრობის მანერა და სიყვარულით გამთბარი მიმართვა შთამომავლებისადმი [11, 111]. გარდაცვალების შემდეგ, 1840 წელს, იოანე ბოდბელი დაჯილდოვებულ იქნა წმინდა ანას I ხარისხის ორდენით. მისი ანდერძი და სურვილი, რომ ბოდბის ეპარქია დარჩენილიყო საეპიკოპოსო კათედრად, განუხორციელებელი დარჩა. მთავარეპისკოპოსთა კათედრა გაუქმდა და მონასტრის გამგებლობა არქიმანდრიტებს ჩაბარდა, სიღნაღისა და ქიზიყის ეპარქია კი ქართლ-კახეთის ეპარქიას შეუერთდა. ეს პროცესი გამოწვეული იყო 40-იანი წლების ახალი საეკლესიო რეფორმით, რაც ქართული ეკლესიის იურიდიული უფლებების შეზღუდვის კიდევ ერთ დასტურს წარმოადგენდა.

არქიმანდრიტების მმართველობის პერიოდში ბოდბის გაუქმებული საეპისკოპოსო ტაძარი მიწერილი იყო სიღნაღზე, წინამძღვარი კი ხირსის მონასტერში ცხოვრობდა. ამ პერიოდის ბოდბის სავანის ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი უკავია არქიმანდრიტ მაკარს, რომელიც 50-იანი წლებიდან მოღვაწეობდა. 1857 წელს, მისი წინამძღვრობის დროს, მომხდარა ტაძრის გადახურვა და კედლების გათეთრება გარედან, დაწყებულა აგრეთვე სამსართულიანი სამრეკლოს მშენებლობა, რომელიც 1885 წელს დაუმთავრებია წინამძღვარ ნიკოლოზ მიქელაძეს. სამრეკლოს შენობა რუსული არქიტექტურის ნიმუშს წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში მძლავრად მიმდინარეობდა ქართული ეკლესიის რუსიფიკაცია, რაც ქართველ სამღვდელოებას აიძულებდა რიგ კომპრომისებზე წასვლას. აღნიშნული პროცესი ვლინდებოდა ქართული ქრისტიანული ხურორთმოძღვრების ძეგლების განადგურებაში, მათი რუსული იერსახით შეცვლაში, საამისოდ, საგანგებო სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებაში, ეკლესია-მონასტრების შეთეთრებაში და ა.შ.

მიუხედავად რუსული მმართველობის გავლენისა, არქიმანდრიტი მაკარი ცდილობდა ბოდბის სავანის ცხოვრება ეროვნული ნიშნით წარემართა. ცნობილია მისი ღვაწლი ქართული საგალობლების აღ-

დგენის საქმეში. ამ მხრივ მას დიდი შრომა გაუწევია და უკვე დავიწ-ყებას მიცემული ქართული საგალობლები კვლავ აუჟღერებია დიდი ტრადიციების მქონე ბოდბის ტაძარში. 1862 წელს მან მოიწვია სიღ-ნაღის სამღვდელოთა კრება, სადაც გადაწყვიტეს, რომ წმინდა ნინოს მონასტერში მოეწვიათ გამოცდილი მგალობელი, რომელიც მაზრის დიაკვნებს საჭირო საგალობლებს შეასწავლიდა. ეგზარქოს ევსევი ილინსკის (1858-1877) ნებართვის საფუძველზე, გალობის მასწავ-ლებლად ორი წლით მოწვეულ იქნა მღვდელი გრიგოლ კარბელაშ-ვილი, ცნობილი მგალობელი, ქართლ-კახური საგალობლების უბად-ლო მცოდნე და შემსრულებელი (წმინდა ძმათა კარბელაშვილების მამა – ს. ა). ამრიგად, 1862 წლის 7 სექტემბერს გაიხსნა სადიაკვნო სკოლა და დაიწყო გალობის სწავლება. სამ-ოთხ თვეში შესწავლილ იქნა წირვის საგალობლები. ამის შესახებ არქიმანდრიტი მაკარი აღ-ფრთოვანებული წერდა დიმიტრი ყიფიანს, რომ სადიაკვნო სკოლის დაარსებამ სასიკეთო ნაყოფი გამოიღო [12, 88].

ბოდბის სავანეში მოღვაწეობის დროს, გრიგოლ კარბელაშვი-ლის მეხსიერებაში მკაფიოდ აღიბეჭდა დაწვრილებითი მონათხრობი იქ მომხდარი ტრაგედიის შესახებ, რომელიც საქართველოს ეგზარ-ქოს თეოფილაქტე რუსანოვის (1817-1821) უეცარ და უცნაურ გარ-დაცვალებას უკავშირდება. 1821 წლის 19 ივლისი მართლაც საბე-დისწერო აღმოჩნდა ეგზარქოს თეოფილაქტესათვის, რომელიც გან-საკუთრებული სისასტიკით დევნიდა ყოველივე ქართულს და წმინდა სამარხების თვითნებური გათხრებით ჰქონდა სახელი განთქმული. ქართული ეკლესიის განძის ხელთგდებისათვის, ეგზარქოსი თეოფი-ლაქტე, ისე როგორც მისი მომდევნო ეგზარქოსების უმრვლესობა, უკიდურესი ზომების მიღებასაც არ ერიდებოდნენ და წმინდანთა საფლავების შებღალვის ამგვარ მეთოდებსაც მიმართავდნენ. რო-დესაც მან წმინდა ნინოს საფლავის გათხრა გადაწყვიტა, უეცარმა სიკვდილმა ეს მკრეხელური ჩანაფიქრი (თვით აპირებდა პირველი წერაქვის დარტყმას) განუხორციელებელი დატოვა. კარგად იცოდა მაშინდელმა ბოდბელმა მიტროპოლიტმა – იოანე მაყაშვილმა თუ რას მოასწავებდა ასეთი თავაშვებული და კადნიერი ქმედება ქართველ-თა ამ უდიდესი სიწმინდის მიმართ და ცდილობდა შეეჩერებინა იგი, მაგრამ თეოფილაქტე ჯიუტად მიისწრაფოდა თავისი გადაწყვეტი-ლების შესასრულებლად. იოანე ბოდბელს უთქვამს თურმე: „მიუშვი ურჩი ნებასა, ის შეეყრება სნებასა! რაც მაგან კარგი ნახოს, ის მე დამაკვეხოსო” და თავი დაანება. მართლაც, თეოფილაქტე უეცრად

გარდაიცვალა და არ დასცალდა განზრახვის სისრულეში მოყვანა. ღვთის განგებით, იგი იმავე ტაძარშია დაკრძალული. ამ ტრაგედიიდან ერთი საუკუნის შემდეგ, წმინდა აღმსარებელი სტეფანე (კარბელაშვილი), გრიგოლ კარბელაშვილის ვაჟი, თავის პირად დღიურში ჩანაწერს აკეთებს, რომელიც უკავშირდება აღნიშნულ ამბავს. იგი დათარიღებულია 1925 წლის 10 ივნისით და დაწვრილებით გადმოგვცემს მომხდარს [13, 168]. ცხადია, რომ ეს ერთადერთი წყარო არ არის წმინდა ნინოს სავანეში მომხდარი ამბის შესახებ, მაგრამ უფრო ვრცელია ნიკოლოზ დურნოვოს ნაშრომში გადმოცემულ ინფორმაციასთან შედარებით. აი, რას წერს ცნობილი საეკლესიო მემატიანე ამ ამბის შესახებ: „გარყვნილი თეოფილაქტე, რომელიც ავიწროვებდა და სულს ართმევდა ყველა ადგილობრივ მღვდელმთავარს, თხრიდა საფლავებს, თავისი უწმინდური ხელი შეახო საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებლის, წმინდა ნინოს საფლავს. მანამ არ მოისვენა, სანამ ღვთის განგებამ ბოლო არ მოუღო მის ავკაცობას და თავაშვებულობას“ [14, 37].

ბოდბის წმინდა ნინოს სავანის ისტორია ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ იცავდა და ინახავდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრები ეროვნულ თვითმყოფადობას, სულიერ და მატერიალურ კულტურას. ის ფაქტი, რომ წმინდა ნონომ ბოდბეში ჰპოვა განსასვენებელი, სხვა მნიშვნელოვან მიზეზებთან ერთად, საკრალური დატვირთვის მატარებელია. ისტორიის ღვთისმეტყველების დაწვრილებითი კვლევა სამომავლოდ კიდევ ბევრ საიდუმლოს ახდის ფარადს, იმ სიმართლეს, რაც მოთხრობილია ქართლის მოქცევის ქრონიკებში და სადაც წმინდა ნინოს სახელის ქვეშ სიმბოლურ-მისტიური შინაარსი იკითხება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორია, ტ. II, თბილისი, 2012.
2. თ. თოდრია, ქიზიყის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიის გეოგრაფიის კრებული, №6, 1982.
3. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1964.
4. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეუფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. 4, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
5. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, „საქართველოს სამოცი-

ქულო ეკლესიის ისტორია“, მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), თბილისი, 1998.
6. Кирион, Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901.
7. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 449, აღწერა I, საქმე 5110.
8. გაზეთი „ივერია“, 1894, № 15.
9. გაზეთი „დროება“, (მგზავრი დ. შმახალაშვილის შენიშვნა), 1882, 19 სექტემბერი, №196.
10. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბილისი, 1978.
11. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 489, აღწერა I, საქმე 5647.
12. ქართული საერო და საულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა, მღ. პოლიევქტოს კარბელაშვილისა, ტფილისი, სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, 1898.
13. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის პირადი ფონდი, საქმე №168.
14. Н. Н. Дурново, Историческй очерк Автокефальных церквей Иверской и Имеретинской, Москва, 1910.

Sophio Andghuladze
Doctor of History

From the History of the Monastery of St. Nino in Bodbe

Summary

Bodbe is an important center of Georgian Christian culture. St. Nino's great educational activity in Bodbe and King Mirian's care for the future prosperity of the small town of Bodbe, indicates a clear aspiration for the orientation of the political, cultural, social and economic development of the ancient Georgian state to the Greco-Roman world. The history of St. Nino's monastery in Bodbe is a clear confirmation of how the Georgian Orthodox Churches -monasteries protected the national identity, spiritual and material culture. The fact that St. Nino's resting place is in Bodbe, among other important reasons, carries a sacral load. The study of the theology of history reveals many more secrets in the future, the truth that is narrated in the chronicles of the conversion of Kartli, where the symbolic-mystical content is read under the name of St. Nino.

ᲬᲣᲚᲐᲠᲘᲩᲐᲓᲘᲡᲬᲔᲚᲘ

გია გელაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

ᲛᲐᲥᲡ ᲤᲝᲜ ᲢᲘᲚᲛᲐᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ (XIX ს-ის 70-იანი წლები)

ბარონი მაქს ფონ ტილმანი (1846-1929) იყო გერმანელი დიპლომატი, პოლიტიკოსი და გერმანიის იმპერიის ხაზინის სახელმწიფო მდივანი. მან განათლება მიიღო ბერლინსა და ჰაიდელბერგში. 1864 წელს გახდა საქსო-ბორუსიის კორპორაციის წევრი. იყო შვილიშვილი განმათავისუფლებელი ომის გენერლის იოჰან ფონ ტილმანის. მისი მშობლები იყვნენ ფრანც ფონ ტილმანი და მატილდა ფონ ფრიბე.

დიპლომატიურ სამსახურში შესვლის შემდეგ მსახურობდა გერმანულ საელჩოებში პეტერბურგში, კოპენჰაგენში, ბერნში, ვაშინგტონში, ბრიუსელში, პარიზსა და კონსტანტინოპოლში. 1886 წელს გახდა გენერალური კონსული სოფიაში. 1888-94 წლებში იყო პრუსიის დესპანი დარმშტადტში, ჰამბურგსა და მიუნხენში. 1895-97 წლებში იყო ელჩად ვაშინგტონში. 1897 წლიდან მიიწვიეს სახელმწიფო მდივნად იმპერიის ხაზინაში, საიდანაც გავიდა 1903 წელს. ამას გარდა ის აღიარეს იოჰანიტების ორდენის (მალტის) რაინდად. 1909 წლიდან იყო პრუსიის ზედა პალატის წევრი.

როგორც დიპლომატმა მოაწყო ხანგრძლივი მოგზაურობა კავკასიაში, სპარსეთსა და ამერიკაში და გამოსცა სამოგზაურო ჩანაწერები. მას ეკუთვნის ჩვენთვის საინტერესო ვრცელი ნაშრომი „მოგზაურობა კავკასიაში, სპარსეთსა და აზიურ თურქეთში“ (ლაიფციგი, 1875), რაც იმავე წელს ითარგმნა ინგლისურად, ხოლო 1880 წელს ფრანგულად.

თავის ნაშრომში ტილმანი ცალკე იძლევა მთელი კავკასიის ზოგად შემაჯამებელ აღწერა-დახასიათებას.

თბილისი

რაც უფრო ვუახლოვდებოდით ქალაქს, მით უფრო ცოცხლდებოდა გზა: წყლის ბორბლების რიგი ექაჩებოდა წყალს მტკვრიდან მის მარცხენა ნაპირის გასწვრივ მდებარე ლამაზი ბაღების მოსარწყავად; საქალაქო ეტლები უკან ბრუნდებოდნენ სეირნობიდან; ფეხით მოსიარულენი იყვნენ ჭრელ სამოსში; დატვირთული აქლემები და კამეჩშებმული ურმები მიდიოდნენ. ჩვენდა სამწუხაროდ, ქალაქის ქვაფენილმა ჩვენს ურმით სამდღიან ნამგზავრ მძიმედ გავარჯიშებულ კიდურებს (სხეულს) საბოლოო დარტყმა მიაყენა. ვრცელი გარეთუბნების გავლით მივედით საბაზრო უბანში, სადაც, მიუხედავად შებინდებისა, დუღდა ჭრელი ცხოვრება. 7 საათზე სასტუმრო „კავკაზში“ შემოგვეგებნენ ადრე გაცნობილი ამხანაგები.

ტფილისი კონტრასტების ქალაქია. ალბათ მხოლოდ კაიროში გვხვდება მსგავსი ნაზავი აღმოსავლური პოეზიისა და გახრწნისა ევროპულ ცივილიზაციასა და ყოველდღიურობასთან. ერთი ილუზია მსურს დავამსხვრიო: ტფილისი არ არის ქალაქი ბოდენშტედტის [1] „ათას ერთი ღამიდან აღმოსავლეთში“... პირველი დანახვა ქალაქისა გვიჩვენებს, რომ მირზა შაფი არის პოეტური ზღაპარი და ტფილისი არაა მისი მუზა. ქალაქი მის აღმოსავლურ ნაწილში მხოლოდ დღისითაა თვალწარმტაცი, როცა ქუჩებს ხალხის ჭრელი მასების ჭყლეტა აცოცხლებს; საღამოთი სურათის ფერადი ნისლი ქრება და შაფიზის უკვდავი სიმღერის ნაცვლად ისმის ნასვამი ქართველის დუდუნი. ტფილისს არ შეუძლია ჰქონდეს ისეთი სახელი, როგორიც აღმოსავლეთის სხვა უძველეს ქალაქებს თავისი სახელოვანი წარსულით. მხოლოდ გვიან შუასაუკუნეებში გადმოიტანეს აქ რეზიდენცია ძველი ქართული სატახტო ქალაქ მცხეთიდან [2]; ამ დროიდან ითვლიან ერთ დროს მძლავრი სამეფოს დაცემას. სპარსელთა შემოსევებმა გაანადგურეს ქვეყანა და დაანგრიეს ქალაქი; მხოლოდ რამდენიმე ეკლესია და ძველი სიმაგრის ძლიერი ნანგრევები, რომლებიც მაღლა კლდეებიდან იმზირებიან, ჯერაც წარმოადგენენ ბაგრატიონთა სახელოვანი მმართველობის მოწმეებს. როცა ამ საუკუნის დასაწყისში ამ დინასტიის უკანასკნელმა მეფემ [3] თავისი ქვეყანა რუსებს ჩააბარა, რათა თავი სპარსელთაგან დაეცვა, ახალმა ბატონებმა ნახეს საქართველო (Georgien) გაუდაბურებული, ხოლო ქალაქი ნანგრევებში და გაუკაცრიელებული. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა: ტფილისი გახდა კავკასიის მმართველისა და ცენტრალური დაწესებულებების მოხელეების ადგილსამყოფელი, იგი წარმოადგენს საგზაო მოძრაო-

ბის ბადის ცენტრს და ზღვას უკავშირდება ახლახან გახსნილი რკინიგზით [4]; ძველი კვარტალები აღადგინეს, ახალი უბნები რუსული პროვინციული ქალაქების სტილში ააშენეს; მუყაითი გერმანელების ერთმა კოლონიამ დააარსა სასიამოვნო გარეთუბანი [5]. ამჟამად ქალაქი მუდმივად იზრდება და მოსახლეობა 100000-ზე დიდად ნაკლები არ უნდა იყოს.

ქალაქის მდებარეობა მეტწილად ცუდია: ვიწრო ქვაბულში, შიშველ, მოყვითალო ულამაზო ფორმების მთებს შორის მოქცეული განიცდის ჰაერისა და სიმწვანის ნაკლებობას, ხოლო ზაფხულში სიცხე აუტანელს ხდის იქ გაჩერებას; ყველა გადის მთებში სააგარაკოდ და მხოლოდ გვიან შემოდგომით ბრუნდებიან პირველ წვიმებთან ერთად. სწრაფი მტკვარი ქალაქს ჰყოფს ორ არათანაბარ ნაწილად. თავდაპირველად ის მიედინება განიერ კალაპოტში, ხოლო შუა ქალაქში ის მოექცევა ციცაბო კლდეებს შორის ვიწრო ხეობაში. ორი ხიდი [6], თამამი თაღით აღმართული წყლის ზედაპირიდან, აერთებს აქ, ქალაქის აზიურ ნაწილში ნაპირებს, ხოლო მესამე [7] – მოშორებით ზემოთ აკავშირებს რუსულ კვარტალებს. ოფიციალური ცხოვრება თავმოყრილია ქალაქის რუსულ ნაწილში მტკვრის მარჯვენა ნაპირზე; აქ ვხედავთ განიერ ქუჩებს შესამჩნევი შენობებით და ელეგანტური მაღაზიებით. ჩივილი მოუკირწყლავ და ზაფხულში მტვრიან ქუჩაზე, ზამთარში კი საშინელ ტალახზე, რაც დიუმამ [8] თავის წიგნში იუმორით გადმოგვცა, შეწყდა. ამჟამად აქ უკეთესი ქვაფენილია, ვიდრე უმეტეს რუსულ ქალაქებში და, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით ჯობს პეტერბურგისა და მოსკოვისას. უპირატესობა აქვთ დროშკებს (ოთხთვალა მსუბუქი ეტლები); მოხერხებული ეტლები კარგი ცხენებით და შედარებით (კავკასიისათვის) იაფი ტაქსა (საფასური). თვალში საცემია, რომ დროჟკების არსებობა, რაც პეტერბურგსა და მოსკოვში ჯერაც მოძველებულია, ხოლო კიევსა და ოდესაში მხოლოდ ასატანია (შემოსავლიანი), ყველა კავკასიურ ქალაქში, თვით პატარებშიც სრულყოფილებამდეა წარმოდგენილი, როგორც ეს მხოლოდ ზოგმა ევროპულმა ქალაქმა წარმოაჩინა; მაგალითად მე არსად მინახავს უკეთესი ცხენები და ეტლები, როგორიც კასპიის ზღვისპირა ბაქოში. ეტლების ხარისხი შეესაბამება მის მაღალფარდოვან სახელს. ფაიტონი არის ტრანზიტული სახელი, რომელიც თავისი წყობით ოთხთვალასგან ძალზე განსხვავებულია...

ქალაქის ევროპული ნაწილი არაა მდიდარი იმპოზანტური შენობებით. დიდი მთავრის – მეფისნაცვლის სასახლე [10] მშვენიერი

ნაგებობაა, მაგრამ არა დიდებული. შიგნით არის სარკეებით მდიდარი სპარსული სტილის დარბაზი და ოთახი ლამაზი ნოხებითა და იარაღით; მაინც მთლიანობაში არაა ბრწყინვალე. არაჩვეულებრივია კავკასიის რელიეფი, რომელსაც უკავია დიდი მთავრის სამუშაო ოთახის მთელი კედელი, მაგრამ ის საუცხოვო ხუთვერსიან რუკას ვერ გაუტოლდება. სასახლის უკან არის სასიამოვნო, კარგად მოვლილი პარკი. ის ზაფხულშიც უზრუნველყოფილია წყლით და საწინააღმდეგოა მოპირდაპირედ მდებარე პატარა საჯარო ბაღისა [11], რომლის ხეები სიცხისგან იწვიან და მტვრისგან დამხრჩვალთ ტოტები საცოდავად ჩამოუშვიათ დაბლა.

ძალზე საყურადღებოა ახლოს მდებარე კავკასიის მუზეუმის შენობა [12]. ის არის უახლესი დროის ქმნილება და ერთერთი ყველაზე წარმატებული თავის საქმეში, როგორიც კი ვიცი.... ამჟამინდელი მისი დირექტორია სამეცნიერო წრეებში ცნობილი ბუნების მკვლევარი დოქტორი რადდე [13]; მან სახელი დაიმსახურა ციმბირში და რამდენიმე წელია რაც კავკასიაში მოღვაწეობს; მან დაუღალავად შემოიარა ქვეყანა მაღალი ქედის უშორეს კუთხემდე და ითვლება კავკასიის ბუნების საუკეთესო მცოდნედ. ექსპედიციებთან დაკავშირებული მისი მეცნიერული მოხსენებები წარმოადგენენ უძვირფასეს მასალას ტურისტებისთვის, ხოლო ცალკეული მისი მონოგრაფიები იმერეთისა და სამეგრელოს მაღალმთიანეთის შესახებ თითქმის შეუცვლელია. დიდი გემოვნებით მოაწყო ბიოლოგიური განყოფილება; ჩვენი მუზეუმებისგან განსხვავებით, სადაც ცხოველთა ფიტულები ესკადრონელთა მსგავსად დგანან მწკრივში, კავკასიური წარმომადგენლები იმყოფებიან თავიანთ ბუნებრივ გარემოში: მთის თხით დაწყებული, რომელიც ადის ციცაბო კლდეზე, ყორნით დამთავრებული, მკვდარ აქლემს თვალებს რომ უკორტნის. სამწუხაროდ, ჩვენი იქ ყოფნისას დირექტორი წასულიყო ევროპაში; ასე რომ, ვერ მივიღეთ მის უწყებაში მისეული მეცნიერული განმარტებები ზოოლოგიასა და ბოტანიკაში. მუზეუმის ხანმოკლე არსებობის მანძილზე სხვა კოლექციები, მართალია, ჯერ არაა ძალიან მდიდრული, მაგრამ გვაძლევენ კარგ სურათს ხალხის საქმიანობის შესახებ. ამ განყოფილებათა ნაწილი გატანილი იყო მოსკოვში საერთაშორისო გამოფენაზე, რომლის ნახვის საშუალება იქ მეც მქონდა.

სასახლისა და მუზეუმის სიახლოვეს, არასიმეტრიულ მოედანზე მდებარეობს თეატრის შენობა [14] – გარედან არცთუ თვალში საცემი, შიგნით კი ნატიფი, დახვეწილი გემოვნების ძვირფასეულობის

ზარდახშა. ყოველ ზამთარს ზრუნავენ რუსი მსახიობები და იტალიელი ოპერის მომღერლები რუსული საზოგადოების გართობასა და ქართველთა ცივილიზაციაზე. ამ მოედანზე არის აგრეთვე ქალაქის ორი პირველი სასტუმრო – „კავკაზი“ და „ევროპა“ [15]. ორივე ერთნაირი კლასის (თანრიგის). ჩვენ დავბინავდით პირველში; სისუფთავე და კარგი სამზარეულო მხოლოდ საქებარია; ფასები კი კავკასიური, ე. ი. სამ-ოთხჯერ მაღალი, ვიდრე შვეიცარიის საუკეთესო სასტუმროებში, მაგრამ ჩამორჩებიან ქუთაისის სასტუმრო „ფრანს“-ს, „კავკასიურ ჰარპიას“, როგორც მას ერთი ინგლისელი მოგზაური მოსწრებულად უწოდებდა დიდი ხნის წინ.

თეატრის მოედანთან მთავრდება ევროპა; რამდენიმე ნაბიჯის იქით შევდივართ აზიის შუაგულში. აქ არის ბაზარი – აღმოსავლური ცხოვრების ყველაზე გაცოცხლებული ადგილი. ის არ ჰგავს სპარსეთისა და თურქეთის დიდი ქალაქების ბაზრებს; ეს არაა კომპლექსი ერთმანეთის მკვეთი თაღოვანი, ან, სულ მცირე, ჭილობით მზისგან დაცული დარბაზების (რიგები), არამედ მხოლოდ ლაბირინთები ვიწრო ქუჩებისა და დაბალი სახლების, რომელთა წინა მხარე მთლიანად სახელოსნოებს უკავიათ, რომლებიც იმავდროულად დუქნებს წარმოადგენენ. არ აქვთ ვიტრინები, რადგან ყველაფერი, რაც დუქნებშია მომარაგებული, ღიადაა გამოკიდული, ან ფენებად დალაგებული. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი ვერ შეედრება დამასკოს დიდებულ მარმარილოს ეზოებს, ან ბაღდადისა და თავრიზის უსასრულოდ კამაროვან დარბაზებს (პავილიონებს), მაინც არ ჩამორჩებიან მრავალმხრივი ინტერესით. პირველყოვლისა სხვადასხვა ხალხების ყოფა და სახე – ცბიერი სომეხი (კავკასიური მთელი ვაჭრობის ბატონი) უკვე მრავლად ევროპულად ჩაცმული; მუდამ მხიარული და ღვინის მოყვარული სახე ქართველის; წითელწვერა თათარი ცხვრის ტყავის უზარმაზარი ფაფახით; გამხდარი მაღალი სპარსელი, რომელსაც შავი *კულა* უფრო მაღლად წარმოაჩენს, ხოლო მეტწილად მოყვითალოყავისფერი *აბი* შემოხვეული აქვს კოჭამდე – ესენია მუდმივ მოძრავი ტიპები. ამათ უერთდებიან სხვადასხვა ველური შესახედავი ხალხები: ოსები მეზობელი მთებიდან; თუშები (შეიცნობიან შავი ნაბდის ქუდით); ლეკები მკვეთრი სახის ნაკვთებით და არწივისებური ცხვირით; და, როგორც კონტრასტი – გერმანელი კოლონისტი ძველ მამა-პაპურ სამოსში, თავისი საზიდრებით და ცალუღელა შებმით. ბუნებრივია, რომ არ აკლია აგრეთვე რუსული უნიფორმა და ევროპული სამოქალაქო ტანსაცმელი. მზის ამოსვლიდან საღამომდე, შუადღის

ცხელი საათების ჩათვლით, ხალხი აწვება, სთავაზობენ და ვაჭრობენ; გაუგებარია ახალბედასთვის, თუ როგორ შეიძლება ივაჭრო ასეთ ჭყლეტაში და ხმაურში. გამყიდველმა უცხოელთან მიმართებაში საერთოდ დაკარგა თავშეკავების დიდი წილი, რაც დამახასიათებელია აღმოსავლელი ვაჭრისთვის. მაშინ როცა სპარსეთში არც ერთი გამყიდველი არ მისცემს თავს ნებას, რომ თავისი საქონელი უცხოს უქოს, ან შესყიდვა აიძულოს, ტფილისში ევროპელს იუველირები და მეიარაღეები ხშირად აბეზრად უხმობენ საყიდლად. ის რომ გამოუცდელს ურცხვად უძვირებენ, აღმოსავლელისთვის გასაგებია. კარგია, თუ გამოცდილის დახმარებით ჩაებმები ვაჭრობაში და პირველყოვლისა არ შეიმჩნევ, რომ რომელიღაც ნივთი განსაკუთრებით მოგეწონათ – მისი ფასი თვალის დახამხამებაში სამმაგად გაიზრდება.

საქონელი, რომელსაც ბაზარი გვთავაზობს, რა თქმა უნდა, მრავალფეროვანია; ყიდვის მოყვარულ ევროპელს არჩევა მით უფრო უადვილდება, რადგან, როგორც ყველა აზიურ ქალაქში, ყველა ხელობას თავისი უბანი აქვს: ასე ჯერ შეხვალ იუველირთა (ოქრომჭედელთა) ქუჩაზე, შემდეგ მეიარაღეებისაზე და ა. შ. ოქრომჭედლობა კავკასიაში ყოველთვის დიდად ფასობდა. საქართველოში ხალხის რაინდული სულისა და ღვინის სიყვარულის გამო უმთავრესად პატივდებული იყო სასმისებისა და იარაღის მორთვა-მოსევადება. პირველს აქვს საოცარი ფორმები: *აზარფეშა* (სიტყვა-სიტყვით „ათასი საოცრება“) არის კრუშონის კოვზის (ჩამჩის) მსგავსი, სწორი სახელურით, რომლის ხაპი 1/4 თუნგს (თუნგი უდრის ხუთ ბოთლს) იტევს და რომელიც ძველი ჩვეულების თანახმად ერთბაშად (სულმოუთქმელად) უნდა დაცლილიყო. *კულა* – მას აქვს პატარა ბარბითის (მუსიკალური საკრავი – გ. გ.) ფორმა, რომლის სახელური იხმარება როგორც ჩამოსასხმელად, ისე მუნდშტუკად (სატუჩე); მას იკიდებენ ქამარზე კაუჭით, რის მაგივრობასაც ჩვენებურ მოგზაურს მათარა უწევს.. შემდეგია საოცარი *ტოლჩები* სპირალურად დახვეული ყელით; დაბოლოს ყველანაირი *რქები* (ყანწები – გ. გ.) და *ფიალები.*

იარაღის მორთულობა საგანგებო სპეციალობად ჩამოყალიბდა, რაშიც ოქრომჭედლებმა მაღალ სრულყოფას მიაღწიეს: ეს არის ვერცხლის სევადიანი ხმლისა და ხანჯლის ტარი, სარტყლის შემონაკერი, ვაზნების მასრები და მრავალი ნივთი, რაც სამოსს ეკუთვნის, მისით არის მორთული. მე თვით ვნახე იქაურებთან ისეთი ნივთები, რომლებიც ნახატის დახვეწილობით და შესრულებით ევროპელ ოქრომჭედელს დიდ პატივს მოუტანდა. სამწუხაროდ, ცივი იარაღის

დამზადება ამჟამად ძველ სიმაღლეზე აღარ დგას; იაფი ზოლინგერის ნაწარმი მნიშვნელოვან კონკურენციას უწევს მათ. ყიდვის მოსურნე უცხოელი კარგს იზამს, თუ გულმოდგინე შემოწმების შემდეგ დარწმუნდება, რომ გასაღიმარ ფასად ძველ იარაღს კი არ სთავაზობენ, არამედ გერმანული წარმოების დამღით. მაინც კავკასიის სხვა ადგილებში, როგორიცაა ვლადიკავკაზი და დაღესტნის ზოგი სოფელი, ძალიან მნიშვნელოვნად მოქმედებენ ხმლების გაპრიალების ხელოვნებაში. ერთერთ უკანასკნელში, დარგოს მხარის პუნქტ ყუბაჩში ინკრუსტირების ხელოვნება მაღალ სრულყოფამდეა შენარჩუნებული. მაინც ყოველთვის დიდ უხერხულობას ხვდებიან უცხოელები იარაღის ყიდვისას. ხმლის ოსტატი, რომელიც ახალ იარაღის პირს ჰყიდის უტაროდ და უქარქაშოდ, სანამ ორივეს მეტყავეებსა და ოქრომჭედლებს შეუკვეთავ, გადის დიდი დრო და უნდა იცოდე მოთმინება.

სხვა მრავალფეროვანი საქონლიდან, რასაც ბაზარი გვთავაზობს, უცხოელი მეტწილად ინტერესდება სპარსული ხალიჩებით, ნაქარგით და ქსოვილებით. უფრო დიდი არჩევანის გამო მაინც ირჩევენ შესყიდვა აწარმოონ ქალაქის რუსულ ნაწილში არსებულ ხალიჩების დიდ მაღაზიაში; იქ ისე არ მოგატყუებენ, როგორც ბაზარში და უკეთეს საქონელსაც იპოვი. ხალიჩები უმეტესად სპარსეთიდან შემოდის; ნაკლები, მაგრამ ევროპულ საქონელთან (ნაწარმთან) შედარებით უფრო ყურადსაღები – ბაქოს გუბერნიიდან და ნუხადან. ეს უკანასკნელი აწოდებს ასევე აბრეშუმით ნაქარგ მოხდენილ თავშლებს, რაც სამართლიანად ეჯიბრება რეშტისას სპარსეთში და ხარისხით ბევრად ჯობს კონსტანტინოპოლის, ბურსას და დამასკოს ნაწარმს. აქ ამზადებენ მიმზიდველ სახეებიან პლუშებს დივანის ბალიშისთვის, რომელსაც მუთაქას უწოდებენ. დეტალური აღწერა სპარსული და კავკასიური ნაწარმისა, რომელიც მე ერთმა სომეხმა ვაჭარმა შემომთავაზა, მოგვიანებით თავრიზშიც ვერ მოვიძიე; ამიტომ ყიდვის მსურველებს მოვუწოდე, ისინი ტფილისში ენახათ, რაც თუმცა ცოტა ძვირი იქნებოდა დიდი არჩევანის გამო, მაგრამ უპირველეს ყოვლისა გაცილებით იოლი, უსაფრთხო და იაფი ტრანსპორტით აინაზღაურებდნენ. სხვა ნაწარმებიდან მოგზაურს დააინტერესებს სხვადასხვა არაიშვიათი აღმოსავლური მოწყობილობები. აღსანიშნავია აგრეთვე კავკასიაში დამზადებული ტყავეულობა, განსაკუთრებით გამძლე და ელასტიური ღვედები, ხშირად გამოყენებული აღვირად. საოცარი მონაპოვარი, რაც მე ბაზარში მერგო, იყო 16-ტოტა რქები საოცარი სიმაგრის, რაც უმნიშვნელო ფასად შევიძინე ერთი სომხისგან.

ბაზრის ბოლოს დგას ღირსშესანიშნავი ძველი ქართული ეკლესია [16], რომელიც ბოლო დროს რუსულმა ხელისუფლებამ ბიზანტიურის მიმსგავსებულად გემოვნებით აღადგინა. მისგან ახლოსაა ცხელი წყაროები, რომელთაც უნდა უმადლოდეს ალბათ ტფილისი თავის სახელს და არსებობასაც. ქალაქს ადრე ერქვა „ტბილის-ქალაქი“ (=თბილი ქალაქი). ენობრივად ეს სახელი გვახსენებს სლავურ *ტეპლიცეს.* ჩემთვის უცნობია თუ ჩატარდა კვლევა ქართველური ენების არიულთან ნათესაობის შესახებ. თვით წყაროები უხვი წყლისა და მაღალი ტემპერატურის გამო გამოიყენეს აბანოებისთვის. იქ ნახულობ ძალზე კომფორტულ და საუცხოოდ მოწყობილ, ე.წ. თურქულ აბანოებს, რაც დამქანცავი მოგზაურობის შემდეგ დიდი სიამოვნების მომგვრელია, გამუდმებით მოიხმარება და ძალის მომმატებელ-გამაცოცხლებელია. აქ, თითქმის ქალაქის ბოლოს არის ასევე სხვა პუნქტი, სადაც უცხოელი ქალაქურ ხმაურიან ორომტრიალსა და გახურებულ მტვერს გაურბის და სურნელოვან მარტოობაში შეუძლია დაისვენოს. ეს არის *ბოტანიკური ბაღი,* განფენილი გამოშვერილი კლდის უკან, რომელზეც მდებარეობენ ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები [17]. ბაღის სიმშვენიერე პირველად მაშინ ჩნდება, როცა მის შუაგულში იმყოფები. მხოლოდ რამდენიმე წუთის სავალზე ბაზრიდან ბატონობს აქ სიმშვიდე და სიწყნარე. ერთი პატარა ნაკადულის სიკეთეს მზრუნველობით ეკიდებიან; ასევე ცხელ ზაფხულში არის ხასხასა მწვანე და მაცოცხლებელი ჰაერი. თუ არ დაზოგავ ძალებს და ახვალ მაღლა გალავნამდე, რაც ნანგრევებიდან დაწყებული ბაღს ესაზღვრება, ჯილდოდ დაინახავ ყაზბეგს, რომელიც ქალაქიდან არ ჩანს, აქედან კი – მისი ყინულიანი წვერი მთისწინეთს გადმოსცქერის.

ქალაქის ნაწილი მტკვრის მარცხენა ნაპირზე ნაკლებ საინტერესოა. ბაზრის მოპირდაპირედ მდებარეობენ საკმაოდ შეუხედავი ქართული უბნები, სადაც აღიმართება ძველი ჭაღარა პატარა ეკლესია [18]; იგი აგებულია მდინარის ზემოთ ციცაბო კლდეზე და გადმოსცქერის ორივე ხიდზე მიმდინარე ორომტრიალს და მტკვრის სწრაფ მორევს. ზემო ხიდის იქითა მხარეს დგას კავკასიის მეფისნაცვლის თავად ვორონცოვის ძეგლი, რომლის მიმართაც ქალაქს ბევრი აქვს სამადლობელი. ეს ის პიროვნებაა, რომლის ნამოქმედარს ყირიმში ყველგან ხვდები. აქედან მივყევართ რუსულ ქუჩებს ქალაქის ზედა ბოლომდე და უცბად შეხვდებით მთლად შეცვლილ სურათს: განიერი ალეა ნათელი პატარა სახლებით და სუფთა ბაღებით თით-

ქმის ნახევარი საათის სავალზეა გაჭიმული. ეს გახლავთ გერმანული კოლონია, რომელიც 20-იან წლებში დააარსეს გადმოსახლებულმა ვიურტემბერგელებმა [19]. განსხვავებით ქვეყანაში გაფანტული გერმანული სოფლებისგან, რომელთა მაცხოვრებლები უკლებლივ მიწათმოქმედებას მისდევენ, აქ გერმანულ-ტფილისში მხოლოდ ხელოსნობენ, რომლებსაც თავისი ცოდნით და სიბეჯითით გაუმართლათ ცხოვრებაში. 1865 წელს მათი რაოდენობა იყო 600 სული. ის რომ კოლონიას არ აკლია ლუდის სახარშები, გასაგებია, ხოლო მათ პროდუქციას აფასებენ გერმანელები, რუსები და ქართველები. სომეხი არქიმანდრიტი, რომელმაც ეჩმიაძინში მიგვიღო, იგონებდა სევდით ტფილისში სწავლების პერიოდს და საღამოებს ლუდის ბაღებში. ჩვენც განვიცადეთ თანამემამულეთა საზოგადოებაში სასიამოვნო წუთები და შევძელით გვეფიქრა სამშობლოზე, რომ არა შეუჩვეველი ქართველი მუსიკოსების ხმიანობა, რამაც აღმოსავლეთისკენ მიგვიხმო. ტრიო შედგებოდა კლარნეტის [20], გიტარისა და დოლისგან, ხოლო მათი სიმღერა ქვას დაარბილებდა. უკანასკნელი ერთფეროვნად ახლდა სიმღერას... კლარნეტისტის ოსტატობა იმაში მდგომარეობდა, რომ შეესუნთქა ცხვირით, ხოლო პირით დაუღალავად უბერავდა. ესაა საკრავი, რომელსაც, იქ შემსწრე გერმანელი კაპელმაისტერის მტკიცებით, ვერცერთი ევროპელი მუსიკოსი ვერ მიბაძავდა.

გერმანული კოლონიის ზემოთ მდებარეობს ფოთისკენ მიმავალი რკინიგზის სადგური და საზოგადო პარკი დაარსებული სპარსეთიდან გამოძევებული მუშტეჰიდის (მაღალი სასულიერო თანამდებობის პირი) მიერ, რომლის მიხედვით პარკს „მუშტეჰიდი“-ს დაერქვა. გაზაფხულობით ეს არის ტფილისის მაღალი საზოგადოების თავშეყრის ადგილი. ამჟამად სიცხემ ყველა მთებისკენ გააქცია და ბაღში არცერთი სული არ მოიძებნებოდა. ყველაზე მეტად ზაფხულში სიგრილის გამო ადიან ქალაქიდან ერთ მილზე სამხრეთ-დასავლეთით მდებარე *კოჯორში*. საზოგადოების მოზრდილი ნაწილი მიდის უფრო შორს ბორჯომის ან აბასთუმნის ტყიან გარემოში. ახლო მდებარე კახეთი თავისი მშვენიერი პუნქტებით ჩანს, რომ რუსების მიერ ჯერაც უყურადღებოდაა დატოვებული.

მიუხედავად გაბატონებული სიცხისა, ჩვენ რვა დღე გავატარეთ ტფილისში დიდი სიამოვნებით. ამჟამინდელი მმართველი საკონსულოსი, ბატონი *ბოლტონი* იყო მუდამ თავაზიანი და კომპეტენტური რჩევების მომცემი; მისი ბიუროს მომსახურე პირი, ტფილისში ყველა გერმანელისთვის ცნობილი *მიხეილი* იყო ჩვენი უცვლელი დამცველი

ყოველი შესყიდვებისას. ძმები *სიმენსების* სახლმა (ბერლინის ფირმა არის „სიმენსი და ჰალსკე“) [21] ინგლის-ინდური ტელეგრაფით ქვეყანაში მნიშვნელოვანი ინტერესი გამოიწვია; მათ ის გაიყვანეს და 100 მილზე მეტით გადის ტრანსკავკასიაზე, ისევე როგორც მცირე კავკასიაში, შამქორის ბარზე ქედაბეგის სპილენძის საბადოზე. სიმენსების ორი ძმა, რომლებმაც პრუსიული, ანუ გერმანული საკონსულო მოაპირკეთეს, ამ ბოლო წლებში აქ გარდაიცვალნენ და ბატონი ბოლტონი უმალ გახდა სახლის წარმომადგენელი. ამასობაში, სხვათაშორის, არჩევითი საკონსულო გადაიქცა საშტატო საკონსულოდ და ადრე ყოფილმა ალექსანდრიის ვიცეკონსულმა ბატონმა *ბრიუნინგმა* დაიკავა ეს თანამდებობა.

ჩვენს შემდგომ სამოგზაურო გეგმას მოულოდნელი დაბრკოლება შეექმნა: ძალიან გაგვიჭირდა დაგვედგინა კომუნიკაციის მდგომარეობა ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში; კერძოდ ვერავინ მოგვაწოდა ცნობა, თუ რა გზით შეიძლებოდა წასვლა თავრიზიდან ტიგროსისკენ. სპარსეთის გენერალ-კონსულის მონახულებამ ერთგვარი ნათელი მოჰფინა საკითხს. ჩვენ დავადგინეთ, რომ საქარავნო გზა შვიდ დღეში ჩაგვიყვანდა კასპიის ზღვაზე მდებარე ასტარადან არდებილზე გავლით თავრიზში და რომ იქიდან მოსულშიც უსაფრთხოდ შეიძლებოდა მისვლა. ამის შემდეგ შევადგინეთ სამოგზაურო გეგმა....[1]

ვინც ხანგრძლივად რჩება ტფილისში, უნდა ნახოს წმ. დავითის მონასტერი, უშუალოდ ქალაქის თავზე აღმართული საუცხოო ხედებით, აგრეთვე, მარტყოფის მონასტერი, ცნობილი სალოცავი პუნქტი – ქალაქიდან რამდენიმე საათის სავალზე ჩრდილო-აღმოსავლეთით; ხოლო მონადირე ტფილისს ქვემოთ მტკვრის სტეპ ყარაიაზე მრავალგვარ სამიზნეს შეხვდება.

მცირე კომენტარები

[1] ბოდენშტედტი, ფრიდრიხ ფონ (1819-1892) – გერმანელი მოგზაური, მწერალი. 1844 წელს ჩამოვიდა თბილისში. აქ გიმნაზიაში ასწავლიდა ფრანგულ ენას. მას ეკუთვნის წიგნი – „კავკასიის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისთვის რუსეთის წინააღმდეგ“ (მაინის ფრანკფურტი, 1848).

[2] მცხეთა და მისი ციხე არმაზი კარგავს თავის მნიშვნელობას

1 აქ გამოვტოვეთ ვრცელი მარშრუტი თავრიზისკენ – ყაზბეგი-ჩეჩნეთი-დაღესტანი-პეტროვსკი; კასპიის ზღვით – დარუბანდი-ბაქო-ლენქორანი – ხმელეთით თავრიზი (გ. გ.)

თბილისისა და მისი ციხის კალას სასარგებლოდ VI საუკუნიდან.

[3] გიორგი XII ერეკლეს ძე (1798–1800). მისი გარდაცვალების შემდეგ „შეიერთა“ რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო.

[4] რკინიგზის მშენებლობა დაიწყო 1865 წელს. 1872 წელს ამუშავდა თბილისი-ფოთის დამაკავშირებელი ხაზი.

[5] გერმანელთა გადმოსახლება მოხდა 1818–1819 წლებში, ერმოლოვის მმართველობისას. თბილისის ახლოს გერმანელი კოლონისტები დასახლდნენ სოფელ კუკიასთან და დაირქვეს „ნოი ტიფლისი“ (ახალი ტფილისი). იგი შემდეგ გაფართოვდა მიხეილის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის) გამზირის მიმართულებით და ქალაქს შემოუერთდა 1852 წელს.

[6] ეს ხიდებია – მეტეხის ხიდი, რომლითაც თათრის მოედნიდან გადადიოდნენ ავლაბარში; მეორე – უნდა იყოს ვაჭარ მნაცაკანოვის მიერ 1850 წელს აგებული ქვის ხიდი (დღევანდელი 300 არაგველის სახელობის).

[7] ეს ხიდი აიგო ვორონცოვის მეფისნაცვლობისას 1851 წელს. მან ქალაქთან დააკავშირა კუკია და ჩუღურეთი და აკავშირებდა რუსულ კვარტლებს.

[8] ალექსანდრე დიუმა, ფრანგი მწერალი საქართველოში იყო XIX საუკუნის 50-იან წლებში. მას ეკუთვნის სქელტანიანი წიგნი „კავკასია“ (პარიზი, 1859), რომელშიც მოცემულ ზოგიერთ ცნობას ევროპელი სხვა მოგზაურები ფანტაზიის ნაყოფად უთვლიან.

[9] დღევანდელი საარბრიუკენის მოედანზე 1867 წლის 25 მარტს გაიხსნა თავად, ფელდმარშალ, კავკასიის პირველი მეფისნაცვლის (1844–1854 წლებში) მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის (1782–1856) ბრინჯაოს ქანდაკება და ხიდსაც და მოედანსაც მისი სახელი დაერქვა.

[10] დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი (1832–1909) კავკასიის მეფისნაცვალი 1862–82 წლებში; მისი რეზიდენცია იყო ყოფილი პიონერთა სასახლე, რუსთაველის გამზირზე, ამჟამინდელი მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე.

[11] იგულისხმება ყოფილი ალექსანდრეს ბაღი ქაშვეთთან, რომელიც გაიხსნა 1860 წელს.

[12] კავკასიის მუზეუმი დაარსდა 1852 წელს; 1864 წელს დაიხურა, მაგრამ აღადგინეს გუსტავ რადდეს ინიციატივით 1865 წელს, ხოლო საზეიმოდ გაიხსნა 1867 წლის 2 იანვარს. ამჟამინდელი

სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი 1919 წლიდან დაარსდა კავკასიის მუზეუმის ბაზაზე.

[13] რადდე გუსტავ ივანეს ძე (1831–1903) ცნობილი გერმანელი ბუნებისმეტყველი და გეოგრაფი. როგორც ითქვა, მისი ინიციატივით აღადგინეს და გაიხსნა კავკასიის მუზეუმი. ის დასახლდა თბილისში და დახმარებას უწევდა ყველა ჩამოსულ მოგზაურს. თვითონაც ბევრი იმოგზაურა საქართველოში და ამ ექსპედივიებს უძღვნა ნაშრომები: „ოთხი მოხსენება კავკასიის შესახებ“, „ხევსურები და მათი ქვეყანა“, „მოგზაურობა სამეგრელოს მაღალ მთებში“, „მოგზაურობა სვანეთში“.

[14] იგულისხმება დღევანდელი თავისუფლების მოედანი, რომელზეც ტილმანმა იხილა არქიტექტორ სკუდიერის პროექტით 1851 წელს აგებული რუსული თეატრისა და ოპერის შენობა, რომელიც დაიწვა 1874 წელს.

[15] სასტუმრო „კავკაზი“ მდებარეობდა ერევნის (დღეს თავისუფლების) მოედანზე, „ევროპა“ – პუშკინის ქ. №29-ში.

[16] ბაზრის ბოლოს ძველი ქართული ეკლესია, ცხელი აბანოების ახლოს, უნდა იყოს სიონი.

[17] ესაა ნარიყალას ციხის ნანგრევები.

[18] ბაზრის პირდაპირ მტკვრის მარცხენა ნაპირზე დგას მეტეხის ეკლესია.

[19] გერმანული კოლონია, იხ. კომენტარი [5].

[20] ტილმანისთვის უცხო ზურნა-დუდუკის ხმოვანება.

[21] ვერნერ ფონ სიმენსმა (1816–1892) და იოჰან გეორგ ჰალსკემ 1847 წლის 1 ოქტომბერს დააარსეს ფირმა „სიმენსი და ჰალსკე“, რომელმაც პირველი სატელეგრაფო ხაზი გაიყვანა 1848 წელს ბერლინიდან მაინის ფრანკფურტამდე. ამ ფირმის წარმომადგენლობა გაიხსნა თბილისში 1860 წელს, რომელსაც უთავა ვერნერის ძმამ ვალტერ სიმენსმა (1833–1868). მან დაიწყო სატელეგრაფო სადგურების მოწყობა თბილისიდან სხვადასხვა მიმართულებით: 1863 წელს დამყარდა კავშირი სტავროპოლთან; 1865 წლიდან თბილისსა და თეირანს შორის დაიწყო დეპეშების გაცვლა. 1868 წელს პრუსიის კონსულად დანიშნულმა ვალტერ სიმენსმა სატელეგრაფო კავშირი დაამყარა ბაქოსთან. თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მისი ძმა ოტო სიმენსიც. ვალტერს აღიარებდნენ კავკასიის ტელეგრაფის მამად. მას დიდად აფასებდა თბილისის საზოგადოება.

Gia Gelashvili
Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior Scientific-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Max von Thielmann about Tbilisi

Summary

Max von Thielmann visited Tbilisi in August-September of 1872. We translated suitable material from Thielman's work _ "Journey in the Caucasus, Persia and Turkey in Asia" (Leipzig, 1875), where he describes the conditions of Tbilisi, its parts, bridges, buildings, parks, monasteries, fortifications, Public, its merchandize, the bazaars, national music etc.

Thielmann"s work has a permanent voluo as a mine of an accurate description of Tbilisi at that date.

არჩილ კოხრეიძე
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

გიორგი ჩუბინაშვილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტის დამაარსებელი

(მასალები)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენადმე სრული ისტორიის დაწერა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. მოსაძებნია დიდძალი დოკუმენტური მასალა, რომლის ურთიერთშეჯერება-ანალიზის გზით აღდგება პირველი უმაღლესი სასწავლებლის საუკუნოვანი, თუმცა ერთობ რთული, წარსულის სურათი. თავდაპირველად უმჯობესია უნივერსიტეტის ისტორიის ცალკეული საკითხების დამუშავება, რაც ვერ მოხერხდება საჭირო წერილობითი მონაცემების გარეშე. ამიტომ, მთელი ძალისხმევა უნდა წარიმართოს დღემდე უცნობი საარქივო მასალის გამოვლენა-შესწავლისაკენ.

აკად. გ. ჩუბინაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც იგი თავად ივანე ჯავახიშვილმა მიიწვია. სახელოვანმა მეცნიერმა დიდი ამაგი დასდო ქართული ხელოვნებათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო უჯრედის შექმნას უნივერსიტეტში. აღნიშნულის შესახებაა საუბარი ჩემ მიერ მოძიებულ იმ დოკუმენტებში, რომლებიც დაცულია საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში.

გამოვლენილი მასალებიდან, მართალია, პირველი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის * [4, 6-27] სამეცნიერო საბჭოს წევრთა

* ამ ინსტიტუტის შესახებ იხილეთ: О. Жордания, Институт Истории, Археологии и Этнографии им. акад. И. А. Джавахишвили, издательство «мецниереба», Тбилиси, 1988, გვ. 6-27.

თანაგრძნობის წერილი ი. ყიფშიძის გარდაცვალების გამო და არ უკავშირდება უმაღლეს სასწავლებელში ხელოვნებათმცოდნეობის სამეცნიერო უჯრედის შექმნას, მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება, რადგან გვიჩვენებს მძიმე დღეებში უნივერსიტეტის მესვეურთადმი გამოვლენილ თანადგომას. ამ დოკუმენტით კიდევ უფრო გამდიდრდა ხელმომწერთა (ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, დ. გორდეევი) ბიოგრაფია, და, რაც მთავარია, იგი უცნობი დარჩა ი. ყიფშიძის „თხზულებათა“ გამომცემლებისათვის, რომლებმაც 2015 წელს დაბეჭდილ წიგნში საგანგებო ადგილი დაუთმეს უდროოდ გარდაცვლილი მეცნიერის ნეკროლოგს თუ ამ სახის სხვა მასალას [2, 693-725].

დოკუმენტებით ნათელია, გ. ჩუბინაშვილის ზრუნვა ხელოვნების კაბინეტისა და მასთან არსებული ფოტოგრაფიის კაბინეტის კეთილმოწყობისათვის. საარქივო მასალით დგინდება, რომ მეცნიერმა სხვადასხვა დროს ამ მიზნით სამჯერ მოითხოვა გარკვეული თანხა (2.000, 3.000, 8.000 მანეთი) მისი გამართული ფუნქციონირებისათვის (დოკუმენტი NN2, 3, 6). ენერგიულად იღწვოდა კაბინეტისათვის საჭირო ფართის მოძიებისათვის. უნივერსიტეტის (დღევანდელი I კორპუსი) მეორე სართულის სამხრეთ დერეფანში შეურჩევია ორი ოთახი, აღნიშნული უცნობებია შენობის ზედამხედველ ა. თვალჭრელიძისათვის, რომელსაც დაუკმაყოფილებია მისი თხოვნა და მცირედ შეუკეთებია კიდეც ისინი. ჩანს, გ. ჩუბინაშვილის აზრით, ეს ოთახები აკმაყოფილებდა იმ სტანდარტებს, რომელშიც უნდა გახსნილიყო ხელოვნების კაბინეტი, ამიტომ თხოვს უმაღლესი სასწავლებლის გამგეობას დაუბრუნდეს შერჩეული ოთახებიდან ერთი, რომელიც ჩატარებული რემონტის შემდეგ, დაუკავებია ერთ-ერთ პროფესორს, არ ერიდება იმას, რომ ოთახის დამკავებელი პროფესორი უნივერსიტეტის ერთ-ერთი ცნობილი ავტორიტეტი იყო (დოკუმენტი N5).

ხელოვნების კაბინეტის მოწყობა, ბუნებრივია, უკავშირდებოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ პროცესს, რომელიც გულისხმობს საჭირო, კონკრეტულ ფოტომასალას (ამჟამად აუდიო და ვიდეო მონაცემებსაც). ჩანს, გ. ჩუბინაშვილს დასჭირდა ბაგრატის ტაძრის ნანგრევების სურათები, რომლის ალბომი ინახებოდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციაში, მაგრამ აფიქრებდა ე. თაყაიშვილის პოზიცია, რომელიც დროებით სარგებლობაში არავისზე გასცემდა საზოგადოების კუთვნილებას. ამიტომ, მიმართავს უნივერსიტეტის გამგეობას – ქუთაისიდან უმაღ-

ლესი სასწავლებლის საჭიროებისათვის გამოითხოვონ არა მარტო ალბომი, არამედ მასში მოთავსებული სურათების ნეგატივები დიაპოზიტივების დასამზადებლად, რომელიც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის თანხმობის შემთხვევაში, გარკვეული დროით, შეინახებოდა უნივერსიტეტის ფოტო კაბინეტში და მოთხოვნისთანავე დაუბრუნდებოდა პატრონს (დოკუმენტი N7). ვფიქრობთ, ამ განცხადებით მეცნიერი ცდილობს მის მიერ შექმნილ კაბინეტში თავი მოუყაროს ქართული ხელოვნებათმცოდნეობის შესწავლისათვის საჭირო მასალას და შესაძლებლობის შემთხვევაში უნივერსიტეტისათვის დაისაკუთროს კიდეც ისინი.

ხელოვნების კაბინეტთან დაკავშირებული გ. ჩუბინაშვილის ყოველი „განცხადება“ მიმართულია ამ სასწავლო-სამეცნიერო უჯრედის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისადმი. ჩვენ მიერ მოძიებულ ბოლო დოკუმენტით იგი კვლავდაკვლავ იღვწის ისეთი კაბინეტისათვის, რომელიც „ხელს შეუწყობს ხელოვნების მეცნიერების საფუძვლიანად შესწავლის საქმეს“ ორი მიმართულებით: 1. უზრუნველყოფს სწავლის საჭიროებას და 2. დახმარებას გაუწევს მსმენელთ, რომელთაც „ჰსურთ დამოუკიდებლად იმუშაონ სპეციალურ დარგში“. განცხადებით დასტურდება, რომ აღძრულ საკითხებს ეხებოდა „წინა მოხსენება“-ც (თუმცა ჩვენ ვერ მივაგენით) და ორივეში ერთი და იგივე პრობლემებზე იყო საუბარი.

ახლა იმაზე, თუ რა საკითხებია დასმული აღნიშნულ განცხადებაში.

გ. ჩუბინაშვილის მართებული შენიშვნით „ხელოვნების შესასწავლად საჭიროა მასალები მხედველობითი გზით შეფასებისათვის“... ა) სურათები წიგნებში, ბ) ცალკე ფოტოსურათულად გადაღებული სურათები თუ ნახაზ-ნახატები, გ) „დიაპოზიტივები“, რათა „მსმენელებს საშუალება ჰქონდეთ, დამოუკიდებელი მუშაობა ნორმალურად აწარმოონ“, კერძოდ, კაბინეტში „უნდა მოიპოვებოდეს:

1. მეცნიერული მუშაობისათვის მუდმივი დამხმარე აპარატი (საძიებელი ძეგლებისა, წარწერებისა, ისტორიულ პირთა, ფოტოგრაფიებისა, წიგნებისა და სხვ.).

2. მუზეუმი ორიგინალური ნახატებისა, გრავიურებისა, დასურათებული ხელნაწერებისა და ნივთებისა“.

ამ განცხადებაში სხვა, წინა „განცხადების“ მსგავსად (იხ. დოკუმენტი N4) მეცნიერი კვლავ დაჟინებით ითხოვს ერთი პირის აყვანას თანამშრომლად, რომელიც იმუშავებს მისი „მეთვალყურეობით

და ხელმძღვანელობით“, სასყიდელს (ჯამაგირს) კი მიიღებს „კაბინეტისათვის გადახდილი თანხიდან“, მსგავსად „უნივერსიტეტის წიგნსაცავში თავისუფალი მომუშავე პირებისა“.

ცნობილია, რომ ქართული უმაღლესი სასწავლებლის შენობაში ერთდროულად გახსნილი იყო სამი (საისტორიო-საეთნოგრაფიო, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საეკლესიო) მუზეუმი. აღნიშნულის და უმთავრესად ფინანსურ-ორგანიზაციული საკითხების გამო გაჭირდა ხელოვნების კაბინეტის იმ სახით ფუნქციონირება, როგორც ეს მის შემქმნელს ჰქონდა ჩაფიქრებული. პრობლემა მოგვარდა მხოლოდ 1923 წელს, როდესაც ივ. ჯავახიშვილის მიერ კაბინეტს გადაეცა უნივერსიტეტში არსებული ეკლესიის ფართი, სადაც განლაგებულმა ხელოვნების კაბინეტმა საფუძველი ჩაუყარა ქართული ხელოვნების მუზეუმს [3, 84].

აღნიშნული დოკუმენტები ძლიერ მცირე ნაწილია იმ ვეებერთელა მასალისა, რომელიც ასახავს აკად. გ. ჩუბინაშვილის საქმიანობას თბილისის სახ. უნივერსიტეტში და რომელთაც თანდათან გამოვაქვეყნებთ.

N 1

1919 წლის მარტი – კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საკრებულოს წევრთა თანაგრძნობის წერილი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების გამო *

Въ Государственный Тифлисский Университетъ

Собрание ученыхъ членовъ Кавказского историко-археологического института выражаеть свое сочуствие Государственному Тифлисскому Университету по поводу смерти профессора Иосифа Алексевича Кипшидзе; эта безвременная утрата тяжела и чувствительна, какъ для университета, такъ равно и для Института, въ работах, которого покойный принималъ участие, совершивъ давшее богатые результаты путешествие въ Лазистанъ.

Заместитель директора, действительный член института: Е. Такайшвили

* წერილი დაწერილია ოფიციალურ ბლანკზე, რომლის ზემო, მარცხენა კუთხეში ვკითხულობთ: «Россійская Академія Наукъ. Кавказскій Историко-Археологическій Институтъ Тифлисъ.

Действительный членъ: Г. Н. Чубиновъ

Адъюнктъ: Дмитрий Гордъеву

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 28, ფურც. 206.

N 2

1919 წლის 5 ივლისი – პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილის განცხადება ტფილისის უნივერსიტეტის გამგეობას

გთხოვთ, ხელოვნებათა კაბინეტის მოსაწყობად მომცეთ ამ თავად ორი ათასი მანეთი.

გიორგი ჩუბინაშვილი

5. 07. 1919 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 28, ფურც. 55.

N 3

1919 წლის 3 ოქტომბერი – პროფ. გ. ჩუბინაშვილის განცხადება ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას

გთხოვთ, ხელოვნების კაბინეტის საჭიროებისათვის მომეცეს სამი ათასი (3000) მან., რომელიც მჭირდება წიგნების და ფოტოგრაფიების სასყიდლად.

გიორგი ჩუბინაშვილი

03. 10. 1919 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 28, ფურც. 68.

N 4

1919 წლის 17 ოქტომბერი – გიორგი ჩუბინაშვილის განცხადება ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას

ხელოვნების კაბინეტში მრავალგვარი სამუშაოა, უმთავრესად **საკანცელარიო ხასიათისა,** რომლისათვისაც საჭიროა მოწვეულ იქმნეს ვინმე გარეშე პირი. ამისათვის, ვსთხოვ გამგეობას, ნება დამრთოს, რათა ასეთ პირს შრომის სასყიდლად მიეცეს იმ თანხიდან, რომელიც გადადებულია კაბინეტის საჭიროებისათვის.

გიორგი ჩუბინაშვილი

17. 10. 1919 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 28, ფურც. 63.

N 5

1919 წლის 14 ნოემბერი – პროფ. გიორგი ჩუბინაშვილის განცხადება სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას

ვინაიდგან ნებადართულია ამ შემოდგომიდგან თვითეულმა პროფესორმა აირჩიოს კაბინეტებისა და სხვათათვის საჭირო ოთახები უნივერსიტეტის შენობაში, მე ვუჩვენე შენობების ზედამხედველს ბ-ნ ანტონ თვალჭრელიძეს** ორი თავისუფალი ოთახი მეორე სართულში, სამხრეთის დერეფანში*** ხელოვნების-მეცნიერების კაბინეტისათვის. თანახმად ჩემი თხოვნისა ის ორი ოთახი იყო შეკეთებულიც.

ახლა-კი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ოთახი ხელოვნების-მეცნიერების კაბინეტისათვის იყო მიცემული, პროფ. რაზმაძემ**** დაიპყრა მათგან ერთი ოთახი.

ამ განცხადებით გთხოვთ გამგეობას, რათა გაიცეს განკარგულება, მომეცეს მე ხელოვნების-მეცნიერების კაბინეტისათვის ზემო აღნიშნული ოთახი.

გიორგი ჩუბინაშვილი

14. 11. 1919 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 28, ფურც. 71.

N 6

1919 წლის 26 ნოემბერი – გიორგი ჩუბინაშვილის განცხადება ტფილისის უნივერსიტეტის გამგეობას

** **ანტონ თვალჭრელიძე** – თსუ შენობათა ზედამხედველი უნივერსიტეტის დაარსების დღიდან. სამწუხაროდ, მეტი მასალა მასზე ჯერჯერობით ვერ მოვიპოვეთ.

*** ასეა ტექსტში – ა. კ.

**** **ანდრია რაზმაძე** (1989. 30. VII – 1929 2. X) – დაიბ. სოფ. ჩხეინოში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი – თბილისი. დიდი ქართველი მათემატიკოსი. თსუ ერთ-ერთი დამაარსებელი. დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი (1906). მოსკოვის უნივერსიტეტი (1919). 1914 დას. ევროპაში სამეცნიერო მივლინების დროს გერმანულ ჟურნალში (Mathematishe Annalen) გამოაქვეყნა თავისი პირველი შრომა. იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი (1917-1918), თსუ მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო ფაკ. პირველი დეკანი. საფუძველი ჩაუყარა ქართულ მათემატიკურ ტერმინოლოგიას. ასევე, იყო „ქართული სალიტერატურო ნორმების დამდგენი კომისიის ნევრი“ (1920). მრავალი საერთაშორისო მათემატიკური ფორუმის მონაწილე. პარიზში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (1925).

გთხოვთ, საფოტოგრაფიო კაბინეტის საჭიროებისათვის მომეცეს რვა ათასი (8000) მან., რომელიც ჭირდება ფოტოგრაფიის მასალათა სასყიდლად.

გ. ჩუბინაშვილი

26. 11. 1919 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 28, ფურც. 74.

N 7

1919 წლის 28 ნოემბერი – პროფ. გიორგი ჩუბინაშვილის განცხადება ტფილისის უნივერსიტეტის გამგეობას

საქართველოს არქიტექტურის ლექციების კითხვის დროს აუცილებელად საჭიროა გვქონდეს ფოტოგრაფიულ სურათები ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისა. ამიტომ გთხოვთ, აღძრათ შუამდგომლობა ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წინაშე, რათა მან გამოუგზავნოს უნივერსიტეტს, ხელოვნების კაბინეტის საჭიროებისათვის, აღნიშნული ტაძრის სურათების ალბომი. ეთხოვოს აგრეთვე იმავე საზოგადოებას, რომ გადმოუგზავნოს უნივერსიტეტს, დიაპოზიტივების დასამზადებლად, აღნიშნული სურათების ნეგატივები, რომლებიც, თუ საზოგადოების გამგეობა თანახმა იქნება, უნივერსიტეტის საფოტოგრაფიო კაბინეტში იქმნება დაცული, ვიდრე პატრონი უკანვე არ მოითხოვს.

გიორგი ჩუბინაშვილი

28. 11. 1919 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 28, ფურც. 75.

N 8

1919 წლის 28 ნოემბერი – გიორგი ჩუბინაშვილის განცხადება ტფილისის უნივერსიტეტის გამგეობას

როგორც უკვე ნათქვამი მაქვს ჩემს წინა მოხსენებაში, საჭიროა შეიქმნეს უნივერსიტეტში ხელოვნების მეცნიერების კაბინეტი, რომელიც ხელს შეუწყობს ხელოვნების მეცნიერების საფუძვლიანად შესწავლის საქმეს. კაბინეტმა უნდა: 1) უზრუნველყოს სწავლების საჭიროება და 2) დახმარება გაუწიოს მსმენელთ, რომელთაც ჰსურთ დამოუკიდებლად იმუშაონ სპეციალურ დარგში.

ხელოვნების შესასწავლად საჭიროა მასალები მხედველობი-

თი გზით შეთვისებისათვის, ე. ი. საჭიროა ა) სურათები წიგნებში; ბ) ცალკე ფოტოგრაფიულად გადაღებული სურათები, თუ ნახაზ-ნახატები; გ) დიაპოზიტივები, რადგანც, ამას გარდა, კაბინეტი ისე იყოს მოწყობილი, რომ მსმენელთა საშუალება ჰქონდეთ დამოუკიდებელი მუშაობა ნორმალურად აწარმოონ.

მასში უნდა მოიპოვებოდეს:

1) მეცნიერული მუშაობისათვის მუდმივი დამხმარე აპარატი (საძიებელი ძეგლებისა, წარწერებისა, ისტორიულ პირთა, ფოტოგრაფიებისა, წიგნებისა და სხ.).

2) მუზეუმი ორიგინალური ნახატებისა, გრავურებისა, დასურათებული ხელნაწერებისა და ნივთებისა.

ვინაიდგან ასეთი კაბინეტის მოწყობისათვის ჯერ შესაფერისი პირობა არ არის, ჩემი მოხსენების ბოლოს მე მხოლოდ აღნიშნული მქონდა, რომ ზემო დასახელებული მიზნების ცოტაოდნად მაინც მისაღწევად საჭირო იყო ერთი პირის დაქირავება, რომელიც საკანცელარიო მუშაობას გასწევდა ჩემი მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობითა. ეს შუამდგომლობა იმიტომ იყო ჩემ მიერ აღძრული, რომ სხვაფრივ მე არ შემიძლიან კაბინეტი ისე მოვაწყო, რომ ცოტაოდნად მაინც შეეფერებოდეს დღევანდელ მდგომარეობას. ეხლა კვლავ ვითხოვ, **რომ ნება დამრთოთ შემეძლოს ხელოვნების კაბინეტის მიმდინარე საქმეების გასაძღოლად დავიხმარო გარეშე პირი** *****, რომელსაც შრომისათვის სყიდელი ****** უნდა მიეცეს კაბინეტისათვის გადადებული თანხიდან, რადგანაც ასეთ მოწვეულ პირს მუდმივი სამუშაო ჯერჯერობით მაინც არ ექნება, ამიტომ იგი აყვანილი იქნება თავისუფალი ქირით და გასამრჯელო მიეცემა კაბინეტის მოსაწყობად ჩემ მიერ აღებული თანხიდან დაახლოვებით იმის კვალობაზე, როგორც იღებენ უნივერსიტეტის წიგნთ-საცავში თავისუფალი მომუშავე პირები.

გიორგი ჩუბინაშვილი

28. 11.1919 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 28, ფურც. 185, 186, 189.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 28.

***** შავი შრიფტით გამოყოფილი ეს სიტყვები „განცხადებაში“ ხაზგასმულია – ა. კ.
****** უნდა იყოს „სასყიდელი“ – ა. კ.

2. ი. ყიფშიძე, თხზულებანი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2015.
3. ს. ჯორბენაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1988.
4. О. Жордания, «Институт Истории, Археологии и Этнографии им. акад. И. А. Джавахишвили, издательство «мецниереба», Тбилиси, 1988.

Archil Kokhreidze

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, senior scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Giorgi Chubinashvili – the Founder of Art Room at Tbilisi State University (documents)

Summary

Presented archived documents familiarize readers with Giorgi Chubinashvili's efforts in establishing, furnishing and equipping the Art Room within the Science and Pedagogical section at Tbilisi State University. These documents provide a clear proof of the scientist's hard work to find and secure a space for the room and ensure its proper functioning as well as his multiple attempts to seek out necessary funds from the university authorities.

Based on these records we become aware of Giorgi Chubinashvili's vision of how the Art Room at Science and Pedagogical section of Tbilisi State University should function at the initial stage.

ოთარ გოგოლიშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

განათლების ისტორიიდან აჭარაში

აჭარა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უძველესი შემადგენელი ნაწილი, თავიდანვე განათლებისა და კულტურის მოწინავე კერა იყო. მართალია, უცხოელთა ხანგრძლივმა ბატონობამ დიდი ხნით შეაფერხა ქართული განათლებისა და კულტურის განვითარება, მაგრამ მოსახლეობამ მაინც შეინარჩუნა წინაპართა ადათ-წესები და რაც მთავარია, მშობლიური ენა.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ აჭარა კვლავ დედა-სამშობლოს დაუბრუნდა. დედა-სამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ აჭარისათვის ხელშესახები დახმარების საქმე პრაქტიკის საგნად, უშუალო ამოცანად იქცა. თავის „შინაურ მიმოხილვაში“, რომელიც ჟურნალ „ივერიის“ 1879 წლის აპრილის ნომერში დაიბეჭდა, ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა: „თუ ჩვენი სიხარული აჭარა-ქობულეთის შემოერთებაზედ პირმოთნეობა არ იყო, თუ ჩვენგან წარმოთქმულ მხურვალე სიტყვებს მკვიდრი საფუძველი ჰქონდათ, ეხლა უნდა გავუმართოთ ხელი ამ ახლად დაბრუნებულს და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ვალად დავსდოთ, რომ აჭარაში რაც შეიძლება მომეტებული შკოლები გამართოს. ეს შკოლები სხვა ყოველ საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარას და ისე ძმურს სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდნის დრომდე ყოფილა“ [1].

ასევე, აკაკი წერეთელი მოითხოვდა, რომ ცოდნა და განათლება მოეხმარებინათ დაბრუნებული მხარისთვის და ერთობლივად ეღვაწათ მისი წარმატებისათვის. ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი თავიდანვე ენერგიულად იბრძოდა ღრმად მოფიქრებული საკადრო პოლიტიკის გასატარებლად: „გარემოება თხოულობს, რომ ახლად შეძენილ საქართველოში ჩვენ გვყავდეს კარგი, პატიოსანი, უანგარო, გამჭრიახი, მამულის მოყვარე მოხელეები“ [2].

ახლადდაბრუნებულ აჭარას ყველა სფეროში სჭირდებოდა დახმარება, მაგრამ მთავარი განათლება იყო. სწორედ ამის თაობაზე 1881 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა: „...სკოლის უმთავრესი საგანი

და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდ თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულისყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა-გონება მართმსჯელობასა და თვითმსჯელობას... სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმოდენად, რომ იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუჭირვებულ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღწვის და მოქმედებს“ [3, 552].

ჯერ კიდევ 1875 წელს, მაშინ როცა აჭარა ოსმალთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, სახელგანთქმული საზოგადო მოღვაწე გულო-აღა კაიკაციშვილი გაზეთ „დროების“ რედაქციისადმი მიწერილ ბარათში მიუთითებდა: „ახლა ძიავ, ჩვენი ქობულეთის საქმე გლახათ არის... ქობულეთში ქართული წერა პაწიას მეტი არ ვიცით, ისიც ბებიამ მასწავლა“ [4].

დ. ბაქრაძისა და ა. ფრენკელის მოწმობით, ქართული წერა კარგად „იცოდნენ ბეგებმა, განსაკუთრებით კი ქალებმა“ [5].

კარგად ჩანს აქედან, რომ აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში ქართული მწერლობის ტრადიცია არ გაწყვეტილა. მშობლიური წერა-კითხვის დიდი ქომაგები საქართველოს ამ კუთხეში ადგილობრივი ქართველი ქალები იყვნენ. აჭარაში ძველი ქართული დამწერლობის ერთ-ერთ სახეს „დედაბრულს“ უწოდებდნენ. ეს სტილი ფართოდ გავრცელებული ჩანს უცხოელთა მფლობელობაში მყოფ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მაგალითად, წერის ამ მანერითაა შესრულებული ზემო აჭარის მკვიდრ სინეი ხანუმ ხიმშიაშვილის ავტოგრაფი ერთ-ერთ რუსულ ოფიციალურ დოკუმენტზე [6, 1].

აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს მრავლად იყო მუსლიმანური სასწავლებლები „მედრესეები“, სადაც ხოჯა-მოლები აჭარის ახალგაზრდობას მათთვის გაუგებარ ენაზე აზეპირებდნენ ლოცვებს ყურანიდან, სხვა საგანმანათლებლო კერა იქ მაშინ არ არსებობდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განათლებისა და კულტურის ოდინდელი ტრადიციების რეანიმირება, კუთხის სწრაფი განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა იყო. სწორედ ამიტომ ქართველი საზოგადო მოღვაწეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ამ პრობლემას.

რეგიონის დაბრუნებისთანავე სწავლა-აღზრდის გარდაქმნის აუცილებლობაზე მიუთითებდა აჭარის მმართველი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, რომელიც განათლებულ თანამოძმეებს მოუწოდებდა აჭა-

რაში თავისი წმინდათაწმინდა მოვალეობა აღესრულებინათ: „განათ-ლება ეჭირვება ბატონებო იმათ, ამდონი ახალგაზრდა კაცები ხართ განათლებულები, წადით, გაეცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლები გამართეთ, ასწავლეთ“ [7].

1879 წელს დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავ-რცელებელი საზოგადოება“. ახლად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია თავის საგანმანათლებლო პოლიტიკაში საქართველოსა და მის ფარ-გლებს გარეთ, სადაც ჩვენი თანამემამულეები სახლობდნენ, სკოლე-ბის დაარსებას ისახავდა მიზნად. აღნიშნულმა ორგანიზაციამ სამ-ხრეთ-დასავლეთ საქართველოს თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქ-ცია. ამ საზოგადოების სულისჩანდგმელი დ. ყიფიანი მრავალი წლის მანძილზე ენერგიულად ზრუნავდა მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისათვის. ის კუთხეში განათლების კე-რების გამრავლებასა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გარდაქმნისათვის იბრძოდა.

ბათუმელებმა ადრევე დაიწყეს „ქართველთა შორის წერა-კით-ვის საზოგადოებაში“ გაერთიანება. ამ ორგანიზაციის თავმჯდომა-რის მოადგილემ ი. ჭავჭავაძემ განათლების დაწინაურებასთან ერ-თად მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა მიანიჭა. ილიამ სწორად განსაზღვრა, რომ ბათუმში სკოლის გახსნაზე ზრუნვა უშუალოდ განათლების მუშაკს უნდა და-ეწყო. ამ მიზნით მან მიმართა კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექ-ტორს ნ. ცხვედაძეს.

ი. ჭავჭავაძე საზოგადოების გამგეობის სახელით, ნ. ცხვე-დაძეს თხოვდა ახალდდაბრუნებულ მხარეში განათლების საქმეზე ცნობების შესაკრებად გამგაზვრებულიყო. ნ. ცხვედაძის ბათუმის ოლქში მივლინებისა და განათლების საკითხებზე ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორ კ. კომაროვთან მოლაპარაკების შემდეგ, გა-დაწყდა სკოლის დაარსება ბათუმში. ხანგრძლივი ძიების შემდეგ, სკოლის ადგილად შეარჩიეს ახმედიეს ქუჩაზე მდებარე სახლი, რო-მელიც ეკუთვნოდა ვინმე გამბარ-ოღლის. ეს იყო სამოთახიანი ახალი სახლი დერეფნით, სამზარეულოთი და ეზოთი. სახლის მეპატრონეს ბედ 50 მანეთი აუღია, ხოლო გაუქირავებია წელიწადში 250 მანეთად. ხელშეკრულება სახლის გაქირავებაზე, სახლის მეპატრონესთან გაუ-ფორმებია ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს დ. ბაქრაძეს.

ბათუმში ქართული სკოლის გახსნას სათავეში თვით ი. ჭავ-ჭავაძე ჩაუდგა. იგი სამჯერ ჩავიდა ბათუმში მატერიალური ბაზის

მოსამზადებლად და ფინანსური საშუალებების გამოსანახავად. და აი, 1881 წლის 23 მარტს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. გახსნას ილიაც დაესწრო და სიტყვაც წარმოთქვა. ამ ისტორიული მოვლენის გამო გაზეთი „დროება“ 1881 წლის მარტში წერდა: „ძლივს, როგორც იყო ძლივს გვეღირსა, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ პირველი სასწავლებელი გახსნა ბათუმში, რომლისთვისაც იყო გამოგზავნილი თავადი ი. ჭავ-ჭავაძე“ [8].

პირველ წელს სკოლაში მიიღეს 28 მოწაფე, მათ შორის 12 მაჰ-მადიანი ქართველის შვილი იყო. მაჰმადიანთაგან იყო ერთი გოგონა – ულვიე აბაშიძე.

1892 წლის ბოლოსათვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ მიაღწია იმას, რომ ქალაქის თვითმმართველობამ სკოლის ასაშენებლად გამოყო ადგილი კომა-როვის ქუჩაზე. აღნიშნული ადგილი დიდი ვაი-ვაგლახით გამოსტა-ცეს ჭაობს. ტბა დააშრეს და ამ ტერიტორიაზე 1893 ივნისში ბათუ-მის ქართული სახალხო სკოლის საკუთარი შენობის აგება დაიწყეს. სკოლის შენობის გეგმა შეადგინა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მმართველობამ და გეგმა დაამ-ტკიცებინა მთავრობას. პირველი ქართული სკოლის მშენებლობაში მთელი ბათუმის ქართველი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას, ვინ ფულით, ვინ საშენი მასალით და ვინ პირადი შრომით. 1895 წლის ბოლოსათვის სკოლის შენობა მზად იყო: „სკოლის შენობა არის ერ-თსართულიანი, მშვენიერი ნაგებობა, თითით საჩვენებელი, როგორც საუკეთესო შენობა პირველი დაწყებითი სკოლისათვის ბათუმში“ – წერდა 1898 წელს გაზეთ „კვალის“ ბათუმელი კორესპოდენტი [9].

ბათუმის სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობოდა მშობლიურ ენას და ამ ენაზე ძირითადი საგნების სწავლებას. ამასთან ერთად ჯეროვნად მიმდინარეობდა საღვთო სჯულის სწავლება. ბათუმის პირველი ქართული სკოლის ამაგდარი მასწავლებლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ცენტრში აღიზარდნენ ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ მე-მედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე და სხვები.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა-დოების“ სკოლა პირველი ქართული მაღალორგანიზებული საერო სასწავლებელი იყო ახლადდაბრუნებულ ქალაქში. აღნიშნულ სკოლა-ში სწავლობდნენ, როგორც აჭარის, ისე საქართველოს სხვა კუთხეე-

ბის წარმომადგენლები, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა ერთობის განმტკიცების საქმეში.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ დიდ ყურადღებას უთმობდა სახალხო სკოლებში სამუშაოდ მასწავლებელთა შერჩევას. საზოგადოებამ ყველაფერი იღონა, რომ ბათუმის ქართულ სკოლაში მასწავლებლებად ავტორიტეტული და გამოცდილი ადამიანები შეერჩიათ და გამოეგზავნათ. ამ სკოლის პირველი გამგე-მასწავლებლები იყვნენ: ალ ნანეიშვილი, მ. ნათაძე, მ. შარაშიძე, ი. გოგოლიშვილი, ა. მგელაძე. ამ მასწავლებლებს დიდი დამსახურება მიუძღვით სკოლაში სასწავლო და სააღმზრდელო მუშაობის განმტკიცებისა და გაძლიერების საქმეში. პირველ ქართულ სკოლას ბათუმში ჰქონდა არა მარტო საგანმანათლებლო ფუნქცია, არამედ ის იყო ბათუმის კულტურული ძალების შეხვედრის ადგილი. აქ ტარდებოდა ზეიმები, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და კულტურული შეკრებები. შეიძლება ითქვას, რომ ეს სკოლა მაშინ ასრულებდა ბიბლიოთეკის, კლუბის, კულტურის სახლის მოვალეობასაც. ეს იყო აჭარაში პირველი მერცხალი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მაჰმადიანი ქართველების გათვიცნობიერების საქმეში [10, 55-56].

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლამ ხელი შეუწყო ახალი ტიპის განათლების ორგანიზაციის დაჩქარებას მთელს ბათუმის ოლქში. 1884 წელს ახალი ტიპის სკოლის დაარსებას მაჭახელშიც შეეცადნენ, თუმცა ეს წამოწყება უშედეგოდ დამთავრდა. 1886 წელს სასწავლებელი გაიხსნა სოფელ მარადიდში, სადაც ქუთაისის საერო სკოლების დირექციას დაუნიშნავს მასწავლებელი ბ. პეტროვი [11, 56].

ქობულეთში სკოლის გახსნისათვის მოძრაობა ადრევე დაიწყო. შედგა სასკოლო კომიტეტი, რომელმაც თავდაპირველად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბათუმის ქართული სკოლის ქობულეთში გადატანა დაისახა მიზნად. ქობულეთში სკოლის გახსნას განაპირობებდა სავაჭრო-ეკონომიკური და კულტირული განვითარების აუცილებლობა. 1886 წელს ქობულეთში და ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვაში, ხოლო 1890 წელს კი ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში გაიხსნა სკოლები. ასევე, საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1892 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დიდი ძალისხმევით სკოლა გაიხსნა დაბა ხულოში.

სწრაფად ვითარდებოდა ბათუმში საქალაქო სასწავლებელთა რიცხვი. 1880 წლის ბოლოს დაიწყო ზრუნვა საქალაქო სასწავლებლის გასახნელად. სადაო შეიქმნა სკოლის ტიპისა და სწავლების საკითხი. დავა უნდა გადაეწყვიტათ ქალაქის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის გადაწყვეტილებით. ხელისუფლება მოხერხებულად სარგებლობდა ყალბად შედგენილი სტატისტიკით, რომლის თანახმად კუთხური ნიშნით დანაწილებული ქართველობა, მოქალაქეთა უმცირესობას ქმნიდა. ეს საშუალებას აძლევდა რუს მოხელეებს სკოლის თუ სხვა დაწესებულებათა საკითხი მათ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ. ასევე, ქალაქში სხვადასხვა აღმსარებლობის მაღიარებლები მოითხოვდნენ სკოლაში სწავლების წარმართვას თურქულ, რუსულ, ქართულ და სხვა ენაზე. ბოლოს, მთავრობის საბოლოო გადაწყვეტილების შედეგად, დაარსდა რუსული საქალაქო სასწავლებელი, რომელიც გაიხსნა 1881 წლის 1 ივლისს. ეს სასწავლებელი შემდეგ ექვსკლასიანად გადაკეთდა. სკოლაში სწავლობდნენ შვიდიდან თოთხმეტი წლის ასაკის მოსწავლეები. აღნიშნულ სასწავლებელში რუსებთან ერთად საკმაო რაოდენობით ჩაირიცხნენ ქართველი მოზარდებიც.

1882 წელს დაარსდა ბათუმის ქალთა სასწავლებელი. 1890 წელს ქალთა სკოლას ეწოდა მარინეს ქალთა სასწავლებელი. მარინეს ქალთა სასწავლებელი განსხვავდებოდა სხვა დანარჩენისაგან იმით, რომ სწავლის ხანგრძლივობა ოთხი წელი იყო და სასწავლო პროგრამა შეესაბამებოდა გიმნაზიის პროგრამას. სასწავლებლის უპირატესობა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს შეეძლოთ მუშაობის დაწყება. გოგონებს ძირითადი დისციპლინების გარდა, ასწავლიდნენ ხელსაქმესაც.

1898 წელს ბათუმში გაიხსნა ქალთა პირველი ქართული დაწყებითი სასწავლებელი 50 მოსწავლეზე. გამგედ დაინიშნა წმიდა ნინოს სახელობის ქუთაისის სასწავლებლის კურსდამთავრებული, მასწავლებელი დ. კეჟერაძე. 1899 წელს კი გაიხსნა ასევე ვაჟთა დაწყებითი სასწავლებელი, სადაც სწავლების ხანგრძლივობა ორი წელი იყო [12, 67].

ბათუმში ყურადღება მიექცა საპროფესიო-ტექნიკურ განათლებასაც. 1888 წლის 8 ოქტომბერს გაიხსნა ასეთი ტიპის მოზრდილთა სასწავლებელი.

გარდა ამისა, სკოლებს ხსნიდნენ კერძო პირებიც. ჯერ კიდევ 1879 წელს, ქეთევან ჟურულმა გახსნა სკოლა, 1888 წელს დაარსდა

ფალიაშვილის კერძო სკოლა, სადაც ირიცხებოდა 29 მოსწავლე. 1888 წელს გაიხსნა პალიევას კერძო სასწავლებელი 29 მოსწავლით, 1898 წლს კი ლებედის კერძო სასწავლებელი 14 მოსწავლით, 1903 წელს დაარსდა მეფისაშვილის კერძო სკოლა 21 მოსწავლით, 1900 წელ წულუკიძის კერძო სასწავლებელი 40 მოსწავლით, 1902 წელს ბერაიას კერძო სკოლა 14 მოსწავლით.

1894 წელს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში გაიხსნა საეკლესიო სკოლა. სწავლების ხანგრძლივობა სამი წელი იყო. სკოლაში სწავლობდნენ როგორც ვაჟები, ასევე გოგონები. ბავშვები ძირითადად სწავლობდნენ როგორც ღვთისმეტყველებას, ასევე სხვა საგნებსაც, კერძოდ, მათემატიკას, ისტორიას, ფილოლოგიას და სხვა [13, 79].

ბათუმის მოწინავე ადამიანები, პირველ რიგში ბათუმის ქალაქის თავი ლუკა ასათიანი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბათუმის განყოფილების თავმჯდომარე გრიგოლ ვოლსკი, ბათუმის თვითმმართველობის მდივანი ივანე მესხი, ცნობილი ქართველი მწერალი და იმხანად ბათუმში სამხედრო სამსახურში მყოფი დავით კლდიაშვილი და სხვები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს იღწვოდნენ ბათუმში ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების დასაარსებლად. იმ დროისათვის გიმნაზიების დაარსება მრავალ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, ისეთ პატარა ქალაქში, როგორიც ბათუმი იყო, მაშინდელი ხელისუფლება ზედმეტად მიიჩნევდა გიმნაზიების გახსნას. საჭირო იყო პეტერბურგის ნებართვა, ამასთანავე აუცილებელი იყო შენობების ქონა და მასწავლებელთა კადრები. ქალაქ ბათუმის თავი ლუკა ასათიანი სპეციალურად გაემგზავრა პეტერბურგს გიმნაზიის გახსნის ნებართვის მისაღებად. მოკლე ხანში, მისივე მეთაურობით გიმნაზიის ორსართულიანი შენობაც აიგო (დღეს აღნიშნულ შენობაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტია). და აი, 1897 წლის 14 სექტემბერს, ბათუმში საზეიმოდ გაიხსნა ვაჟთა კლასიკური გიმნაზია. გახსნის ცერემონიალზე სიტყვა წარმოთქვა ლუკა ასათიანმა.

ამის შემდეგ დაიწყო მუშაობა ქალთა გიმნაზიის დასაარსებლად. ასეთი გიმნაზიის გახსნის სასტიკი წინააღმდეგი იყო როგორც ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობა, ასევე კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველი, პირწავარდნილი შოვინისტი იანოვსკი. ბოლოს ქალაქის თავმა ლუკა ასათიანმა და მასთან დაახლოებულმა პირებმა შეძლეს საქმის მოგვარება. 1897 წელს ქალაქის თვითმმართველობა-

ში, ხმოსანმა, ბათუმში ცნობილმა პოდპოლკოვნიკმა ნ. დუმბაძემ, წერილობითი წინადადება შეიტანა ბათუმში ქალთა გიმნაზიის გახსნის აუცილებლობის თაობაზე. წინადადება განიხილეს და გადაწყდა, რომ მარინეს სახელობის ქალთა სასწავლებლის ბაზაზე გახსნილიყო ქალთა გიმნაზია, მაგრამ 1899 წელს ქალაქის ხელისუფლებამ გამონახა საბიუჯეტო სახსრები და ეს გადაწყვეტილება შეიცვალა – 1900 წელს გაიხსნა ბათუმის ქალთა გიმნაზია, მისთვის სპეციალურად აგებულ შენობაში (დღეს ამ შენობაში ბათუმის დავით აღმაშენებლის სახელობის №2 საშუალო სკოლაა).

მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულში მთელ აჭარაში დაარსდა ბევრი სასწავლებლები. სტატისტიკა ასე გამოიყურება: 1902-1915 წლებში აქ ფუნქციონირებდა 42 დაბალი ტიპის პირველდაწყებითი სკოლა 3143 მოსწავლით, 16 მაღალი ტიპის პირველდაწყებითი სკოლა 1530 მოსწავლით. 1916-1920 წლეებში, აქ უცხო სახელმწიფოთა განუკითხავი თარეშით, განსაკუთრებით შემცირდა მაღალი ტიპის სკოლების რაოდენობა – 16-დან 4-მდე დავიდა. შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობაც. სწორედ ამას გრძობდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები და ცდილობდნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ იმხანად შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო, ამის გაკეთება ზოგჯერ ვერ ხერხდებოდა [14, 74].

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დედასაქართველოსთან დაბრუნების შემდეგ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ დიდი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით განათლების საქმეს აჭარაში სათავე დაუდო.

1878-1921 წლეებში მოწინავე ქართველი ინტელიგენციისა და ადგილზე ჭეშმარიტ მამულიშვილთა რუდუნებით მოღვაწეობის შედეგად განათლების დარგში აჭარაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა. ეს უდავო ჭეშმარიტებაა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ახალი, ევროპული ტიპის სასწავლებელთა ფართო ქსელის შექმნა, როგორც ბათუმში, ისე პერიფერიებში (ართვინი, იმერხევი, ქედა, ქობულეთი, ხულო და სხვა). დაარსებული სასწავლებლებიდან უმეტესი იყო საქალაქო, ხოლო მცირე ნაწილს შეადგენდა სასოფლო სასწავლებელი. ბათუმისა და მისი შემოგარენის სკოლებში მრავლად სწავლობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე ჩამოსახლებულთა შვილები. მხარეში ეკონომიკურმა აღმავლობამ სამუშაოდ მოიზიდა როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხის, ისე რუსეთის შიდა რაიონებისა და სხვა ადგილთა მკვიდრნი. ბევრი იყო უცხოეთიდან მო-

სული, როგორც მუშა-ხელოსნები, ისე ვაჭრები, მრეწველები და სხვა.

ქართული ეროვნული სკოლის მშენებლობა მოკლევადიანი პროცესი როდია, დღის წესრიგში მწვავედ იდგა განათლების კეთილშობილური ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაზე დიდად იქნებოდა დამოკიდებული სრულიად საქართველოს ეკონომიკური და კულტურული წინსვლა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1997, 25 ივლისი-1 აგვისტო.
2. გაზეთი „დროება“, 1879, №32.
3. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, თბილისი, 1941.
4. გაზეთი „დროება“, 1875, №143.
5. А. Френкель, Чурук-су и Батуми, Тифлис, 1879.
6. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 231, აღწ. 1, საქ. 163, ფურც. 1.
7. გაზეთი „დროება“, 1878, № 146.
8. გაზეთი „დროება“, 1881, №60.
9. გაზეთი „კვალი“, 1898, №12.
10. ვ. წულუკიძე, განათლების ისტორიისათვის აჭარაში, ბათუმი, 2002.
11. ნ. ვარშანიძე, ახალი ტიპის საერო სკოლები აჭარაში XIX საუკუნის 70-90-იან წლეებში“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების კრებული, ბათუმი, 2001.
12. პ. დერჟავინი, ბათუმის ყოველწლიური საერთო მისამართები 1902 წლისათვის, ბათუმის მხარის მოკლე ისტორიული ნარკვევით, ბათუმი, 1902.
13. გამბა ჟაკ ფრანცუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბილისი, 1987.
14. ს. ლეკვეიშვილი, ასე იწყებოდა ქალაქი, ბათუმი, 2000.

Otar Gogolishvili
Batumi Shota Rustaveli State University, Full Professor

From the History of Education in Adjara

Summary

Adjara, as one of the oldest part of Georgia was advanced center of education and culture from the beginning. Although long domination of foreigners hindered development of Georgian education and culture for a long time, the population could manage to maintain the customs of ancestors and native language.

As a result of the Russo-Turkish war of 1877-1878 Adjara returned to its motherland. After rejoining to the motherland The case of tangible assistance for Adjara became a matter of practice and an immediate task. In the "home review", which was published in the newspaper "Iveria" in April 1879, Ilia Chavchavadze stated: "If our gladness about joining of Adjara-Kobuleti was not flattery, if the fervent words said by us had a solid base, we must help to this newly returned and charge The society for the spreading of Literacy among Georgian with an important mission to open schools in Adjara. These schools, more than any other means will help reunion of Adjara totally as well as to establish brotherhood among us, like we used to have before, when they were not occupied by ottomans, yet".

მაია ცერცვაძე
ისტორიის დოქტორი

რ ე ც ე ნ ზ ი ა
ნიკო ჯავახიშვილის მონოგრაფიაზე – „ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები“ (თბილისი, 2019 წელი)

ამ ცოტა ხნის წინათ, ქართული საისტორიო მეცნიერება ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომით გამდიდრდა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით წიგნად გამოიცა ნიკო ჯავახიშვილის მონოგრაფია სახელწოდებით – **„ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები“** (რუსულ ენაზე).

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს წიგნის ავტორს, რომელიც გახლავთ აღიარებული მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ოცამდე წიგნისა და მრავალი სტატიის ავტორი.

ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიას ბატონი ნიკო ბოლო ათი წელია ნაყოფიერად იკვლევს. ამ პრობლემის შესწავლაში მიღწეული წარმატებებისა და მიღებული შედეგებისათვის, ასევე, ჩვენს ხალხებს შორის სამეცნიერო-კულტურული კავშირების გაღრმავებაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით, მას მიენიჭა საპატიო დოქტორის წოდება. კავკასიის სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მოქალაქეთა შორის იგი ჯერჯერობით ერთადერთი მეცნიერია, რომელსაც წილად ასეთი მაღალი აღიარება ხვდა.

აღნიშნული დამსახურებისათვის ნ. ჯავახიშვილი საპატიო სიგელებით სხვადასხვა დროს დააჯილდოვეს ლატვიისა და ლიტვის

რესპუბლიკების შემდეგმა სახელმწიფო და სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა: ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ლატვიის ისტორიის ინსტიტუტმა, ლატვიის ეკონომიკის ინსტიტუტმა, ლატვიის აკადემიურმა ბიბლიოთეკამ და ლიტვის ისტორიის ინსტიტუტმა.

2017 წლის 19 ივნისს, ვილნიუსში მყოფ ქართველ მეცნიერს, ლიტვის დიდი სამთავროს ისტორიული ხსოვნის საზოგადოებათა გაერთიანებამ საზეიმო ვითარებაში გადასცა კომანდორის ორდენი (№ 33). იგი ამ ჯილდოს ერთადერთი ქართველი კავალერია.

ასე, რომ ნ. ჯავახიშვილი თავად გახლავთ უშუალო მონაწილე თანამედროვე ქართულ-ბალტიური სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობებისა.

ნიკო ჯავახიშვილის ახალი მონოგრაფიის სამეცნიერო რედაქტორია აკადემიკოსი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი იანის სტრადინში, ხოლო რეცენზენტები არიან ცნობილი მეცნიერები, პროფესორები: თედო დუნდუა (თსუ საქართველოს ისტორის ინსტიტუტის ხელმძღვანელი), გუნტის ზემიტისი (ლატვიის ისტორიის ინსიტუტის დირექტორი), ვენტა კოცერე (ლატვიის უნივერსიტეტის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი), რიმანტას მიკნისი (ლიტვის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი), რიმვიდას პეტრაუსკასი (ვილნიუსის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი) და რაიმო პულატი (ესტონეთის ისტორიის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, ტალინის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი).

ნაშრომის ლიტერატურული რედაქტორია ცნობილი მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი.

წიგნს აქვს მიძღვნა, რომლის ადრესატები არიან მისი ავტორისა და სამეცნიერო რედაქტორის მშობლიური ასწლოვანი უნივერსიტეტები – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ლატვიის უნივერსიტეტი.

გამოცემის ღირსებად უპირველესად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ იგი წარმოადგენს პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას ქართულ-ბალტიური ურთიერთობების შესახებ. ის გახლავთ გაგრძელება იმ მრავალწლიანი შრომისა, რასაც ბატონი ნიკო, საქართველოს ისტორიის სხვა აქტუალური საკითხების კვლევასთან ერთად, აქამდეც ეწეოდა და რაც ამ ურთიერთობის ცალკეულ ასპექტებსა და მხარეებს შეეხებოდა. მას წინ უსწრებდა ავტორის ამავე საკითხები-

სადმი მიძღვნილი ადრეული ნაშრომები – წიგნები და სტატიები ქართულ, ლატვიურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, რომელთა ერთგვარ შეჯამებას, გადამუშავებულ და შევსებულ ვარიანტს წარმოადგენს ჩვენს მიერ განსახილველი გამოცემა.

მონოგრაფიას წინ უძღვის გამოჩენილი ბალტიელი მეცნიერის, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ოიარს სპარიტისის წინასიტყვობა. მასში მაღალი შეფასება ეძლევა ნიკო ჯავახიშვილის ამ ნაშრომს და საერთოდ, მის სამეცნიერო მოღვაწეობას. აქვე დავსძენთ, რომ აკადემიკოსი სპარიტისი არის ლიტვის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი და მრავალი საპატიო ჯილდოს კავალერი, მათ შორის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლისა.

მიუხედავად წიგნის ფრიად სოლიდური ზომისა (იგი მოიცავს ა4 ფორმატის 640 გვერდს) და შინაარსისა, მისი ავტორი შესავალში მოკრძალებით აღნიშნავს, რომ ამ მონოგრაფიას არ აქვს ყოვლისმომცველობის პრეტენზია, რადგანაც წარმოდგენილი თემა პრაქტიკულად ამოუწურავია.

მისასალმებელია, რომ ავტორი აპირებს ამ საკითხების კვლევა მომავალშიც განაგრძოს. იმაზე კი, თუ როგორ გვესახება უკვე გამოცემული მონოგრაფიის მნიშვნელობა და მისი ავტორის დამსახურება დასახული ამოცანის გადაწყვეტაში, ქვემოთ ვისაუბრებთ.

ერთი რეცენზიის ფარგლებში, ბუნებრივია, ძნელია დაწვრილებით გავაანალიზოთ და შევაფასოთ მონოგრაფიაში გადმოცემული ყველა საკითხი თუ ფაქტი. ამიტომ შევეცდებით, რომ შეძლებისდაგვარად მიმოვიხილოთ ის და ყურადღება მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებზე გავამახვილოთ.

მონოგრაფია შედგება ოთხი თავისგან, რომელთა შორის არის: I თავი – ქართულ-ბალტიური ურთიერთობები IX-დან – XVIII საუკუნის ბოლომდე, II თავი – ქართულ-ბალტიური ურთიერთობები XVIII საუკუნის ბოლოდან – XX საუკუნის 20-იან წლებამდე, III თავი – ქართულ-ბალტიური ურთიერთობები XX საუკუნის 20-40-იან წლებში, IV თავი – ქართულ-ბალტიური ურთიერთობები XVIII საუკუნის 20-40-იან წლების ბოლოდან – XXI საუკუნის 20-იან წლებამდე.

წიგნს ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია, დანართები და პირთა საძიებელი, რაც ზრდის მის სამეცნიერო-გამოყენებით ღირებულებას. განსაკუთრებულად აღსანიშნავია ასევე სათანადო ფოტომასალა, როგორც დამადასტურებელი დოკუმენტა-

ცია წიგნში თავმოყრილი და შესწავლილი ფაქტებისათვის.

ქართულ-ბალტიურ ურთიერთობების ისტორია, რომელშიც სამხედრო-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობები იგულისხმება, ათასწლეულს სცდება. ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ის განსხვავებული ინტენსივობით ვითარდებოდა და ატარებდა ხან სახელმწიფოებრივ, ხან კერძო ხასიათს. გეოგრაფიულად ესოდენ დაშორებული საქართველოსა და ბალტიის ქვეყნების: ლიტვის, ლატვისა და ესტონეთის მკვიდრნი, მართალია, ბევრი ნიშნით, ვთქვათ, ანთროპოლოგიურად და ეთნოლინგვისტურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ სულიერი თვალსაზრისით მათ ბევრი რამ აქვთ საერთო. უწინარესად ესაა თავისუფლების სიყვარული, მშობლიური ქვეყნისათვის თავდადება და სამშობლოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა.

ქართულ-ბალტიური ურთიერთობების სათავეზე უტყუარ წარმოდგენას ქმნის კავკასიისა და ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციებისას უძველეს სამარხებში აღმოჩენილი მასალა. კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში ეს გახლავთ ქარვის ნაკეთობანი – სამკაულები და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, უპირველესად თრიალეთში ნაპოვნი თასი, რომელიც სხვა თვლებთან (სარდიონი, გიშერი) ერთად ქარვითაც არის შემკული. ქარვის მოპოვების რეგიონს კი უძველესი დროიდან ბალტიის ზღვის სანაპიროები წარმოადგენდა. რაც შეეხება ბალტიის ქვეყნებს, იქ აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე IX-XI საუკუნეებში მოჭრილი ვერცხლის მონეტები.

თვალი გავადევნოთ ამ მრავალპლანიანი მონოგრაფიის ფურცლებს.

ავტორის მიერ პირველი თავში განხილული საკითხებიდან გვინდა გამოვყოთ შემდეგი: ქართველი უფლისწულების ალექსანდრე არჩილის ძე იმერეტინსკის (1674-1711), ათანასე ლევანის ძის (1707-1784), გიორგი ვახტანგის ძისა (1712-1786) და პაატა ვახტანგის ძის (1720-1765) ბალტიისპირეთში მოგზაურობისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ქვეთავები, ასევე მეტად ღირებული ცნობები ქართველთა პოლკის შესახებ, რომელსაც ედიშერ ამილახვარი მეთაურობდა. პოლკი რუსული ჯარების შემადგენლობაში შედიოდა და პრუსიასთან შვიდწლიანი ომის დროს (1756-1762) ლიტვის დიდი სამთავროს ტერიტორიაზე იბრძოდა. ეს ფაქტი საინტერესოა იმითაც, რომ ამ ბრძოლებში მონაწილეობდა გამოჩენილი პოეტი დავით გურამიშვილიც.

ერთი ქვეთავი ეძღვნება რიგის მკვიდრ მეცნიერსა და მოგზაურს, გერმანული წარმომავლობის დოქტორ იოჰან-ანტონ გიულდენშტედტს (1745-1781), რომელმაც რუსეთის იმპერიის მეცნიერებათა აკადმიის მიერ დაგეგმილი ექსპედიციის შემადგენლობაში 1771-172 წლებში საქართველოში იმოგზაურა. მის კაპიტალურ ნაშრომს „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიის მთიანეთში“ არ მოეძებნება ტოლფარდი არც რუსულ და არც დასავლეთევროპულ კავკასიათმცოდნეობით ლიტერატურაში. იგი შეიცავს ბევრ საინტერესო ცნობას საქართველოს შესახებ, რაზეც მონოგრაფიაში გამახვილებულია ყურადღება.

1813 წელს რუსული არმიის საზღვარგარეთულ ლაშქრობაში მონაწილეობდა ასევე 1812 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარი სახალხო აჯანყების პირველი ეტაპის ჩახშობის შემდეგ რუსთა მიერ დაპატიმრებული და ჩრდილოეთში გადასახლებული ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გრიგოლ I (1789-1830). აღწერს რა თავის მოგზაურობას ვილნოს (ამჟამად – ვილნიუსი) გუბერნიაში, ანუ ლიტვის ისტორიულ დედაქალაქში, მეფედყოფილი გრიგოლი პატივისცემით იხსენიებს ამ გუბერნიის მცხოვრებთ და ხაზს უსვამს მათ გარეგნულ სილამაზესა და სტუმართმოყვარეობას.

უფლისწულმა თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონმა (1782-1846), რომელმაც 1836 წელს იმოგზაურა ევროპის ქვეყნებში, ბალტიისპირეთის ტერიტორია გაიარა მარშრუტით: ნარვა-დერპტი-რიგა-მიტავა-ვილნო. მის თხზულებაში „მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“ შეიცავს საინტერესო ცნობებს ბალტიისპირეთის უმსხვილესი დასახლებული პუნქტებისა და რეგიონების შესახებ.

1834-1837 წლებში რუსეთის არმიაში, რომელიც ბალტიისპირეთისა და პოლონეთის ტერიტორიებზე იყო დისლოცირებული, ოფიცრად მსახურობდა შემდგომში სახელგანთქმული პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ორბელიანი (1804-1883). იქ შექმნა მან მრავალი შესანიშნავი ლექსი და აწარმოა დღიური, რომელიც საქართველოში გამოგზავნილ მის პირად წერილებთან ერთად, მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს იმდროინდელი ბალტიისპირეთისა და პოლონეთის რეგიონებისა და ქალაქების ყოფა-ცხოვრების შესახებ.

ბალტიისპირეთში ცხოვრობდა ასევე ცნობილი პოეტი, დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე გიორგი ქსნის ერისთავი (1813-1864), რომელიც იქ 1832 წლის ანტიიმპერიულ შეთქმულებაში მო-

ნაწილეობისთვის გადაასახლეს. 1834-1838 წლებში ის ოფიცრად მსახურობდა ბალტიისა და პოლონეთის ქალაქებში: ვილნო, კოვნო, რიგა, ვარშავა, ბელოსტოკი და სხვ. ბალტიისპირეთი და პოლონეთი ერისთავისათვის იქცნენ იმ სარკმელად, საიდანაც იგი გაეცნო და ეზიარა ევროპულ კულტურას, ლიტერატურასა და ყოფას.

XVII საუკუნის ბოლოდან – I მსოფლიო ომის ჩათვლით, ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე რუსეთის არმიის არაერთი ქართველი გენერალი თუ ოფიცერი მსახურობდა, რომელთაც შემდგომში გენერლის ჩინი მიიღეს. მათ შორის იყვნენ: პავლე ციციანოვი, პეტრე ბაგრატიონი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ვლადიმერ იაშვილი, ნიკოლოზ იმერეტინსკი, გიორგი ყაზბეგი, ნიკოლოზ თუმანოვი/თუმანიშვილი, დავით გუნცაძე, ალექსანდრე მიქელაძე, დიმიტრი ბაგრატიონი, დავით აფხაზი და ალექსანდრე ზაქარიაძე. ზოგად ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად ავტორი გვაწვდის ბევრ საგულისხმო ფაქტს, რაც ჩამოთვლილ პიროვნებებს ბალტიისპირეთთან აკავშირებდათ.

მონოგრაფიის შემდეგი II თავი, როგორც აღვნიშნეთ, ქართულ-ბალტიური ურთიერთობების შემდგომ – XVIII საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე პერიოდს ეძღვნება. მათ ინტენსიური ხასიათი მიიღეს XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა როგორც საქართველო, ასევე ბალტიის ქვეყნები ერთი სახელმწიფოს – რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ.

საქართველოში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ბალტიისპირეთიდან ჩამოსული სამხედრო მოღვაწეები, იურისტები, არქიტექტორები, პედაგოგები, ექიმები, ფარმაცევტები და სხვ, რომელთა დიდი ნაწილი გერმანული ან შვედური წარმომავლობის იყო. ამ პერიოდში დანათესავდნენ ცნობილი ქართული და ბალტიისპირული წარჩინებული გვარების წარმომადგენლები. მხედველობაში გვაქვს შერეული ქორწინებები, რომელთა რიცხვშია ბაგრატიონების და პალენების, დადიანების და ადლერბერგების, შარვაშიძეების და მეიენდორფების, დადეშქელიანებისა და იქსკიულების, ავალიშვილების და ჰოლმბლატების, ჭავჭავაძეებისა და ოსტენ-საკენების და სხვათა ოჯახები, რომელთა ცხოვრებისა და საქმიანობის ამბებს დიდი ინტერესით ეცნობა მკითხველი მონოგრაფიის ფურცლებზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში დასახლდნენ ლიტველები, რომელთა რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა. XX საუკუნის ათიან წლებში ლიტვურმა დიასპორამ ჩვენს ქვეყანაში უკვე რამდენიმე ათასს მიაღწია. 1917 წლის ბოლოდან თბილისში ამოქ-

მედდა ლიტველთა ეროვნული საბჭო, მომდევნო წელს კი დაარსდა ლიტვის რესპუბლიკის საკონსულო, რომელიც დაკავებული იყო კავკასიაში მცხოვრებ ლიტველთა სამშობლოში დაბრუნების საკითხებით. ამაში მას ეხმარებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელიც ყველა ერს სათანადო თანადგომას უწევდა.

ქართულ-ესტონური ურთიერთობები XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გააქტიურდა. ამ დროს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, აფხაზეთში შეიქმნა რამდენიმე ესტონური დასახლება: ესტონკა, ლინდა (ლანდაუ, ლინდავა), ასევე ახალი ესტონკა – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ოსმალეთის იმპერიის) საზღვარზე. სხვადასხვა დროს საქართველოს სტუმრობდნენ ესტონელი მწერლები: ედვარდ ბორნხიოე, ედვარდ ვილდე, ანტონ ტამასაარე და სხვები, რომლებმაც თავიანთ ჩანაწერებში საქართველოზე მრავალი საინტერესო ცნობა გამოაქვეყნეს.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ასობით ქართველი ახალგაზრდა გაემგზავრა სასწავლებლად იურიევის (ამჟამად – ტარტუს) უნივერსიტეტში. XX საუკუნის ათიან წლებში თბილისში ამოქმედდა ესტონელთა ურთიერთდახმარების საზოგადოება და ესტონელთა ეროვნული საბჭო.

ქართულ-ლატვიური ურთიერთობები შედარებით ინტენსიური XIX საუკუნის შუა ხანებიდან გახდა. I მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის იმპერიის მიერ ბალტიისპირეთის ოკუპაციის შემდეგ, საქართველოში თავშესაფარი სხვა ბალტიელ ხალხებთან ერთად, ლატვიელებმაც ჰპოვეს. 1915 წელს თბილისში შეიქმნა „ლატვიელ თბილისელთა საზოგადოება“. რუსეთის იმპერიის დაშლისა და საქართველოსა და ლატვიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის შემდეგ, ამ ურთიერთობებმა სახელმწიფოთაშორისი ხასიათი მიიღო.

საქართველომ და ბალტიის რესპუბლიკებმა გაიზიარეს ერთნაირი ბედი, როდესაც დიდი სახლმწიფოების მიერ დაკავებული უარყოფითი პოზიციის გამო, 1920 წელს ისინი არ იქნენ მიღებული ერთა ლიგაში. მომდევნო წელს, როცა ბალტიის ქვეყნები ერთა ლიგაში გაწევრიანდნენ, სამწუხაროდ, საქართველო უკვე ოკუპირებული იყო რუსეთის ჯარების მიერ. მონოგრაფიაში ვრცლად არის მიმოხილული ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის პერიპეტიები.

მონოგრაფიის III თავში განხილულია ქართველთა და ბალტიელთა ურთიერთობა გასული საუკუნის 20-40-იანი წლებში. რუსე-

თის მიერ საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოების შემდეგ, ბალტიელთა ნაწილი ჩვენს ქვეყანაში დარჩა. აქ გააგრძელეს ცხოვრება და საქმიანობა ბალტიელმა პედაგოგებმა, ექიმებმა, ფარმაცევტებმა, სამხედრო მოღვაწეებმა და სხვ. საქართველოში ლატვიის საკონსულომ არსებობა შეწყვიტა. რაც შეეხება ლიტვის დიპლომატიურ წარმომადგენლობას თბილისში, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც ის არსებობას ერთხანს კიდევ აგრძელებდა.

იმავე პერიოდში, ქართველები და კავკასიის სხვა ხალხთა წარმომადგენლები, ბალტიისპირეთში, ძირითადად კი ლატვიაში ცხოვრობდნენ. მათ იქ დააარსეს საზოგადოებები, რომლებიც უმთავრესად დაკავებულნი იყვნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით. იმდროინდელი ურთიერთობებიდან გვინდა გამოვყოთ გენერალ შალვა მაღლაკელიძისა და მისი ოჯახის ლატვიაში მოღვაწეობის ფაქტები, რაც საყურადღებოდ არის გადმოცემული მონოგრაფიაში. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ შალვა მაღლაკელიძისა და გიორგი შვანგირაძის ინიციატივით, 1929 წელს, რიგაში შეიქმნა პირველი კავკასიური საზოგადოება „ივერია“, რომელშიც თავდაპირველად მხოლოდ ქართველები შედიოდნენ. შემდგომში მას იქ მცხოვრები სხვა კავკასიელებიც მიუერთდნენ, რის გამოც საზოგადოებას „კავკასია“ ეწოდა. 30-იანი წლების ბოლოს, ლატვიაში მცხოვრებ ქართველთა ნაწილი გადასახლდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და რიგაში მოქმედმა ქართველთა საზოგადოებამაც არსებობა შეწყვიტა.

სსრკ-ში 1937-1838 წლებში გაჩაღებულ მასობრივ პოლიტიკურ რეპრესიებს, ქართველების გარდა, საქართველოში დარჩენილი ბალტიელებიც ემსხვერპლნენ. მონოგრაფიაში მოყვანილია შესაბამისი სტატისტიკა: 33 ლატვიელი, 14 ლიტველი და 77 ესტონელი იქნა დასჯილი, კერძოდ, დაპატიმრებული, გადასახლებული ანდა დახვრეტილი...

განსაკუთრებულ ყურადღებას და თანაგრძნობას იმსახურებს ბედი ცნობილი ლატვიელი მხატვრის, დიზაინერის და პედაგოგის რომან სუტასი (1896-1944) რომელმაც ცხოვრების უკანასკნელი წლები საქართველოში გაატარა და სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა. იგი იყო წევრი 1942 წელს შექმნილი არალეგალური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციისა „თეთრი გიორგი“, რომელსაც ლევან (მუსტაფა) შელია ხელმძღვანელობდა და რომლის საქმიანობაც თავის რომანში „გორა მბორგალი“ მხატვრულად ასახა იმავე ორგანიზაციის წევრმა – მწერალმა ჭაბუა ამირეჯიბმა. ორგა-

ნიზაციის მიზანი იყო საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამხობა და დამოუკიდებლობის აღდგენა გერმანული არმიის დახმარებით. ვინაიდან შეთქმულება გაცემულ იქნა, რომან სუტა სიკვდილით დასაჯეს. იგი საძმო სასაფლაოზე თავის ქართველ თანამებრძოლებთან – ლევან აბდუშელიშვილთან და შალვა სვანიძესთან ერთად განისვენებს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქართულ-ბალტიური ურთიერთობანი და მათ შორის – შერეული ქორწინებანი, საზღვარგარეთაც გაგრძელდა. 1921-1945 წლებში უცხოეთში გამომავალ ქართულ პრესაში ბალტიის თავისუფლებისმოყვარე ხალხები: ლიტველები, ლატვიელები და ესტონელები ხშირად იხსენიებიან, როგორც დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის თავგანწირული მებრძოლები.

ქართულ-ბალტიური ურთიერთობები II მსოფლიო ომის დროსაც გრძელდებოდა. რამდენიმე ათასი კაცი ქართველი სამხედრო იბრძოდა ბალტიის ქვეყნების – ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის ტერიტორიაზე. მათი ნაწილი ირიცხებდა სსრკ-ის, ხოლო ნაწილი – გერმანიის შეიარაღებული ძალების რიგებში. ფრონტის ორივე მხარეს მებრძოლი ქართველობა თანაგრძნობით ეკიდებოდა თავისუფლებისმოყვარე ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც, ისევე როგორც ამ ომამდე ოციოდე წლის წინათ ქართველი ერი, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის მსხვერპლი გახდა. ქართულ ემიგრანტულ პრესასა და მემუარებში დაფიქსირებული ცნობების მიხედვით ქართველი ემიგრანტები ბალტიის ხალხებს საბჭოთა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთ მოკავშირეებად მიიჩნევდნენ.

XX საუკუნის შუა ხანებიდან ქართულ-ლატვიურმა, ქართულ-ლიტვურმა და ქართულ-ესტონურმა ურთიერთობებმა ფართო ხასიათი შეიძინეს. სსრკ-ის დაშლისა და საქართველოს და ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მათ შორის მჭიდრო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ამ პერიოდს მონოგრაფიის ბოლო თავი ეძღვნება.

ჩვენ შეძლებისდაგვარად განვიხილეთ და წარმოვაჩინეთ ამ მონოგრაფიის ძირითადი საკითხები და მნიშვნელობა. ხაზგასმით გვსურს აღვნიშნოთ, რომ წიგნი დაწერილია ქართულ-ბალტიური ურთიერთობების სიღრმისეული ცოდნით, გამოვლენილი და შესწავლილია მრავალი საარქივო, ისტორიული თუ ლიტერატურული წყარო, რომელთა დიდი ნაწილი დანართის სახით ერთვის წიგნს და მკითხველს უადვილებს საკითხებში ორიენტირებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ავტორმა გამოწვლილვით შეისწავლა ქართულ-ბალტიური ურთიერთობის თითოეული ისტორიული ეტაპი თუ ასპექტი, განიხილა და სათანადოდ გააანალიზა ამ ურთიერთობების მონაწილე ცალკეულ პირთა ბიოგრაფიის, შემოქმედებისა თუ მოღვაწეობის საგულისხმო მომენტები და ისინი თვალსაჩინოდ წარმოგვიდგინა. ეს მონოგრაფია საუკეთესო ბაზას ქმნის ქართულ-ბალტიური ურთიერთობის შემდგომი შესწავლისათვის.

ვფიქრობთ, რომ პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის წიგნი ახლაც და მომავალშიც შეუწყობს ხელს ქართველი და ბალტიელი ხალხების ტრადიციული თანამშრომლობისა და მეგობრობის გაღრმავებას, რასაც თანამედროვე ეტაპზე დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

თეიმურაზ ვახტანგიშვილი

იაკობ გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

თენგიზ სიმაშვილი

იაკობ გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

რეცენზია
ხაილა ისრაილ ყიზი ასკეროვას სტატიაზე – „რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილოეთ აზერბაიჯანის დაპყრობა“

2019 წლის შემოდგომაზე აზერბაიჯანის განჯის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელმა, პროფესიით ისტორიკოსმა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამეცნიერო შრომების კრებულში დასაბეჭდად გადმოგზავნა თავისი ნაშრომის – „რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილოეთ აზერბაიჯანის დაპყრობა“ – ელექტრონული ვერსია. იგი მოიცავდა 4 გვერდს. მას თან ერთვოდა რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

გავეცანით რა აღნიშნულ სტატიას, ჩავთვალეთ, რომ, თუ ავტორი არ შეასწორებდა მას, მასში დაშვებული ისტორიული უზუსტობებისა და მთელი რიგი ლაფსუსების გამო, მისი დაბეჭდვა არ შეიძლებოდა.

ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ დაგვეწერა რეცენზია და მოგვეხდინა მისი პუბლიკაცია, რადგანაც ხ. ასკეროვას ნაშრომი ფაქტობრივად ადანაშაულებდა ქართველ ხალხს რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილოეთ აზერბაიჯანის დაპყრობაში მონაწილეობასა და მისი ხალხის გაქრისტიანებაში, რაც ფაქტობრივად აბსურდია.

შეიძლება ითქვას, რომ სტატიის ავტორი ამ თავისი ე. წ. „ნაშრომით“ იგნორირებას უკეთებს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის საუკუნოვან მეგობრობას და ამით რუსეთის სახელმწიფოს ველიკორუსული პოლიტიკის წისქვილზე ასხამს წყალს.

ჩვენი რეცენზია ამ სტატიის შესახებ ასეთი სახისაა:

მკვლევარის მიერ აღნიშნული თემის შერჩევა და მისი დამუშავება აქტუალურია, რადგან რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრეები: ჯერ საბჭოთა, ხოლო შემდეგ დღევანდელი რუსეთის ფედე-

რაციული რესპუბლიკის მთავრობები ყველა საშუალებას იყენებდნენ და დღესაც იყენებენ იმ მიზნით, რათა აღადგინონ ძველი რუსეთის იმპერია, რომელმაც XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული XX საუკუნის 80–იანი წლებით დამთავრებული შეძლო აღმოსავლეთით ევროპისა და შუა აზიის ხალხებთან ერთად დაეპყრო და დაპატრონებოდა სამხრეთ კავკასიასაც.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა იმპერია დაიშალა (1991 წ.) და კავკასიის ხალხებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, რუსეთის მმართველი წრეები ყველა ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ კავკასიის ხალხებს შორის გააღვივონ მტრობა და მისი ხელშეწყობით კვლავ დაიპყრონ სამხრეთ კავკასია. ამის ნათელი მაგალითი იყო აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ყარაბაღის მიწების გამო ატეხილი ომი. ამ ომში რუსეთის უშუალო დახმარებით სომხეთმა მიაღწია საწადელს და ყარაბაღი ფაქტობრივად ჩამოაცილა აზერბაიჯანს.

ანალოგიურად იმოქმედა რუსეთმა საქართველოშიც, 2008 წლის აგვსტოს ომში აფხაზ და ოს სეპარატისტებს აუსრულა ნანატრი წადილი და საქართველოს ეს ძირძველი ქართული მიწები (აფხაზეთი და სამაჩაბლო) დედა–სამშობლოს ჩამოაცილა. მან ისინი თითქოსდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, მაგრამ თავისი სამხედრო ძალების ჩაყენებით საქართველოს ეს ტერიტორიები (ქართული მიწის 20%) ფაქტობრივად მიითვისა.

ამრიგად, რუსეთი, რომელიც წარმატებით იყენებდა და იყენებს ძველი რომის იმპერიის ნაცად მეთოდს – „დაყავი და იბატონე“, ახლაც მისი ერთგული რჩება და ცდილობს კავკასიის ხალხებში დანერგოს ურთიერთშური, მტრობა, ერთმანეთს გადაჰკიდოს ისინი იმ მიზნით, რომ თვითონ ხელახლა დაიპყროს და განამტკიცოს თავისი ბატონობა აღნიშნულ რეგიონში.

სტატიის ავტორი, აღწერს რუსეთის იმპერიის მიერ აზერბაიჯანის მიწების ანექსიას, ხაზს უსვამს, რომ „მას შემდე, რაც XVIII საუკუნის ბოლოს, ირანის ხგელისუფლების სათავეში მოვიდა აზერბაიჯანული ყაჯართა დინასტია, ამ უკანასკნელის წარმომადგენლები იწყებენ რა ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცების პოლიტიკას, ამ მიზნის მისაღწევად მიმართავენ აზერბაიჯანული სახანოების ანექსიას, რომლებიც ადრიდანვე მათი წინაპრების: ყარაყოინლუს, აყ ყოინლუს, სეფევიდების წარმომადგენლების და ბოლოს ნადირშაჰის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ. ასე დაიწყო ხანგრძლივი ომის პერიოდი ყაჯარებსა და რუსეთის იმპერიას შორის.“

(გვ.1)

მკვლევარი აგრძელებს და აღნიშნავს, რომ „აზერბაიჯანი იქცა სისხლისღვრის არენად. რუსეთის მიერ ტერიტორიალური დათმობის პირობით შეგულიანებული სომეხი და ქართველი გენერლები, რომლებიც სათავეში ედგნენ სამხედრო ოპერაციებს, იყენებდნენ რა ამ შესაძლებლობას, ახორციელებდნენ აზერბაიჯანის მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდს“ (გვ.1-2).

ზემოაღნიშნული ავტორისეული მოსაზრების შესახებ გარკვეული შენიშვნები გვაქვს. სახელდობრ:

1) ყაჯართა დინასტია აზერბაიჯანული კი არა, არამედ თურქული მომთაბარეთა ტომის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. აღა მაჰმად ხანი იყო ყაჯართა ტომის ასტრაბადის შტოს ბელადის მუჰამედ ჰასან ხანის შვილი. სწორედ მას ხვდა წილად ეგდო ხელთ ხელისუფლება ირანში და საფუძველი ჩაეყარა ყაჯართა სამეფო დინასტიისათვის;

2) ყარაყოინლუს (შავბატკანიანების) და აყ ყოინლუს (თეთრბატკიანების) წარმომადგენლები ასევე მომთაბარე თურქმენები იყვნენ;

3) სეფევიდების სახელმწიფოს შექმნა დაკავშირებულია ე. წ. ყიზილბაშურ მოძრაობასთან, რომლის სათავეში იდგნენ „სუფიუ-დერვიშური“ მეთაურების მემკიდრეები სამხრეთ აზერბაიჯანში, არდებილში. ორდენის სახელწოდების მიცემა შეიხ სეფი ად-დინ ის ხავის (1252-1334) სახელს უკავშირდება, რომელიც XV ს-ის შუა ხანების ლეგენდის თანახმად, მეშვიდე შიიტი იმამის მუსა კაზიმის (დაახ. VIII ს.) ოცდამეერთე შთამომავალს წარმოადგენდა. არც თუ ისე გვიან, ზოგიერთ მკვლევარს გამოთქმული აქვს მოსაზრება სეფევიდების საგვარეულოს ქურთული წარმოშობის შესახებ (История Ирана, издательство Московского Университета, 1977. გვ. 170);

4) ნადირ შაჰი ასევე თურქულ აფშართა ტომის წარმომადგენელი იყო (იქვე, გვ. 202)

ჩვენი აზრით, სტატიის ავტორმა უნდა გაითვალისწინოს ჩვენი ზემოთმოყვანილი შენიშვნები და აღნიშნული დინასტიის წარმომადგენლები აზერბაიჯანულ მოდგმას არ უნდა დაუკავშიროს. მით უმეტეს, რომ ისინი არა აზერბაიჯანს, არამედ ირანის სახელმწიფოს ედგნენ სათავეში.

თანამედროვე აზერბაიჯანელი მკვლევარები აზერბაიჯანის სახელმწიფოს ძველი ალბანეთის სამართალ-მემკვიდრედ თვლიან.

ვფიქრობთ, ამ სტატიის ავტორიც ამას იზიარებს და მის შესახებ მეტ–ნაკლები ცოდნაც აქვს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ზედმეტი არ იქნება, ავტორმა ხელახლა თვალი გადაავლოს ალბანეთის ისტორიას, თუ არადა ქართულ საისტორიო მეცნიერებიდან ჩვენ მიერ მოტანილ ამონარიდს გაეცნოს ძველი ალბანეთის ისტორიის შესახებ.

„კავკასიის ალბანეთი ერთ-ერთი უძველესი ადრინდელი კლასობრივი სახელმწიფო იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, დედაქალაქი – ყაბალა (კაბალა). იგი მოიცავდა ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიას და დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილს (მცირე კავკასიონის მთიდან და მდ. არაქსისა და მტკვრის ქვემოწყლიდან მოკიდებული კავკასიონის ქედის ჩრდილო–აღმოსავლეთ მონაკვეთამდე და კასპიის ზღვიდან ვიდრე იორი–ალაზანის ქვემოწყლამდე ანუ იბერიის სამეფოს საზღვრამდე).“

ძვ. წ. I საუკუნეში ალბანეთის დასავლეთი ნაწილი იბერიის (ქართლის) პოლიტიკური და კულტურული გავლენის სფეროში მოექცა, ხოლო მის მარჯვენა სანაპირო პროვინციებს სომხეთის სახელმწიფო დაეპატრონა. III-V სს-ში ალბანეთში ფეოდალური ურთიერთობა ყალიბდებოდა. IV ს-ში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა. ჯერ კიდევ III ს-ში ალბანეთი სასანიანთა ირანმა დაიმორჩილა. VI-VII სს-ის მიჯნაზე ალბანეთში დაწინაურდა გარდმანის მფლობელთა – მიჰრანიდთა ფეოდალური გვარი, რომელმაც აღადგინა ალბანეთის დამოუკიდელობა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯავანშირის მმართველობის პერიოდი. ეროვნულ–განათავისუფლებელ ბრძოლაში ალბანელებს ქართველებიც ეხმარებიდნენ ქართლის ერისთავის ადანარსეს ხელმძვანელობით.

VII ს-ის შუა ხანებში ალბანეთი არაბებმა დაიპყრეს. ამ პერიოდიდან დაიწყო ალბანეთის სახელმწიფოს გამაჰმადიანება. დასავლეთი ალბანეთი (ჰერეთი. შაკიხი), რომელიც უძველესი დროიდანვე ქართული კულტურის სფეროში მოექცა, VIII ს-ის დასაწყისში ქართლის ერისმთავარ არჩილის საგამგებლოში შედიოდა. არაბთა სახალიფოს დასუსტებას VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის დასაწყისში მოჰყვა მის პერიფერიებში დამოუკიდებელი ადრინდელი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. ალბანეთის ტერიტორიაზე ასეთი ერთეულები იყო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე – არან შაჰების სამთავრო (X ს-ის ბოლოს არანშაჰები შედადიდების დინასტიამ შეცვალა), მტკვრის მარცხენა სანაპიროზე შირვანი (შირვან შაჰ მაზიალიდების დინასტია). გარდა ამისა, დარუბანდი (ჰაშიმიდების დი-

ნასტია) და ჰერეთი, რომელიც ფაქტობრივად ქართული სამთავრო იყო და მას ბაგრატიონთა დინასტია ედგა სათავეში. XI ს-ში ამიერკავკასია თურქ–სელჩუკებმა დაიპყრეს და მასობრივად დასახლდნენ ალბანეთის ტერიტორიაზე, რასაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაცია მოჰყვა. ალბანეთის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებაში მიიღო მონაწილეობა, მეორე ნაწილი კი კახელებს, მთიანი ყარაბაღის სომხებსა და დაღესტნის მოსახლეობას შეერწყა (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, გვ. 276, 1975; История Азербайджана. I, Баку, 1958).

5) რაც შეეხება აზერბაიჯანელი ხალხის გენოციდში ქათველი და სომეხი გენერლების მონაწილეობას, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ავტორს სტატიაში მათი გვარები მოეხსენებინა, რადგან ზოგიერთი მათგანი, ეს იქნებოდა ქართველი თუ სხვა ერის წარმომადგენელი, უპირველეს ყოვლისა საკუთარი ერის მოღალატე იყო, რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩამდგარი პირები, რომლებიც თავიანთ პირად ინეტერესებს სამშობლოს ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ, აქტიური მონაწილენი იყვნენ თავიანთი ქვეყნის შიგნით მიმდინარე ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში. ამდენად, საკვირველი არ უნდა იყოს მათი აგრესიული მოქმედებები სხვა ხალხების მიმართაც. ისე კი, ჩვენი აზრით, საჭირო არაა ავტორის მიერ ხაზგასმა მათ მოქმედებაზე, მითუმეტეს ამ გენერლების ქართველობაზე, რადგან ეს გარკვეულწილად მტრობას აღვივებს და ამით ზიანს აყენებს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საუკუნოვან მეგობრობასა და ურთიერთ თანამშრომლობას.

6) ავტორი იხილავს რა აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიას, რომელიც საქართველოს ესაზღვრებოდა, ხაზს უსვამს, რომ აქ „ამ მიწებზე ქართული ეკლესია ქრისტიანიზაციის პოლიტიკას ეწეოდა. ამით სარგებლობდნენ რა ქართველი ფეოდალები რუსი კოლონიზატორების აქტიური დახმარებით იწყებდნენ თავისი ძველი ოცნების აღსრულებას – აქ მცხოვრებ ქართველ და ადგილობრივ მოსახლეობაში ქრისტიანული მართლმადიდებლობის გავრცელებას. ცარიზმის და მისი მომხრეთა მკაცრ კოლონიურ პოლიტიკას ადგილობრივი მოსახლეობა შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა, მიუხედავად ამისა კოლონიზატორებმა შეძლეს გაექრისტიანებინათ ინგილოთა ზოგიერთი ალბანური სოფელი, კონფისკაცია უქნეს ბეგთა მიწებს. კოლონიზატორები არ დაკმაყოფილდნენ ამით და უძველესი ალბანური ტაძრები მართლმადიდებლურად აქციეს და ყოველ ნა-

ბიჯზე ახალი ეკლესიების მშენებლობა დაიწყეს...“ (გვ. 3)

როგორც ჩანს, ავტორი საკმაო დონეზე არ იცნობს ალბანეთის და არც საქართველოს ისტორიას. აღნიშნული ტერიტორია, რომელიც ახლა აზერბაიჯანის მფლობელობაშია ძველი ალბანეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა, რომელიც ჰერების და მისი მონათესავე ტომებით იყო დასახლებული აქ უძველესი დროიდანვე ქართული კულტურის გავლენა იგრძნობოდა და ისინი ქართველებს შეერწყნენ.

XVI საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით ეს მიწები კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, რომლებიც ირანის შაჰებისა და ოსმალეთის სულთნების ხელშეწყობით ლეკებმა და გათურქებულმა აზერბაიჯანელებმა მიიტაცეს. XIX ს-ის დასაწყისში აღნიშნული ტერიტორია, ე. წ. კაკ-ენისელის მხარე შექამდე (ზაქათალის ოლქი) ისევ საქართველოს დაუბრუნდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა მოახდინა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ანექსია (1921 წ.) საბჭოთა ხელისუფლებამ ეს ტერიტორია აზერბაიჯანს არგუნა. ცნობილია, რომ ამ მიწებზე დღესაც ქრისტიანი და ძალით გამუსლიმანებული ქართველები ცხოვრობენ, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ სტატიის ავტორმა მათ იძულებით გაქრისტიანებაზე არ უნდა წეროს. მით უმეტეს საქართველოს ძირძველი ტერიტორია, მთელი ქვემო ქართლი (გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის და სხვ. რაიონები) აზერბაიჯანელებითაა დასახლებული. აქ ხომ ქართველებს არასოდეს არ უცდიათ მათი გაქრისტიანება და შევიწროვება. ამდენად, უმჯობესია ავტორმა თავი შეიკავოს ქართველების აუგად ხსენებასა და ძალმომრეობაზე.

9) სტატიას წინ უძღვის მოკლე რეზიუმე, რომელშიც ძირითადად მოთხრობილია პეტრე პირველის მიერ რუსეთის 1722-1723 წლების ლაშქრობაზე კასპიისპირეთში. აღნიშნული მოკლე დასკვნა ფაქტორივად არ ეთანხმება სტატიის შინაარს და საჭიროა მისი გადაკეთება. ასევე გასამართია სტატიის თანდართული რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

დასასრულს, გვინდა ჩვენი შეხედულება აღნიშნული სტატიის ირგვლივ შემდეგნაირად გამოვთქვათ:

საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1921-1922 წლებში განხორციელებულმა საზღვრების არასწორმა გამიჯვნამ, რომელიც დღესაც კი დასაზუსტებელია ამიერკავკასიის იძულებით ახლად შექმნილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, უთანხმოება გამოიწვია, რომელიც თანდათანობით მწვავე ხასიათს იღებს.

აზერბაიჯანი ვერ ეგუება რა XX საუკუნის 90-იან წლებში სომხეთთან ომში ყარაბაღის დათმობას, რომელიც მან რუსეთის ჩარევით დაკარგა, უკვე თითქმის სამი ათეული წელია, რაც ცდილობს საქართველოს ჩამოაცილოს ძირძველი ქართული გარეჯის მონასტრის სანახები, ამას გარდა აზერბაიჯანელი ისტორიკოსები, მათ შორის წინამდებარე სტატიის ავტორიც, არასწორი „ისტორიული არგუმენტების“ მოშველიებით ცდილობენ ჩვენი სამშობლოს ოდინდელი მიწები, აღმოსავლეთ კახეთის მხარე, ე. წ. „საინგილო“ აზერბაიჯანის კუთვნილ ტერიტორიად გამოაცხადონ. ამის დასტურად საკუთარ ქვეყანას ძველი ალბანეთის სამართალმემკვიდრედ აცხადებენ, ამას გარდა, სტატიის ავტორი არ კმაყოფილდება ამით და თავის „ნაშრომში“ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების გაქრისტიანებაში საქართველოს, ქართველ ხალხს ადანაშაულებს. ამასაც არ სჯერდება და ძველი ქართული კულტურის ძეგლებს, ეკლესია-მონასტრებს ძველი ალბანელების კუთვნილებად თვლის.

როგორც ჩანს, ავტორი არაა ჩახედული ისტორიის ლაბირინთებში. მან არათუ სრულყოფილად არ იცის საქართველოს, არამედ საკუთარი ქვეყნის-აზერბაიჯანის ისტორიული წარსულიც.

Teimuraz Vakhtangishvili

Iakob Gogebashvili Telavi State University, Professor

Tengiz Simashvili

Iakob Gogebashvili Telavi State University, Professor

Review of Khaila Israel Kizi on Askerova's Article – „Conquest of Northern Azerbaijan by the Russian Empire“

Summary

In the autumn of 2019, an employee of Ganja State University of Azerbaijan, a historian by profession, sent an electronic version of his work - "Conquest of Northern Azerbaijan by the Russian Empire" to be published in the collection of scientific works at Telavi State University. It contained 4 pages. It was accompanied by a resume in English.

Having read this article, we considered that if the author did not cor-

rect it, due to the historical inaccuracies and a number of flaws in it, it could not be printed.

Therefore, we considered it expedient to write a review and publish it, because Kh. Askerova's work actually accused the Georgian people of participating in the Russian Empire's conquest of northern Azerbaijan and of converting its people to Christianity, which is in fact absurd.

It can be said that the author of the article in this his so-called. The "paper" ignores the centuries-old friendship between the Georgian and Azerbaijani peoples and thus pours water on the mill of the Russian state's Greater Russia policy.

The erroneous demarcation of borders by the Soviet authorities in 1921-1922, which can still be clarified today between the forcibly newly created Soviet republics of the Transcaucasia, led to a disagreement that gradually became acute.

Azerbaijan has not been able to come to terms with the surrender of Karabakh in the war with Armenia in the 1990s, which it lost through Russian interference. With the help of "historical arguments" they are trying to find the only lands of our homeland, the eastern Kakheti region, the so-called to declare "Saingilo" a territory belonging to Azerbaijan. To prove this, they declare their country as the legal successor of Old Albania. In addition, the author of the article is not satisfied with this and in his "work" accuses the Georgian people of Georgia of Christianizing the peoples living in the above-mentioned territory. He does not believe in this either and considers the monuments of old Georgian culture, churches and monasteries to belong to the old Albanians.

The author does not seem to have any insight into the labyrinths of history. Not only does he not know Georgia perfectly, but he also knows the historical past of his own country, Azerbaijan.



აკადემიკოს იური ჩიქოვანის გახსენება

2020 წლის 5 იანვარს 83 წლის გახდებოდა გამოჩენილი ქართველი მკვლევარი-გენეალოგი, „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარე, საერთაშორისო გენეალოგიური აკადემიის (საფრანგეთი) ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი იური (გიორგი) კონსტანტინეს ძე ჩიქოვანი (1937-2018).

სამწუხაროდ, ბატონმა იურიმ აღნიშნულ ასაკს ვერ მიაღწია, ვინაიდან იგი 2018 წლის 12 ნოემბერს გარდაიცვალა.

* * *

იური ჩიქოვანი დაიბადა 1937 წლის 5 იანვარს, ქალაქ ლენინგრადში (ამჟამად – სანკტ-პეტერბურგი), გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ჩვენს ქვეყანაში ნეიროქირურგიის სკოლის ფუძემდებლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ კონსტანტინე (ბონდო) პლატონის ძე ჩიქოვანის (1908-1960) ოჯახში. 1939 წლიდან ეს ოჯახი მუდმივ საცხოვრებლად გადმოსახლდა თბილისში.

სახელგანთქმული ნეიროქირურგის ოჯახში დაბადებულმა და აღზრდილმა ბატონმა იურიმ შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო.

მისი სამოღვაწეო დიაპაზონი საკმაოდ მრავალმხრივი გახლდათ. ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური და გერმანული ენების სპეციალობით დამთავრების შემდეგ (1962) იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა ამავე ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრაზე უფროს მასწავლებლად.

პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად, იური ჩიქოვანი გახლდათ ცნობილი მოჭადრაკე, საჭადრაკო სამყაროში სახელგანთქმული თეორიტიკოსი, სპორტის ამ სახეობაში თბილისის ოთხგზის (1963, 1966, 1977, 1985 წწ.) და საქართველოს 1976 წლის ჩემპიონი ვაჟთა შორის, ვახტანგ ქარსელაძის მემორიალის გამარჯვებული (1974 წ.), Fide-ს ოსტატი (1994 წლიდან), საერთაშორისო არბიტრი ჭადრაკში (2002 წლიდან), საქართველოს სსრ (1966 წლიდან) და შემდგომ – ეროვნული სპორტის ოსტატი. შედიოდა რა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ნაკრების შემადგენლობაში, წლების განმავლობაში იცავდა საქართველოს სპორტულ ღირსებას სხვადასხვა სახის გუნდურ ჩემპიონატებში. 1966 წლიდან მოყოლებული, თითქმის 30 წლის მანძილზე ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ჭადრაკში. იყო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი (1979 წლიდან), რომლის აღზრდილთა შორის არიან საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მოჭადრაკენი – მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, ევროპის ჩემპიონი ზურაბ აზმაიფარაშვილი, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების ჩემპიონი ნინო გურიელი და არაერთი სხვა საერთაშორისო ოსტატი და დიდოსტატი. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და მადლობა როგორც ჭადრაკის ფედერაციის, ისე სპორტ-კომიტეტის მხრიდან.

ორ სხვადასხვა სფეროში პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, ბატონი იური ახალგაზრდობის ასაკიდან გატაცებით შეუდგა გენეალოგიურ კვლევა-ძიებას და უკვე 1984 წლიდან, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ქართულ ისტორიულ საგვარეულოთა სრულფასოვან გენეალოგიურ შესწავლას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა გენეალოგიური კვლევა ჩვენში მანამდეც წარმოებდა, მაგრამ ერთ მთლიანობაში მას სწორედ ხსენებულმა მკვლევარმა დაუდო სათავე.

იური ჩიქოვანის ინიციატივით, 1995 წელს დაარსდა „ქართული გენეალოგიური საზოგადოება“, რომელსაც ბატონი იური თავადვე თავმჯდომარეობდა (გარდაცვალებამდე). ამის პარალელურად, იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებულ გენეალოგიური კვლევის ცენტრს (1999-2003), იყო ამავე ბიბლიოთეკის „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილების“ მიწვეული სპეციალისტი (2008-2009) და საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის შტატგარეშე სპეციალისტი (2010-2016). იმავდროულად, გახლდათ „თავად-აზნაურთა საკრებულოს“ ვიცე-წინამძღოლი და მთავარი გენეალოგი. მას

ამ დარგშიც მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის, რუსეთის გენეალოგიური ფედერაციის პირველი ხარისხის მედალი – „გენეალოგიის და სხვა სპეციალური ისტორიული დისციპლინების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის“ (2013 წ.).

იური ჩიქოვანის გენეალოგიური კვლევის სფეროს წარმოადგენდა ძირითადად თავადაზნაურული წარმომავლობის ქართული ისტორიული საგვარეულოების მეცნიერული შესწავლა. აღნიშნულ თემატიკაზე პირველწყაროების (საქართველოს და რუსეთის სიძველეთა საცავებში დაცული ხელნაწერებისა და საარქივო მასალების) საფუძვლიანი კვლევის შედეგად, მან გამოაქვეყნა მრავალი ისტორიულ-გენეალოგიური ნაშრომი, მათ შორის 12 წიგნი, როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებზე. მათ შორისაა წიგნები (ჩამოთვლილია ქრონოლოგიურად): „თავადი ჭავჭავაძეები“ (2002), „ჩხეიძეთა საგვარეულო“ (2004); „მიქელაძეთა და მხეიძეთა საგვარეულო“ (2005); „თავადი მაყაშვილები და თავადი ჩიჩუები“ (2006); „აფხაზ თავად შერვაშიძეთა საგვარეულო“ (2007); “თავად მაჩაბელთა საგვარეულო“ (2009); „გიორგი XII და მისი შთამომავლობა“ (2015), „დოკუმენტები ცხადყოფენ“ (2017), „ისევ დოკუმენტები ცხადყოფენ“ (2018), „საქართველოს სამეფოს თავადთა შთამომავალნი“, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ – 2019 წელს გამოიცა.

ზემოთ ჩამოთვლილი წიგნების უმეტესობას სამეცნიერო რედაქტორობა გაუწიეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი ანჩაბაძემ და ამ სტრიქონების ავტორმა, რომლებსაც ბატონ იურისთან ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდათ.

1993-1998 წლებში მოსკოვში, რუსულ ენაზე გამოიცა ოთხი ტომი მრავალტომეულისა საერთო სახელწოდებით – “Дворянские роды Российской империи“ (“რუსეთის იმპერიის თავადაზნაურთა საგვარეულოები“), რომელსაც საერთო სამეცნიერო რედაქტორობა და ნაწილობრივი თანაავტორობა გაუწია მოსკოვში არსებული საისტორიო-გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარემ სტანისლავ დუმინმა.

ამ მრავალტომეულის მესამე ტომში, რომელიც გამოიცა 1996 წელს, შევიდა გამოკვლევები ბაგრატიონთა დინასტიისა და მისი საგვარეულო განშტოებათა შესახებ, რომელიც ეყრდნობა იური ჩიქოვანის მიერ მოპოვებულ მასალებს და მისი თანაავტორობით შედგენილ გენეალოგიურ ნუსხებს. იმავე მრავალტომეულის მეოთხე ტომის – „საქართველოს სამეფოს თავადები“ (1998) თანაავტორები არიან ი.

ჩიქოვანი და ს. დუმინი. აღნიშნულ ტომში შესული 63 საგვარეულოს გენეალოგიური ტაბულები, შესაბამისი კომენტარებით, მთლიანად შედგენილია იური ჩიქოვანის სამეცნიერო მონაცემების საფუძველზე.

საერთაშორისო აღიარების მქონე ქართველმა მკვლევარ-გენეალოგმა, ხანგრძლივი და დაძაბული შრომის შედეგად, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ასზე მეტი ქართული ისტორიული გვარის გენეალოგიური ნუსხა, სათანადო კომენტარებითურთ.

იური ჩიქოვანის სამეცნიერო ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 2004 წელს იგი საქართველოდან პირველი (და ჯერჯერობით ერთადერთი) გახდა ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) „საერთაშორისო გენეალოგიური აკადემიისა“, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქში – პარიზში მდებარეობს.

ბატონი იური გახლდათ კეთილშობილი პიროვნება, უღალატო მეგობარი და იმავდროულად, ჭეშმარიტი მამულიშვილი, რასაც პატრიოტული სულისკვეთებით შექმნილ თავის მრავალფეროვან გენეალოგიურ მემკვიდრეობასთან ერთად, ის ყოველდღიურ ყოფაშიც ავლენდა...

ამ ქვეყნიდან ვალმოხდილად გარდასულმა მეცნიერმა დატოვა არაჩვეულებრივი თანამეცხედრე – ქალბატონი ირინა კვირკველია-ჩიქოვანისა, რომელიც ერთად ცხოვრების მესამედი საუკუნის განმავლობაში თავის მეუღლეს გულითად თანადგომას უწევდა და სამეცნიერო საქმიანობაში ხელს მაქსიმალურად უწყობდა.

ბატონ იურის დარჩა შვილები – მარინა, გიორგი და რუსუდან ჩიქოვანები და შვილიშვილები, რომლებსაც ვუსურვებთ, რომ თავიანთი სახელოვანი მამის და პაპის ღირსეული შთამომავალნი ყოფილიყვნენ.

აკადემიკოს იური ჩიქოვანის გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

შპს „პრინტჯეო”, 2020

თბილისი, 0131, დემეტრე თავდადებულის ქ.18, ☎: +995 32 222 06 08
E-mail: ichachanidze@mail.ru